პაპი ფრანცისკე

დიდება შენდა

Laudato Si'

ჩვენს საერთო სახლზე ზრუნვის შესახებ

წმიდა მამა
ფრანცისკეს
ენციკლიკა

LAUDATO SI'
დიდება შენდა

ეპისკოპოსებს,
ხუცესთა და დიაკვნებს,
ღმრთივშეწირულ პირთა,
და კეთილი ნების ყველა ადამიანს

საერთო სახლზე ზრუნვის შესახებ

ირაკლი ჯავახიშვილის თარგმანი

თბილისი, 2020 წლის ოქტომბერი

1. «Laudato si', mi' Signore», – «დიდება შენდა, უფალო ჩემო». ამ მშვენიერი საგალობლის სიტყვებით, წმ. ფრანცისკე ასიზელი შეგვახსენებს, რომ ჩვენი საერთო სახლი მიაგავს დას, რომელთან ერთადაც ვცხოვრობთ, და მშვენიერ დედას, რომელიც თავისი მკლავებით გულში გვიკრავს: «დიდება შენდა, უფალო ჩემო, დისა ჩვენისთვის დედამიწისთვის, რომელიც ყოველს აცოცხლებს და განაგებს, და წარმოშობს სხვადასხვა ნაყოფს, ფერადი ყვავილებითა და ბალახითურთ».[1]

2. ეს ჩვენი და ახლა შემოგვღაღადებს იმ ვნების გამო, რომელიც მას მივაყენეთ იმ სიკეთეების უპასუხისმგებლოდ და ბოროტად გამოყენებით, რომლებიც ღმერთმა მიუბოძა მას. ჩვენ ვიქეცით მის მებატონეებად, ისე რომ ჩვენი სურვილისამებრ განვძარცვავთ მას. ცოდვით ნაიარევ ჩვენ გულებში არსებული ძალადობა იმ სნეულების სიმპტომებშიც ვლინდება, რომელიც ასე თვალსაჩინოა ნიადაგში, წყალში, ჰაერსა და სიცოცხლის ყოველგვარ ფორმაში. ამიტომაც, ყველაზე მიტოვებულ და ცუდად მოპყრობილ უპოვრებს შორის იმყოფება ჩვენი დათრგუნვილი და განადგურებული დედამიწაც; იგი «ერთიანად გმინავს» (რომ 8,22). დაგვავიწყდა, რომ თავად ვართ მიწის მტვერი (შეად. დაბ 2,7); ჩვენი სხეულები

1 ქმნილებათა საგალობელი: Fonti Francescane (FF) 263.

მისი ელემენტებისაგან შედგება, მის ჰაერს ვსუნთქავთ და მისი წყლებიდან ვიღებთ სიცოცხლეს და ენერგიას.

ამ სამყაროში არაფერია ჩვენთვის სულ ერთი

3. ორმოცდაათ წელზე მეტი ხნის წინ, როდესაც მსოფლიო ბირთვული კრიზისის ზღვარზე იდგა, წმ. პაპმა იოანე XXIII-მ დაწერა ენციკლიკა, რომელიც არა მარტო უარყოფდა ომს, არამედ სამშვიდობო შემოთავაზებასაც იძლეოდა. იგი თავისი გზავნილით Pacem in Terris მიმართავდა მთელ «კათოლიკურ სამყაროს» და, მართლაც, «კეთილი ნების ყველა ადამიანს». ახლა, როდესაც გარემოს გლობალური გაუარესების წინაშე ვდგავართ, მსურს, მივმართო ამ პლანეტაზე მცხოვრებ ყოველ ადამიანს. ჩემ სამოციქულო ექსჰორტაციაში Evangelii Gaudium, მე მივმართავდი ეკლესიის ყველა წევრს ჩვენი დროის მისიონერული განახლების შეგულიანების მიზნით. ამ ენციკლიკაში, მსურს, ყველა ადამიანთან შევიდე დიალოგში ჩვენი საერთო სახლის შესახებ.

4. 1971 წელს, Pacem in Terris-დან რვა წლის შემდეგ, ნეტარი პაპი პავლე VI საუბრობდა ეკოლოგიურ საზრუნავზე, როგორც ადამიანის თავაშვებული საქმიანობის «ტრაგიკულ შედეგზე»: «ბუნების უგუნური ექსპლუატაციის გამო, კაცობრიობა მისი განადგურების და, სანაცვლოდ, მისი დეგრადაციის მსხვერპლად ქცევის საფრთხეს

ქმნის».[2] იგი მსგავსადვე ესაუბრებოდა გაერთიანებული ერების სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას იმ პოტენციალზე, რომელიც ჰქონდა «ეკოლოგიურ კატასტროფას სამრეწველო ცივილიზაციის ქმედითი აფეთქების პირობებში» და ხაზს უსვამდა «კაცობრიობის ქცევის რადიკალური ცვლილების სასწრაფო საჭიროებას», ვინაიდან «ყველაზე არაჩვეულებრივი სამეცნიერო წარმატებები, ყველაზე გასაოცარი ტექნიკური შესაძლებლობები, ყველაზე საკვირველი ეკონომიკური ზრდა, ვიდრე მათი თანმხლები არ იქნება ჭეშმარიტი სოციალური და ზნეობრივი პროგრესი, საბოლოოდ ადამიანის წინააღმდეგ შემობრუნდება».[3]

5. წმ. იოანე პავლე II სულ მეტად იყო დაინტერესებული ამ საკითხით. თავის პირველ ენციკლიკაში იგი გაფრთხილებას იძლეოდა, რომ ადამიანები ხშირად «ხედავენ მათ ბუნებრივ გარემოში მხოლოდ იმ აზრს, რომელიც საშურ გამოყენებას და მოხმარებას ემსახურება».[4] შესაბამისად, იგი მოუწოდებდა გლობალური ეკოლოგიური მოქცევისაკენ.[5] იმავე დროს, აღნიშნავდა, რომ

---

2 სამოც. წერ. Octogesima adveniens (14 მაისი, 1971წ), 21: AAS 63 (1971), 416-417.

3 მიმართვა სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას 25-ე წლისთავის მოვლენაზე (16 ნოემბერი, 1970წ), 4: AAS 62 (1970), 833.

4 ენციკ. Redemptor hominis (4 მარტი, 1979წ), 15: AAS 71 (1979), 287.

5 შეად. კატეხეზა (17 იანვარი, 2001წ), 4: Insegnamenti 24/1 (2001), 179.

მცირედია გაკეთებული, რათა «დაცული იყოს ჭეშმარიტი ადამიანური ეკოლოგიის ზნეობრივი პირობები».[6] ადამიანური გარემოს განადგურება უკიდურესად სერიოზულია, არა მარტო იმიტომ, რომ ღმერთმა სამყარო მოგვანდო ჩვენ, მამაკაცებს და ქალებს, არამედ იმიტომაც, რომ ადამიანის სიცოცხლე თავად არის ძღვენი, რომელიც დაცული უნდა იყოს მრავალგვარი სახის შელახვისაგან. ყოველგვარი მცდელობა, რომ დავიცვათ და უკეთესი გავხადოთ ჩვენი სამყარო, ღრმა ცვლილებებს იწვევს «ცხოვრების წესებში, წარმოების და მოხმარების მოდელებში, და ძალაუფლების დადგენილ სტრუქტურებში, რომლებიც დღეს მართავენ საზოგადოებებს».[7] ადამიანის ჭეშმარიტ განვითარებას ზნეობრივი ხასიათი აქვს. ის გულისხმობს სრულ პატივისცემას პიროვნების მიმართ, მაგრამ ის უნდა ეხებოდეს ჩვენ გარშემო არსებულ სამყაროსაც და «ითვალისწინებდეს ყოველი არსების და მოწყობილ სისტემაში მისი ურთიერთკავშირის ბუნებას».[8] შესაბამისად, ჩვენი ადამიანური შესაძლებლობა, რომ გარდავქმნათ სინამდვილე, უნდა გაგრძელდეს ღმერთის თავდაპირველ ძღვენთან თანხმობაში.[9]

---

6 ენციკ. Centesimus annus (1 მაისი 1991წ), 38: AAS 83 (1991), 841.

7 იქვე., 58: p. 863.

8 იოანე პავლე II, ენციკ. Sollicitudo rei socialis (30 დეკემბერი, 1987წ), 34: AAS 80 (1988), 559.

9 შეად. ენციკ. Centesimus annus (1 მაისი, 1991წ), 37: AAS 83 (1991), 840.

6. ჩემი წინამორბედი ბენედიქტე XVI, აგრეთვე, სთავაზობდა «მსოფლიო ეკონომიკის ხარვეზების სტრუქტურული მიზეზების აღმოფხვრას და ზრდის იმ მოდელების გამოსწორებას, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ გარემოს მიმართ პატივისცემას».[10] იგი შენიშნავდა, რომ სამყაროს გაანალიზება ვერ მოხდება მხოლოდ მისი რომელიმე ასპექტის უგულებელყოფით, ვინაიდან «ბუნების წიგნი ერთია და განუყოფელი» და მოიცავს გარემოს, სიცოცხლეს, სექსუალობას, ოჯახს, საზოგადო ურთიერთობებს, და ა.შ. მისი შედეგი ის არის, რომ «ბუნების გაუარესება მჭიდრო კავშირშია კულტურასთან, რომელიც ადამიანთა თანაარსებობას ქმნის».[11] პაპი ბენედიქტე ჩვენგან იმის აღიარებას ითხოვდა, რომ ბუნებრივ გარემოს სერიოზულ ზიანს აყენებს ჩვენი უპასუხისმგებლო ქცევა. ზიანი ადგება სოციალურ გარემოსაც. საბოლოოდ, ორივეს ერთი და იგივე ბოროტება იწვევს: ცნება, რომ არ არსებობს უდავო ჭეშმარიტებები, რომლებიც ჩვენ ცხოვრებას წარმართავენ, და, აქედან გამომდინარე, ადამიანის თავისუფლება უსაზღვროა. დაგვავიწყდა, რომ «ადამიანი არ არის მხოლოდ თავისუფლება, რომელსაც იგი ქმნის საკუთარი თავისთვის. ადამიანი არ ქმნის საკუთარ თავს. იგი არის სული

10 შეხვედრა წმინდა საყდართან აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან (8 იანვარი, 2007წ): AAS 99 (2007), 73.

11 ენციკ. Caritas in veritate (29 ივნისი, 2009წ), 51: AAS 101 (2009), 687.

და ნება, მაგრამ იგი ბუნებაცაა».[12] მამობრივი მზრუნველობით, ბენედიქტე მოგვიწოდებდა იმის გაანალიზებისაკენ, რომ ქმნილებას ზიანი ადგება, «როდესაც ჩვენვე გვეკუთვნის ბოლო სიტყვა, როდესაც ყოველივე უბრალოდ ჩვენი საკუთრებაა და მას მხოლოდ საკუთარი თავისთვის ვიყენებთ. ქმნილების ბოროტად გამოყენება იწყება მაშინ, როდესაც აღარ ვაღიარებთ რაიმე ჩვენზე მაღლა მდგომს, როდესაც საკუთარი თავის გარდა ვეღარაფერს ვხედავთ».[13]

საერთო საზრუნავით გაერთიანებულნი

7. პაპების ამგვარი განცხადებები მოუხმობენ მრავალი მეცნიერის, ფილოსოფოსის, ღმრთისმეტყველის და სამოქალაქო ჯგუფის მოსაზრებებს, ყველა მათგანი ამდიდრებს ეკლესიის აზროვნებას ამ საკითხებზე. კათოლიკე ეკლესიის გარეთ, სხვა ეკლესიები და საეკლესიო საკრებულოები - აგრეთვე, სხვა რელიგიები - ღრმა დაინტერესებას გამოთქვამენ და ფასეულ მოსაზრებებს იძლევიან იმ საკითხებზე, რომლებიც ყველა ჩვენგანს აწუხებს. ერთი ცხადი მაგალითიც კმარა ამისათვის; მე დავასახელებდი პატივგებულ ეკუმენურ პატრიარქ ბართლომეს განცხადებებს,

---

12 მიმართვა გერმანიის ბუნდესტაგს, ბერლინი (22 სექტემბერი, 2011წ): AAS 103 (2011), 664.

13 მიმართვა ბოლზანო-ბრესანონის დიოცეზების სამღვდელოებას (6 აგვისტო, 2008წ): AAS 100 (2008), 634.

რომელთანაც სრული საეკლესიო თანაზიარების იმედს ვიზიარებთ.

8. პატრიარქი ბართლომე გამორჩეულად საუბრობს ყოველი ჩვენგანის საჭიროებაზე, რომ შევინანოთ ის გზები, რაგვარადაც ზიანი მივაყენეთ პლანეტას, ვინაიდან «ჩვენ ყველა ვქმნით მცირე ეკოლოგიურ ზიანს», მოწოდებული ვართ, რომ ვაღიაროთ «ჩვენი წვლილი, მცირეა ის თუ დიდი, ქმნილების სახეცვლილებასა და განადგურებაში».[14] იგი ამას მტკიცედ და დამაჯერებლად იმეორებდა, იმის მოწოდებით, რომ ვაღიაროთ ჩვენი ცოდვები ქმნილების მიმართ: «ვინაიდან ადამიანები... ანადგურებენ ღმერთის ქმნილების ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას; ვინაიდან ადამიანები ზიანს აყენებენ დედამიწის მთლიანობას ცვლილებების გამოწვევით მის კლიმატში, დედამიწის განძარცვით მისი ბუნებრივი ტყეებისგან ან მისი ჭაობების განადგურებით; ვინაიდან ადამიანები აბინძურებენ დედამიწის წყლებს, მის ნიადაგს, ჰაერს, და მის სიცოცხლეს, - ეს ყოველივე ცოდვებია».[15] ვინაიდან «დანაშაულის ჩადენა ბუნებრივი სამყაროს მიმართ არის ცოდვა საკუთარი თავის და ღმერთის წინაშე».[16]

---

14 ქმნილების დასაცავად ლოცვის დღის უწყება (1 სექტემბერი, 2012წ).

15 გამოსვლა სანტა ბარბარაში, კალიფორნია (8 ნოემბერი, 1997წ); შეად. იოანე ქრისაუგისი, დედამიწაზე როგორც ზეცაში: ეკოლოგიური ხედვა და ეკუმენური პატრიარქ ბართლომეს ინიციატივები, ბრონქსი, ნიუ იორკი, 2012.

16 იქვე.

9. იმავე დროს, ბართლომე ყურადღებას ამახვილებს გარემოს პრობლემების ეთიკურ და სულიერ საფუძვლებზე, რომლებიც მოითხოვს, რომ მოგვარების გზები ვეძიოთ არა მარტო ტექნოლოგიაში, არამედ კაცობრიობის ცვლილებაშიც; წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვექნებოდა უბრალოდ სიმპტომებთან. იგი გვთხოვს, რომ მოხმარება ჩავანაცვლოთ მსხვერპლით, სიხარბე - სულგრძელობით, მფლანგველობა - გაზიარების სულისკვეთებით, ასკეტიზმით, რომელიც «ბიძგს აძლევს იმის სწავლას, რომ გასცეს, და არა უბრალოდ, რომ უარყოს. ეს არის გზა სიყვარულისა, თანდათანობით ჩამოშორება მისგან, რაც მე მსურს, და მიახლოება მასთან, რაც ღმერთის სამყაროს სჭირდება. ეს არის გათავისუფლება შიშისგან, სიხარბისგან და იძულებისგან».[17] როგორც ქრისტიანები, ჩვენ აგრეთვე მოწოდებული ვართ, «მივიღოთ სამყარო, როგორც თანაზიარების საიდუმლო, როგორც ღმერთთან და გლობალური მასშტაბით ჩვენ მოყვასთან თანამოზიარეობის გზა. ჩვენი თავმდაბალი რწმენაა, რომ ღმრთიური და ადამიანური თანხვდეს ღმერთის ქმნილების საღი სამოსელის ყველაზე უმნიშვნელო დეტალშიც კი, ჩვენი პლანეტის მტვრის უკანასკნელ ლაქაში».[18]

---

17 კონფერენზია უტსტეინის მონასტერში, ნორვეგია (23 ივნისი, 2003წ).

18 სიტყვა «გლობალური პასუხისმგებლობა და ეკოლოგიური მდგრადობა: ბოლო შენიშვნები», ჰალკის I სამიტი, სტამბოლი (20 ივნისი, 2012წ).

10. არ მინდა ეს ენციკლიკა ისე დავწერო, რომ არ მივუბრუნდე იმ მიმზიდველ და ძლიერ ფიგურას, რომლის სახელიც ჩემ სახელმძღვანელოდ და შთაგონებად ავირჩიე, როდესაც რომის ეპისკოპოსად ამირჩიეს. მჯერა, რომ წმ. ფრანცისკე არის საუკეთესო მაგალითი გარიყულებზე ზრუნვისა და ინტეგრალური ეკოლოგიისა, რომელიც ხორცს ისხამს სიხარულით და სარწმუნოობით. იგი არის ყველას მფარველი წმინდანი, ვინც სწავლობს და შრომობს ეკოლოგიის სფეროში, ის ძალიან უყვართ არა-ქრისტიანებსაც. იგი განსაკუთრებით ზრუნავდა ღმერთის ქმნილებასა და უპოვრებსა და გარიყულებზე. მას უყვარდა, და სხვებსაც ღრმად უყვარდათ იგი მისი სიხარულის, სულგრძელი თვითგაცემის, გულღიაობის გამო. იგი იყო მისტიკოსი და მომლოცველი, რომელიც ცხოვრობდა უბრალოებასა და საოცარ ჰარმონიაში ღმერთთან, სხვებთან, ბუნებასა და საკუთარ თავთან. იგი გვაჩვენებს, თუ როგორი განუყოფელი კავშირი არსებობს ბუნების, უპოვართათვის სამართლიანობის, საზოგადოებისადმი ვალდებულების მიმართ ინტერესს და შინაგან მშვიდობას შორის.

11. ფრანცისკე გვეხმარება იმის დანახვაში, რომ ინტეგრალური ეკოლოგია მოითხოვს გახსნილობას კატეგორიებისადმი, რომლებიც აღემატება მათემატიკის და ბიოლოგიის ენას, და გვაჩვენებს იმის არსს, თუ რას ნიშნავს, იყო ადამიანი. სწორედ იმგვარად, როდესაც ვინმე გვიყვარდე-

ბა, როდესაც იგი მზეს, მთვარეს და უმცირეს ცხოველებს უმზერს, იწყებს გალობას და ყველა ქმნილებას ადიდებს. იგი ესაუბრებოდა მთელ ქმნილებას, უქადაგებდა ყვავილებს და მოუწოდებდა მათ, რომ «განედიდებინათ უფალი, თითქოს გონება ჰქონოდეთ».[19] მისი პასუხი მის გარშემო არსებული სამყაროს მიმართ გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ინტელექტუალური შეფასება ან ეკონომიკური გათვლები, ვინაიდან მისთვის ყოველი ქმნილება იყო და, მასთან გაერთიანებული სიყვარულის კავშირით. სწორედ ამიტომ ზრუნავდა იგი ყოველივე არსებულზე. მისი მოწაფე წმ. ბონავენტურა მოგვითხრობს, რომ «ყველაფრის თავდაპირველი წყაროს გააზრებიდან, სულ მეტად უხვი ღვთისმოსაობით აღვსილი, იგი ყველა არსებას მოიხსენიებდა, როგორი მცირეც არ უნდა ყოფილიყო, 'ძმის' ან 'დის' სახელით».[20] ასეთი რწმენა არ შეიძლება მიეწეროს გულუბრყვილო რომანტიზმს, ვინაიდან იმ არჩევანს ეხება, რომელიც ჩვენ ქცევას განსაზღვრავს. თუკი ბუნებას და გარემოს მოკრძალებისა და გაოცებისადმი გახსნილობის გარეშე მოვეპყრობით, თუკი სამყაროსთან ურთიერთობაში აღარ ვისაუბრებთ ძმობის და სილამაზის ენით, ჩვენი დამოკიდებულება ბატონების, მომხმარებლების, შეუბრალებელი ექსპლუატატორების დამოკიდებულებად გადაიქცევა, რომლებიც შეზღუდვებს არ უწესებენ საკუთარ საშურ საჭიროებებს. პირიქით, თუკი

19 თომა ჩელანოელი, წმ. ფრანცისკეს ცხოვრება, XXIX, 81: FF 460.

20 Legenda Maior, VIII, 6: FF 1145.

შინაგანად გავერთიანდებით ყოველივე არსებულთან, მაშინ სპონტანურად წარმოიშვება სიფხიზლე და მზრუნველობა. წმ. ფრანცისკეს სიღატაკე და სიმკაცრე არ ყოფილა ასკეტიზმის უბრალო ფასადი, არამედ რაღაც გაცილებით უფრო რადიკალური: უარყოფა იმისა, რომ სინამდვილე ვაქციოთ საგნად, რომელსაც უბრალოდ იყენებენ და აკონტროლებენ.

12. მეტიც, წმ. ფრანცისკე, წერილისადმი ერთგული, მოგვიწოდებს, რომ ბუნებას შევხედოთ როგორც ბრწყინვალე წიგნს, რომელშიც ღმერთი გვესაუბრება და თვალწინ გვიშლის თავის უსაზღვრო მშვენიერებას და სიკეთეს. «ქმნილებათა სიდიადისა და მშვენების კვალზე მათი შემოქმედიც შეიცნობა» (სიბრძ 13,5). მართლაც, «მისი წარუვალი ძალა და ღვთაებრიობა ქვეყნიერების დასაბამიდან მისსავ ქმნილებებში ცნაურდება» (რომ 1,20). ამ მიზეზით, ფრანცისკე ითხოვდა, რომ ძმობის ბაღის ნაწილისათვის ხელი არ ეხლოთ, რომ იქ ველური ყვავილები და მცენარეები გაზრდილიყო, და ვინც კი მათ ნახულობდა, შეეძლო ღმერთის, ამ მშვენიერების შემოქმედის, შეგრძნობა.[21] მოსაგვარებელ პრობლემაზე მეტად, სამყარო სიხარულით აღვსილი საიდუმლოა, რომელიც ქედა-დიდებით უნდა განჭვრიტონ.

---

21 შეად. თომა ჩელანოელი, წმ. ფრანცისკეს ცხოვრება, CXXIV, 165: FF 750.

13. საშური გამოწვევა, რომ დავიცვათ ჩვენი საერთო სახლი, გულისხმობს ინტერესს, რომ მთელი საკაცობრიო ოჯახი ერთობლივად ელტვოდეს მდგრად და ინტეგრალურ განვითარებას, ვინაიდან ვიცით, რომ ცვლილებები შესაძლებელია. შემოქმედი არ გვტოვებს; იგი არასდროს მიატოვებს თავის გულმოწყალე ჩანაფიქრს ან არ ინანებს, რომ შეგვქმნა. კაცობრიობას კვლავაც აქვს შესაძლებლობა, რომ ერთობლივად იშრომოს ჩვენი საერთო სახლის ასაშენებლად. აქ, მსურს, ვაღიარო, შევაგულიანო და მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მრავალგვარი საშუალებით ესწრაფვის იმ სახლის დაცვას, რომელიც საერთოა. განსაკუთრებული მადლიერება ეკუთვნის მათ, ვინც დაუღალავად ესწრაფვის მსოფლიოს უღარიბესთა სიცოცხლეზე გარემოს დეგრადაციის ტრაგიკული შედეგების აღმოფხვრას. ახალგაზრდები მოითხოვენ ცვლილებას. მათ აინტერესებთ, როგორ არის შესაძლებელი უკეთესი მომავლის მშენებლობა გარემოს კრიზისსა და გარიყულთა ტანჯვაზე ფიქრის გარეშე.

14. ამიტომაც, სასწრაფოდ მოვუწოდებ ახალი დიალოგისკენ იმ საკითხზე, თუ როგორ შევქმნათ ჩვენი პლანეტის მომავალი. ჩვენ გვჭირდება საუბარი, რომელშიც ყველა მონაწილეობს, ვინაიდან გარემოს გამოწვევა, რომელსაც განვიცდით, და მისი ადამიანური საფუძვლები ყველა ჩვენგანს ეხება. მსოფლიო მასშტაბის ეკოლოგიურმა მოძრაობამ უკვე მნიშვნელოვანი პროგრესი

აჩვენა და ხელი შეუწყო მრავალი ორგანიზაციის დაფუძნებას, რომლებიც ამ გამოწვევების შესახებ ცნობიერების ამაღლებას ემსახურებიან. სამწუხაროდ, მრავალი მცდელობა, რომ გარემოს კრიზისის მოგვარების კონკრეტული საშუალებები მოეძებნათ, უშედეგო აღმოჩნდა, არა მარტო ძლიერი წინააღმდეგობის გამო, არამედ ინტერესის საყოველთაო სიმწირის მიზეზითაც. ობსტრუქციონისტული დამოკიდებულებები, მორწმუნეთა მხრიდანაც, გულისხმობს როგორც პრობლემის უარყოფას, ისევე გულგრილობას, გულგრილ უარს ან ტექნიკური საშუალებების ბრმა რწმენას. ჩვენ მოვითხოვთ ახალ და საყოველთაო სოლიდარობას. როგორც სამხრეთ აფრიკის ეპისკოპოსები აცხადებდნენ: «საჭიროა ყველას ნიჭი და მონაწილეობა, რათა გამოვასწოროთ ზიანი, რომელიც ადამიანის არასწორმა მოქმედებამ მიაყენა ღმერთის ქმნილებას».[22] როგორც ღმერთის იარაღებს, ყველა ჩვენგანს შეუძლია თანამშრომლობა ქმნილებაზე ზრუნვაში, საკუთარი კულტურის, გამოცდილების, მონაწილეობის და ნიჭის შესაფერისად.

15. იმედი მაქვს, რომ ეს ენციკლიკა, რომელიც ახლა შეემატება ეკლესიის სოციალურ მოძღვრებას, დაგვეხმარება, რომ შევიცნოთ ჩვენ წინაშე არსებული გამოწვევის მოწოდება, უსაზღვროება და აქტუალობა. მე დავიწყებ ამჟამინდელი

---

22 სამხრეთ აფრიკის კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენცი სამოძღვრო ანგარიში გარემოს კრიზისზე, (5 სექტემბერი,1999წ).

ეკოლოგიური კრიზისის რამდენიმე ასპექტის მიმოხილვით, რათა ყურადღება გავამახვილო დღესდღეობით ხელმისაწვდომი საუკეთესო სამეცნიერო კვლევის შედეგებზე, სიღრმისეულად შევეხო მათ და, შემდგომ, ეთიკური და სულიერი გზის კონკრეტული საფუძველი წარმოვადგინო. შემდეგ მიმოვიხილავ იუდეურ-ქრისტიანული ტრადიციიდან მიღებულ ზოგიერთ პრინციპს, რომლებსაც შეუძლიათ უფრო თანმიმდევრული გახადონ ჩვენი ვალდებულება გარემოს მიმართ. შემდეგ შევეცდები, რომ ჩავწვდე დღევანდელი ვითარების საფუძვლებს, განვიხილო არა მარტო მისი სიმპტომები, არამედ მისი უღრმესი გამომწვევი მიზეზებიც. ეს დაგვეხმარება, რომ ავირჩიოთ მიდგომა ეკოლოგიისადმი, რომელიც პატივს სცემს ჩვენ, როგორც ადამიანების, უნიკალურ ადგილს ამ სამყაროში და ჩვენ ურთიერთობას გარშემო არსებულ სამყაროსთან. ამგვარი მიმოხილვის შუქზე, წინ წამოვწევ დიალოგის და მოქმედების ზოგიერთ ფართო შემოთავაზებას, რომელიც მოიცავს თითოეულ ჩვენგანს, როგორც ინდივიდებს, და ეხება საერთაშორისო პოლიტიკასაც. და ბოლოს, ვინაიდან დარწმუნებული ვარ, რომ ეს ცვლილება შეუძლებელია მოტივაციის და განათლების პროცესის გარეშე, მე წარმოვადგენ ზოგიერთ შთამაგონებელ სახელმძღვანელო პრინციპს ადამიანის განვითარებისათვის, რომლებიც შეიძლება ქრისტიანული სულიერი გამოცდილების საუნჯეში მოიპოვებოდეს.

16. მართალია თითოეულ თავს საკუთარი თემა და გამორჩეული მიდგომა ექნება, ის შეეხება და

მიმოიხილავს წინათ ნახსენებ მნიშვნელოვან საკითხებსაც. ეს განსაკუთრებით ეხება იმ მრავალგვარ თემებს, რომლებიც ხელახლა წარმოჩინდებიან ენციკლიკაში. მაგალითად, მე ვახსენებ ახლო ურთიერთობას უპოვრებს და პლანეტის სიმყიფეს შორის; რწმენას, რომ სამყაროში ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული; ახალი პარადიგმების კრიტიკას და ტექნოლოგიიდან მიღებული ძალაუფლების ფორმებს; მოწოდებას, რომ საჭიროა ეკონომიკის და პროგრესის შემეცნების სხვა გზების პოვნა; თითეული ქმნილების შესაფერის ფასეულობას; ეკოლოგიის ადამიანურ მნიშვნელობას; გულწრფელი და პატიოსანი განხილვის საჭიროებას; საერთაშორისო და ადგილობრივი პოლიტიკის სერიოზულ პასუხისმგებლობას; თავიდან მოშორების კულტურას და ახალი ცხოვრების წესის შეთავაზებას. ამ საკითხებს არ შევეხებით ერთხელ და საბოლოოდ, არამედ მუდმივად დავუბრუნდებით და გავამდიდრებთ.

თავი პირველი

რა მდგომარეობაშია ჩვენი საერთო სახლი

17. საღმრთისმეტყველო და ფილოსოფიური შეხედულებები კაცობრიობის მდგომარეობის და სამყაროს შესახებ შეიძლება მომაბეზრებლად და განყენებულად ჟღერდეს, ვიდრე მათ არ გაამყარებს ახლებური ანალიზი ჩვენი ამჟამინდელი მდგომარეობისა, რომელიც, მრავალი ასპექტით, უმაგალითოა კაცობრიობის ისტორიაში. ამგვარად, ვიდრე ვიტყოდე, თუ როგორ მოაქვს რწმენას ახალი მოტივები და მოთხოვნები სამყაროსთვის, რომლის ნაწილიც ვართ, მოკლედ მივუბრუნდები იმას, თუ რა მდგომარეობაშია ჩვენი საერთო სახლი.

18. ცვლილებების უწყვეტი დაჩქარება, რაც კაცობრიობასა და პლანეტაზე ახდენს გავლენას, დღესდღეობით უკავშირდება ცხოვრების და შრომის მეტად გამალებულ ტემპს, რომელსაც შეიძლება «დაჩქარებულობა» ეწოდოს. თუმც კი ცვლილება კომპლექსური სისტემების მუშა-

ობის ნაწილია, სისწრაფე, რომლითაც ადამიანის საქმიანობა განვითარდა, წინააღმდეგობაშია ბოლოგიური ევოლუციის ბუნებრივად ნელ ტემპთან. გარდა ამისა, ამ სწრაფი და გამუდმებული ცვლილების მიზნები უსათუოდ არ არის მიმართული საერთო სიკეთისაკენ ან ადამიანის ინტეგრალური და მდგრადი განვითარებისაკენ. ცვლილება არის რაღაც სასურველი, თუმცა ის შფოთვის წყაროდ იქცევა, როდესაც ზიანს აყენებს სამყაროს და კაცობრიობის დიდი ნაწილის ცხოვრების დონეს.

19. პროგრესსა და ადამიანის შესაძლებლობებში არაგონივრული რწმენის პერიოდის შემდეგ, საზოგადოების ზოგიერთი ნაწილი ამჟამად უფრო კრიტიკულ მიდგომას ირჩევს. ჩვენ ვხედავთ მზარდ მგრნობიარეობას გარემოს და ბუნების დაცვის საჭიროების მიმართ, მასთან ერთად მზარდ ინტერესს, ნამდვილს და ამაღელვებელს, იმის მიმართ, თუ რა მდგომარეობაშია ჩვენი პლანეტა. განვიხილოთ, თუმცა სწრაფად, ის საკითხები, რომლებიც დღეს გვაწუხებს და რომლებსაც ვეღარ დავმალავთ ხალიჩის ქვეშ. ჩვენი მიზანი არ არის ინფორმაციის შეგროვება ან ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება, არამედ რომ მტკივნეულად გავაცნობიეროთ, გაბედულად მივუბრუნდეთ მას, რა მდგომარეობაშიც არის სამყარო, ჩვენი პიროვნული ტანჯვით, და, ამგვარად, აღმოვაჩინოთ, თუ რისი გაკეთება შეუძლია თოთოეულ ჩვენგანს მასთან დაკავშირებით.

დაბინძურება, ნარჩენები და თავიდან მოშორების კულტურა

20. დაბინძურების ზოგიერთი ფორმა ადამიანთა ყოველდღიური გამოცდილების ნაწილია. ატმოსფერული დამაბინძურებლების ნარჩენები ჯანმრთელობისათვის რისკების ფართო სპექტრს ქმნის, განსაკუთრებით უპოვართათვის, და მილიონობით ნაადრევ სიკვდილს იწვევს. ადამიანები სნეულდებიან, მაგალითად, საკვების მომზადებისას ან გათბობისას გამოყენებული საწვავის გამონაბოლქვის დიდი დოზით ჩასუნთქვისაგან. აგრეთვე, არსებობს დაბინძურება, რომელიც ყველაზე ზემოქმედებს, გამოწვეული ტრანსპორტით, სამრეწველო გამონაბოლქვით, ნივთიერებებით, რომლებიც ხელს უწყობენ ნიადაგის და წყლის, სასუქების, ინსექტიციდების, ფუნგიციდების, ჰერბიციდების და, ზოგადად, აგროტოქსინების მოწამვლას. ტექნოლოგია, რომელიც, საწარმოო ინტერესებთან დაკავშირებული, ამ პრობლემების მოგვარების ერთადერთ გზად გვეჩვენება, სინამდვილეში ვერ ხედავს საგნებს შორის მრავალგვარი ურთიერთობის საიდუმლოს და, ამგვარად, ზოგჯერ ერთი პრობლემის მოგვარებას მხოლოდ სხვა პრობლემების წარმოქმნით ახერხებს.

21. ყურადღება უნდა გავამახვილოთ საცხოვრებლისაგან გამოწვეულ დაბინძურებაზეც, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ადგილებში არ-

სებულ საშიშ ნარჩენებს. ყოველწლიურად ასობით მილიონი ტონა ნარჩენი გროვდება, რომლის დიდი ნაწილიც არახრწნადი, ძალზე ტოქსიკური და რადიოაქტიურია, ისინი მიიღება სახლებიდან და საწარმოებიდან, სამშენებლო და ნგრევის ობიექტებიდან, კლინიკური, ელექტრონული და სამრეწველო წყაროებიდან. დედამიწა, ჩვენი სახლი სულ მეტად ემსგავსება ჭუჭყის გროვას. პლანეტის მრავალ რეგიონში, მოხუცები ჩივიან, რომ ერთდროს მშვენიერი ლანდშაფტები ახლა ნაგვით არის დაფარული. ქალაქებსა და სასოფლო-სამეურნეო ზონებში გამოყენებულ სამრეწველო ნარჩენებს და ქიმიურ პროდუქტებს შეუძლიათ წარმოშვან ბიომასა ადგილობრივი მოსახლეობის ორგანიზმებში, მაშინაც კი როცა ტოქსინების დონეები ამ ადგილებში დაბალია. ხშირად არავითარი ზომები არ არის მიღებული იმ დრომდე, ვიდრე უსათუოდ ზიანი არ მიადგება ადამიანთა ჯანმრთელობას.

22. ეს პრობლემები მჭიდროდ უკავშირდება თავიდან მოშორების კულტურას, რომელიც ზეგავლენას ახდენს გარიყულებზე, ისე რომ მრავალი საგანი სწრაფადვე იქცევა ნარჩენად. მაგალითად, ქაღალდის უმეტესობა, რომელსაც ვქმნით, იყრება და არ გადამუშავდება. ჩვენთვის რთულია იმის მიღება, რომ გზა, რომლითაც ბუნებრივი ეკოსისტემები მუშაობენ, სამაგალითოა: მცენარეები ახდენენ საკვები ნივთიერებების სინთეზს, რომლებიც კვებავენ მცენარისმჭამელ ცხოველებს; ისინი, თავის მხრივ, იქცევიან ხორცისმჭამელი ცხოველების საკვებად, რომლებიც

წარმოშობენ ორგანული ნარჩენების მნიშვნელოვან ოდენობას, რომელიც მცენარეების ახალ თაობებს წარმოშობს. მაგრამ ჩვენ სამრეწველო სისტემას, წარმოების და მოხმარების თავისი ციკლის დასასრულს, არ განუვითარებია ნარჩენების და გადამუშავებული პროდუქტების შეთვისების და ხელახლა გამოყენების შესაძლებლობა. ჩვენ ჯერ კიდევ არ მიგვიღია წარმოების ცირკულარული მოდელი, რომელსაც შეუძლია რესურსების დაცვა დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის, შესაძლებლობისამებრ ზღუდავს რა არაგანახლებადი რესურსების გამოყენებას, ზომიერს ხდის მათ მოხმარებას, ზრდის მათ ეფექტურ გამოყენებას, ხელახლა იყენებს და გადაამუშავებს მათ. ამ საკითხის სერიოზული ასპექტი იქნებოდა ის გზა, რომელიც ებრძვის თავიდან მოშორების კულტურას, რომელიც მთლიან პლანეტას ეხება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მხოლოდ შეზღუდული პროგრესია მიღწეული.

კლიმატი, როგორც საერთო სიკეთე

23. კლიმატი არის საერთო სიკეთე, ის ეკუთვნის ყველას და არის ყველასთვის. გლობალურ დონეზე, ის არის რთული სისტემა, დაკავშირებული ადამიანის ცხოვრების მრავალ ძირითად პირობასთან. ძალზე მყარი მეცნიერული კონსენსუსი აჩვენებს, რომ ჩვენ ამჟამად მომსწრენი ვართ კლიმატური სისტემის შემაშფოთებელი დათბობისა. უკანასკნელ ათწლეულებში ამგვარ

დათბობას თან ახლდა ზღვის დონის გამუდმებული მატება და, გარდა ამისა, უკიდურესი მეტეოროლოგიური მოვლენების ზრდა, დამოუკიდებლად იმ ფაქტისაგან, რომ მეცნიერულად განსაზღვრადი მიზეზი არ შეიძლება მიეწეროს რომელიმე ცალკეულ ფენომენს. კაცობრიობა მოწოდებულია, რომ შეიცნოს ცხოვრების წესის, წარმოების და მოხმარების ცვლილებათა საჭიროება, რათა ებრძოლოს ამგვარ დათბობას ან, სულ მცირე, მის გამომწვევ ან გამაუარესებელ ადამიანურ მიზეზებს. სიმართლეა, რომ არსებობს სხვა ფაქტორებიც (როგორიცაა ვულკანური მოქმედება, ცვლილებები დედამიწის ორბიტასა და ღერძზე, მზის ციკლი), თუმცა არაერთი მეცნიერული კვლევა აჩვენებს, რომ უკანასკნელ ათწლეულებში გლობალურ დათბობას სათბური აირების დიდი კონცენტრაცია განაპირობებს (კარბონის დიოქსიდი, მეთანი, აზოტის ოქსიდები და სხვები), რასაც ძირითადად ადამიანის საქმიანობის შედეგი განაპირობებს. ამ აირების დაგროვება ატმოსფეროში ხელს უშლის მზის სითბოს შემოღწევას დედამიწის ზედაპირზე. პრობლემას აუარესებს წიაღისეული საწვავის ინტენსიურ გამოყენებაზე დაფუძნებული განვითარების მოდელი, რომელიც მსოფლიო ენერგო-სისტემის არსს წარმოადგენს. კიდევ ერთი გადამწყვეტი ფაქტორი ნიადაგის სახეცვლილი გამოყენების ზრდაა, რაც, პირველ რიგში, გაუდაბნოებას გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო მიზნებით.

24. დათბობას შედეგები აქვს ნახშირბადის ციკლზეც. ის ქმნის მანკიერ წრეს, რომელიც

სულ მეტად აუარესებს მდგომარეობას, გავლენას ახდენს ისეთი ძირითადი რესურსების ხელმისაწვდომობაზე, როგორიცაა სასმელი წყალი, ენერგია და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია თბილ რეგიონებში, და იწვევს პლანეტის მრავალფეროვნების ნაწილის გაქრობას. პოლარული ყინულოვანი საფარველის და მწვერვალური ვაკეების დნობას შეუძლია მეთანის გაზის სახიფათო გამოშვება გამოიწვიოს, მაშინ როცა გაყინული ორგანული მატერიის დაშლას კარბონის დიოქსიდის გამოყოფის გაზრდა შეუძლია. მდგომარეობას აუარესებს ტროპიკული ტყეების გაქრობა, რომლებიც, სხვა შემთხვევაში, კლიმატის ცვლილების შემსუბუქებას დაეხმარებოდა. კარბონის დიოქსიდის დაბინძურება მეტად წამლავს ოკეანეებს და ზიანს აყენებს ზღვის კვებით ჯაჭვს. თუკი ამჟამინდელი ტენდენციები გაგრძელდება, ეს საუკუნე შესაძლოა მომსწრე იყოს უჩვეულო კლიმატური ცვლილების და ეკოსისტემების უმაგალითო განადგურებისა, თავისი სერიოზული შედეგებით ყველა ჩვენგანისათვის. ზღვის დონის ზრდას, მაგალითად, შეუძლია შექმნას უკიდურესად სერიოზული ვითარებები, თუკი გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოს მოსახლეობის მეოთხედი სანაპიროზე ან მის ახლოს ცხოვრობს, და რომ ჩვენი მეგაქალაქების უმეტესობა სანაპირო ზონებში მდებარეობს.

25. კლიმატის ცვლილება გლობალური პრობლემაა თავისი სერიოზული შედეგებით: გარემოს, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და საქონლის დანაწილებისათვის. ჩვენ დროში

ის კაცობრიობის წინაშე არსებული ერთ-ერთი პრინციპული გამოწვევაა. მის ყველაზე უარეს შედეგს ალბათ იგრძნობენ განვითარებადი ქვეყნები მომავალ ათწლეულებში. მრავალი ღარიბი იმ ადგილებში ცხოვრობს, რომლებსაც განსაკუთრებით ეხება დათბობასთან დაკავშირებული ფენომენები, მათი არსებობის საშუალებები კი დიდწილად ბუნებრივ რეზერვებსა და ეკოსისტემურ მომსახურებებზეა დამოკიდებული, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, თევზჭერა და მეტყევეობა. მათ არ გააჩნიათ სხვა ფინანსური საქმიანობები ან რესურსები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემენ მათ, რომ შეეთვისონ კლიმატის ცვლილებას ან გაუმკლავდნენ ბუნებრივ კატასტროფებს, ხოლო მათი ხელმისაწვდომობა სოციალურ მომსახურებებსა და დაცვაზე ძალზე შეზღუდულია. მაგალითად, კლიმატის ცვლილებები, რომელსაც ვერ ეგუებიან ცხოველები და მცენარეები, აიძულებს მათ, რომ გადაადგილდნენ; ეს, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ღარიბების საარსებო სახსრებზე, რომლებიც იძულებული ხდებიან, რომ დატოვონ საკუთარი სახლები, საკუთარი თავის და შვილების მომავლის დიდი გაურკვევლობით. ტრაგიკულად გაიზარდა მიგრანტების რაოდენობა, რომლებიც გარემოს დეგრადაციით გამოწვეულ მზარდ სიღარიბეს გაურბიან. საერთაშორისო კონვენციები მათ არ სცნობს ლტოლვილებად; ისინი საკუთარი მიტოვებული ცხოვრების ტვირთს ეზიდებიან, რაიმე სამართლებრივი დაცვით სარგებლობის გარეშე. სამწუხაროდ, არსებობს ფართოდ გავრცელებუ-

ლი გულგრილობა ასეთი ტანჯვის მიმართ, რომელიც ახლაც კი ხდება მთელ მსოფლიოში. ჩვენი არასაკმარისი პასუხი ამ ტრაგედიების მიმართ, რომლებიც ჩვენ ძმებსა და დებს მოიცავს, აჩვენებს ჩვენი მოძმე მამაკაცებისა და ქალების მიმართ პასუხიმსგებლობის იმ გრძნობის დაკარგვას, რომელსაც მთელი სამოქალაქო საზოგადოება ეფუძნება.

26. მრავალი მათგანი, ვინც მეტ რესურსებს და ეკონომიკურ ან პოლიტიკურ ძალაუფლებას ფლობს, ყველაზე მეტად არის დაინტერესებული პრობლემების შენიღბვით ან მათი სიმპტომების დამალვით, უბრალოდ ცდილობენ, რომ შეამცირონ კლიმატის ცვლილების ზოგიერთი უარყოფითი შედეგი. თუმცა, ამ სიმპტომებიდან მრავალი აჩვენებს, რომ ასეთი შედეგები კვლავაც გაუარესდება, თუკი წარმოების და მოხმარების დღევანდელი მოდელებით განვაგრძობთ. არსებობს სასწრაფო საჭიროება, რომ განვითარდეს პოლიტიკა, რათა, მომდევნო წლებში, რადიკალურად შემცირდეს კარბონის დიოქსიდის და სხვა მეტად დამაბინძურებელი აირების გამოყოფა, მაგალითად, ჩაანაცვლონ წიაღისეული საწვავი და განავითარონ განახლებადი ენერგიის წყაროები. მსოფლიო მასშტაბით მინიმალური ხელმისაწვდომობა არსებობს სუფთა და განახლებად ენერგიაზე. კვალავაც საჭიროა, რომ განვითარდეს შენახვის შესაფერისი ტექნოლოგიები. ზოგიერთმა ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია, თუმცა ჯერ კიდევ შორს არიან მნიშვნელოვანი თანაფარდობის მიღწევისაგან. ინვესტიციები ჩა-

იდო წარმოების და ტრანსპორტირების საშუალებებშიც, რომლებიც ნაკლებ ენერგიას მოიხმარენ და მცირე ნედლეულს საჭიროებენ, აგრეთვე აღმშენებლობისა და სარემონტო მშენებლობების მეთოდებში, რომლებიც აუმჯობესებენ მათ ენერგო-ეფექტიანობას. მაგრამ ამგვარი კარგი პრაქტიკები ჯერაც შორსაა ფართოდ გავრცელებისაგან.

II. წყლის საკითხი

27. დღევანდელი მდგომარეობის სხვა მაჩვენებლები უკავშირდება ბუნებრივი რესურსების ამოწურვას. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ შეუძლებელია მოხმარების ამჟამინდელი დონის შენარჩუნება განვითარებულ ქვეყნებსა და საზოგადოების მდიდარ სექტორებში, სადაც ფლანგვისა და ხარჯვის ჩვევამ უმაგალითო დონეებს მიაღწია. პლანეტის ექსპლუატაცია უკვე გასცდა მისაღებ საზღვრებს, ჩვენ კი ჯერაც არ მოგვიგვარებია სიღარიბის პრობლემა.

28. სუფთა სასმელი წყალი უპირველესი მნიშვნელობის საკითხია, ვინაიდან აუცილებელია ადამიანის სიცოცხლისა და ნიადაგის და წყლის ეკოსისტემების გადასარჩენად. სუფთა წყლის რესურსები საჭიროა ჯანდაცვისათვის, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობისათვის. წყლის მარაგები შედარებით სტაბილური იყო, ახლა კი მრავალ ადგილას მოთხოვნა აღემატება მდგრად მარაგს, თავისი დრამატული შედეგებით მოკლე და გრძელვადიან პერიოდში. წყლის მნიშვნე-

ლოვან მარაგებზე დამოკიდებული დიდი ქალაქები დეფიციტის პერიოდებს განიცდიან, ხოლო კრიტიკულ მომენტებში ისინი ყოველთვის არ წარიმართება საკმარისი ზედამხედველობით და მიუკერძოებლობით. წყლის სიმწირე განსაკუთრებით ეხება აფრიკას, სადაც მოსახლეობის დიდ ნაწილს ხელი არ მიუწვდება უსაფრთხო სასმელ წყალზე ან გვალვებს განიცდიან, რაც ხელს უშლის სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. ზოგიერთ ქვეყანას წყლით მდიდარი ზონები აქვს, სხვები კი ამ დროს მკვეთრ დეფიციტს განიცდიან.

29. განსაკუთრებით სერიოზული პრობლემაა ღარიბებისათვის ხელმისაწვდომი წყლის ხარისხი. ყოველდღიურად, ჯანმრთელობისათვის საშიში წყალი ბევრის სიკვდილს და წყალთან დაკავშირებული დაავადებების გავრცელებას იწვევს, რომელთა შორისაც ზოგიერთი მიკროორგანიზმებით და ქიმიური ნივთიერებებით არის გამოწვეული. დიზენტერია და ქოლერა, რომლებიც არასათანადო ჰიგიენას და წყლის მარაგებს უკავშირდება, ტანჯვის და ბავშვთა სიკვდილიანობის მნიშვნელოვანი გამომწვევი მიზეზია. მრავალ ადგილას მიწისქვეშა წყლის რესურსებს საფრთხეს უქმნის სამთომოპოვებითი სამუშაოების, სამეურნეო და სამრეწველო საქმიანობების მიერ გამოწვეული დაბინძურება, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებიც შესაფერისი რეგულაციის ან კონტროლის სიმწირეს განიცდიან. ეს არ არის მხოლოდ სამრეწველო ნარჩენების პრობლემა. გამწმენდი საშუალებები და ქიმიური პროდუქტები, რომლებიც საყოველთაოდ გამოი-

ყენება მსოფლიოს მრავალ რეგიონში, კვლავაც იღვრება ჩვენ მდინარეებში, ტბებსა და ზღვებში.

30. მაშინ როდესაც ხელმისაწვდომი წყლის ხარისხი გამუდმებით კლებულობს, ზოგიერთ ადგილას, მიუხედავად მისი სიმწირისა, ამ რესურსის პრივატიზების მზარდი ტენდენცია შეიმჩნევა, რის შედეგედაც ის ბაზრის კანონებზე დაქვემდებარებული საქონელი ხდება. და მაინც, *უსაფრთხო სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა ადამიანის ფუნდამენტური და საყოველთაო უფლებაა, ვინაიდან მას არსებითი მნიშვნელობა აქვს ადამიანის არსებობისათვის და, როგორც ასეთი, ადამიანის სხვა უფლებებით სარგებლობის პირობაა*. ჩვენ სამყაროს სერიოზული სოციალური ვალი აქვს ღარიბების მიმართ, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ სასმელ წყალზე, ვინაიდან *მათთვის უგულებელყოფილია მათი ხელშეუვალი ღირსების შესაფერისი ცხოვრების უფლება*. ეს ვალი ნაწილობრივ უნდა გადაიხადონ იმ დაფინანსების გაზრდით, რომელიც ღარიბებისთვის სუფთა წყალს და სანიტარულ მომსახურებებს უზრუნველყოფს. მაგრამ წყალს კვალავაც ფლანგავენ, არა მარტო განვითარებულ სამყაროში, არამედ განვითარებად ქვეყნებშიც, რომლებიც უხვად ფლობენ მას. ეს აჩვენებს, რომ წყლის პრობლემა, ნაწილობრივ, საგანმანათლებლო და კულტურული საკითხია, ვინაიდან დიდი უთანასწორობის კონტექსტში ამგვარი ქცევის სერიოზულობის მცირე შეგნება არსებობს.

31. წყლის უფრო დიდი დეფიციტი საკვების

და მასზე დამოკიდებული მრავალი პროდუქტის ღირებულების გაზრდას გამოიწვევს. ზოგიერთი კვლევა გაფრთხილებას იძლევა, რომ მომავალ ათწლეულებში შეიძლება არსებობდეს წყლის მწვავე დეფიციტი, თუკი დაუყოვნებლივ არ ვიმოქმედებთ. გარემოს გამოძახილებს შეიძლება გავლენა ჰქონდეს მილიონობით ადამიანზე; ისიც გასაგებია, რომ წყლის კონტროლი დიდი მრავალეროვნული წარმოებების მიერ შესაძლოა ამ საუკუნეში კონფლიქტის მთავარ წყაროდ იქცეს.[23]

III. ბიომრავალფეროვნების გაქრობა

32. დედამიწის რესურსები ნადგურდება ეკონომიკის, ვაჭრობისა და წარმოების მიმართ ახლომხედველური მიდგომების გამოც. ტყეების და ტყიანი ადგილების განადგურება იმ სახეობების გაქრობას გამოიწვევს, რომლებიც შეიძლება უსაზღვროდ მნიშვნელოვანი რესურსები იყოს მომავალში, არა მარტო საკვებად, არამედ დაავადების სამკურნალოდ და სხვა სახის სარგებლობისთვისაც. სხვადასხვა სახეობებს აქვთ გენები, რომლებიც შეიძლება მთავარი რესურსები იყოს მომავალ წლებში, რათა უპასუხონ ადამიანის საჭიროებებს და მოაგვარონ გარემოს პრობლემები.

33. თუმცა, არ კმარა ფიქრი სხვადასხვა სახეობებზე უბრალოდ, როგორც პოტენციურ გა-

23 შეად. მისასალმებელი სიტყვა სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის პერსონალთან (20 ნოემბერი, 2014წ): AAS 106 (2014), 985.

მოსაყენებელ “რესურსებზე”, იმ ფაქტის გაუთ-ვალისწინებლად, რომ მათ თავისთავად აქვთ ფასეულობა. ყოველწლიურად მცენარეების და ცხოველების ათასობით სახეობა ქრება, რომლე-ბსაც ვეღარასდროს ვიხილავთ, რომლებსაც ჩვე-ნი შვილები ვერასდროს ნახავენ, ვინაიდან ისინი სამუდამოდ დაიკარგნენ. მათი დიდი უმრავლე-სობა ადამიანის საქმიანობასთან დაკავშირებუ-ლი მიზეზების გამო გაქრა. ჩვენ გამო, ათასობით სახეობა ვეღარასდროს განადიდებს ღმერთს თავისი არსებობით, ვეღარც ჩვენ გადმოგვცემს თავის გზავნილს. ჩვენ არ გვაქვს ამის უფლება.

34. შესაძლოა შეგვაწუხოს ძუძუმწოვრების ან ფრინველების გადაშენების გაგებამ, თუკი მეტად დავინახავთ მათ. მაგრამ ეკოსისტემების კარგად მუშაობა, აგრეთვე, მოითხოვს სოკოებს, წყალმ-ცენარეებს, ჭიებს, მწერებს, ქვეწარმავლებს და მიკროორგანიზმების დიდ მრავალფეროვნებას. ზოგიერთი ნაკლებად მრავალრიცხოვანი სახეო-ბა, თუმც კი საყოველთაოდ არ ჩანს, მიუხედავად ამისა გადამწყვეტ როლს ასრულებს ცალკეული ადგილის ბალანსის შენარჩუნებაში. ადამიანე-ბი უნდა ჩაერიონ მაშინ, როდესაც გეოსისტემა კრიტიკულ მდგომარეობას აღწევს. მაგრამ დღე-სდღეობით, ამგვარი ჩარევა ბუნებაში სულ უფრო გახშირდა. შედეგად, წარმოიშვება სერიოზული პრობლემები, რომლებიც შემდგომ ჩარევებს იწვევს; ადამიანის საქმიანობა ყოვლისმომცვე-ლი ხდება, ყველა თავისი გამოწვეული რისკით. ხშირად წარმოიშვება მანკიერი წრე, როდესაც ადამიანის ჩარევა პრობლემის გადაჭრის მიზნით

მეტად აუარესებს მდგომარეობას. მაგალითად, მრავალი ფრინველი და მწერი, რომლებიც სინთეტიკური აგროტოქსინების გამო ქრებიან, სასარგებლოა სოფლის მეურნეობისათვის: მათი გაქრობა ანაზღაურებული უნდა იყოს სხვა ტექნიკით, რომელიც შესაძლოა ზიანისმომტანი აღმოჩნდეს. ჩვენ მადლიერი უნდა ვიყოთ იმ ქებისღირსი მცდელობებისადმი, რომლებსაც მეცნიერები და ინჟინრები ახორციელებენ, რათა ადამიანის მიერ გამოწვეული პრობლემების მოგვარების საშუალებები გამოძებნონ. მაგრამ ფხიზელი მზერა ჩვენ სამყაროზე აჩვენებს, რომ ადამიანის ჩარევის ამგვარი ხარისხით, ხშირად საწარმოო ინტერესების და მომხმარებლობის სასიკეთოდ, სინამდვილეში დედამიწა ნაკლებად მდიდარი და მშვენიერი ხდება, მეტწილად კი უფრო შეზღუდული და ნაცრისფერი, ვინაიდან ტექნოლოგიური წარმატებები და სამომხმარებლო საქონელი ჯერაც უსაზღვროდ უხვია. ასეთ შემთხვევაში, ჩანს, რომ შეუცვლელი და გამოუსწორებელი მშვენიერება შესაძლოა რაღაც ჩვენ მიერ შექმნილმა ჩაანაცვლოს.

35. გარემოს გავლენის შესახებ რაიმე ეკონომიკური ინიციატივის შეფასებისას, ჩვეულებრივ ყურადღებას აქცევენ მის შედეგებს ნიადაგზე, წყალსა და ჰაერზე, თუმც კი მცირე საყურადღებო კვლევა არსებობს ბიომრავალფეროვნებაზე მისი გავლენის შესახებ, თითქოს სახეობების და ცხოველთა და მცენარეთა ჯგუფების გაქრობა მცირე მნიშვნელობის ყოფილიყოს. სატრანსპორტო გზები, ახალი პლანტაციები, დაცული ტერიტორი-

ები, კაშხლები და მსგავსი სახის ნაგებობები ქმნის ბუნებრივ საცხოვრებლებს და, ზოგჯერ, ისე ანაწილებს მათ, რომ ცხოველთა პოპულაციები ვეღარ გადაადგილდებიან თავისუფლად. შედეგად, ზოგიერთ სახეობას გაქრობის საფრთხე ემუქრება. არსებობს ალტერნატიული გზები, რომლებიც, სულ მცირე, ამცირებს ამგვარი პროექტების გავლენას, როგორიცაა ბიოლოგიური დერეფნების შექმნა, მაგრამ ცოტა ქვეყანა იჩენს ამგვარ ინტერესს და ზედამხედველობას. ხშირ შემთხვევაში, როდესაც გარკვეული სახეობები კომერციული მიზნებით გამოიყენება, მცირე ყურადღება ექცევა მათი რეპროდუქციული მოდელების შესწავლას, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი გაქრობა და ეკოსისტემის შემდგომი დისბალანსი.

36. ეკოსისტემებზე ზრუნვა შორსმხედველობას მოითხოვს, ვინაიდან სწრაფი და ადვილი სარგებლის ძიებისას ნამდვილად არავის აინტერესებს მათი დაცვა. მაგრამ ინტერესის ამგვარი ეგოისტური ნაკლებობით გამოწვეული ზიანის ფასი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე მისაღები ეკონომიკური სარგებელი. სადაც გარკვეული სახეობები ნადგურდება ან სერიოზული ზიანი ადგება მათ, ფასეულობები ყოველგვარ გათვლებს აღემატება. ჩვენ შეგვიძლია საშინელი უსამართლობების მდუმარე მოწმეები ვიყოთ, თუკი ვიფიქრებთ, რომ მნიშვნელოვანი სარგებლის მიღება შეგვიძლია იმით, რომ დანარჩენ კაცობრიობას, დღევანდელს და მომავალს, გარემოს გაუარესების უკიდურესად მაღალი ფასი გადავახდევინოთ.

37. ზოგიერთმა ქვეყანამ მნიშვნელოვანი წარმატებით შექმნა ადგილები ხმელეთზე და ოკეანეებში, სადაც აკრძალულია ადამიანის ნებისმიერი სახის ჩარევა, რომელმაც შესაძლოა სახე უცვალოს მათ მომავალს ან მათ თავდაპირველ სტრუქტურებს. ბიომრავალფეროვნების დაცვაში, სპეციალისტები მოითხოვენ განსაკუთრებული ყურადღების საჭიროებას, რომელიც უნდა გამოიჩინონ იმ ადგილების მიმართ, რომლებიც მდიდარია სახეობების სიმრავლით და ენდემური, იშვიათი ნაკლებად დაცული სახეობებით. ზოგიერთი ადგილი უფრო დიდ დაცვას საჭიროებს გლობალური ეკოსისტემისათვის მათი უსაზღვრო მნიშვნელობის გამო, ან რადგანაც ისინი წყლის მნიშვნელოვან რეზერვებს წარმოადგენენ და, ამგვარად, სიცოცხლის სხვა ფორმებს იცავენ.

38. აღვნიშნოთ, მაგალითად, ჩვენი პლანეტის ის მდიდარი ბიომრავალფეროვანი ფილტვები, როგორიცაა ამაზონის და კონგოს აუზები, ან დიდი წყლიანი ჰორიზონტები და მყინვარები. ჩვენ ვიცით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ისინი მთელი დედამიწისა და კაცობრიობის მომავლისათვის. ტროპიკული ტყეების ეკოსისტემებს უსაზღვროდ კომპლექსური ბიომრავალფეროვნება აქვს, რომლის სრულად შეფასებაც თითქმის შეუძლებელია, თუმცა როდესაც ასეთი ტყეები გადამწვარი ან მიწასთან გასწორებულია დამუშავების მიზნებით, რამდენიმე წელიწადში უთვალავი სახეობა ქრება, ფართობები კი ხშირად იქცევა მშრალ უდაბნოებად. ამ ადგილებზე საუბრისას დაცული უნდა იყოს საყურადღებო ბალა-

ნსი, ვინაიდან გვერდს ვერ ავუვლით უზარმაზარ გლობალურ ეკონომიკურ ინტერესებს, რომლებსაც, მათი მოჩვენებითი დაცვით, შეუძლიათ ძირი გამოუთხარონ ცალკეული ერების სუვერენიტეტს. მართლაც, არსებობს «ამაზონის ინტერნაციონალიზების წინადადებები, რომლებიც მხოლოდ ტრანსეროვნული კორპორაციების ეკონომიკურ ინტერესებს ემსახურება».[24] ქებისღირსია იმ საერთაშორისო სააგენტოების და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ვალდებულება, რომლებიც საზოგადოებების ყურადღებას მიმართავენ ამ საკითხებისაკენ და გადამწყვეტ თანამშრომლობას სთავაზობენ, იყენებენ ზეწოლის კანონიერ საშუალებებს, რათა ყოველმა მთავრობამ თავისი შესაფერისი და ხელშეუვალი პასუხისმგებლობა განახორციელოს საკუთარი ქვეყნის გარემოს და ბუნებრივი რესურსების დასაცავად, ისე რომ არ დაემორჩილოს ყალბ ადგილობრივ ან საერთაშორისო ინტერესებს.

39. ველური ტყეების ჩანაცვლება ხეების დარგვით, რომლებიც ჩვეულებრივ მონოკულტურებია, იშვიათად არის სათანადოდ შეფასებული. თუმცა, ამან შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს ბიომრავალფეროვნებას, რომელსაც მასში წარმოდგენილი ახალი სახეობები ვერ ეგუებიან. მსგავსადვე, ჭარბტენიანი ადგილები, რომლებიც დამუშავებულ მიწებად აქციეს, კარგავენ უზარმა-

24 ლათინური ამერიკის და კარიბის საეპისკოპოსოსV გენერალური კონფერენცია, აპარესიდას დოკუმენტი (29 ივნისი, 2007წ), 86.

ზარ ბიომრავალფეროვნებას, რომელიც წინათ გააჩნდათ. ზოგიერთ სანაპირო ზონაში მანგროს ტყეებით დაფარული ეკოსისტემების გაქრობა სერიოზული საფიქრალის წყაროა.

40. ოკეანეები არა მარტო ჩვენი პლანეტის წყლის მარაგის დიდ ნაწილს მოიცავს, არამედ ცოცხალი არსებების უსაზღვრო მრავალფეროვნების დიდ ნაწილსაც, რომელთაგან უამრავი ჯერაც არ არის ცნობილი ჩვენთვის და რომლებსაც საფრთხე ემუქრებათ არაერთი მიზეზით. მეორე მხრივ, სიცოცხლეს მდინარეებში, ტბებში, ზღვებსა და ოკეანეებში, რომელიც მსოფლიოს მოსახლეობის დიდ ნაწილს კვებავს, საფრთხეს უქმნის უკონტროლო თევზჭერა, რაც გარკვეული სახეობების დრამატულ გაქრობას იწვევს. თევზჭერის შერჩევითი ფორმები, რომლებიც შეგროვილი სახეობების დიდ ნაწილს თავიდან იშორებს, კვლავაც ძლიერია. განსაკუთრებული საფრთხე ემუქრებათ ზღვის ორგანიზმებს, რომლებსაც ყურადღებას არ ვაქცევთ, როგორიცაა ზოგიერთი სახის პლანქტონი; ისინი მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენენ ოკეანის კვებით ჯაჭვში და, საბოლოოდ, მათზეა დამოკიდებული ჩვენი კვებისათვის გამოყენებული სახეობები.

41. ტროპიკულ და სუბტროპიკულ ტყეებში, ჩვენ ვხვდებით მარჯნის რიფებს, რომლებიც ხმელეთზე დიდ ტყეებს შეედრება, ვინაიდან თავშესაფარს აძლევენ დაახლოებით მილიონ სახეობას, რომელთა შორისაა თევზები, კიბორჩხალები, მოლუსკები, ღრუბლები და წყალმცენარეები.

მსოფლიოს მარჯნის რიფების დიდი ნაწილი უკვე მწირია ან გამუდმებული კლების მდგომარეობაშია. «ვინ აქცია ზღვების გასაოცარი სამყარო წყალქვეშა სასაფლაოებად, რომლებსაც ფერის და სიცოცხლის ნიშანწყალიც კი აღარ აქვთ?».[25] ამგვარ ფენომენს დიდწილად იწვევს დაბინძურება, რომელიც ზღვამდეც აღწევს გაუდაბნოების, სოფლის მეურნეობის მონოკულტურების, სამრეწველო ნარჩენების და თევზჭერის გამანადგურებელი მეთოდების შედეგად, განსაკუთრებით ციანიდის და დინამიტის გამოყენების დროს. ამას აუარესებს ოკეანეების ტემპერატურის მატებაც. ყოველივე ეს გვეხმარება იმის დანახვაში, რომ ყოველგვარმა ჩარევამ ბუნებაში შეიძლება მოიტანოს შედეგები, რომლებიც უმალვე არ არის აშკარა, და რომ რესურსების გამოყენების გარკვეული გზები ძვირადღირებულია იმ დეგრადაციის პირობებში, რომელიც საბოლოოდ ოკეანის სიღრმეებში აღწევს.

42. დიდი ინვესტიცია უნდა ჩაიდოს კვლევაში, რომლის მიზანია, უფრო სრულყოფილად გავიგოთ ეკოსისტემების მუშაობა და მართებულად შევაფასოთ გარემოს მნიშვნელოვან სახეცვლილებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ცვლადები. ვინაიდან ყველა არსება კავშირშია ერთმანეთთან, თითოეულს სიყვარულით და პატივისცემით უნდა მოეპყრონ, ვინაიდან ყველა

25 ფილიპინების კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენცია, სამწყსო წერილი რა მდგომარეობაშია ჩვენი მშვენიერი მიწა? (29 ივნისი, 1988წ).

ჩვენგანი, როგორც ცოცხალი არსებები, დამოკიდებული ვართ ერთმანეთზე. თითოეული მხარე პასუხისმგებელია ამ ოჯახზე ზრუნვის მიმართ. ეს მოითხოვს სახეობების საყურადღებო აღწერას, მათი დაცვის პროგრამების და სტრატეგიების განვითარებით, და განსაკუთრებულ ზრუნვას იმ სახეობებზე, რომლებიც გადაშენების პირას იმყოფებიან.

IV. ადამიანის ცხოვრების დონის გაუარესება და სოციალური დეგრადაცია

43. ადამიანებიც ამ სამყაროს არსებები არიან, სარგებლობენ სიცოცხლის და ბედნიერების უფლებით და გააჩნიათ უნიკალური ღირსება. ამიტომაც, ყურადღების მიღმა ვერ დავტოვებთ იმ შედეგებს, რომლებიც ადამიანის ცხოვრებაზე აქვს გარემოს გაუარესებას, განვითარების დღევანდელ მოდელებს და თავიდან მოშორების კულტურას.

44. დღესდღეობით, მაგალითად, ვაცნობიერებთ მრავალი ქალაქის არათანაზომიერ და დაუოკებელ ზრდას, რომლებიც საცხოვრებლად არაჯანსაღი გახდა, არა მარტო ტოქსიკური ნარჩენებით გამოწვეული დაბინძურების გამო, არამედ ურბანული ქაოსის, ცუდი ტრანსპორტირების და ვიზუალური დაბინძურების და ხმაურის შედეგადაც. მრავალი ქალაქი უზარმაზარი, არაეფექტური სტრუქტურებია, რომლებიც ჭარ-

ბად მოიხმარენ ენერგიას და წყალს. კვარტლები, მათ შორის ბოლოხანს აშენებული, ჭარბად დასახლებული, ქაოტურია, და არ აქვს საკმარისი გამწვანება. ამ პლანეტის მაცხოვრებლები არ უნდა ცხოვრობდნენ მუდამ ცემენტის, ასფალტის, მინის და ლითონის გარემოში, და არ უნდა იყვნენ მოწყვეტილნი ბუნებასთან ფიზიკური კავშირისგან.

45. ზოგიერთ ადგილას, სოფლადაც და ქალაქშიც, გარკვეული სივრცეების პრივატიზაციამ შეზღუდა ადამიანთა ხელმისაწვდომობა განსაკუთრებული სილამაზის მქონე ადგილებზე. სხვა ადგილებში შეიქმნა "ეკოლოგიური" კვარტლები, რომლებიც დახურულია გარეშე პირებისათვის, რათა ხელოვნური სიმშვიდე უზრუნველყოს. ჩვენ ხშირად ვხვდებით მშვენიერ და ფაქიზად მოვლილ გამწვანებებს, ქალაქების ე.წ. "უსაფრთხო" ადგილებში, მაგრამ ასე არ ხდება მეტად თვალსმიფარებულ ადგილებში, სადაც საზოგადოების გარიყული წევრები ცხოვრობენ.

46. გლობალური ცვლილების სოციალური განზომილებები მოიცავს ტექნოლოგიური სიახლეების შედეგებსაც დასაქმებაზე, სოციალურ გარიყულობაზე, ენერგიის და სხვა მომსახურებების არათანაბარ განაწილებასა და მოხმარებაზე, სოციალურ დეგრადაციაზე, გაზრდილ ძალადობასა და სოციალური აგრესიის ახალი ფორმების ზრდაზე, ნარკოტიკებით ვაჭრობაზე, ახალგაზრდების მიერ ნარკოტიკების მზარდად გამოყენე-

ბასა და იდენტობის დაკარგვაზე. ესენია ნიშნები იმისა, რომ გასული ორი საუკუნის ზრდა ყოველთვის არ იწვევდა ინტეგრალურ განვითარებას და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. ამ ნიშანთაგან ზოგიერთი ნამდვილი სოციალური დეგრადაციის, ინტეგრაციის და სოციალური ერთობის კავშირების ჩუმი რღვევის სიმპტომურია.

47. ამასთან ერთად, როდესაც მედია-საშუალებები და ციფრული სამყარო ყველგან ვრცელდება, მათ გავლენას შეუძლია ხელი შეუშალოს ადამიანებს იმის სწავლაში, თუ როგორ იცხოვრონ ბრძნულად, იფიქრონ სიღრმისეულად და უყვარდეთ სულგრძელად. ამ კონტექსტში, წარსულის ბრძენებს შესაძლოა არ მოუსმინონ მოჭარბებული ინფორმაციის დამაბნეველ ხმაურში. ყველანაირად უნდა ეცადონ, რომ მედია-საშუალებები კაცობრიობისათვის იქცეს ახალი კულტურული პროგრესის წყაროდ და არა ჩვენი უღრმესი სიმდიდრეების საფრთხედ. ჭეშმარიტ სიბრძნეს, როგორც თვითგანსჯის, დიალოგის და ადამიანებს შორის სულგრძელი შეხვედრის ნაყოფს, არ საჭიროებს მონაცემების უბრალო შეგროვება, რომელიც საბოლოოდ გადატვირთვას და დაბნეულობას, გარკვეული სახის გონებრივ დაბინძურებას იწვევს. ნამდვილი ურთიერთობები სხვებთან, ყველა თავისი გამოწვევით, ამჟამად იცვლება ინტერნეტის მეშვეობით კომუნიკაციის სახით, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს, რომ ავირჩიოთ ან გავანადგუროთ ურთიერთობები საკუთარი ახირებისამებრ, რაც, შედეგად,

ახალი სახის გამოგონილ ემოციას იწვევს, რომელსაც მეტი საერთო აქვს მოწყობილობებთან და მონიტორებთან, ვიდრე სხვა ადამიანებთან და ბუნებასთან. დღევანდელი მედია-საშუალებები შესაძლებლობას გვაძლევს, რომ გადავცეთ და გავაზიაროთ ჩვენი ცოდნა და გრძნობები. და მაინც, ზოგჯერ, ისინი გვიცავენ სხვების ტკივილთან, შიშებსა და სიხარულთან და მათი პიროვნული გამოცდილების სირთულესთან პირდაპირი შეხებისაგან. ამ მიზეზით, უნდა გვაფიქრებდეს ის, რომ, ამ მედია-საშუალებების მოცემული საოცარი შესაძლებლობების გვერდით, შესაძლოა წარმოიშვას ღრმა და მელანქოლიური დაუკმაყოფილებლობა ადამიანთაშორისი ურთიერთობებით ან გარიყულობის მავნებელი გრძნობა.

V. გლობალური უთანასწორობა

48. ადამიანური გარემო და ბუნებრივი გარემო ერთობლივად უარესდება; ჩვენ სათანადოდ ვერ შევებრძოლებით გარემოს დეგრადაციას, ვიდრე ყურადღებას არ მივაქცევთ ადამიანურ და სოციალურ დეგრადაციასთან დაკავშირებულ მიზეზებს. მართლაც, გარემოს და საზოგადოების გაუარესება გავლენას ახდენს პლანეტის ყველაზე დაუცველ ადამიანებზე: «ყოველდღიური გა-

მოცდილება და მეცნიერული კვლევა აჩვენებს, რომ გარემოზე ყოველგვარი აგრესიის ყველაზე სერიოზული შედეგებით ყველაზე უპოვარნი იტანჯებიან».[26] მაგალითად, თევზჭერის რეზერვების ამოწურვა განსაკუთრებით აყენებს ზიანს თევზჭერის მცირე თემებს, რომელთაც არ გააჩნიათ ამ რესურსების ჩანაცვლების რაიმე საშუალება; წყლის დაბინძურება განსაკუთრებით ეხება ღარიბებს, რომლებსაც არ შეუძლიათ ჩამოსხმული წყლის ყიდვა; ხოლო ზღვის დონის მატება, ძირითადად, ეხება სანაპიროების გაღარიბებულ მოსახლეობებს, რომლებსაც წასასვლელი არსად აქვთ. ამჟამინდელი დისბალანსების გავლენა, აგრეთვე, იგრძნობა მრავალი ღარიბის ნაადრევ სიკვდილში, რესურსების დეფიციტით გამოწვეულ კონფლიქტებში, და მრავალ სხვა პრობლემაში, რომლებიც არასაკმარისად არის წარმოდგენილი გლობალურ დღის წესრიგებში.[27]

49. უნდა ითქვას, რომ, ზოგადად, არსებობს იმ პრობლემების ცხადი შეგნების სიმწირე, რომლებიც განსაკუთრებით ზემოქმედებს გარიყულებზე. და მაინც, ისინი შეადგენენ პლანეტის მოსახლეობის უმრავლესობას, მილიარდობით ადამიანს.

---

26 ბოლივიის ეპისკოპოსთა კონფერენცია, სამწყსო წერილი გარემოს და ადამინის განვითარების შესახებ ბოლივიაში El universo, don de Dios para la vida (2012წ), 17.

27 შეად. გერმანიის ეპისკოპოსთა კონფერენცია. სოციალურ საქმეთა კომისია, Der Klimawandel: Brennpunkt globaler, intergenerationeller und ökologischer Gerechtigkeit (სექტემბერი, 2006წ), 28–30.

დღეს მათ ახსენებენ საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ განხილვებში, მაგრამ ხშირად რჩება შთაბეჭდილება, რომ უბრალოდ წარმოადგენს დამატებას, – საკითხს, რომელიც ემატება თითქმის მოვალეობიდან გამომდინარე ან როგორც მეორეხარისხოვანი თემა, ზოგჯერ კი როგორც გვერდითი ზიანი. მართლაც, როდესაც ყველაფერი ნათქვამი და გაკეთებულია, ხშირად ისინი უკანასკნელ ადგილზე რჩება. ამას ნაწილობრივ ის ფაქტი განაპირობებს, რომ მრავალ პროფესიონალს, მიმომხილველს, საკომუნიკაციო მედია-საშუალებას და ძალის ცენტრს, რომლებიც მდიდრულ საქალაქო ზონებში მდებარეობენ, არ აქვთ პირდაპირი კავშირი ღარიბებთან და მათ პრობლემებთან. ისინი ცხოვრობენ და აზროვნებენ განვითარების მაღალი დონის და ცხოვრების იმ დონის კომფორტული პოზიციიდან, რომელიც მსოფლიოს მოსახლეობის უმრავლესობის თვალსაწიერს ბევრად სცილდება. ფიზიკური კავშირის და შეხვედრის ამგვარ დეფიციტს, რომელსაც დროდადრო ჩვენი ქალაქების დეზინტეგრაციაც უწყობს ხელს, შეუძლია სინდისის წვა და ტენდენციური შეფასებები გამოიწვიოს, რომლებიც სინამდვილის ნაწილებს უგულებელყოფს. ზოგჯერ ამგვარი დამოკიდებულება "მწვანე" რიტორიკის გვერდითაც არსებობს. დღეს, თუმცაღა, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჭეშმარიტი ეკოლოგიური მიდგომა მუდამ იქცევა სოციალურ მიდგომად; მან უნდა მოიცვას სამართლიანობის საკითხები გარემოს შესახებ კამათში, რათა მოუსმინოს დედამიწის ძახილსაც და უპოვართა ღაღადსაც.

50. ნაცვლად იმისა, რომ ღარიბების პრობლემები მოაგვარონ და დაფიქრდნენ იმაზე, თუ რაოდენ განსხვავებული შეიძლება იყოს სამყარო, ზოგიერთს მხოლოდ შობადობის შემცირების შემოთავაზება შეუძლია. დროდადრო, განვითარებადი ქვეყნები აწყდებიან საერთაშორისო ზეწოლის ფორმებს, რომლებიც ეკონომიკურ დახმარებას "რეპროდუქციული ჯანმრთელობის" გარკვეულ პოლიტიკას უთავსებს. და მაინც, «მაშინ როდესაც სიმართლეა, რომ მოსახლეობის და ხელმისაწვდომი რესურსების არათანაბარი განაწილება დაბრკოლებებს უქმნის განვითარებას და გარემოს მდგრად გამოყენებას, მიუხედავად ამისა აღიარებული უნდა იყოს, რომ დემოგრაფიული ზრდა სავსებით შეთავსებადია ინტეგრალურ და ერთობლივ განვითარებასთან».[28] ზოგიერთის მხრიდან მოსახლეობის ზრდისათვის ბრალის წაყენება, ნაცვლად უკიდურესი და შერჩევითი მომხმარებლობისა, საკითხებთან გამკლავებაზე უარის თქმის ერთ-ერთი გზაა. ეს არის მცდელობა, რომ დააკანონონ დანაწილების დღევანდელი მოდელი, სადაც უმცირესობას სჯერა, რომ მას აქვს მოხმარების უფლება იმ გზით, რომელიც ვერასდროს იქცევა საყოველთაოდ, ვინაიდან პლანეტა ვერც კი დაიტევს ამგვარი მოხმარების ნარჩენ პროდუქტებს. გარდა ამისა, ჩვენ ვიცით, რომ მთელი წარმოებული საკვების დაახლოებით მესამედი იყრება, ხოლო «როდესაც საკვები იყრება, ეს ისეა ვითომც უპოვართა

28 სამართლიანობის და მშვიდობის პონტიფიკალური საბჭო, ეკლესიის სოციალური მოძღვრების კომპენდიუმი, 483.

სუფრიდან მოგვიპარავს».[29] კვლავაც ყურადღება უნდა მივაქციოთ მოსახლეობის სიჭარბეში არსებულ დისბალანსებს, ეროვნულ და გლობალურ დონეებზე, ვინაიდან მოხმარების ზრდა რთულ რეგიონულ ვითარებებს წარმოშობს, გარემოს დაბინძურებასთან, ტრანსპორტთან, ნარჩენების გადამუშავებასთან, რესურსების ამოწურვასა და ცხოვრების დონესთან დაკავშირებულ პრობლემებს შორის ურთიერთქმედების შედეგად.

51. უთანასწორობა გავლენას ახდენს არა მარტო ინდივიდებზე, არამედ მთლიან ქვეყნებზეც; ის გვაიძულებს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ეთიკაზე დავფიქრდეთ. არსებობს ჭეშმარიტი "ეკოლოგიური ვალი", განსაკუთრებით გლობალურ ჩრდილოეთს და სამხრეთს შორის, რომელიც უკავშირდება სავაჭრო დისბალანსებს, თავისი შედეგებით გარემოზე, და დროის ხანგრძლივ პერიოდებში ზოგიერთი ქვეყნის მიერ ბუნებრივი რესურსების არათანაზომიერ გამოყენებას. ინდუსტრიალიზებულ ჩრდილოეთში ბაზრების დაკმაყოფილების მიზნით ნედლეულის ექსპორტმა გამოიწვია ზიანი ადგილობრივ დონეზე, მაგალითად, ვერცხლისწყლის დაბინძურება ოქროს მოპოვებისას ან გოგირდის დიოქსიდის დაბინძურება სპილენძის მოპოვებისას. სასწრაფოდ უნდა გამოიკვლიონ მთელ მსოფლიოში გარემოს სივრცის გამოყენება, რათა გაანადგურონ აიროვანი ნარჩენები, რომლებიც ორი საუკუნის განმავლობაში დაგროვდა და წარმოქმნა მდგო-

29 კატეხეზა (5 ივნისი, 2013წ): Insegnamenti 1/1 (2013), 280.

მარეობა, რომელიც ამჟამად მსოფლიოს ყველა ქვეყანას ეხება. ზოგიერთი მდიდარი ქვეყნის მიერ უსაზღვრო მომხმარებლობით გამოწვეულ დათბობას გამოძახილები აქვს მსოფლიოს უღარიბეს რეგიონებზე, განსაკუთრებით აფრიკაში, სადაც ტემპერატურის ზრდა, გვალვასთან ერთად, გამანადგურებელი აღმოჩნდა მეურნეობისათვის. აგრეთვე არსებობს განვითარებად ქვეყნებში მყარი ნარჩენების და ტოქსიკური სითხეების ექსპორტით და იმ კომპანიების მიერ წარმოქმნილი დაბინძურებით გამოწვეული ზიანი, რომლებიც ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში საქმიანობენ იმგვარი საშუალებებით, როგორც არასდროს მოიქცეოდნენ საკუთარ ქვეყნებში, სადაც საკუთარ კაპიტალს აწარმოებენ: «ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ხშირად წარმოებები, რომლებიც ამგვარად მოქმედებენ, მრავალეროვნულები არიან. ისინი აქ იმას აკეთებენ, რასაც განვითარებულ ქვეყნებში ან ე.წ. პირველ სამყაროში არასდროს გააკეთებდნენ. ზოგადად რომ ვთქვათ, საკუთარი საქმიანობის შეწყვეტის და წასვლის შემდეგ, ისინი დიდ ადამიანურ და გარემოს მავნებლობებს ტოვებენ, როგორიცაა უმუშევრობა, მიტოვებული ქალაქები, ბუნებრივი რეზერვების ამოწურვა, გაუდაბნოება, სოფლის მეურნეობის და ადგილობრივი მეცხოველეობის გაღარიბება, ღია ორმოები, განადგურებული ბორცვები, დაბინძურებული მდინარეები და სოციალური სამუშაოების სიმწირე, რომლებიც აღარაა მდგრადი».[30]

30 პატაგონია-კომაჰუს რეგიონის (არგენტინა) ეპისკოპოსები, Mensaje de Navidad (დეკემბერი, 2009წ), 2.

52. ღარიბი ქვეყნების საგარეო ვალი მათი კონტროლის საშუალებად იქცა, მაგრამ იგივე არ ხდება ეკოლოგიურ ვალთან დაკავშირებით. სხვადასხვა გზით, განვითარებადი ქვეყნები, სადაც ბიოსფეროს უმნიშვნელოვანესი რეზერვები არსებობს, კვლავაც ასაზრდოებენ მდიდარი ქვეყნების განვითარებას საკუთარი აწმყოს და მომავლის ხარჯზე. სამხრეთის ღარიბების მიწა მდიდარი და, უმეტესწილად, დაუბინძურებელია, თუმცა სასიცოცხლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად საქონლის და რესურსების საკუთრებაზე ხელმისაწვდომობას ზღუდავს სავაჭრო ურთიერთობების და საკუთრების სისტემა, რომელიც სტრუქტურულად გაუკუღმართებულია. განვითარებადმა ქვეყნებმა ხელი უნდა შეუწყონ ამ ვალის გადახდას იმგვარად, რომ მნიშვნელოვნად შეზღუდონ არაგანახლებადი ენერგიის მოხმარება და დაეხმარონ ღარიბ ქვეყნებს მდგრადი განვითარების პოლიტიკის და პროგრამების განხორციელებაში. უღარიბეს რეგიონებს და ქვეყნებს ნაკლებად შეუძლიათ ახალი მოდელების მიღება გარემოს ზემოქმედების შესამცირებლად, ვინაიდან მათ არასაკმარისი საშუალებები აქვთ საჭირო პროცესების განსავითარებლად და მათი ხარჯების დასაფარავად. კვლავაც უნდა ცხადვყოთ, რომ, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, არსებობს დიფერენცირებული პასუხისმგებლობები. როგორც შეერთებული შტატების ეპისკოპოსები აცხადებდნენ, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს «ღარიბების, სუსტების და გარიყულების საჭიროებებს განხილვებში, სადაც ხში-

რად უფრო ძლიერი ინტერესები ბატონობს».[31] ჩვენ უნდა განვიმტკიცოთ რწმენა, რომ ერთი საკაცობრიო ოჯახი ვართ. არ არსებობს საზღვრები ან ბარიერები, პოლიტიკური ან სოციალური, რომელთა უკანაც შეგვიძლია დავიმალოთ, კვლავაც ნაკლებად არსებობს ადგილი გულგრილობის გლობალიზაციისათვის.

VI. სუსტი პასუხები

53. ამგვარმა ვითარებებმა გამოიწვია და დედამიწის გმინვა, ჩვენი სამყაროს ყველა მიტოვებულთან ერთად, იმის თხოვნით, რომ სხვა გზას დავადგეთ. ასე არასდროს მიგვიყენებია ზიანი და ასე ცუდად არასდროს მოვპყრობივართ ჩვენ საერთო სახლს, როგორც ეს გასულ ორ ასწლეულში გავაკეთეთ. მაგრამ ჩვენ მოწოდებულნი ვართ, რომ ვიყოთ ღმერთის, ჩვენი მამის, იარაღები, რათა ჩვენი პლანეტა იყოს ისეთი, როგორიც მან მოისურვა, როდესაც შექმნა ის, და შეესაბამებოდეს მის ჩანაფიქრს მშვიდობისათვის, მშვენიერებისა და სისავსისათვის. პრობლემა ის არის, რომ ჩვენ ჯერაც არ გვაქვს საჭირო კულტურა, რომ გავუმკლავდეთ ამ კრიზისს. ჩვენ არ გვყავს ხელმძღვანელობა, რომელსაც შეუძლია ახალი გზების ჩვენება და დღევანდელობის საჭიროებათა დაკმაყოფილება ყველას მიმართ

31 შეერთებული შტატების კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენცია, კლიმატის გლობალური ცვლილება: დიალოგის, გონიერების და საერთო სიკეთის თხოვნა (15 ივნისი, 2001წ).

მზრუნველობით და მომავალი თაობების მიმართ ცრურწმენის გარეშე. აუცილებელი გახდა სამართლებრივი სისტემის დამყარება, რომელსაც შეუძლია მკვეთრი საზღვრების დადგენა და ეკოსისტემების დაცვის უზრუნველყოფა; წინააღმდეგ შემთხვევაში, ტექნო-ეკონომიკურ პარადიგმაზე დამყარებულმა ძალის ახალმა სტრუქტურებმა შესაძლოა წალეკოს არა მარტო ჩვენი პოლიტიკა, არამედ თავისუფლება და სამართლიანობაც.

54. აღსანიშნავია სუსტი საერთაშორისო პოლიტიკური პასუხები. გარემოს შესახებ გლობალური სამიტების მარცხმა ცხადი გახადა, რომ ჩვენი პოლიტიკა ტექნოლოგიას და ფინანსებს ემორჩილება. არსებობს ძალზე ბევრი განსაკუთრებული ინტერესი, ხოლო ეკონომიკური ინტერესები ადვილად გათელავს საერთო სიკეთეს და წარმართავს ინფორმაციას იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგება მათ საკუთარ გეგმებს. აპარესიდას დოკუმენტი ამტკიცებს, რომ «ბუნებრივ რესურსებთან დამოკიდებულებაში არ უნდა ჭარბობდეს ეკონომიკური ჯგუფების ინტერესები, რომლებიც უგუნურად ანადგურებენ სიცოცხლის რესურსებს».[32] კავშირი ეკონომიკას და ტექნოლოგიას შორის სრულდება იმ ყველაფრის უკუგდებით, რაც არ არის კავშირში მის უშუალო ინტერესებთან. შესაბამისად, ყველაზე მეტად მოსალოდნელია ზერელე რიტორიკა, ფილანთროპიის ცალკეუ-

32 ლათინური ამერიკის და კარიბის საეპისკოპოსოსV გენერალური კონფერენცია, აპარესიდას დოკუმენტი (29 ივნისი, 2007წ), 471.

ლი აქტები და გარემოს მიმართ დაინტერესების ზედაპირული გამოხატულებები, მაშინ როცა საზოგადოებრივი ჯგუფების ნებისმიერი ნამდვილი მცდელობა, რომ ცვლილება მოახდინონ, რომანტიკულ ილუზიებზე დაფუძნებულ უსიამოვნებად ან თავიდან ასაცილებელ დაბრკოლებად ითვლება.

55. ზოგიერთი ქვეყანა თანდათანობით აღწევს მნიშვნელოვან პროგრესს, ავითარებს უფრო ქმედით მექანიზმებს და მუშაობს, რომ ებრძოლოს კორუფციას. ადამიანთა ეკოლოგიური მგრძნობიარეობა იზრდება, მაგრამ მას წარმატებისათვის არ მიუღწევია მათ სამომხმარებლო მავნე ჩვევების შეცვლაში, რაც, ნაცვლად შემცირებისა, სულ მეტად იზრდება. ამის მარტივი მაგალითია ჰაერის კონდიცირების მზარდი გამოყენება და ძალა. ბაზრები, რომლებიც უშუალო მოგებას იღებენ გაყიდვებიდან, სულ მეტად ზრდიან მოთხოვნას. ვინც კი შეხედავს ჩვენ სამყაროს, განცვიფრდება ასეთი ქცევით, რომელიც, დროდადრო, თვითგამანადგურებელი ჩანს.

56. იმავე დროს, ეკონომიკური ძალები კვალავაც ამართლებენ დღევანდელ გლობალურ სისტემას, სადაც პრიორიტეტი სულ მეტად ენიჭება სპეკულაციას და ფინანსური მოგებისკენ სწრაფვას, რომელიც უგულებელყოფს კონტექსტს და შედეგებს ადამიანის ღირსებასა და ბუნებრივ გარემოზე. აქ, ჩვენ ვხედავთ, თუ რაოდენ მჭიდროდ არის დაკავშირებული გარემოს გაუარესება და ადამიანური და ეთიკური დეგრადაცია. მრავალი

ადამიანი უარს იტყვის ამორალური ქმედებების ჩადენაზე, ვინაიდან გამუდმებული განადგურება აჩლუნგებს ჩვენ შეგნებას იმისა, თუ სინამდვილეში რაოდენ შეზღუდული და სასრულია ჩვენი სამყარო. შედეგად, «ყოველივე სუსტი, როგორიც გარემოა, დაუცველი რჩება გაღმერთებული ბაზრის ინტერესების წინაშე, რომელიც ერთადერთ წესაბსოლუტურ ნორმადდ იქცევა».[33]

57. შეგვიძლია წინასწარ ვთქვათ, რომ როდესაც გარკვეული რესურსები ამოიწურება, სცენა ახალ ომებს დაეთმობა, თუმც კი მოჩვენებითი კეთილშობილური მოთხოვნებით. ომი მუდამ სერიოზულ ზიანს აყენებს გარემოს და ადამიანთა კულტურულ სიმდიდრეებს, ქმნის რისკებს, რომლებიც ძლიერდება, როდესაც ბირთვულ იარაღსა და ბიოლოგიურ იარაღზე ფიქრობენ. «მიუხედავად საერთაშორისო შეთანხმებებისა, რომლებიც კრძალავენ ქიმიურ, ბაქტერიოლოგიურ და ბიოლოგიურ ომს, ფაქტია, რომ ლაბორატორიული კვლევა კვლავაც ავითარებს ახალ თავდასხმით იარაღს, რომელსაც ბუნების წონასწორობის შეცვლა შეუძლია».[34] პოლიტიკამ დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს ახალი კონფლიქტების თავიდან არიდებას და მათი შესაძლო გამომწვევი მიზეზების დადგენას. მაგრამ ძლიერი ფინანსური ინტერესები მტკიცედ ეწინააღმდეგება ამგვარ მცდე-

33 სამოც. ექსჰ. Evangelii gaudium (24 ნოემბერი, 2013წ), 56: AAS 105 (2013), 1043.

34 იოანე პავლე II, მშვიდობის მსოფლიო დღის უწყება, 1990წ, 12: AAS 82 (1990), 154.

ლობას, პოლიტიკური დაგეგმარება კი ფართო ხედვის სიმწირეს განიცდის. რატომ სურთ დღეს იმ ძალაუფლების შენარჩუნება, რომელიც ცნობილი იქნება თავისი უუნარობით, რომ ჩარეულიყო, როდესაც ამის გაკეთება საშური და აუცილებელი იყო?

58. ზოგიერთ ქვეყანაში, არსებობს გარემოს გაუმჯობესების დადებითი მაგალითები: გაიწმინდა მდინარეები, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში დაბინძურებული იყო; აღდგენილი იქნა ადგილობრივი ტყეები; გარემოს განახლების პროექტების წყალობით გალამაზდა ლანდშაფტები; აშენდა მშვენიერი ნაგებობები; წინსვლა განხორციელდა ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის წარმოებასა და საჯარო ტრანსპორტირების გაუმჯობესებაში. ეს მიღწევები არ აგვარებს გლობალურ პრობლემებს, მაგრამ ისინი აჩვენებს, რომ მამაკაცებს და ქალებს კვლავაც შეუძლიათ დადებითად ჩარევა. ვინაიდან შექმნილნი ვართ სიყვარულისათვის, ყველა შეზღუდვის მიუხედავად, ჩვენში მაინც ღვივდება სულგრძელობის, სოლიდარობისა და მზრუნველობის ჟესტები.

59. ამასთან ერთად, შეგვიძლია აღვნიშნოთ არასწორი ან ზერელე ეკოლოგიის ზრდაც, რომელიც ხელს უწყობს თვითკმაყოფილებას და ლაღ უგუნურებას. როგორც ხშირად ხდება ხოლმე ღრმა კრიზისის პერიოდებში, რომლებიც გაბედულ გადაწყვეტილებებს მოითხოვს, გვაცდუნებს იმაზე ფიქრი, რომ რაც კი ხდება, არ არის სავ-

სებით ნათელი. ზერელედ თუ შევხედავთ, დაბინ-ძურების და დეგრადაციის ზოგიერთი ცხადი ნიშ-ნის გარდა, მდგომარეობა არ ჩანს სერიოზული, პლანეტას კი შეუძლია ისევე იარსებოს, როგორც აქამდე. ასეთი ზერელე დამოკიდებულება დღე-ვანდელი ცხოვრების წესების და წარმოების და მოხმარების ამჟამინდელი მოდელების შენარჩუ-ნებას ემსახურება. ამ გზით, ადამიანები საკუთარ თვითგამანადგურებელ მანკიერებებს ასაზრდო-ებენ: არ აკვიდებიან და არ აღიარებენ მათ, ხელს უშლიან მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს და ამტკიცებენ, რომ არც არაფერი მოხდება.

VII. შეხედულებათა მრავალფეროვნება

60. და ბოლოს, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ვითა-რებასა და მის შესაძლო მოგვარების საშუალე-ბებთან დაკავშირებით სხვადასხვა მიდგომები და შეხედულებები გამოჩნდა. ერთ მხარეს, ჩვენ ვხედავთ მათ, რომლებიც ჯიუტად ამტკიცებენ პროგრესის მითს და გვეუბნებიან, რომ ეკოლო-გიური პრობლემები თავისთავად მოგვარდება მარტივად, ახალი ტექნოლოგიის გამოყენებით და ეთიკური მოსაზრებების ან ღრმა ცვლილების რაიმე საჭიროების გარეშე. მეორე მხარეს, არსე-ბობენ ისინი, რომლებიც მამაკაცებს და ქალებს და მათ ყველანაირ ჩარევას უბრალოდ საფრ-თხედ მიიჩნევენ, რომელიც გლობალურ ეკო-სისტემას ემუქრება, შესაბამისად კი, პლანეტაზე ადამიანთა ყოფნა უნდა შემცირდეს და ჩარევის ყოველგვარი ფორმა უნდა აიკრძალოს. ამ ორ

მხარეს შორის უნდა შეიქმნას ქმედითი მომავალი სცენარები, ვინაიდან არ არსებობს მათი მოგვარების მხოლოდ ერთი გზა. ეს შესაძლებელს ხდის წინადადებათა მრავალფეროვნებას, რომლებიც შეიძლება დიალოგში შევიდნენ ყოვლისმომცველი საპასუხო გზების განვითარებით.

61. მრავალ კონკრეტულ საკითხზე, ეკლესიას არ აქვს რაიმე მიზეზი, რომ საბოლოო შეხედულება წარმოადგინოს; მან იცის, რომ საჭიროა ექსპერტებს შორის პატიოსანი განხილვის ხელშეწყობა, იმავე დროს კი განსხვავებული შეხედულებების მიმართ პატივისცემა. საკმარისია გულწრფელად შევხედოთ სინამდვილეს, რათა დავინახოთ, რომ ჩვენი საერთო სახლი სერიოზულ უწესრიგობაში იმყოფება. იმედი გვიბიძგებს, ვაღიაროთ, რომ ყოველთვის არსებობს გამოსავალი, რომ ყოველთვის შეგვიძლია მიმართულების შეცვლა, რომ ყოველთვის უნდა გავაკეთოთ რაღაც ჩვენი პრობლემების მოსაგვარებლად. თუმცა, ჩვენ ვხედავთ ნიშნებს ამჟამად არსებული გარდამტეხი მომენტისა, სწრაფი ცვლილებების და დეგრადაციის გამო; ეს აშკარაა ფართომასშტაბიან ბუნებრივ კატასტროფებში, ასევე სოციალურ და ფინანსურ კრიზისებში, ვინაიდან მსოფლიოს პრობლემების შეფასება ან გამორკვევა შეუძლებელია იზოლირებულ მდგომარეობაში. ამჟამად არსებობს რეგიონები, რომლებიც მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან, ხოლო, განკითხვის დღის ყოველგვარი პროგნოზის გარდა, ამჟამინდელი მსოფლიო სისტემა აშკარად არამდგრადია მრავალი მოსაზრებიდან გამომდინარე,

ვინაიდან ჩვენ შევწყვიტეთ ფიქრი ადამიანის საქ-მიანობის მიზნებზე. «თუკი თვალს გადავავლებთ ჩვენი პლანეტის რეგიონებს, უმალვე შევნიშნავთ, რომ კაცობრიობამ არ გაამართლა ღმერთის მოლოდინები».[35]

35 კატეხეზა (17 იანვარი, 2001წ), 3: Insegnamenti 24/1 (2001), 178.

თავი მეორე

ქმნილების სახარება

62. რატომ შეიცავს ეს დოკუმენტი, რომელიც კეთილი ნების ყველა ადამიანის მიმართ არის განკუთვნილი, თავს, რომელიც რწმენის შეხედულებებს შეეხება? მე ვაცნობიერებ, რომ, პოლიტიკის და აზროვნების სფეროში, ზოგიერთი მტკიცედ უარყოფს შემოქმედის იდეას ან შეუფერებლად ამტკიცებს მას, შედეგად კი უგუნურების სფეროში აქცევს იმ სიმდიდრეს, რომელსაც რელიგიები სთავაზობენ ინტეგრალურ ეკოლოგიას და ადამიანის სრულყოფილ განვითარებას. სხვებისათვის რელიგიები უბრალოდ ქვეკულტურებია, რომლებსაც შემწყნარებლურად უნდა მიუდგნენ. მიუხედავად ამისა, მეცნიერებას და რელიგიას, რომლებსაც განსხვავებული მიდგომები აქვთ სინამდვილის გაგების მიმართ, შეუძლიათ მუდმივ დიალოგში შევიდნენ ერთმანეთთან, რომელიც ორივე მათგანისათვის ნაყოფიერი იქნება.

I. ნათელი, რომელსაც რწმენა იძლევა

63. ეკოლოგიური კრიზისის და მისი მრავალგვარი გამომწვევი მიზეზის სირთულის გათვალისწინებით, უნდა გავაცნობიეროთ, რომ მათი

მოგვარების საშუალებები არ მიიღება სინამ-დვილის ახსნის და გარდაქმნის მხოლოდ ერთი რომელიმე გზიდან. საჭიროა, პატივი ვცეთ სხვა-დასხვა ხალხების მრავალფეროვან კულტურულ სიმდიდრეებსაც, მათ ხელოვნებას და პოეზიას, მათ შინაგან ცხოვრებას და სულიერებას. თუკი ნამდვილად ვართ დაინტერესებულნი, რომ გა-ნვავითაროთ ეკოლოგია, რომელსაც შეუძლია ჩვენ მიერ მიყენებული ზიანის გამოსწორება, ყუ-რადღების მიღმა არ უნდა დარჩეს მეცნიერების არც ერთი დარგი და სიბრძნის არც ერთი ფორმა, არც რელიგიის სფერო, რომელსაც თავისი გამო-რჩეული ენა გააჩნია. კათოლიკე ეკლესია გახს-ნილია დიალოგის მიმართ ფილოსოფიურ აზრო-ვნებასთან; ამან შესაძლებლობა მისცა მას, რომ შეემუშავებინა მრავალგვარი სინთეზი რწმენას და გონებას შორის. სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით ასეთ სინთეზს გვთავაზობს ეკლე-სიის სოციალური მოძღვრების განვითარება; ეს მოძღვრება მოწოდებულია, რომ სულ მეტად გა-მდიდრდეს ახალი გამოწვევების პირისპირ.

64. ამასთან ერთად, მართალია ეს ენციკლიკა მიესალმება დიალოგს ყველასთან, რათა ერთო-ბლივად გამოვძებნოთ გათავისუფლების გზები, მსურს, ამთავითვე ვაჩვენო, თუ როგორ სთავა-ზობს რწმენითი შეხედულებები ქრისტიანებს, და სხვა მორწმუნეებსაც, სრულ მოტივაციას, რომ იზრუნონ ბუნებასა და საკუთარ ყველაზე გარი-ყულ ძმებსა და დებზე. თუკი ადამიანობის უბრა-ლო ფაქტი უბიძგებს ადამიანებს, რომ იზრუნონ გარემოზე, რომლის ნაწილსაც წარმოადგენენ,

ქრისტიანები, თავიანთ მხრივ, «აცნობიერებენ, რომ მათი პასუხისმგებლობა ქმნილებაში და მათი მოვალეობა ბუნების და შემოქმედის მიმართ მათი რწმენის არსებითი ნაწილია».[36] ამიტომაც, კაცობრიობისა და სამყაროსათვის კარგია, როდესაც ჩვენ, მორწმუნეები, უკეთ შევიცნობთ ეკოლოგიურ ვალდებულებებს, რომლებიც ჩვენი რწმენებიდან მომდინარეობს.

II. ბიბლიური გადმოცემების სიბრძნე

65. შექმნის მთელი ღმრთისმეტყველების გამეორების გარეშე, შეგვიძლია ვთქვათ, თუ რას მოგვითხრობენ დიდი ბიბლიური გადმოცემები სამყაროსთან ადამიანების ურთიერთობის შესახებ. დაბადების წიგნში შექმნის პირველ გადმოცემაში, ღმერთის ჩანაფიქრი გულისხმობს კაცთა მოდგმის შექმნას. მამაკაცის და ქალის შექმნის შემდეგ, «დაინახა ღმერთმა ყოველივე, რაც გააჩინა, და აჰა, ძალიან კარგი იყო» (დაბ 1,31). ბიბლია ასწავლის, რომ ყოველი მამაკაცი და ქალი შექმნილია სიყვარულისათვის, და შექმნილია ღმერთის ხატად და მსგავსებად (შეად. დაბ 1,26). ეს გვაჩვენებს უსაზღვრო ღირსებას ყოველი ადამიანისა, «რომელიც არ არის უბრალოდ რაღაც, არამედ ვიღაც. მას შეუძლია საკუთარი თავის

36 იოანე პავლე II, მშვიდობის მსოფლიო დღის უწყება, 1990წ, 15: AAS 82 (1990), 156.

შეცნობა, მისი ფლობა და თავისუფლად გაცემა და სხვა ადამიანებთან თანამოზიარეობა».[37] წმ. იოანე პავლე II აცხადებდა, რომ შემოქმედის გამორჩეული სიყვარული ყოველი ადამიანის მიმართ «უსაზღვრო ღირსებით მოსავს მას».[38] მათ, ვისაც აქვთ ვალდებულება, რომ დაიცვან ადამიანის ღირსება, ქრისტიანულ რწმენაში შეუძლიათ აღმოაჩინონ ამ ვალდებულების უღრმესი მიზეზები. რაოდენ საკვირველია სიცხადე, რომ არც ერთი ადამიანის ცხოვრება არ იკარგება უიმედო ქაოსში, წმინდა შემთხვევითობით ან უსასრულოდ განმეორებადი ციკლებით მართულ სამყაროში! შემოქმედს შეუძლია ყოველ ჩვენგანს უთხრას: «ვიდრე მუცელში გამოგსახავდი, გამოგარჩიე» (იერ 1,5). ჩვენ ჩავისახეთ ღმერთის გულში, ამიტომაც «ყოველი ჩვენგანი ღმერთის აზროვნების შედეგია. ყოველი ჩვენგანი სასურველია, ყოველი ჩვენგანი უყვართ, ყოველი ჩვენგანი საჭიროა».[39]

66. დაბადების წიგნში შექმნის გადმოცემები შეიცავენ, თავიანთი სიმბოლური და თხრობითი ენით, სიღრმისეულ სწავლებებს ადამიანის არსებობის და მისი ისტორიული სინამდვილის შესახებ. ისინი აცხადებენ, რომ ადამიანის სიცოცხლე

---

37 კათოლიკე ეკლესიის კატეხიზმო, 357.

38 შეად. ანგელუსი ოსნაბრიუკში (გერმანია) შშმ პირებთან, 16 ნოემბერი, 1980წ: Insegnamenti 3/2 (1980), 1232.

39 ბენედიქტე XVI, პეტრესეული მსახურების საზეიმო დაწყების ქადაგება (24 აპრილი, 2005წ): AAS 97 (2005), 711.

მდგომარეობს სამ ფუნდამენტურ და მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულ ურთიერთობაში: ღმერთთან, მოყვასთან და თავად დედამიწასთან. ბიბლიის თანახმად, ეს სამი სასიცოცხლო ურთიერთობა დაირღვა, გარეგნულადაც და ჩვენშიც. ეს დარღვევა არის ცოდვა. ჰარმონია შემოქმედს, კაცობრიობას და მთლიანად ქმნილებას შორის დაარღვია ჩვენმა აზროვნებამ, რომ დაგვეკავებინა ღმერთის ადგილი, და უარყოფამ, რომ საკუთარი თავი შეზღუდულ ქმნილებებად გვეღიარებინა. ამან, თავის მხრივ, შელახა ჩვენი დავალება, რომ "დავეუფლოთ" დედამიწას (შეად. დაბ 1,28), "დავამუშაოთ და დავიცვათ" (დაბ 2,15). შედეგად, თავდაპირველად ჰარმონიული ურთიერთობა ადამიანებს და ბუნებას შორის წინააღმდეგობრივი გახდა (შეად. დაბ 3,17-19). მნიშვნელოვანია, რომ ჰარმონია, რომელსაც წმ. ფრანცისკე ასიზელი განიცდიდა ყველა ქმნილებასთან, ამ იარის მოშუშებას წარმოადგენდა. წმ. ბონავენტურა ამბობდა, რომ, საყოველთაო შერიგებით ყველა ქმნილებასთან, წმ. ფრანცისკე გარკვეულწილად დაუბრუნდა თავდაპირველი უმანკოების მდგომარეობას.[40] ეს არის შორეული ძახილი ჩვენი დღევანდელი ვითარებიდან, სადაც ცოდვა თვალსაჩინოა მთელი თავისი გამანადგურებელი ძალით ომებში, ძალადობის და შეურაცხყოფის სხვადასხვა ფორმებში, ყველაზე სუსტების მიტოვებაში, და ბუნების შელახვაში.

---

40 შეად. Legenda Maior, VIII, 1: FF 1134.

67. ჩვენ არ ვართ ღმერთი. დედამიწა ჩვენზე უწინ არსებობდა და ის ჩვენ გვებოძა. ეს შესაძლებლობას გვაძლევს, ვუპასუხოთ იმ ბრალდებას, რომელსაც იუდეურ-ქრისტიანული აზროვნება, დაბადების გადმოცემის საფუძველზე, რომელიც ადამიანს ანიჭებს "ბატონობას" დედამიწაზე (შეად. დაბ 1,28), უყენებს ბუნების აღვირახსნილ ექსპლუატაციას, როდესაც მის დესპოტურ და გამანადგურებელ ხასიათს წარმოაჩენს. ეს არ არის ბიბლიის სწორი განმარტება, როგორც ის ეკლესიას ესმის. თუმც კი სიმართლეა, რომ ქრისტიანები ზოგჯერ არასწორად განმარტავენ წერილებს, დღესდღეობით მტკიცედ უნდა უარვყოთ ცნება, რომ ღმერთის ხატად ჩვენი შექმნა და დედამიწაზე მონიჭებული ბატონობა ამართლებს სრულ ბატონობას სხვა ქმნილებებზე. ბიბლიური ტექსტები წაკითხული უნდა იყოს მათივე კონტექსტში, შესაბამისი ჰერმენევტიკით, რომელიც აღიარებს მათ გადმოცემას, რომ «დავამუშაოთ და დავიცვათ» წუთისოფლის ბაღი (შეად. დაბ 2,15). «დავამუშაოთ» გულისხმობს, რომ მოვუაროთ, მოვხნათ ან ვიშრომოთ, ხოლო «დავიცვათ» ნიშნავს, რომ ვიზრუნოთ, მოვუაროთ და შევინახოთ. ეს გულისხმობს ერთობლივი პასუხისმგებლობის ურთიერთობას ადამიანებს და ბუნებას შორის. ყოველ საზოგადოებას შეუძლია მიიღოს დედამიწის სიუხვიდან ის, რაც მას სჭირდება არსებობისათვის, მაგრამ მას აკისრია მოვალეობაც, რომ დაიცვას დედამიწა და გადასცეს მისი ნაყოფიერება მომავალ თაობებს. «უფლისა არის ქვეყნიერება» (ფს24,1); მისია

«ქვეყანა და ყველაფერი, რაც მასშია» (მეორე რჯლ 10,14). ამიტომაც, ღმერთი უარყოფს ყოველ-გვარ მოთხოვნას სრულ საკუთრებაზე: «მიწა სა-მუდამოდ არ უნდა გაიყიდოს, რადგან ჩემია მიწა, რადგან თქვენ მდგმურები და ხიზნები ხართ ჩემ-თან» (ლევ 25,23).

68. ამგვარი პასუხისმგებლობა ღმერთის მიწის მიმართ გულისხმობს, რომ ადამიანებმა, რომელ-თაც აქვთ გონიერება, პატივი უნდა სცენ ბუნების კანონებს და ამ სამყაროს ქმნილებებს შორის არსებულ ნატიფ წონასწორობას, ვინაიდან «მან ბრძანა და შეიქმნენ. და დააყენა ისინი უკუნითი უკუნისამდე, კანონი მისცა და არავინ გადაუხვე-ვს» (ფს148,5ბ-6). კანონები, რომლებიც ბიბლია-შია მოცემული, ეხება ურთიერთობებს, არა მა-რტო ინდივიდებს შორის, არამედ სხვა ცოცხალ არსებებთანაც. «ნუ აარიდებ თავს, როცა შენი მოძმის სახედარს ან ხარს გზაზე დავარდნილს დაინახავ; უნდა შეეშველო მას წამოყენებაში... თუ გზად გადაეყრები ჩიტის ბუდეს, ბარტყებია-ნს ან კვერცხებიანს, და დედა აზის ბარტყებს თუ კვერცხებს, არ აიყვანო დედა თავის ბარტყებია-ნა» (მეორე რჯლ 22,4, 6). იმავე აზრით, დასვენება მეშვიდე დღეს განკუთვნილია არა მარტო ადა-მიანებისათვის, არამედ იმიტომაც, რომ «შეისვე-ნოს შენმა ხარმა და სახედარმა» (გამოს 23,12). ცხადია, ბიბლია ადგილს არ უთმობს ტირანულ ანთროპოცენტრიზმს, რომელსაც არ აინტერესე-ბს სხვა ქმნილებები.

69. ჩვენ ვალდებულებასთან ერთად, რომ პასუხისმგებლიანად გამოვიყენოთ დედამიწის სიკეთეები, მოწოდებული ვართ, შევიცნოთ, რომ სხვა ცოცხალ არსებებსაც აქვთ საკუთარი ფასეულობა ღმერთის თვალში: «თავიანთი უბრალო არსებობით, ისინი ხოტბას ასხამენ და განადიდებენ მას»,[41] და, მართლაც, «უფალი ხარობს თავისი ნამოქმედარით» (ფს104,31). ჩვენი უნიკალური ღირსების და ჩვენი გონიერების ნიჭის წყალობით, მოწოდებულნი ვართ, რომ პატივი ვცეთ ქმნილებას და მის თანმხლებ კანონებს, ვინაიდან «უფალმა სიბრძნით დააფუძნა ქვეყანა» (იგავ 3,19). ჩვენ დროში, ეკლესია უბრალოდ არ აცხადებს, რომ სხვა ქმნილებები სრულად ემორჩილებიან ადამიანების სიკეთეს, თითქოს საკუთარი ფასეულობა არ ჰქონოდეთ და საკუთარი სურვილისამებრ მოვქცეოდეთ. გერმანელი ეპისკოპოსები ასწავლიან, რომ, როდესაც სხვა ქმნილებებს ეხება საქმე, «ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ ყოფნის პრიორიტეტზე სასარგებლო ყოფნის პრიორიტეტთან მიმართებით».[42] კატეხიზმო ნათლად და მტკიცედ აკრიტიკებს დამახინჯებულ ანთროპოცენტრიზმს: «ყოველ ქმნილებას თავისი გამორჩეული სიკეთე და სრულყოფილება აქვს... მრავალი ქმნილებიდან თითოეული, სასურველი თავისი ყოფნით, თავისებურად ასახავს

41 კათოლიკე ეკლესიის კატეხიზმო, 2416.

42 გერმანიის ეპისკოპოსთა კონფერენცია, Zukunft der Schöpfung – Zukunft der Menschheit. Erklärung der Deutschen Bischofskonferenz zu Fragen der Umwelt und der Energieversorgung (1980წ), II, 2.

ღმერთის უსაზღვრო სიბრძნის და სიკეთის შუქს. ამიტომაც, ადამიანი პატივს უნდა სცემდეს ყოველი ქმნილების გამორჩეულ სიკეთეს, რომ თავიდან აიცილოს საგანთა ნებისმიერი სახის არასწორი გამოყენება».[43]

70. კაენის და აბელის ამბავში, ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ უბიძგა შურმა კაენს, რომ ჩაედინა უდიდესი უსამართლობა საკუთარი ძმის მიმართ, რამაც, თავის მხრივ, დაარღვია ურთიერთობა კაენს და ღმერთს შორის, და კაენს და მიწას შორის, საიდანაც განდევნილი იქნა. ეს ნათელია ღმერთს და კაენს შორის დრამატულ საუბარში. ღმერთი ეკითხება: «სად არის შენი ძმა აბელი?» კაენის პასუხობს, რომ არ იცის, ღმერთი კი ისევ ეკითხება: «ეს რა ჩაიდინე? შენი ძმის სისხლი მიწიდან შემომღაღადებს. ამიერიდან დაწყევლილი ხარ მიწისაგან» (დაბ 4,9-11). როდესაც უარს ვამბობ მოვალეობაზე, რომ შესაფერისი ურთიერთობა მქონდეს მოყვასთან, რომ პასუხისმგებლობით მოვეკიდო მასზე მზრუნველობას, ირღვევა ჩემი ურთიერთობა საკუთარ თავთან, სხვებთან, ღმერთთან და დედამიწასთან. როდესაც ყველა ეს ურთიერთობა დარღვეულია, როდესაც სამართლიანობა აღარ მკვიდრობს მიწაზე, ბიბლია გვეუბნება, რომ საფრთხე ემუქრება თავად სიცოცხლესაც. ამას ჩვენ ვხედავთ ნოეს ამბავში, სადაც არსებობს საფრთხე, რომ ღმერთი დაშორდეს კაცობრიობას, ვინაიდან ეს უკანასკნელი გამუდ-

43 კათოლიკე ეკლესიის კატეხიზმო, 339.

მებით უარს ამბობს სამართლიანობის და მშვიდობის მოთხოვნების შესრულებაზე: «მოაწია ყოველი ხორციელის აღსასრულმა ჩემს წინაშე, რადგან აივსო ქვეყანა მათი უსამართლობით» (დაბ 6,13). ეს უძველესი გადმოცემები, სიმბოლიზმით აღვსილნი, მოწმობენ რწმენას, რომელსაც დღეს ვიზიარებთ, რომ ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული და რომ ნამდვილი ზრუნვა საკუთარ სიცოცხლესა და ურთიერთობებზე ბუნებასთან განუყოფელია ძმობისაგან, სამართლიანობისგან და სხვების მიმართ ერთგულებისაგან.

71. მართალია «იმატა ადამიანთა უკეთურებამ ამქვეყნად» (დაბ 6,5) და უფალმა «ინანა, რომ შექმნა ადამიანი ამქვეყნად» (დაბ 6,6), მიუხედავად ამისა, ნოეში, რომელიც უდანაშაულო და მართალი დარჩა, ღმერთმა გადაწყვიტა, რომ ხსნის გზა გაეხსნა. ამგვარად, მან მისცა კაცობრიობას ახალი დასაწყისის შესაძლებლობა. ერთი კეთილი ადამიანიც კი კმარა, რომ იმედმა იარსებოს! ბიბლიური ტრადიცია ნათლად აჩვენებს, რომ ასეთი განახლება შეეფერება იმ რითმების აღდგენას და პატივისცემას, რომლებიც ბუნებაშია ჩაწერილი შემოქმედის ხელით. ჩვენ მას ვხედავთ, მაგალითად, შაბათის კანონში. მეშვიდე დღეს, ღმერთმა დაისვენა ყოველი საქმისაგან. მან უბრძანა ისრაელს, რომ დაედგინა ყოველი მეშვიდე დღე, როგორც უქმე, შაბათი (შეად. დაბ 2,2-3; გამოს 16,23; 20,10). მსგავსადვე, ისრაელისათვის დადგინდა ყოველი მეშვიდე წელი, შა-

ბათის წელი, მიწის სრული უქმობა (შეად. ლევ 25,1-4), როდესაც აკრძალული იყო თესვა, ხოლო მომკა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, თუკი ეს აუცილებელი იყო არსებობისა და ოჯახის გამოსაკვებად (შეად. ლევ 25,4-6). და ბოლოს, წელიწადის შვიდი კვირის შემდეგ, რომელიც ორმოცდაცხრა წელიწადია, აღინიშნებოდა იუბილე, როგორც წელიწადი საყოველთაო მიტევების და «გათავისუფლებისა ქვეყანაში ყველა მისი მცხოვრების» (შეად. ლევ 25,10). ეს კანონი იყო მცდელობა, რომ დაეცვათ წონასწორობა და სამართლიანობა თავიანთ ურთიერთობებში სხვებთან და მიწასთან, რომელზეც ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ. იმავე დროს, ეს იყო აღიარება იმისა, რომ დედამიწის ძღვენი, თავისი ნაყოფებით, ყველას ეკუთვნის. ისინი, ვინც ამუშავებდნენ და იცავდნენ მიწას, ვალდებულნი იყვნენ, რომ გაენაწილებინათ მისი ნაყოფები, განსაკუთრებით უპოვრებისთვის, ქვრივებისთვის, ობლებისა და უცხოელებისთვის: «როცა სამკალი გექნებათ თქვენს მიწაზე, ერთიანად ნუ მომკი შენს ყანას; სამკალში დაცვენილს ნუ აკრეფ. ვენახსაც ნუ მოიმცვრევ, ყურძნის ბიმბილებს ნუ აკრებ ძირიდან; ღარიბ-ღატაკსა და მდგმურს დაუტოვე ისინი» (ლევ 19,9-10).

72. ფსალმუნები ხშირად მოგვიწოდებენ, რომ ვადიდოთ შემოქმედი ღმერთი, «დედამიწის განმვრცობი წყლებზე, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი» (ფს136,6). ისინი უხმობენ სხვა ქმნილებებსაც, რომ შემოგვიერთდნენ ამ განდი-

დებაში: «ადიდეთ იგი, მზეო და მთვარეე, ადიდეთ იგი, ყოველნო შუქურვარსკვლავნო! ადიდეთ იგი, ცანო ცათანო, და წყლებო, რომელნიც ცათა მაღლა ხართ! ადიდონ სახელი უფლისა, რადგან მან ბრძანა და შეიქმნენ» (ფს148,3-5). ჩვენ არა მარტო ვარსებობთ ღმერთის ყოვლისშემძლე ძალით; ჩვენ, აგრეთვე, ვცოცხლობთ მისით და მასთან ერთად. ამიტომაც ვცემთ მას თაყვანს.

73. წინასწარმეტყველთა ნაწერები გვაძლევს შესაძლებლობას, რომ განახლებული ძალა აღმოვაჩინოთ განსაცდელის ჟამს ყოვლისშემძლე ღმერთის განჭვრეტით, რომელმაც შექმნა სამყარო. თუმცა, ღმერთის უსაზღვრო ძალა არ გვიბიძგებს, რომ გავექცეთ მის მამობრივ სინაზეს, ვინაიდან მასში გაერთიანებულია სიყვარული და ძალა. მართლაც, მთელი ჯანსაღი სულიერება გულისხმობს ღმერთის სიყვარულის და თაყვანისცემის მიღებას, დარწმუნებულობას უფალში მისი უსაზღვრო ძალის გამო. ბიბლიაში, ღმერთი, რომელიც ათავისუფლებს და გამოისყიდის, არის იგივე ღმერთი, რომელმაც შექმნა სამყარო, ღმერთის მოქმედების ეს ორი გზა კი მჭიდროდ და ურღვევად არის ერთმანეთთან დაკავშირებული: «ეჰა, უფალო ღმერთო! შენი შექმნილია ცა და მიწა დიდი ძალითა და მოღერებული მკლავით. არაფერია შენთვის შეუძლებელი... შენ გამოიყვანე შენი ერი ისრაელი ეგვიპტის ქვეყნიდან ნიშებითა და სასწაულებით» (იერ 32,17, 21). «მარადიული ღმერთია უფალი, ქვეყნის კიდეების შემქმნელი. არ იღლება და არ იქანცე-

ბა, მიუწვდომელია მისი განგება. ის აღონიერებს დაღლილ-დაქანცულს და უძლურს ძალას ჰმატებს» (ეს 40,28ბ-29).

74. ბაბილონის ტყვეობის გამოცდილებამ წარმოშვა სულიერი კრიზისი, რომელმაც ბიძგი მისცა უფრო ღრმა რწმენას ღმერთში. ახლა კი მისმა შემოქმედებითმა ყოვლისშემძლეობამ მოუხმო ყველა ადამიანს, რომ კვალავაც ჰქონოდათ იმედი საკუთარ განსაცდელში. საუკუნეების შემდეგ, განსაცდელის და დევნის კიდევ ერთ ეპოქაში, როდესაც რომის იმპერია სრული ბატონობის დამყარებას ესწრაფვოდა, მორწმუნეები კვლავაც ჰპოვებდნენ ნუგეშს და იმედს, რაკი სულ მეტად ენდობოდნენ ყოვლისშემძლე ღმერთს: «დიადია და საკვირველი შენი საქმენი, უფალო ღმერთო, ყოვლისმპყრობელო! წრფელია და ჭეშმარიტი შენი გზანი!» (გამოცხ 15,3). ღმერთს, რომელმაც სამყარო შექმნა არაფრისაგან, შეუძლია, აგრეთვე, ჩაერიოს ამ სამყაროში და სძლიოს ბოროტების ყოველგვარ ფორმას. უსამართლობა არ არის დაუძლეველი.

75. სულიერება, რომელსაც ავიწყდება ღმერთი როგორც ყოვლისშემძლე და შემოქმედი, არ არის მისაღები. ეს გულისხმობს, მას, თუ როგორ ვცემთ თაყვანს ამქვეყნიურ ძალებს, ან როგორ ვიკავებთ ღმერთის ადგილს, იმგვარად რომ ჩვენი მოთხოვნა მისი ქმნილების ფეხქვეშ გათელვის შეუზღუდველ უფლებამდე აღწევს. საუკეთესო გზა, რომ მამაკაცებს და ქალებს დავუბრუნოთ

მათი სამართლიანი ადგილი, დავასრულოთ დედამიწაზე მათი სრული ბატონობის პრეტენზია, გულისხმობს, რომ კიდევ ერთხელ ვისაუბროთ მამის ფიგურაზე, რომელიც ქმნის სამყაროს და რომელიც მისი ერთადერთი მესაკუთრეა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანები მუდამ შეეცდებიან, რომ საკუთარი კანონები და ინტერესები მოარგონ სინამდვილეს.

III. სამყაროს საიდუმლო

76. იუდეურ-ქრისტიანულ ტრადიციაში, სიტყვა "ქმნილებას" უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე "ბუნებას", ვინაიდან მას კავშირი აქვს ღმერთის გულმოწყალე ჩანაფიქრთან, რომელშიც ყოველ ქმნილებას თავისი ფასეულობა და მნიშვნელობა გააჩნია. ბუნება ჩვეულებრივ ითვლება სისტემად, რომლის შესწავლა, გაგება და მართვაც შესაძლებელია, ხოლო ქმნილება შეიძლება გაგებული იყოს მხოლოდ, როგორც მამის ხელიდან მომდინარე ძღვენი და როგორც სინამდვილე, გასხივოსნებული იმ სიყვარულით, რომელიც ყველას მოგვიხმობს საყოველთაო თანაზიარებაში.

77. «უფლის სიტყვით შეიქმნა ზეცა» (ფს33,6). ეს გვეუბნება, რომ სამყარო არსებობაში მოვიდა გადაწყვეტილების შედეგად, და არა ქაოსის ან შემთხვევითობის, ეს კი მას სულ მეტად განადიდებს. შემქმნელი სიტყვა თავისუფალ არჩევანს

გამოხატავს. სამყარო არ შექმნილა თვითნებური ყოვლისშემძლეობის, ძალის ჩვენების ან თავკერძა სურვილის შედეგად. შექმნა სიყვარულის წყობის ნაყოფია. ღმერთის სიყვარული ყოველივე შექმნილის ფუნდამენტური მამოძრავებელი ძალაა: «რადგან ყოველი არსებული გიყვარს, და არც არას მოიძულებ, რაც შეგიქმნია; რომ გძულებოდა, ხომ არც შექმნიდი!» (სიბრძ 11,24). ამიტომაც, ყოველი ქმნილება არის საგანი მამის სინაზისა, რომელიც აძლევს მას თავის ადგილს სამყაროში. უმცირესი არსებების ხანმოკლე სიცოცხლეც კი მისი სიყვარულის საგანია, და მისი არსებობის მცირეოდენ წამებშიც კი, ღმერთი მას თავისი სიყვარულით ევლება. წმ. ბასილი დიდი თქმით, შემოქმედი არის «უკიდეგანო სიკეთე»,[44] ხოლო დანტე ალიგიერი საუბრობდა «სიყვარულზე, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს მზე და ვარსკვლავები».[45] მაშასადამე, ყოველივე შექმნილიდან წარმოიშვება «ღმერთის სიდიადე და მისი სიყვარულისმიერი გულმოწყალეობა».[46]

78. იმავე დროს, იუდეურ-ქრისტიანულმა აზროვნებამ მითებისაგან გაათავისუფლა ბუნება. როდესაც აღტაცებას გამოხატავს მისი სიდიადის და უსაზღვროების მიმართ, ის ბუნებაში აღარ ხედავს ღმრთიურობას. ამგვარად, ის სულ მეტად აჩვენებს ჩვენ ადამიანურ პასუხისმგებლობას

---

44 Hom. in Hexaemeron, 1, 2, 10: PG 29, 9.

45 Divina Commedia. Paradiso, Canto XXXIII, 145.

46 ბენედიქტე XVI, კატექეზა (9 ნოემბერი, 2005წ), 3: Insegnamenti 1 (2005), 768.

ბუნების მიმართ. ბუნების ამგვარი ხელახალი აღმოჩენა არასდროს უნდა მოხდეს ადამიანთა თავისუფლების და პასუხისმგებლობის ხარჯზე, რომლებსაც, როგორც სამყაროს ნაწილს, აქვთ მოვალეობა, რომ შესაძლებლობისამებრ დაიცვან ის და განავითარონ მისი პოტენციალი. თუკი ვაღიარებთ ბუნების ფასეულობას და სისუსტეს და, იმავე დროს, ჩვენ ღმრთივბოძებულ შესაძლებლობებს, საბოლოოდ უნდა ვთქვათ უარი შეუზღუდველი მატერიალური პროგრესის თანამედროვე მითზე. სუსტი სამყარო, რომელიც ღმერთმა ადამიანის მზრუნველობას მიანდო, გვიბიძგებს, რომ შევიმუშაოთ ჩვენი ძალაუფლების წარმართვის, განვითარების და შეზღუდვის გონივრული საშუალებები.

79. ამ სამყაროში, შემდგარი ღია სისტემებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი, შეგვიძლია აღმოვაჩინოთ ურთიერთობის და მონაწილეობის უამრავი ფორმა. ეს გვიბიძგებს, რომ ვიფიქროთ მთლიანობაზე, რომელიც გახსნილია ღმერთის ტრანსცენდენტურობის მიმართ, რომელშიც ვითარდება. რწმენა შესაძლებლობას გვაძლევს, რომ ავხსნათ იმის მნიშვნელობა და საიდუმლოებრივი მშვენიერება, რაც ხდება. ადამიანის თავისუფლებას შეუძლია თავისი გონიერი წვლილი შესთავაზოს დადებითი ევოლუციის მიმართულებით, მაგრამ შეუძლოა ახალი ბოროტებები, ტანჯვის ახალი მიზეზები და ნამდვილი უკანსვლის მომენტებიც შემატოს. ეს ქმნის გასაოცარ და დრამატულ საკაცობრიო ისტორიას, რომელიც შეიძლება გათავი-

სუფლების, ზრდის, ხსნის და სიყვარულის გაფურჩქვნად, ან საერთო დაცემის და განადგურების გზად იქცეს. ამიტომაც, ეკლესიის მოქმედება არა მარტო ისწრაფვის, რომ შეახსენოს ბუნებაზე ზრუნვის მოვალეობა, არამედ, იმავდროულად, «უნდა დაიცვას, პირველ რიგში, ადამიანი საკუთარი თავის განადგურებისაგან».[47]

80. მიუხედავად ამისა, ღმერთს, რომელსაც სურს ჩვენთან ერთად მოქმედება და თანამშრომლობა, შეუძლია კეთილის გამოტანა იმ ბოროტებებიდან, რომლებსაც ჩვენ ჩავდივართ, ვინაიდან «სული წმიდას აქვს უსაზღვრო, ღმრთიური გონების შემოქმედებითობა, რომელიც წარხოცავს ადამიანის ყველაზე რთული და მიუწვდომელი ნამოქმედარის ნამსხვრევებსაც კი».[48] შექმნა რა სამყარო განვითარების საჭიროებით, ღმერთმა გარკვეულწილად საკუთარი თავი შეზღუდა იმ მხრივ, რომ ბევრი რამ, რასაც ჩვენ ბოროტებად, საფრთხედ ან ტანჯვის წყაროდ მივიჩნევთ, სინამდვილეში ჩვილის დაბადების ტკივილების ნაყოფია, რომელსაც იგი იყენებს, რათა ჩაგვაბას შემოქმედთან თანამშრომლობის საქმეში.[49] ღმე-

47 ენციკ. Caritas in veritate (29 giugno 2009), 51: AAS 101 (2009), 687.

48 იოანე პავლე II, კატექეზა (24 აპრილი, 1991წ), 6: Insegnamenti 14/1(1991), 856.

49 კატექიზმო ასწავლის, რომ ღმერთმა მოისურვა, შეექმნა სამყარო, რომელიც იმოგზაურებდა თავისი საბოლოო სრულყოფილებისაკენ , ეს კი ნიშნავს არასრულყოფილების და ფიზიკური ბოროტების არსებობას: შეად. კათოლიკე ეკლესიის კატეხიზმო, 310.

რთი ახლოს იმყოფება ყოველ არსებასთან, ისე რომ არ ლახავს თავისი ქმნილების ავტონომიას, ეს კი საფუძველს აძლევს ამქვეყნიური საქმეების სამართლიან ავტონომიას.[50] მისი ღმრთიური ყოფნა, რომელიც ყოველი ქმნილების არსებობას და ზრდას იძლევა, «განაგრძობს შექმნის საქმეს».[51] ღმერთის სული აღავსებს სამყაროს შესაძლებლობებით და, ამიტომაც, საგანთა არსიდან შესაძლოა რაღაც ახალი გამოჩნდეს: «ბუნება სხვა არაფერია, თუ არა გარკვეული სახის ხელოვნება, კერძოდ ღმერთის ხელოვნება, აღბეჭდილი საგნებზე, საიდანაც ეს საგნები განსაზღვრული მიზნისაკენ მიემართებიან. ეს ჰგავს გემთმშენებელს, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ხე, რათა მან გემის სახე მიიღოს».[52]

81. ადამიანებს, თუმც კი ევოლუციის პროცესზე ვსაუბრობთ, აგრეთვე აქვთ უნიკალურობა, რომლის ახსნაც სრულად შეუძლებელია სხვა ღია სისტემების ევოლუციით. ყოველ ჩვენგანს საკუთარი პიროვნული იდენტობა აქვს და შეუძლია დიალოგში შევიდეს სხვებთან და თავად ღმერთთან. ჩვენი უნარი, რომ ვიაზროვნოთ, განვავითაროთ არგუმენტები, ვიყოთ შემოქმედებითი, ავხსნათ სინამდვილე და შევქმნათ ხელოვნება,

---

50 შეად. ვატიკანის II ეკუმენური კრება, სამოძღ. კონსტ. Gaudium et spes თანამედროვე სამყაროში ეკლესიის შესახებ, 36.

51 თომა აკვინელი, Summa Theologiae I, q. 104, art. 1, ad 4.

52 Id., In octo libros Physicorum Aristotelis expositio, lib. II, lectio 14.

სხვა ჯერ კიდევ აღმოუჩენელი შესაძლებლობების გვერდით, არის ნიშნები უნიკალურობისა, რომელიც ფიზიკის და ბიოლოგიის სფეროებს სცილდება. მატერიალურ სამყაროში პიროვნული ყოფიერების სრული სიახლე გვთავაზობს ღმერთის პირდაპირ მოქმედებას და განსაკუთრებულ მოწოდებას სიცოცხლისა და ურთიერთობისაკენ, რომელშიც "შენ" არის მიმართება სხვა "შენ"-თან. შექმნის ბიბლიური გადმოცემები მოგვიხმობენ, რომ ყოველი ადამიანი დავინახოთ, როგორც სუბიექტი, რომელიც არასდროს შეიძლება იყოს დაყვანილი ობიექტის სტატუსამდე.

82. თუმცა, შეცდომა იქნებოდა, რომ გვეფიქრა სხვა ცოცხალ არსებებზე, როგორც უბრალო საგნებზე, რომლებიც ადამიანის თვითნებურ ბატონობას ემორჩილება. როდესაც ბუნებას მხოლოდ სარგებლის და მიღების წყაროდ განიხილავენ, ამას სერიოზული შედეგები მოაქვს საზოგადოებისათვის. ხედვა, რომ "ძალა არის უფლება", ბადებს უზარმაზარ უთანასწორობას, უსამართლობას და ძალადობის აქტებს კაცობრიობის დიდი ნაწილის მიმართ, ხოლო რესურსები პირველმოსულთა ან უძლიერესთა ხელში ექცევა: გამარჯვებული ყველაფერს იღებს. ამ მოდელს სავსებით ეწინააღმდეგება ჰარმონიის, სამართლიანობის, ძმობის და მშვიდობის იდეალები, რომლებსაც იესო გვთავაზობს. როგორც იგი ამბობდა თავისი ეპოქის ძალებზე: «თქვენ იცით, რომ ხალხთა მთავარნი მბრძანებლობენ მათზე, და დიდებულნი განაგებენ მათ. ხოლო თქვენს შორის ნუ იქნე-

ბა ასე, არამედ ვინც თქვენში მოისურვებს უფროსობას, თქვენს მსახურად იქცეს» (მათ 20,25-26).

83. სამყაროს საბოლოო ბედისწერა ღმერთის სისავსეშია, რომელიც უკვე მიღწეულია აღმდგარი ქრისტეს მიერ, რომელიც ყველაფრის სიმწიფის საზომია.[53] აქვე შეგვიძლია დავამატოთ კიდევ ერთი არგუმენტი, რათა უარვყოთ ადამიანთა ყოველგვარი ტირანული და უპასუხისმგებლო ბატონობა სხვა ქმნილებებზე. სხვა ქმნილებების საბოლოო მიზანი არ მოიპოვება ჩვენში. მეტადრე, ყველა ქმნილება მიემართება, ჩვენთან ერთად და ჩვენი მეშვეობით, საერთო მიზნისაკენ, რომელიც ღმერთია, იმ ტრანსცენდენტურ სისავსეში, სადაც აღმდგარი ქრისტე ყოველივეს მოიცავს და ასხივოსნებს. ადამიანები, გონებით და სიყვარულით აღვსილნი და ქრისტეს სისავსით შეკრულნი, მოწოდებული არიან, რომ ყველა ქმნილება მათივე შემოქმედს დაუბრუნონ.

---

53 ამ მხრივ აღსანიშნავია პ. ტეილარდ დე შარდენის წვლილი; შეად. პავლე VI, გამოსვლა ქიმიურ-ფარმაცევტულ საწარმოში (24 თებერვალი, 1966წ): Insegnamenti 4 (1966), 992-993; იოანე პავლე II, წერილი ღირს მ. ჯორჯ ვ. კოინეს (1 ივნისი, 1988წ): Insegnamenti 11/2 (1988), 1715; ბენედიქტე XVI, ქადაგება მწუხრის დღესასწაულზე აოსტაში (24 ივლისი, 2009წ): Insegnamenti 5/2 (2009), 60.

84. ჩვენმა მტკიცებამ, რომ ყოველი ადამიანი ღმრთის ხატია, არ უნდა დაგვავიწყოს, რომ ყოველ არსებას თავისი მიზანი აქვს. არც ერთი მათგანი არ არის ზედმეტი. მთელი მატერიალური სამყარო მეტყველებს ღმერთის გულმოწყალებაზე, მის უსაზღვრო სიყვარულზე ჩვენ მიმართ. ნიადაგი, წყალი, მთები: ყველაფერი, ისევე როგორც წინათ, ღმერთის ალერსია. ღმერთთან ჩვენი მეგობრობის ისტორია მუდამ კავშირშია იმ გამორჩეულ ადგილებთან, რომლებიც მტკიცედ პიროვნულ აზრს იძენენ; ჩვენ ყველას გვახსოვს ადგილები, ამ მოგონებების გახსენება კი დიდ სიკეთეს გვანიჭებს. ვინც მთებში გაიზარდა ან ვინც წყაროსთან ჩამოჯდებოდა წყლის დასალევად, ან ვინც თავისი სამეზობლოს მოედანზე თამაშობდა, მათი დაბრუნება იმ ადგილებში არის შესაძლებლობა, რომ აღიდგინონ საკუთარი ვინაობა.

85. ღმერთმა დაწერა ძვირფასი წიგნი, «რომლის ასოებიც სამყაროში არსებული ქმნილებების სიმრავლეა».[54] კანადის ეპისკოპოსები სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ არც ერთი ქმნილება არ არის მოწყვეტილი ღმერთის ამგვარი გამოვლინებისაგან: «პანორამული ხედვებიდან უმცირეს ცოცხალ ფორმებამდე, ბუნება გაოცების და მოწიწების მუდმივი წყაროა. ის

54 იოანე პავლე II, კატეხეზა (30 იანვარი, 2002წ), 6: Insegnamenti 25/1 (2002), 140.

ღმრთიურის უწყვეტი გამოვლინებაა».[55] იაპონიის ეპისკოპოსები, თავიანთ მხრივ, დამაფიქრებლად შენიშნავდნენ: «გაგება ყოველი ქმნილებისა, რომელიც საკუთარ არსებობას უგალობს, ნიშნავს სიხარულით აღსავსე ცხოვრებას ღმერთის სიყვარულსა და იმედში».[56] ქმნილების ამგვარი განჭვრეტა შესაძლებლობას გვაძლევს, რომ ყველაფერში აღმოვაჩინოთ სწავლება, რომელიც ღმერთს სურს, რომ გადმოგვცეს, ვინაიდან «მორწმუნისათვის, ქმნილების განჭვრეტა არის გზავნილის გაგება, პარადოქსული და მდუმარე ხმის მოსმენა».[57] შეგვიძლია ვთქვათ, რომ «გამოცხადების გვერდით, რომელიც მოცემულია წმიდა წერილში, არსებობს ღმრთიური გამოვლინება მზის ბრწყინვალებასა და ღამის დადგომაში».[58] როდესაც ყურადღებას ვაქცევთ ამ გამოვლინებას, უკეთ ვხედავთ საკუთარ თავს ყველა სხვა ქმნილებასთან ურთიერთობაში: «საკუთარ თავს გამოვხატავ სამყაროს გამოხატვისას; როდესაც

---

55 კანადის კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენცია. სოციალურ საქმეთა კომისია. სამწყსო წერილი "შენ გიყვარს ყოველივე არსებული... ყოველივე შენ გეკუთვნის, ღმერთო, სიცოცხლის მოყვარულო You" (4 ოქტომბერი, 2003წ), 1.

56 იაპონიის კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენცია, სიცოცხლის მიმართ მოკრძალება. უწყება ოცდამეერთე საუკუნისათვის (1 იანვარი, 2001წ), 89.

57 იოანე პავლე II, კატეხეზა (26 იანვარი, 2000წ), 5:Insegnamenti 23/1 (2000), 123.

58 კატეხეზა (2 აგვისტო, 2000წ), 3: Insegnamenti 23/2 (2000), 112.

ვცდილობ, რომ სამყაროს სიწმიდეს ჩავწვდე, საკუთარ თავს შევიმეცნებ».[59]

86. სამყაროს მთლიანობა, ყველა თავისი მრავალგვარი ურთიერთობით, წარმოგვიჩენს ღმერთის ულევ სიმდიდრეებს. წმ. თომა აკვინელი ბრძნულად შენიშნავდა, რომ სიმრავლე და მრავალფეროვნება «მოდის პირველი მომქმედის განზრახვიდან», რომელმაც მოისურვა, რომ «რაც კი აკლდა ღმრთიური სიკეთის წარმოჩინებას, მისი შევსება სხვა რამით შეიძლებოდა»,[60] ვინაიდან ღმერთის სიკეთეს «ვერც ერთი ქმნილება ვერ წარმოაჩენს შესაფერისად».[61] ამიტომაც, უნდა შევიცნოთ საგანთა მრავალფეროვნება მათ მრავალგვარ ურთიერთობაში.[62] ჩვენ უკეთ გვესმის ყოველი ქმნილების აზრი და მნიშვნელობა, როდესაც მას განვჭვრეტთ ღმერთის ჩანაფიქრის მთლიანობაში. როგორც კატეხიზმო ასწავლის: «ღმერთს სურს ქმნილებების ურთიერთდამოკიდებულება. მზე და მთვარე, კედარი და პატარა ყვავილი, არწივი და ბეღურა: მათი უთვალავი მრავალფეროვნების და უთანასწორობის სანახაობა გვეუბნება, რომ არც ერთი ქმნილება არ არის თვითკმარი. ქმნილებები არსებობენ მხოლოდ ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულებაში,

59 პოლ რიკო, Philosophie de la volonté. 2. Finitude et Culpabilité, პარიზი,2009წ, 216 (trad. it.: Finitudine e colpa, Bologna, 1970, 258).

60 Summa Theologiae I, q. 47, art. 1.

61 იქვე.

62 შეად. იქვე., art. 2, ad. 1; art. 3.

რომ შეავსონ ერთმანეთი, ერთმანეთის სასიკეთოდ».[63]

87. როდესაც ვხედავთ ღმერთს, რომელიც ვლინდება ყოველივეში, რაც არსებობს, ჩვენი გულები განიცდიან სურვილს, რომ განადიდონ უფალი ყველა მისი ქმნილებისათვის და თაყვანი სცენ მას მათთან კავშირში. ამგვარი გრძნობა დიდებულად არის გამოხატული წმ. ფრანცისკე ასიზელის საგალობელში:

«დიდება შენდა, უფალო ჩემო,
ყოველი ქმნილითურთ,
განსაკუთრებით კი ძმა მზისათვის,
რომელიც დღეა და მის მიერ გვინათებ ჩვენ.
იგი მშვენიერია და სხივმფენი,
დიდად ბრწყინავალე;
შენსას, უზენაესო, ატარებს მნიშვნელობას.
დიდება შენდა, უფალო ჩემო,
დის მთვარისა და ვარსკვლავთათვის;
ზეცად შეგიქმნია ისინი ნათელი,
ფასეული და მშვენიერი.
დიდება შენდა, უფალო ჩემო, ძმა ქარისათვის,
ჰაერისათვის, ღრუბლისა და დარისათვის,
და ყოველგვარი ამინდისათვის,
რომლის მიერ შენს ქმნილებებს ანიჭებ
ცხოვრების სახსარს.
დიდება შენდა, უფალო ჩემო,
დისთვის წყლისათვის,
რომელიც ფრიად სარგებლიანია, მდაბალი,
ფასეული და უმანკო.

---

63 კათოლიკე ეკლესიის კატეხიზმო, 340.

დიდება შენდა, უფალო ჩემო, ძმა ცეცხლისათვის,
რომლისა მიერ ანათლებ ღამეს,
ის კი მშვენიერია, მხიარული, ლაღი და ძლიერი».[64]

88. ბრაზილიის ეპისკოპოსები აღნიშნავდნენ, რომ ბუნება, როგორც მთლიანობა, არა მარტო აცხადებს ღმერთს, არამედ მისი სამყოფელიცაა. სიცოცხლის სული სახლობს ყოველ ცოცხალ ქმნილებაში და მოგვიხმობს, რომ შევიდეთ მასთან ურთიერთობაში.[65] მისი ამ მყოფობის აღმოჩენით შეგვიძლია წაროვაჩინოთ «ეკოლოგიური სიქველეები».[66] არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობს უსაზღვრო მანძილი ღმერთს და ამ სამყაროს საგნებს შორის, რომელთაც არ აქვთ მისი სისავსე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერავითარ სიკეთეს ვერ გავუკეთებდით ამ ქმნილებებს, ვინაიდან ვერ შევიცნობდით მათ სამართლიან და შესაფერის ადგილს. საბოლოოდ კი, უსამართლოდ მოვითხოვდით მათგან იმას, რისი მოცემაც, თავიანთი სიმცირის გამო, არ შეუძლიათ.

V. საყოველთაო თანაზიარება

89. ამ სამყაროს ქმნილებები ვერ ჩაითვლებიან სიკეთედ მესაკუთრის გარეშე: «ყველაფერი შენია, სულისმოყვარეო უფალო» (სიბრძ 11,26). ეს არის საფუძველი რწმენისა, რომ ჩვენ, როგორც სამყაროს ნაწილი, არსებაში მოგვიხმო ერთმა

64 ქმნილებათა საგალობელი: FF 263.

65 შეად. ბრაზილიის ეპისკოპოსთა ეროვნული კონფერენცია, A Igreja e a questão ecológica, 1992, 53-54.

66 იქვე., 61.

მამამ, რომ ყველა ჩვენგანი შეკრულია უხილავი კავშირებით და ერთობლივად ვქმნით საყოველთაო ოჯახს, უმაღლეს თანაზიარებას, რომელიც აღგვავსებს წმიდა, მოსიყვარულე და თავმდაბალი პატივისცემით. აქ, კვალავაც გავიმეორებ, რომ «ღმერთმა იმდენად მჭიდროდ დაგვაკავშირა სამყაროსთან, რომელიც ჩვენ გარშემოა, რომ თითოეული ჩვენგანისათვის ნიადაგის გაუდაბნოება სნეულებასავით არის, ხოლო სახეობების გადაშენება - წინდაცვეთასავით».[67]

90. ეს არ ნიშნავს, რომ გავათანაბროთ ყველა ცოცხალი არსება, ადამიანს კი ჩამოვართვათ ის გამორჩეული ფასეულობა, რომელიც, იმავდროულად, უზარმაზარ პასუხისმგებლობას გულისხმობს. ეს არც დედამიწის გაღმერთებას გულისხმობს, რაც ხელს შეგვიშლიდა, რომ დაგვემუშავებინა იგი და დაგვეცვა მისი სისუსტე. ამგვარი ცნებები, საბოლოოდ, წარმოშობდა ახალ დისბალანსებს, რომლებიც ჩვენ წინაშე არსებულ სინამდვილეს აგვაცდენდა.[68] დროდადრო, ჩვენ ვხედავთ აკვიატებულ აზრს, როდესაც უარყოფენ ნებისმიერ რაიმეს, რაც შეიძლება ადამიანზე მაღლა იდგას; უფრო გულმოდგინედ ეპყრობიან სხვა სახეობების დაცვას, ვიდრე იმ ღირსების დაცვას, რომელსაც ყველა ადამიანი თანაბრად ინაწილებს. ცხადია, უნდა გვაწუხებდეს, რომ სხვა ცოცხალ

---

67 სამოც. ექსჰ. Evangelii gaudium (24 ნოემბერი, 2013წ), 215: AAS 105 (2013), 1109.

68 შეად. ბენედიქტე XVI, ენციკ. Caritas in veritate (29 ივნისი, 2009წ), 14: AAS 101 (2009), 650.

არსებებს არ მოეპყრონ უპასუხისმგებლოდ. მაგრამ განსაკუთრებით უნდა გვაშფოთებდეს ჩვენში არსებული უზარმაზარი უთანასწორობები, ვინაიდან კვლავაც თანავუგრძნობთ, რომ ზოგიერთი საკუთარ თავს სხვებზე ღირსეულად მიიჩნევს. ვეღარ ვამჩნევთ, რომ ზოგიერთი დამამცირებელი სიღატაკის ჭაობში ეფლობა, როდესაც არ არსებობს რაიმე გამოსავალი, სხვებს კი უმცირესი იდეაც კი არ აქვთ, თუ რა უყონ საკუთარ ქონებას, ამაოდ წარმოაჩენენ საკუთარ უპირატესობას, ზურგს უკან კი უამრავ ნარჩენს ტოვებენ, რომელიც, ყველგან რომ ასე იყოს, გაანადგურებდა პლანეტას. სინამდვილეში, ჩვენ კვლავაც ვუთანაგრძნობთ, როდესაც ზოგიერთი საკუთარ თავს სხვებზე უფრო ადამიანურად მიიჩნევს, თითქოს ისინი უფრო დიდი უფლებებით დაბადებულიყვნენ.

91. დანარჩენ ბუნებასთან ღრმა თანაზიარების გრძნობა ვერ იქნება ნამდვილი, როდესაც ჩვენ გულებს ჩვენი მოძმე ადამიანების მიმართ სინაზე, თანაგრძნობა და მზრუნველობა აკლია. აშკარად შეუსაბამოა საფრთხეში მყოფი სახეობებით ვაჭრობასთან ბრძოლა, როდესაც სავსებით გულგრილი ვართ ადამიანებით ვაჭრობის მიმართ, როდესაც არ გვაინტერესებს ღარიბები, ან როდესაც ვსპობთ ჩვენთვის არასასურველ ახალ ადამიანს. ეს ლახავს გარემოსათვის ჩვენი ბრძოლის აზრს. დამთხვევა არ არის, რომ საგალობელში, რომლითაც წმ. ფრანცისკე განადიდებს ღმერთს მისი ქმნილებების გამო, იგი ამბობს: «დიდება შენდა, უფალო ჩემო, მათ მიერ, ვინც მოწყალეა შენი სიყვარულისთვის». ყველაფერი ერთმანეთ-

თან არის კავშირში. ამიტომაც, გარემოს მიმართ ინტერესი უნდა შეერწყას გულწრფელ სიყვარულს ჩვენი მოძმე ადამიანების მიმართ და შეუდრეკელ ვალდებულებას საზოგადოების პრობლემათა მოსაგვარებლად.

92. ამავე დროს, როდესაც ჩვენი გულები ჭეშმარიტად გახსნილია საყოველთაო თანაზიარების მიმართ, ძმობის ამგვარი გრძნობა არაფერს და არავის გამორიცხავს. შედეგად, ჩვენი გულგრილობა ან სისასტიკე ამ სამყაროს მოძმე ქმნილებების მიმართ ადრე თუ გვიან განაპირობებს ჩვენ მოპყრობას სხვა ადამიანების მიმართ. ჩვენ მხოლოდ ერთი გული გვაქვს, და იგივე უბედურება, რომელიც გვიბიძგებს, რომ ცუდად მოვეპყროთ ცხოველს, მალევე იჩენს თავს ჩვენ ურთიერთობებში სხვა ადამიანებთანაც. ნებისმიერი ქმნილების მიმართ გამოჩენილი სისასტიკის ყოველგვარი აქტი «ეწინააღმდეგება ადამიანის ღირსებას».[69] ჩვენ ვერ ვიქნებით სიყვარულით აღვსილნი, თუკი უგულებელვყოფთ სინამდვილის რომელიმე ასპექტს: «მშვიდობა, სამართლიანობა და ქმნილების დაცვა სამი სავსებით ურთიერთდაკავშირებული თემაა, რომელთაც ვერ განაცალკევებენ და რომელთაც ვერ მოეპყრობიან ინდივიდუალურად, ისე რომ კვლავაც რედუქციონიზმის ტყვეობაში არ აღმოჩნდნენ».[70] ყველაფერი ერთმანეთთან

69 კათოლიკე ეკლესიის კატეხიზმო, 2418.

70 დომინიკელთა საეპისკოპოსოს კონფერენცია, სამწყსო წერილი Sobre la relación del hombre con la naturaleza (15 მარტი, 1987წ).

არის კავშირში, ხოლო ჩვენ, ადამიანები, გაერთიანებული ვართ, როგორც ძმები და დები, საოცარ მომლოცველობაში, გამოძერწილნი ვართ იმ სიყვარულით, რომელიც ღმერთს აქვს თავისი ქმნილებების მიმართ და რომელიც, აგრეთვე, გვაერთიანებს სათუთი სიყვარულით ძმა მზესთან, და მთვარესთან, ძმა მდინარესა და დედა მიწასთან.

VI. საქონლის საყოველთაო დანიშნულება

93. დღეს, მორწმუნეები და არა-მორწმუნეები თანხმდებიან იმაზე, რომ დედამიწა ნამდვილად არის საერთო მემკვიდრეობა, რომლის ნაყოფებიც ყველასთვის უნდა იყოს სარგებლისმომტანი. მორწმუნეებისათვის, ეს არის შემოქმედისადმი ერთგულების საკითხი, ვინაიდან ღმერთმა სამყარო ყველასათვის შექმნა. ამიტომაც, ყოველგვარი ეკოლოგიური მიდგომა უნდა მოიცავდეს სოციალურ ხედვას, რომელიც ითვალისწინებს ღარიბების და გარიყულების ფუნდამენტურ უფლებებს. საქონლის საყოველთაო დანიშნულებისადმი კერძო საკუთრების მორჩილების პრინციპი, და, ამგვარად, ყველას უფლება მათ გამოყენებაზე, არის სოციალური ქცევის ოქროს წესი და «მთელი ეთიკური და სოციალური წყობის პირველი პრინციპი».[71] ქრისტიანული ტრადიცია არასდროს სცნობდა კერძო საკუთრების უფლებას, როგორც აბსოლუტურს ან ურღვევს, და აღნიშნავდა კერძო საკუთრების ყველა ფორ-

71 იოანე პავლე II, ენციკ. Laborem exercens (14 სექტემბერი, 1981წ), 19: AAS 73 (1981), 626.

მის სოციალურ მიზანს. წმ. იოანე პავლე II მტკიცედ იმეორებდა ამ სწავლებას, როდესაც აცხადებდა, რომ «ღმერთმა დედამიწა უბოძა მთელ საკაცობრიო მოდგმას მისი ყველა წევრის გამოსაკვებად, ისე რომ არც არავინ გარიყონ ან არც არავის მიანიჭონ უპირატესობა».[72] მართლაც რომ ძლიერი სიტყვებია. იგი აღნიშნავდა, რომ «განვითარება, რომელიც პატივს არ სცემს და არ ეხმარება ადამიანის უფლებებს – პირადსა და საზოგადოებრივს, ეკონომიკურსა და პოლიტიკურს, ერებისა და ხალხების უფლებათა ჩათვლით – არ იქნება ნამდვილად ადამიანის ღირსი».[73] იგი ნათლად განმარტავდა, რომ «ეკლესია მართლაც იცავს კერძო საკუთრების კანონიერ უფლებას, მაგრამ იგი, აგრეთვე, არა ნაკლებ ნათლად ასწავლის, რომ მუდამ არსებობს ყოველგვარი კერძო საკუთრების მიმართ საზოგადოებრივი საწინდარი, რათა სიკეთეები ემსახურებოდეს იმ საყოველთაო მიზანს, რომელიც ღმერთმა მისცა მათ».[74] შესაბამისად, იგი ამტკიცებდა, «ღმერთის ჩანაფიქრთან თანხმობაში არ არის, როდესაც ამ ძღვენს იყენებენ იმგვარად, რომ მას სარგებელი მოაქვს მხოლოდ მცირეთათავის».[75] ეს სერიო-

72 ენციკ. Centesimus annus (1 მაისი, 1991წ), 31: AAS 83 (1991), 831.

73 ენციკ. Sollicitudo rei socialis (30 დეკემბერი, 1987წ), 33: AAS 80 (1988), 557.

74 მიმართვა მექსიკელ ადგილობრივებს და გლეხებს, კვილაპანი (29 იანვარი, 1979წ), 6: AAS 71 (1979), 209.

75 ქადაგება სოფლის მეურნეებისთვის აღსრულებულ წირვაზე რესიფში, ბრაზილია (7 ივლისი, 1980წ), 4: AAS 72 (1980), 926.

ზულად აყენებს ეჭვქვეშ კაცობრიობის ნაწილის უსამართლო ჩვევებს.[76]

94. მდიდრებს და ღარიბებს თანაბარი ღირსება აქვთ, ვინაიდან «ორთავეს შემქმნელი უფალია» (იგავ 22,2). «მცირეცა და დიდიც მისი შექმნილია» (სიბრძ 6,7), და «თავისი მზე ამოჰყავს კეთილთა და ბოროტთათვის» (მათ 5,45). ამას პრაქტიკული შედეგები აქვს, რომლებსაც აღნიშნავდნენ პარაგვაის ეპისკოპოსები: «ყოველ გლეხს აქვს ბუნებრივი უფლება, რომ ფლობდეს მიწის გონივრულ წილს, სადაც შეეძლება რომ დააფუძნოს თავისი კერა, იშრომოს საკუთარი ოჯახის გამოსაკვებად და ცხოვრების უზრუნველსაყოფად. ამ უფლების გამოყენება არ უნდა იყოს მოჩვენებითი, არამედ ნამდვილი. ეს ნიშნავს, რომ გარდა საკუთრების ფლობისა, სოფლის მოსახლეობას ხელი უნდა მიუწვდებოდეს ტექნიკური განათლების, კრედიტის, დაზღვევის საშუალებებზე, და ბაზრებზე».[77]

95. ბუნებრივი გარემო კოლექტიური სიკეთეა, მთელი კაცობრიობის მემკვიდრეობა და ყველას პასუხისმგებლობაა. თუკი რაიმეს ვაკეთებთ ჩვენ, ის ოდენ ყველას სიკეთისთვის უნდა იყოს გამოყენებული. თუკი ასე არ ვიქცევით, ჩვენ სინდისს სხვათა არსებობის უარყოფის ტვირთით ვიმძიმებთ. ამიტომაც ითხოვდნენ ახალი ზელანდიის ეპისკოპოსები მას, რასაც მცნება "არ მოკლა" გუ-

76 შეად. მშვიდობის მსოფლიოს დღის უწყება, 1990წ. 8: AAS 82 (1990), 152.

77 პარაგვაის ეპისკოპოსთა კონფერენცია, სამწყსო წერილი El campesino paraguayo y la tierra (12 ივნისი, 1983), 2, 4, d.

ლისხობს, როდესაც «მსოფლიოს მოსახლეობის ოცი პროცენტი მოიხმარს რესურსებს იმ დოზით, რაც ძარცვავს ღარიბ ერებს და მომავალ თაობებს იმისაგან, რაც მათი არსებობისათვის არის საჭირო».[78]

VII. იესოს მზერა

96. იესო ითავისებს ბიბლიურ რწმენას შემოქმედ ღმერთში და აღნიშნავს ფუნდამენტურ ჭეშმარიტებას: ღმერთი მამაა (შეად. მათ 11,25). თავის მოწაფეებთან საუბრისას, იესო მოუწოდებს მათ, რომ შეიცნონ მამობრივი ურთიერთობა, რომელიც ღმერთს აქვს ყველა თავის ქმნილებასთან. სინაზის გამოვლინებით, იგი შეახსენებს მათ, რომ ყოველი მათგანი მნიშვნელოვანია ღმერთის თვალში: «განა ხუთი ბეღურა ორ ასარად არ იყიდება? მაგრამ ერთი მათგანიც არ არის დავიწყებული ღმერთის წინაშე» (ლუკ 12,6). «შეხედეთ ცის ფრინველთ: არც თესავენ, არც მკიან, არც ბეღლებს ავსებენ, და მამა თქვენი ზეციერი არჩენს მათ» (მათ 6,26).

97. უფალმა შეძლო მოეხმო სხვებისათვის, რომ მზრუნველობა გამოეჩინათ იმ მშვენიერების მიმართ, რომელიც სამყაროშია, ვინაიდან თვითონ მუდმივ კავშირში იყო ბუნებასთან, სიყვარულით და აღტაცებით აღსავსე მზრუნველობას იჩენდა

78 ახალი ზელანდიის ეპისკოპოსთა კონფერენცია, ანგარიში გარემოს საკითხების შესახებ, ველინგტონი (1 სექტემბერი, 2006წ).

მის მიმართ. როდესაც კი გზად იყო, ხშირად შეჩერდებოდა ხოლმე, რომ თავისი მამის მიერ ბოძებული მშვენიერება განეჭვრიტა, და მოუწოდებდა თავის მოწაფეებს, რომ შეეცნოთ ღმერთის უწყება ქმნილებებში: «აღაპყრეთ თვალნი და იხილეთ ყანები, როგორ გადათეთრებულან სამკალად» (იოან 4,35). «ცათა სასუფეველი მსგავსია მდოგვის მარცვლისა, რომელიც აიღო კაცმა და დათესა თავის ყანაში; ეს მარცვალი ყოველნაირ თესლზე მცირეა, მაგრამ როცა ამოვა, ყველა მწვანილზე დიდი ხდება» (მათ 13,31-32).

98. იესო ცხოვრობდა ქმნილებასთან სრულ თანხმობაში, სხვები კი გაოცებული იყვნენ: «ვინ არის იგი, ქარებიც და ზღვაც რომ მორჩილებენ?» (მათ 8,27). იგი არ იყო წუთისოფლისაგან განდგომილი ასკეტი, არც ცხოვრებისეულ სიამოვნებათა მტერი: «მოვიდა ძე კაცისა; კიდეც ჭამს და კიდეც სვამს, და ამბობენ: აჰა, კაცი მჭამელი და ღვინის მსმელი» (მათ 11,19). იგი შორს იყო იმ ფილოსოფიებისაგან, რომლებსაც სძულდა სხეული, მატერია და სამყაროს საგნები. თუმცა, ამგვარმა არაჯანსაღმა გაორებებმა გავლენა იქონია ზოგიერთ ქრისტიან მოაზროვნეზე ისტორიის განმავლობაში და დაამახინჯა სახარება. იესო შრომობდა საკუთარი ხელებით, ყოველდღიური კავშირი ჰქონდა ღმერთის მიერ შექმნილ მატერიასთან, რომელსაც თავისი ოსტატობით აძლევდა ფორმას. საოცარია, რომ თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი მიუძღვნა ამ დანიშნულებას უბრალო ცხოვრებით, რომელიც სულაც არ აღძრავდა აღტაცებას: «განა ხურო არ არის, მარიამის ძე?»

(მარკ 6,3). ამგვარად, იგი წმიდად ყოფდა ადამიანის შრომას და გამორჩეულ მნიშვნელობას აძლევდა მას განვითარებისათვის. როგორც წმ. იოანე პავლე II ასწავლიდა, «შრომის შესრულებით ჩვენთვის ჯვარცმულ ქრისტესთან კავშირში, ადამიანი თანამშრომლობს ღმრთის ძესთან კაცობრიობის ხსნის საქმეში».[79]

99. სამყაროს ქრისტიანულ გაგებაში, მთელი ქმნილების ბედისწერა დაკავშირებულია ქრისტეს საიდუმლოსთან, რომელიც დასაბამიდანვე არსებობს: «ყველაფერი მის მიერ და მისთვის შეიქმნა» (კოლ 1,16).[80] იოანეს სახარების შესავალი (1,1-18) წარმოაჩენს ქრისტეს შემოქმედებით საქმეს, როგორც ღმრთის სიტყვას (Logos). მაგრამ შემდეგ, მოულოდნელად, შესავალი ამბობს, რომ ეს იგივე სიტყვა «ხორცად იქცა» (იოან 1,14). სამების ერთი პირი შემოვიდა შექმნილ კოსმოსში, მასში მიიღო თავისი ხვედრი, ჯვრის ჩათვლით. ქვეყნიერების დასაბამიდანვე, მაგრამ განსაკუთრებით განხორციელებით, ქრისტეს საიდუმლო დაფარულად მოქმედებს მთელ ბუნებრივ სამყაროში, ისე რომ ზიანს არ აყენებს მის ავტონომიას.

100. ახალი აღთქმა არა მარტო მოგვითხრობს ამქვეყნიურ იესოს და წუთისოფელთან მისი ხელ-

---

79 ენციკ. Laborem exercens (14 სექტემბერი, 1981წ), 27: AAS 73 (1981), 645.

80 ამ მიზეზით, წმ. იუსტინო საუბრობს «სიტყვის მარცვლებზე» სამყაროში: შეად. II Apologia 8, 1-2; 13, 3-6: PG 6,457-458; 467.

შესახები და სიყვარულისმიერი ურთიერთობის შესახებ. ის, აგრეთვე, აჩვენებს მას აღმდგარსა და დიდებულს, მთელ ქმნილებაში მყოფს თავისი საყოველთაო მეუფეობით: «რადგანაც კეთილინება მამამ, რომ მასში დამკვიდრებულიყო მთელი სავსება, რათა მისი მეშვეობით, შემოერიგებინა ყოველი და მისი ჯვრის სისხლით დაეცხრო ყველაფერი - მიწიერიც და ზეციერიც» (კოლ 1,19-20). ეს გვიბიძგებს, რომ ჩვენი მზერა მივაპყროთ ჟამის აღსრულებას, როდესაც ძე ყოველივეს გადასცემს მამას, რათა «ღმერთი ყველაფერი იყოს ყოველში» (1 კორ 15,28). ამგვარად, ამ სამყაროს ქმნილებები აღარ წარმოგვიდგებიან, როგორც უბრალო ბუნებრივი სინამდვილე, ვინაიდან აღმდგარი საიდუმლოებრივად მიმოიცავს და მიმართავს მათ სისავსის ბედისწერისაკენ. იგივე მინდვრის ყვავილები და ფრინველები, რომლებსაც მისი თვალები ჭვრეტდა და რომლითაც აღტაცებული იყო, ახლა მისი ბრწყინვალე ყოფნით არის განმსჭვალული.

თავი მესამე

ეკოლოგიური კრიზისის ადამიანური საფუძვლები

101. ვერაფერში დაგვეხმარება სიმპტომების აღწერა, თუკი არ ვაღიარებთ ეკოლოგიური კრიზისის ადამიანურ საფუძვლებს. ადამიანის ცხოვრების და საქმიანობის გაგების გზამ მრუდე ხასიათი მიიღო, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს ჩვენ გარშემო არსებულ სამყაროს. ნუთუ არ უნდა შევჩერდეთ და არ უნდა განვიხილოთ ის? ამიტომაც, მე გთავაზობთ, რომ ყურადღება გავამახვილოთ გაბატონებულ ტექნოკრატიულ პარადიგმასა და იმ ადგილზე, რომელიც სამყაროში უკავია ადამიანს და მის მოქმედებას.

I. ტექნოლოგია: შემოქმედებითობა და ძალაუფლება

102. კაცობრიობა შევიდა ახალ ეპოქაში, რომელშიც ტექნოლოგიის ძლიერება გზაჯვარედინზე გვაყენებს. ჩვენ ვართ მემკვიდრეები ორსაუკუნოვანი ცვლილების უზარმაზარი ტალღისა: ორთქლის ძრავები, რკინიგზები, ტელეგრაფი, ელექტროენერგია, ავტომობილები, თვითმფრინავები, ქიმიური მრეწველობები, თანამედროვე მედიცინა, ინფორმაციული ტექნოლოგია და,

ბოლოს, ციფრული რევოლუცია, რობოტები, ბიოტექნოლოგიები და ნანოტექნოლოგიები. სწორია, როდესაც გვახარებს ასეთი წარმატებები და აღტაცებულნი ვართ იმ უსაზღვრო შესაძლებლობებით, რომლებსაც ისინი გვაძლევენ, ვინაიდან «მეცნიერება და ტექნოლოგია ღმრთივბოძებული ადამიანის შემოქმედებითობის გასაოცარი ნაყოფია».[81] სასარგებლო მიზნებით ბუნების სახეცვლილება საკაცობრიო ოჯახის მახასიათებელი თვისებაა დასაბამიდანვე; თვითონ ტექნოლოგია «გამოხატავს ადამიანის სულის დაძაბულობას გარკვეული მატერიალური შეზღუდვების თანდათანობითი დაძლევის მიმართ».[82] ტექნოლოგია იმ უთვალავი ბოროტების მორჩენის საშუალებაა, რომლებიც ზიანს აყენებენ და ზღუდავენ ადამიანებს. როგორ შეიძლება, რომ მადლიერება არ გამოვხატოთ და არ დავაფასოთ ამგვარი პროგრესი, განსაკუთრებით მედიცინის, ინჟინერიის და კომუნიკაციების სფეროში? როგორ შეიძლება, არ ვაღიაროთ მრავალი მეცნიერის და ინჟინერის შრომა, რომლებმაც ალტერნატიული გზები შეიმუშავეს მდგრადი განვითარებისათვის?

103. ტექნომეცნიერებას, როდესაც კარგად არის წარმართული, შეუძლია მნიშვნელოვნად

---

81 იოანე პავლე II, მიმართვა გაერთიანებული ერების უნივერსიტეტის მეცნიერების, კულტურის და უმაღლესი სწავლების წარმომადგენლებს, ჰიროსიმა (25 თებერვალი, 1981წ), 3: AAS 73 (1981), 422.

82 ბენედიქტე XVI, ენციკ. Caritas in veritate (29 ივნისი, 2009წ), 69: AAS 101 (2009), 702.

გააუმჯობესოს ადამიანის ცხოვრების დონე, შიდა გამოყენების საგნებიდან ტრანსპორტირების დიდ საშუალებებამდე, როგორიცაა ხიდები, ნაგებობები და საჯარო სივრცეები. მას, აგრეთვე, შეუძლია შექმნას ხელოვნება და შესაძლებლობა მისცეს მამაკაცებს და ქალებს, რომლებიც მატერიალურ სამყაროში იმყოფებიან, რომ "შეაბიჯონ" მშვენიერების სამყაროში. ვინ შეუძლია უარყოს თვითმფრინავის ან ცათამბრჯენის მშვენიერება? ხელოვნების და მუსიკის ფასეული შრომა ახალ ტექნოლოგიებს იყენებს. ამიტომაც, მშვენიერების სურვილში, როდესაც ახალ ტექნიკურ იარაღებს იყენებენ, და ამგვარი მშვენიერების განჭვრეტაში, ხდება ნახტომი ცხადი ადამიანური სისავსისაკენ.

104. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ბირთვულმა ენერგიამ, ბიოტექნოლოგიამ, ინფორმაციულმა ტექნოლოგიამ, ჩვენი დე-ენ-ემის ცოდნამ, და მრავალმა სხვა შესაძლებლობამ, რომლებსაც მივაღწიეთ, უზარმაზარი ძალაუფლება მოგვცა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მათ მოგვცეს ცოდნა და, განსაკუთრებით, ეკონომიკური რესურსები მათ გამოსაყენებლად, შთამბეჭდავი ბატონობა მთელ კაცობრიობასა და მთელ სამყაროზე. კაცობრიობას არასდროს ჰქონია ასეთი ძალაუფლება საკუთარ თავზე, თუმცა არ არსებობს საწინდარი, რომ მას ბრძნულად გამოიყენებენ, განსაკუთრებით მაშინ როდესაც ვხედავთ, თუ როგორ იყენებენ მას ამჟამად. საკმარისია ვიფიქროთ ბირთვულ ბომბებზე, რომლებიც ჩამოყარეს მეოცე საუკუნის შუა პერიოდში, ან იმ

ტექნოლოგიის ჩვენებებზე, რომლებსაც ნაციზმი, კომუნიზმი და სხვა ტოტალიტარული რეჟიმები იყენებდნენ მილიონობით ადამიანის გასანადგურებლად, რომ აღარაფერი ვთქვათ თანამედროვე ომის წარმოებისათვის ხელმისაწვდომი იარაღის მზარდად მომაკვდინებელი არსენალის შესახებ. ვის ხელშია მთელი ეს ძალაუფლება, ან საბოლოოდ რითი დასრულდება ის? უკიდურესად სარისკოა, რომ ის კაცობრიობის მცირე ნაწილის ხელში იყოს.

105. არსებობს ტენდენცია იმის რწმენისა, რომ «ძალაუფლების ყოველგვარი ზრდა ნიშნავს "პროგრესის" ზრდას, უსაფრთხოების, სარგებლიანობის, კეთილდღეობის და ცოცხალი ძალის წინსვლას; ...ახალი ფასეულობების ასიმილაციას კულტურის დინებაში»,[83] თითქოს სინამდვილე, სიკეთე და ჭეშმარიტება ავტომატურად მოედინებოდეს ტექნოლოგიური და ეკონომიკური ძალაუფლებიდან. ფაქტია, რომ «თანამედროვე ადამიანი არ არის გამოწრთობილი ძალაუფლების კეთილად გამოყენებისათვის»,[84] ვინაიდან ჩვენ უსაზღვრო ტექნოლოგიურ განვითარებას თან არ ახლავს ადამიანის პასუხისმგებლობის, ფასეულობების და სინდისის განვითარება. ყოველ ეპოქას საკუთარი შეზღუდვების მხოლოდ მწირი შეგნება გააჩნია. შესაძლოა, არც კი გვესმის

83 რომანო გვარდინი, Das Ende der Neuzeit, Würzburg 19659, 87 (თანამედროვე ეპოქის დასასრული, ბრეშია, 1987წ, 80).

84 იქვე. (ed. it.: 81).

ამჟამად ჩვენ წინაშე არსებული გამოწვევების სერიოზულობა. «დღითიდღე მატულობს რისკი, რომ ადამიანი არ გამოიყენებს საკუთარ ძალაუფლებას ისე, როგორც უნდა გამოიყენოს», მართლაც, «ძალაუფლება არასდროს განიხილება იმ არჩევანის პასუხისმგებლობის პირობებში, რომელიც თავისუფლებას ახასიათებს», ვინაიდან მისი «ერთადერთი ნორმა მიიღება მტკიცე საჭიროებიდან, სარგებლიანობიდან ან უსაფრთხოებიდან».[85] მაგრამ ადამიანები არ არიან სრულად ავტონომიურნი. ჩვენი თავისუფლება ფერმკრთალდება, როდესაც გაუცნობიერებელი, საშური საჭიროებების, თვით-ინტერესის და ძალადობის ბრმა ძალების ხელში ექცევა. ამ აზრით, ჩვენ შიშველი და დაუცველი ვდგავართ ჩვენი სულ უფრო მზარდი ძალაუფლების წინაშე და არ გაგვაჩნია მისი მართვის რაიმე საშუალება. ჩვენ გვაქვს გარკვეული ზერელე მექანიზმები, მაგრამ გვაკლია ჯანსაღი ეთიკა, კულტურა და სულიერება, რომლებსაც ნამდვილად შეუძლიათ საზღვრების დადგენა და ცხადი თავშეკავების სწავლება.

II. ტექნოკრატიული პარადიგმის გლობალიზაცია

106. ფუნდამენტური პრობლემა კიდევ უფრო სიღრმისეულია: ეს არის მეთოდი, რომლითაც კაცობრიობა იღებს ტექნოლოგიას და მის განვითარებას ერთგვაროვანი და ერთგანზომილებიანი პარადიგმის მიხედვით. ეს პარადიგმა განა-

85 იქვე., 87-88 (ed. it.: 81).

დიდებს სუბიექტის ცნებას, რომელიც, იყენებს რა ლოგიკურ და გონივრულ პროცედურებს, თანდათანობით უახლოვდება და კონტროლს იღებს გარეგან საგანზე. ეს სუბიექტი ყველანაირად ცდილობს, რომ დაადგინოს მეცნიერული და ექსპერიმენტული მეთოდი, რომელიც თავისთავად უკვე საკუთრების, ბატონობის და გარდაქმნის ტექნიკაა. ეს ჰგავს სუბიექტს, რომელიც საკუთარ თავს პოულობს რაიმე უფორმოს არსებობაში, რომლის მართვაც სავსებით შესაძლებელია. მამაკაცები და ქალები გამუდმებით ერეოდნენ ბუნებაში, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში ეს თანხმობაში იყო და პატივს სცემდა იმ შესაძლებლობებს, რომლებსაც თვითონ ქმნილებები იძლეოდნენ. ამიტომაც, შესაძლებელი იყო იმის მიღება, რასაც თვითონ ბუნება იძლეოდა, თითქოს საკუთარი ხელიდან. ახლა კი, პირიქით, ჩვენ ვადებთ ხელს საგნებს, ვცდილობთ ავიღოთ ყველაფერი მათგან, რაც კი შესაძლებელია, ხშირად კი არად ვაგდებთ ან სულაც გვავიწყდება ჩვენ წინაშე არსებული სინამდვილე. ადამიანები და მატერიალური საგნები აღარ უწვდიან ერთმანეთს მეგობრულ ხელს; მათი ურთიერთობა წინააღმდეგობრივი გახდა. ამან გააადვილა უსაზღვრო ან ზღვარდაუდებელი ზრდის იდეის მიღება, რომელიც ასე იზიდავს ეკონომისტებს, ფინანსისტებს და ტექნოლოგიის ექსპერტებს. ის ემყარება სიცრუეს, რომ დედამიწის საქონლის მარაგი ამოუწურავია, ეს კი პლანეტის ზღვარდაუდებელ "გამოწურვას" იწვევს. არასწორია ცნება, რომ «ხელმისაწვდომია ენერგიის და რესურსების

უსაზღვრო ოდენობა, რომ შესაძლებელია მათი სწრაფი განახლება, და რომ ადვილად შეიძლება ბუნებრივი წესრიგის ექსპლუატაციის უარყოფითი შედეგების აღმოფხვრა».[86]

107. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი მსოფლიოს მრავალი პრობლემა მომდინარეობს ტენდენციიდან, ზოგჯერ გაუცნობიერებლადაც, რომ მეცნიერების და ტექნოლოგიის მეთოდი და მიზნები ეპისტემოლოგიურ პარადიგმად აქციონ, რომელიც ინდივიდების ცხოვრებას და საზოგადოების საქმიანობას განაპირობებს. მთელ სინამდვილეზე, ადამიანურსა და სოციალურზე, ამ მოდელის მორგების შედეგები ჩანს გარემოს დეგრადაციაში, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ნიშანია რედუქციონიზმისა, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის და საზოგადო ცხოვრების ყველა ასპექტზე. უნდა შევთანხმდეთ, რომ ტექნოლოგიური პროდუქტები არ არის ნეიტრალური, ვინაიდან ისინი ქმნიან წყობას, რომელიც განაპირობებს ცხოვრების წესებს და ქმნის სოციალურ შესაძლებლობებს იმ პირობებში, რომლებსაც გარკვეული ძლიერი ჯგუფების ინტერესები კარნახობს. გადაწყვეტილებები, რომლებიც შესაძლოა წმინდად ინსტრუმენტული ჩანდეს, სინამდვილეში არის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება იმ სახის საზოგადოებას, რომელიც უნდა შევქმნათ.

108. იდეა, რომ ხელი შეუწყონ განსხვავებულ კულტურულ პარადიგმას და გამოიყენონ ტექნო-

86 სამართლიანობის და მშვიდობის პონტიფიკალური საბჭო, ეკლესიის სოციალური მოძღვრების კომპენდიუმი, 462.

ლოგია, როგორც უბრალო იარაღი, დღესაც მიუწ-ვდომელია. ტექნოლოგიური პარადიგმა იმდენად გაბატონდა, რომ რთული იქნება რაიმეს გაკეთება მისი რესურსების გარეშე და კიდევ უფრო რთული იქნება მათი გამოყენება მათი შინაგანი ლოგიკის ბატონობის გარეშე. კულტურის საწინააღმდეგოდ იქცა ცხოვრების წესის არჩევა, რომლის მიზნებიც, ნაწილობრივ მაინც, დამოუკიდებელია ტექნოლოგიისგან, მისი ხარჯებისგან და მისი გლობალიზაციური ძალაუფლებისგან, რომელიც ყველას ერთფეროვნად გვაქცევს. ტექნოლოგია ისწრაფვის, რომ ყველაფერი შთანთქას თავის რკინისებურ ლოგიკაში, ხოლო «ადამიანმა, რომელიც მთავარი მოქმედი პირია, კარგად იცის, რომ საბოლოოდ ის არ ესწრაფვის არც სარგებელს, და არც კაცობრიობის კეთილდღეობას», რომ «ცნების ყველაზე რადიკალური აზრით, ძალაუფლება არის მისი მოტივი – ბატონობა ყველაფერზე».[87] შედეგად, «ადამიანი ხელთ იგდებს ბუნების და ადამიანის ბუნების ელემენტებს».[88] ჩვენი შესაძლებლობა, რომ მივიღოთ გადაწყვეტილებები, უფრო ნამდვილი თავისუფლება და სივრცე თითოეულის ალტერნატიული შემოქმედებითობისათვის, მცირდება.

109. ტექნოკრატიული პარადიგმა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე გაბატონებასაც ესწრაფვის. ეკონომიკა ტექნოლოგიაში მომხდარ

87 რომანო გვარდინი, Das Ende der Neuzeit, 63-64 (თანამედროვე ეპოქის დასასრული, 58).

88 იქვე., 64 (ed. it.: 58).

ყოველგვარ წინსვლას სარგებლის ხედვით იღებს და არ აფიქრებს მისი პოტენციურად უარყოფითი გავლენა ადამიანებზე. ფინანსები სულს უხუთავს რეალურ ეკონომიკას. გლობალური ფინანსური კრიზისის გაკვეთილები ვერ შეითვისეს, გარემოს დეგრადაციის გაკვეთილებს კი სულ უფრო ნელა ვსწავლობთ. გარკვეული წრეები ამტკიცებენ, რომ დღევანდელი ეკონომიკა და ტექნოლოგია მოაგვარებს გარემოს ყველა პრობლემას, და იმასაც ამტკიცებენ, პოპულარულ და არა-ტექნიკურ პირობებში, რომ გლობალური შიმშილის და სიღარიბის პრობლემები მოგვარებული იქნება უბრალოდ ბაზრის ზრდით. ისინი ნაკლებადაა კავშირში გარკვეულ ეკონომიკურ თეორიებთან, რომლებსაც დღეს იშვიათად თუ იცავს ვინმე, ვიდრე მათ მოქმედებასთან ეკონომიკის მუშაობაში. ისინი შესაძლოა არ ამტკიცებდნენ ასეთ თეორიებს სიტყვიერად, თუმცა მხარს უჭერენ მათ საკუთარი მოქმედებებით, როდესაც არ აინტერესებთ წარმოების უფრო დაბალანსებული დონეები, სიმდიდრის უკეთესი განაწილება, გარემოს მიმართ ინტერესი და მომავალი თაობების უფლებები. მათი ქცევა აჩვენებს, რომ მათთვის საკმარისია მოგების ზრდა. თუმცა, საკუთრივ ბაზარი ვერ უზრუნველყოფს ადამიანის ინტეგრალურ განვითარებას და სოციალურ ჩართულობას.[89] იმავე დროს, ჩვენ გვაქვს «მფლანგველური და მომხმარებლური "ზეგანვითარება", რომელიც ქმნის მიუღებელ წინააღმდეგობას

89 შეად. ბენედიქტე XVI, ენციკ. Caritas in veritate (29 ივნისი, 2009წ), 35: AAS 101 (2009), 671.

არაადამიანური განძარცვულობის ამჟამინდელი ვითარებების მიმართ»,[90] როდესაც ძალზე ნელი ტემპით ვითარდება ეკონომიკური დაწესებულებები და სოციალური ინიციატივები, რომელთა დახმარებითაც ღარიბებს შეეძლებათ მუდმივად მიუწვდებოდეთ ხელი ძირითად რესურსებზე. ჩვენ ვერ ვამჩნევთ დღევანდელი წარუმატებლობების უღრმეს საფუძვლებს, რომლებიც უკავშირდება ტექნოლოგიური და ეკონომიკური ზრდის მიმართულებას, მიზნებს, მნიშვნელობას და სოციალურ შედეგებს.

110. ტექნოლოგიის სპეციალიზაცია ართულებს ფართო სურათის დანახვას. ცოდნის ფრაგმენტულობა სასარგებლოა კონკრეტული შემთხვევებისათვის, თუმცა ის, ხშირ შემთხვევაში, ვერ აფასებს მთლიან ურთიერთობებს საგნებს შორის, უფრო ფართო ჰორიზონტს, რომელიც შემდეგ შეუფერებელი ხდება. ეს ფაქტი ართულებს დღევანდელი მსოფლიოს უფრო რთული პრობლემების მოგვარებისათვის შესაფერისი გზების გამოძებნას, განსაკუთრებით როდესაც საქმე ეხება გარემოს და ღარიბებს; ამ პრობლემებთან გამკლავება შეუძლებელია ერთი ცალკეული ხედვით ან ინტერესთა ცალკეული რიგით. მეცნიერება, რომელიც დიდი საკითხების მოგვარების საშუალებებს იძლევა, აუცილებლად გაითვალისწინებს იმ მონაცემებს, რომლებსაც ცოდნის სხვა სფეროები იძლევა, როგორიცაა ფილოსოფია

90 იქვე., 22: p. 657.

და სოციალური ეთიკა; მაგრამ დღეს ეს მისაღწევად რთული ჩვევაა. არც ნამდვილი ეთიკური ჰორიზონტები არსებობს, რომლებსაც შეიძლება მიმართონ. ცხოვრება თანდათანობით იქცევა მორჩილებად იმ ვითარებების მიმართ, რომლებსაც ტექნოლოგია განაპირობებს, როდესაც ეს უკანასკნელი საკუთარ თავს არსებობის აზრის მთავარ გასაღებად თვლის. კონკრეტულ ვითარებაში, რომელიც ჩვენ წინაშეა, არსებობს უამრავი სიმპტომი, რომლებიც აჩვენებს იმას, რაც არასწორია, როგორიცაა გარემოს დეგრადაცია, მღელვარება, პირადი და საზოგადო ცხოვრების მიზნის დაკარგვა. კიდევ ერთხელ ვხედავთ, რომ «სინამდვილე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე იდეა».[91]

111. ეკოლოგიური კულტურა არ შეიძლება დაყვანილი იყოს საშურ და ნაწილობრივ პასუხებამდე დაბინძურების, გარემოს დეგრადაციის და ბუნებრივი რესურსების ამოწურვის საშურ პრობლემებზე. საჭიროა განსხვავებული ხედვა, აზროვნება, პოლიტიკა, საგანმანათლებლო პროგრამა, ცხოვრების წესი და სულიერება, რომლებიც წინააღმდეგობას უქმნიან ტექნოკრატიული პარადიგმის წინსვლას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საუკეთესო ეკოლოგიური ინიციატივებიც კი შეიძლება იმავე გლობალიზებულ ლოგიკაში ჩაიკეტოს. გარემოს არსებული პრობლემების მიმართ მხოლოდ ტექ-

91 სამოც. ექსჰ. Evangelii gaudium (24 ნოემბერი, 2013წ), 231: AAS 105 (2013), 1114.

ნიკური საშუალების ძიება ნიშნავს იმის განცალ-კევებას, რაც სინამდვილეში ერთმანეთთან არის კავშირში, და გლობალური სისტემის ჭეშმარიტი და უღრმესი პრობლემების შენიღბვას.

112. თუმცა, შეგვიძლია კვლავაც გავაფართოოთ ჩვენი ხედვა. ჩვენ გვაქვს თავისუფლება, რომელიც საჭიროა ტექნოლოგიის შეზღუდვისა და მართვისათვის; ჩვენ შეგვიძლია ის ჩავაყენოთ სხვა სახის პროგრესის სამსახურში, რომელიც უფრო ჯანსაღი, უფრო ადამიანური, უფრო სოციალური, უფრო ინტეგრალურია. გაბატონებული ტექნოკრატიული პარადიგმისაგან გათავისუფლება, მართლაც, არ ხდება ზოგჯერ, მაგალითად, როდესაც მცირე მწარმოებელთა კოოპერატივები იღებენ წარმოების ნაკლებად დამაბინძურებელ საშუალებებს და ირჩევენ ცხოვრების, დასვენების და ურთიერთობის არამომხმარებლურ მოდელს. ან როდესაც ტექნოლოგია მიმართულია, პირველ რიგში, ადამიანთა კონკრეტული პრობლემების მოგვარებისაკენ, როდესაც ჭეშმარიტად ეხმარება მათ, რომ მეტი ღირსებით და ნაკლები ტანჯვით იცხოვრონ. ან, მართლაც, როდესაც მშვენიერების შექმნის და განჭვრეტის სურვილი სძლევს რედუქციონიზმს გარკვეული სახის ხსნით, რომელიც ხორცს ისხამს მშვენიერებასა და მათში, ვინც მას იხილავს. ჭეშმარიტი კაცობრიობა, რომელიც ახალ სინთეზს საჭიროებს, მკვიდრობს ჩვენ ტექნოლოგიურ კულტურაში, თითქმის შეუმჩნევლად, მსგავსად ნისლისა, რომელიც ნაზად გაედინება დახურული კარის

ქვეშ. იქნება კი დაპირება მუდმივი, მიუხედავად ყველაფრისა, რომელიც სულ უფრო ძლიერი წინააღმდეგობაა იმის მიმართ, რაც ჭეშმარიტია?

113. ფაქტია ისიც, რომ ადამიანებს აღარ სწამთ ბედნიერი მომავლის; ისინი ბრმად აღარ ენდობიან უკეთეს ხვალინდელ დღეს, რომელიც სამყაროს და ჩვენი ტექნიკური შესაძლებლობების ამჟამინდელ მდგომარეობას ემყარება. სულ მეტად აცნობიერებენ, რომ სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესი ვერ გაუთანაბრდება კაცობრიობის და ისტორიის პროგრესს, სულ მეტად არსებობს შეგრძნება, რომ უკეთესი მომავლის გზა სხვა რამეშია. ეს არ გულისხმობს იმ შესაძლებლობებზე უარის თქმას, რომლებსაც კვლავაც გვთავაზობს ტექნოლოგია. მაგრამ კაცობრიობა სიღრმისეულად შეიცვალა, მუდმივი სიახლეების ერთობა კი განადიდებს ზედაპირულობას, რომელსაც ერთი მიმართულებით მივყავართ. რთული ხდება შეჩერება და ცხოვრებისეული სიღრმის აღდგენა. თუკი არქიტექტურა ეპოქის სულს ასახავს, ჩვენი მეგასტრუქტურები და ერთფეროვანი ნაგებობები გლობალიზებული ტექნოლოგიის სულს გამოხატავს, სადაც პროდუქტების მუდმივი სიახლე მოსაწყენ მონოტონურობასთან თანაარსებობს. დაე, ნუ დავემორჩილებით მას, და კვლავაც შევიტკბოთ ყველაფრის მიზანი და მნიშვნელობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ დავაკანონებთ დღევანდელ მდგომარეობას და თავდაღწევის ახალი ფორმები დაგვჭირდება, რათა ამ სიცარიელეს გავუძლოთ.

114. ყოველივე ეს აჩვენებს სასწრაფო საჭიროებას, რომ გაბედულად წავიდეთ წინ კულტურული რევოლუციისაკენ. მეცნიერება და ტექნოლოგია არ არიან ნეიტრალურნი; დასაწყისიდან პროცესის ბოლომდე, მრავალი განზრახვა და შესაძლებლობა არსებობს, რომლებსაც სხვადასხვა ფორმის მიღება შეუძლიათ. არავის სურს, რომ ქვის ხანას დაუბრუნდეს, მაგრამ საჭიროა, რომ შევანელოთ სვლა და განსხვავებულად შევხედოთ სინამდვილეს, შევითვისოთ დადებითი და მდგრადი პროგრესი, რომელიც მიღწეული იქნა, მაგრამ აღვადგინოთ ის ფასეულობები და დიდი მიზნებიც, რომლებიც საკუთარი სიდიადის ზღვარდაუდებელი ილუზიებით გავანადგურეთ.

III. თანამედროვე ანთროპოცენტრიზმის კრიზისი და შედეგები

115. თანამედროვე ანთროპოცენტრიზმმა, პარადოქსულად, ტექნიკური აზროვნება დააყენა სინამდვილეზე მაღლა, ვინაიდან ადამიანი «აღარ აღიქვამს ბუნებას, როგორც ქმედით ნორმას, როგორც ცოცხალ თავშესაფარს. მას უყურებს თეორიის გარეშე, ობიექტურად, როგორც სივრცეს და მატერიას, სადაც შეგიძლია გადაყარო ყველაფერი, და მნიშვნელობა არ აქვს, ეს რას გამოიწვევს».[92] ამგვარად, მცირდება სამყაროს შინაგანი ფასეულობა. მაგრამ თუკი ადამიანი არ

92 რომანო გვარდინი, Das Ende der Neuzeit, 63 (თანამედროვე ეპოქის დასასრული, 57-58).

დაუბრუნდება თავის ჭეშმარიტ ადგილს, შესაფერისად ვერ შეიცნობს საკუთარ თავს, საბოლოოდ კი დაუპირისპირდება საკუთარ სინამდვილეს. «ღმერთმა ადამიანს არა მარტო უბოძა მიწა, არამედ ის უნდა გამოიყენოს კიდეც, ისე რომ პატივი სცეს სიკეთის თავდაპირველ განზრახვას, რომლითაც ის იქნა ბოძებული; მაგრამ ადამიანი ბოძებულია საკუთარი თავისთვის ღმერთის მიერ და, ამიტომაც, პატივი უნდა სცეს ბუნებრივ და ზნეობრივ წყობას, რომელიც მას გააჩნია».[93]

116. თანამედროვეობას ახასიათებს უკიდურესი ანთროპოცენტრიზმი, რომელიც დღეს, სხვა შესახედაობით, კვლავაც ადგას ურთიერთგაგების და სოციალური კავშირების განსამტკიცებლად ნებისმიერი მცდელობის გზას. დადგა დრო, რომ განახლებული ყურადღება მივაქციოთ სინამდვილეს და მისგან წარმოშობილ შეზღუდვებს; ეს, თავის მხრივ, ინდივიდების და საზოგადოების უფრო ჯანსაღი და ნაყოფიერი განვითარების პირობაა. ქრისტიანული ანთროპოლოგიის არასათანადო წარმოჩინებამ გამოიწვია ადამიანებს და სამყაროს შორის ურთიერთობის არასწორი გაგება. ხშირად, გადმოცემული არის პრომეთესეული ხედვა სამყაროზე ბატონობისა, რომელიც შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ბუნების დაცვაზე მხოლოდ სუსტი გულის მქონე ადამიანი ზრუნავს.

93 იოანე პავლე II, ენციკ. Centesimus annus (1 მაისი, 1991წ), 38: AAS 83 (1991), 841.

ნაცვლად, ჩვენი “ბატონობა” სამყაროზე უფრო შესაფერისად უნდა იყოს გაგებული პასუხისმგებლიანი ხელმძღვანელობის საზრისით.[94]

117. როდესაც უარს ვამბობთ, რომ ყურადრება დავუთმოთ ბუნებისათვის მიყენებულ ზიანს და გარემოზე ჩვენი გადაწყვეტილებებით გამოწვეულ გავლენას, ეს არის ცხადი ნიშანი იმ გზავნილის უგულებელყოფისა, რომელსაც თვითონ ბუნების აგებულება შეიცავს. როდესაც სინამდვილის ნაწილად არ ვაღიარებთ უპოვრის, ადამიანის ჩანასახის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პიროვნების ღირებულებას, - და ეს მხოლოდ მცირეოდენი მაგალითებია - რთული ხდება თვით ბუნების ძახილის გაგება; ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. როდესაც ადამიანი აცხადებს დამოუკიდებლობას სინამდვილისაგან და მოქმედებს სრული ბატონობით, რღვევას იწყებს ჩვენი ცხოვრების საფუძვლები, ვინაიდან «ნაცვლად იმისა, რომ შეასრულოს საკუთარი როლი, როგორც ღმერთთან თანა-მშრომელი შექმნის საქმეში, ადამიანი საკუთარ თავს ღმერთის ადგილას აყენებს, ამით კი, საბოლოოდ, ბუნების ამბოხს იწვევს».[95]

---

94 შეად. დეკლარაცია სიყვარული ქმნილების მიმართ. აზიის პასუხი ეკოლოგიურ პრიზისზე, აზიის ეპისკოპოსთა კონფერენციების ფედერაციის მხარდაჭერით მოწყობილი შეხვედრა (ტაგაიტაი, 31 იანვარი-5 თებერვალი, 1993წ), 3.3.2.

95 იოანე პავლე II, ენციკ. Centesimus annus (1 მაისი, 1991წ), 37: AAS 83 (1991), 840.

118. ასეთი მდგომარეობა მუდმივ შიზოფრენიას იწვევს, რომელშიც ტექნოკრატია, რომელიც ვერავითარ შინაგან ფასეულობას ვერ ხედავს მცირე არსებებში, თანაარსებობს სხვა უკიდურესობასთან, რომელიც ვერავითარ გამორჩეულ ფასეულობას ვერ ხედავს ადამიანებში. მაგრამ ვერავინ გაემიჯნება კაცობრიობას. ვერ განახლდება ჩვენი ურთიერთობა ბუნებასთან, თუკი თავად კაცობრიობა არ განახლდება. ვერ იარსებებს ეკოლოგია შესაფერისი ანთროპოლოგიის გარეშე. როდესაც ადამიანი სხვების მსგავს უბრალო არსებად, შემთხვევითობის ან ფიზიკური დეტერმინიზმის პროდუქტად მოიაზრება, მაშინ «მთელი ჩვენი პასუხისმგებლობის გრძნობა მცირდება».[96] მცდარმა ანთროპოცენტრიზმმა ადგილი არ უნდა დაუთმოს აუცილებლად "ბიოცენტრიზმს", ვინაიდან ეს კიდევ ერთ დისბალანსს გამოიწვევს, ხელს შეუშლის დღევანდელი პრობლემების მოგვარებას და ახლებს წარმოშობს. მოსალოდნელი არ არის, რომ ადამიანები პასუხისმგებლობას იგრძნობენ სამყაროს მიმართ, ვიდრე, იმავდროულად, აღიარებული და დაფასებული არ იქნება ცოდნის, ნების, თავისუფლების და პასუხისმგებლობის მათი უნიკალური შესაძლებლობები.

119. მცდარი ანთროპოცენტრიზმის კრიტიკამაც კი არ უნდა უგულებელყოს ადამიანებს შორის ურთიერთობების მნიშვნელობა. თუკი

96 ბენედიქტე XVI, მშვიდობის მსოფლიო დღის უწყება, 2010წ., 2: AAS 102 (2010), 41.

დღევანდელი ეკოლოგიური კრიზისი თანამედროვეობის ეთიკური, კულტურული და სულიერი კრიზისის ერთი მცირე ნიშანია, არ შეიძლება ვიფიქროთ ბუნებასა და გარემოსთან ჩვენი ურთიერთობის გამოკეთებაზე, თუკი არ გამოვაკეთებთ ადამიანის ყველა ფუნდამენტურ ურთიერთობას. ქრისტიანული აზროვნების მიხედვით, ადამიანებს აქვთ განსაკუთრებული ღირსება, რომლითაც სხვა ქმნილებებზე მაღლა დგანან; ამიტომაც, ის პატივს სცემს ყოველ ადამიანს და ყველას. ჩვენი გახსნილობა სხვების მიმართ, რომელთაგან ყოველი არის "შენ", ცოდნის, სიყვარულის და დიალოგში შესვლის შემძლე, ჩვენი, როგორც ადამიანების, კეთილშობილების წყაროდ რჩება. სწორი ურთიერთობა შექმნილ სამყაროსთან მოითხოვს, რომ არ შევასუსტოთ სხვების მიმართ გახსნილობის ეს სოციალური განზომილება, უფრო ნაკლებად ღმერთის "შენ"-ის მიმართ გახსნილობის ტრანსცენდენტური განზომილება. ჩვენი ურთიერთობა გარემოსთან ვერასდროს გაემიჯნება ჩვენ ურთიერთობას სხვებთან და ღმერთთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სხვა არაფერი იქნება, თუ არა რომანტიკული ინდივიდუალიზმი, ეკოლოგიური სამოსით შემოსილი, რომელიც მხუთავ იმანენტურობაში გვკეტავს.

120. ვინაიდან ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული, ინტერესი ბუნების დაცვის მიმართ შეუთავსებელია აბორტის გამართლებასთანაც. როგორ შეგვიძლია ნამდვილად ვასწავლოთ სხვა სუსტი არსებების მიმართ მზრუნველობის

მნიშვნელობა, თუმც კი შესაძლოა უსიამოვნო და უხერხული იყვნენ ისინი, თუკი არ ვიცავთ ადამიანის ჩანასახს, მაშინაც კი როდესაც მისი არსებობა არასასიამოვნოა და სირთულეებს ქმნის? «თუკი პიროვნული და საზოგადოებრივი მგრძნობიარეობა ახალი სიცოცხლის მიღებისადმი მარცხს განიცდის, მაშინ მიღების სხვა ფორმებიც, რომლებიც ფასეულია საზოგადოებისათვის, უფერულდება».[97]

121. ჩვენ უნდა განვავითაროთ ახალი სინთეზი, რომელსაც შეუძლია უახლესი საუკუნეების ყალბი არგუმენტების დაძლევა. ქრისტიანობა, საკუთარი ვინაობისა და ჭეშმარიტების იმ მდიდარი საუნჯისადმი ერთგულებით, რომელიც მან მიიღო იესო ქრისტესაგან, კვლავაც განიხილავს ამ საკითხებს ნაყოფიერ დიალოგში ცვალებად ისტორიულ ვითარებებთან. ამგვარად, იგი საკუთარ მარადიულ სიახლეს ავლენს.[98]

პრაქტიკული რელატივიზმი

122. მცდარი ანთროპოცენტრიზმი არასწორ ცხოვრების წესს იწვევს. სამოციქულო ექსჰორტაციაში Evangelii Gaudium, მე აღვნიშნავდი, რომ

97 ენციკ. Caritas in veritate (29 ივნისი, 2009წ), 28: AAS 101 (2009), 663.

98 შეად. ვინჩენზო ლერინსელი, Commonitorium primum, cap. 23: PL 50, 668: «Ut annis scilicet consolidetur, dilatetur tempore, sublimetur aetate».

პრაქტიკული რელატივიზმი, ჩვენი ეპოქისთვის დამახასიათებელი, არის «დოქტრინულზე კიდევ უფრო სახიფათო რელატივიზმი».[99] როდესაც ადამიანები საკუთარ თავს ცენტრში აყენებენ, ისინი სრულ უპირატესობას ანიჭებენ საკუთარ წარმავალ ინტერესებს, ხოლო ყოველივე დანარჩენი შედარებითი ხდება. ამიტომაც, არ უნდა გაგვაოცოს, ყოვლისმომცველ ტექნოკრატიულ პარადიგმასა და ადამიანის უსაზღვრო ძალაუფლების კულტთან ერთობლიობაში, რელატივიზმის აღმასვლამ, რომელიც ყველაფერს შეუფერებლად თვლის, თუკი არ ემსახურება საშურ ინტერესებს. ყოველივე ამაში არსებობს ლოგიკა, საიდანაც ერთმანეთის საზრდოობა შეუძლია სხვადასხვა დამოკიდებულებებს, რომლებიც გარემოს გაუარესებას და სოციალურ დეგრადაციას იწვევს.

123. რელატივიზმის კულტურა იგივე დარღვევაა, რომელიც ადამიანს უბიძგებს, რომ სხვაზე მაღლა დააყენოს საკუთარი თავი, მოეპყროს სხვებს როგორც უბრალო საგნებს, თავს მოახვიოს მათ იძულებითი შრომა ან დაიმონოს ისინი ვალის მიზეზით. იგივე სახის აზროვნება იწვევს ბავშვების სექსუალურ ექსპლუატაციას და მოხუცების მიტოვებას, რომლებიც აღარ პასუხობენ ჩვენ ინტერესებს. იგივე აზროვნება აქვთ მათ, ვინც ამბობს: დაე, ბაზრის უხილავი ძალები წარმართავდნენ ეკონომიკას, ხოლო მათი გავლენა საზოგადოებასა და ბუნებაზე უდიდესი ზიანის მომტანია. როდესაც არ არსებობს ობიექტური

99 N. 80: AAS 105 (2013), 1053.

ჭეშმარიტებები ან ჯანსაღი პრინციპები, არამედ მხოლოდ ჩვენი სურვილების და საშური საჭიროებების დაკმაყოფილებაა, რამ შეიძლება შეზღუდოს ადამიანებით ვაჭრობა, ორგანიზებული დანაშაული, ნარკოტიკებით ვაჭრობა, სისხლიანი ბრილიანტებით და საფრთხეში მყოფი სახეობების ბეწვით ვაჭრობა? განა არ არის ეს იგივე რელატივისტური ლოგიკა, რომელიც ამართლებს ღარიბების ორგანოების ყიდვას, რათა ხელახლა გაყიდონ ან გამოიყენონ ცდების ჩატარებაში, ან ბავშვების განადგურებას, ვინაიდან ისინი არ შეესაბამებიან მათი მშობლების სურვილს? იგივე "გამოყენების და თავიდან მოშორების" ლოგიკა წარმოშობს ამდენ უარყოფას, დარღვეული სურვილის გამო, რომ მოიხმარონ მეტი, ვიდრე სინამდვილეში არსებობს. არ უნდა ვიფიქროთ, რომ პოლიტიკური ძალისხმევა ან კანონის ძალა საკმარისი იქნება, რომ ხელი შეუშალოს იმ ქმედებებს, რომლებიც გავლენას ახდენს გარემოზე, ვინაიდან, როდესაც თვითონ კულტურა შელახულია, ხოლო ობიექტური ჭეშმარიტება და საყოველთაოდ მიღებული პრინციპები აღარ მოქმედებს, კანონები ითვლება მხოლოდ თვითნებურ მოვალეობებად ან დაბრკოლებებად, რომლებსაც თავი უნდა აარიდონ.

შრომის დაცვის საჭიროება

124. ინტეგრალური ეკოლოგიის ნებისმიერი მიდგომა, რომელიც არ გამორიცხავს ადამიანს,

უნდა მოიცავდეს შრომის ფასეულობას, როგორც ამას წმ. იოანე პავლე II აღნიშნავდა თავის ენციკლიკაში Laborem Exercens. შექმნის ბიბლიური გადმოცემის მიხედვით, ღმერთმა მამაკაცი და ქალი თავის მიერ შექმნილ ბაღში დაასახლა (შეად. დაბ 2:15) არა მარტო იმიტომ, რომ ეზრუნათ მასზე ("დასაცავად"), არამედ იმიტომაც, რომ ნაყოფიერად ექციათ ის ("დასამუშავებლად"). ამიტომაც, მშრომელები და ხელოსნები «წუთისოფლის საფუძველს ამყარებენ» (ზირ 38:34). შექმნილი სამყაროს გონივრულად განვითარება მასზე ზრუნვის საუკეთესო გზაა, ვინაიდან ეს ნიშნავს, რომ ჩვენ თავად ვიქცევით იარაღად, რომელსაც ღმერთი იყენებს იმ პოტენციალის წარმოსაჩენად, რომელიც თავად ჩაწერა საგნებში: «უფალმა მიწისგან შექმნა წამლები და გონიერი კაცი არ უგულებელყოფს მათ» (ზირ 38:4).

125. თუკი ადამიანებს და ჩვენ გარშემო არსებულ სამყაროს შორის შესაფერის ურთიერთობაზე დავფიქრდებით, შრომის სწორი გაგების საჭიროებას დავინახავთ; თუკი ადამიანებს და საგნებს შორის ურთიერთობაზე ვისაუბრებთ, ადამიანის მთელი საქმიანობის მნიშვნელობისა და მიზნის საკითხი წამოიჭრება. ჩვენ ვსაუბრობთ არა მარტო ფიზიკურ ან სასოფლო-სამეურნეო შრომაზე, არამედ ნებისმიერ საქმიანობაზე, რომელიც არსებული სინამდვილის სახეცვლილებას გულისხმობს, საზოგადოების შესწავლიდან დაწყებული ტექნოლოგიური განვითარების დაგეგმვით დამთავრებული. შრომის ნებისმიერი

ფორმა აღნიშნავს იდეას ურთიერთობისა, რომელიც ადამიანს შეიძლება და უნდა ჰქონდეს სხვასთან. ქრისტიანულმა სულიერებამ, იმ ქმნილებების საოცარ განჭვრეტასთან ერთად, რომლებსაც წმ. ფრანცისკე ასიზელთან ვხვდებით, აგრეთვე განავითარა შრომის მდიდარი და ჯანსაღი გაგება, რომელიც შეგვიძლია აღმოვაჩინოთ, მაგალითად, ნეტარი ჩარლზ დე ფუკოლდის და მისი მოწაფეების ცხოვრებაში.

126. შეგვიძლია შევხედოთ დიდ ბერ-მონაზვნურ ტრადიციასაც. თავდაპირველად, ის ხელს უწყობდა, გარკვეულწილად, ამ საყაროსაგან თავის დაღწევას, როდესაც ცდილობდა, რომ მოშორებოდა საქალაქო დაცემას. ამიტომაც, ბერები ეძებდნენ უდაბნოს და დარწმუნებული იყვნენ, რომ ის იქნებოდა შესაფერისი ადგილი ღმერთის არსებობის შესაცნობად. მოგვიანებით, წმ. ბენედიქტე ნურსიელმა მოისურვა, რომ მის ბერებს ეცხოვრათ ერთად და ერთობლივად ლოცვა ესწავლათ ფიზიკური შრომით (Ora et labora). ფიზიკური შრომის ამგვარი სულიერი მნიშვნელობის ჩვენება მართლაც რევოლუციური იყო. პიროვნული ზრდა და განწმედა ისწავლებოდა მედიტაციისა და შრომის ურთიერთობაში. შრომის ამგვარი განცდა გვიბიძგებს, რომ მეტად დავიცვათ და პატივი ვცეთ გარემოს; ის სამყაროსთან ჩვენ ურთიერთობას ჯანსაღი სიფხიზლით აღავსებს.

127. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ «ყოველგვარი ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების წყარო, ცენტრი და მიზანი ადამიანია».[100] თუმცა, როდესაც განჭვრეტისა და პატივისცემის ჩვენი ადამიანური შესაძლებლობა სუსტდება, ადვილი ხდება შრომის მნიშვნელობის არასწორად გაგება.[101] უნდა გვახსოვდეს, რომ მამაკაცებს და ქალებს აქვთ «შესაძლებლობა, რომ გააუმჯობესონ საკუთარი ხვედრი, ხელი შეუწყონ საკუთარ ზნეობრივ ზრდას და განავითარონ საკუთარი სულიერი ნიჭები».[102] შრომა უნდა იყოს ამგვარი მდიდარი პიროვნული ზრდის ადგილი, სადაც ცხოვრების მრავალი ასპექტი მოქმედებს: შემოქმედებითობა, მომავლის დაგეგმვა, ჩვენი ნიჭების განვითარება, ფასეულობების ხელშეწყობა, სხვებთან ურთიერთობა, ღმერთის განდიდება. შედეგად, დღევანდელი გლობალური საზოგადოების სინამდვილეში, არსებითია, რომ «ჩვენ კვლავაც უპირატესობას ვანიჭებთ ყველასთვის სტაბილურ სამუშაოზე ხელმისაწვდომობის მიზანს»,[103] მიუხედავად წარმოების შეზღუდული ინტერესების და საეჭვო ეკონომიკური გათვლებისა.

---

100 ვატიკანის II ეკუმენური კრება, სამოძღ. კონსტ. Gaudium et spes თანამედროვე სამყაროში ეკლესიის შესახებ, 63.

101 შეად. იოანე პავლე II, ენციკ. Centesimus annus (1 მაისი, 1991წ), 37: AAS 83 (1991), 840.

102 პავლე VI, ენციკ. Populorum progressio (26 მარტი, 1967წ), 34: AAS 59 (1967), 274.

103 ბენედიქტე XVI, ენციკ. Caritas in veritate (29 ივნისი, 2009წ), 32: AAS 101 (2009), 666.

128. ჩვენ შექმნილნი ვართ შრომის მოწოდებით. მიზანი არ უნდა იყოს, რომ ტექნოლოგიურმა პროგრესმა სულ მეტად ჩაანაცვლოს ადამიანის შრომა, ვინაიდან ეს ზიანს მიაყენებს კაცობრიობას. შრომა არის საჭიროება, დედამიწაზე ცხოვრების აზრის ნაწილი, ზრდის, ადამიანის განვითარების და პიროვნული რეალიზაციის გზა. ღარიბების ფინანსური შემწეობა მუდამ დროებითი საშუალება უნდა იყოს საშური საჭიროებების წინაშე. უფრო ფართო მიზანი ყოველთვის უნდა იყოს მათთვის შრომის მეშვეობით ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობის მიცემა. თუმცა, ეკონომიკის ორიენტაცია ხელს უწყობს იმ სახის ტექნოლოგიურ პროგრესს, რომელშიც წარმოების ხარჯების შემცირების საშუალება არის სამუშაო ადგილების შემცირება და მათი ჩანაცვლება ტექნიკით. ეს კიდევ ერთი გზაა, რომლითაც ადამიანის მოქმედება შეიძლება საკუთარი თავის წინააღმდეგ იყოს მიმართული. სამუშაო ადგილების შემცირებას «უარყოფითი გავლენა აქვს ეკონომიკურ სფეროზეც, "საზოგადოებრივი კაპიტალის" თანდათანობითი რღვევით, როგორიცაა ნდობის ურთიერთობები, დამოკიდებულება და წესების მიმართ პატივისცემა, ყველა მათგანი კი აუცილებელია სამოქალაქო თანაარსებობის ნებისმიერი ფორმისთვის».[104] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, «ადამიანური ხარჯები მუდამ გულისხმობს ეკონომიკურ ხარჯებს, ხოლო ეკონომიკური დარღვევები მუდამ გულისხმობს ადამიანურ ხარჯებს».[105]

104 იქვე.

105 იქვე.

ადამიანებში ინვესტირების შეწყვეტა, იმისათვის რომ უფრო დიდი მოკლევადიანი ფინანსური მოგება მიიღონ, ცუდი საქმეა საზოგადოებისათვის.

129. იმისათვის, რომ კვლავაც უზრუნველყოფილი იყოს დასაქმება, საჭიროა ეკონომიკის ხელშეწყობა, რომელიც ნაყოფიერ მრავალფეროვნებას და სამეწარმეო შემოქმედებითობას ეხმარება. მაგალითად, არსებობს დიდი სიმრავლე კვებითი წარმოების მცირე სისტემებისა, რომლებიც მსოფლიოს ხალხების დიდ ნაწილს ასაზრდოებენ, ისინი მიწის ზომიერ ოდენობას იყენებენ და ნაკლებ ნარჩენებს გამოიმუშავებენ, გინდ მცირე სასოფლო-სამეურნეო ფართობებზე, ხეხილის ბაღებში, ნადირობისას და სატყეო პროდუქტებში, გინდ ადგილობრივ თევზჭერაში, მასშტაბური დანაზოგები, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სფეროში, საბოლოოდ აიძულებს წვრილ მესაკუთრეებს, რომ გაყიდონ საკუთარი მიწა ან მიატოვონ ტრადიციული კულტურები. მათი მცდელობები, რომ განავითარონ წარმოების სხვა, უფრო დივერსიფიცირებული საშუალებები, უშედეგო აღმოჩნდება რეგიონულ და გლობალურ ბაზრებთან კავშირის სირთულის გამო, ან რადგანაც გაყიდვებისა და ტრანსპორტირებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა დიდი წარმოებების სამსახურშია. ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფა, საიდანაც ყველას ქმედითად შეუძლია სარგებლის მიღება, შეიძლება აუცილებელი იყოს, რათა შეზღუდვები დაუწესოს მათ, ვისაც დიდი რესურსები და ფინა-

ნსური ძალაუფლება აქვს. ეკონომიკური თავისუფლების უბრალო განცხადება, როდესაც ნამდვილი პირობები ხელს უშლის ბევრ ადამიანს, რომ ხელი მიუწვდებოდეთ მასზე, და როდესაც მცირდება შრომაზე ხელმისაწვდომობა, იქცევა წინააღმდეგობრივ საკითხად, რომელიც აკნინებს პოლიტიკას. სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც კეთილშობილური მოწოდებაა, ორიენტირებული, რომ აწარმოოს სიმდიდრე და უკეთესი გახადოს სამყარო ყველასათვის, შეიძლება იყოს ძალზე ნაყოფიერი საშუალება იმ რეგიონების დასახმარებლად, რომლებშიც თავის საქმიანობას წარმართავს, განსაკუთრებით თუკი მისთვის სამუშაო ადგილების შექმნა საერთო სიკეთის მიმართ მსახურების არსებითი ნაწილია.

ახალი ბიოლოგიური ტექნოლოგიები

130. ადამიანის და ქმნილების ფილოსოფიურ და საღმრთისმეტყველო ხედვაში, რომელიც წარმოვადგინე, ნათელია, რომ ადამიანი, რომელსაც გონება და ცოდნა აქვს, არ არის გარეგანი ფაქტორი, რომელიც სავსებით უნდა იყოს გამორიცხული. მართალია ადამიანის ჩარევა მცენარეთა და ცხოველთა სამყაროში დასაშვებია, როდესაც ამას მოითხოვს ადამიანის ცხოვრებისეული საჭიროებები, კათოლიკე ეკლესიის კატეხიზმო ასწავლის, რომ ცდების ჩატარება ცხოველებზე ზნეობრივად მისაღებია მხოლოდ მაშინ, როდესაც «გონივრულ საზღვრებში რჩება [და]

ხელს უწყობს ადამიანის სიცოცხლეზე ზრუნვას და მის დაცვას».[106] კატეხიზმო მტკიცედ აცხადებს, რომ ადამიანის ძალაუფლებას აქვს საზღვრები და რომ «ცხოველების ტანჯვა ან მოკვლა არასაჭიროებისამებრ ადამიანის ღირსებას ეწინააღმდეგება».[107] ყოველგვარი ასეთი გამოყენება და ცდა «მოითხოვს რელიგიურ პატივისცემას ქმნილების მთლიანობის მიმართ».[108]

131. აქ მსურს, კიდევ ერთხელ გავიხსენო წმ. იოანე პავლე II-ის გაწონასწორებული პოზიცია, რომელიც ხაზს უსვამდა სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის სარგებელს, რომელიც ცხადყოფს «ადამიანის მოწოდების კეთილშობილებას, რომ საპასუხისმგებლო მონაწილეობა მიიღოს ღმერთის შემოქმედებით საქმეში», იმავე დროს აღნიშნავს, რომ «ჩვენ ვერ ჩავერევით ეკოსისტემის რომელიმე ერთ სფეროში, ისე რომ სათანადო ყურადღება არ მივაქციოთ სხვა სფეროებში ასეთი ჩარევის შედეგებს».[109] იგი მკაფიოდ აცხადებდა, რომ ეკლესია აფასებს სარგებელს, რომელიც მიიღება «მოლეკულური ბიოლოგიის შესწავლიდან და გამოყენებიდან, რასაც ემატება სხვა დისციპლინებიც, როგორიცაა გენეტიკა, და მისი ტექნოლოგიური გამოყენება სოფლის მეურნეობასა და

106 კათოლიკე ეკლესიის კატეხიზმო, 2417.

107 იქვე., 2418.

108 იქვე., 2415.

109 მშვიდობის მსოფლიო დღის უწყება, 1990, 6: AAS 82 (1990), 150.

მრეწველობაში».[110] მაგრამ იგი, აგრეთვე, აღნიშნავდა, რომ ამან არ უნდა გამოიწვიოს «განურჩეველი გენეტიკური მანიპულაცია»,[111] რომელიც უგულებელყოფს ასეთი ჩარევების უარყოფით შედეგებს. ადამიანის შემოქმედებითობის ჩახშობა შეუძლებელია. თუკი არ შეიძლება ხელოვანს აუკრძალონ თავისი შემოქმედებითი უნარის გამოხატვა, ისევე არ შეიძლება ხელი შეუშალონ მათ, ვისაც სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარებისათვის საჭირო განსაკუთრებული ნიჭი აქვთ, რომ საკუთარი ღმრთივბოძებული ნიჭი სხვების სასიკეთოდ გამოიყენონ. ჩვენ გამუდმებით უნდა ვიფიქროთ ადამიანის ამ საქმიანობის მიზნებზე, შედეგებზე, მთლიან კონტექსტსა და ეთიკურ შეზღუდვებზე, რაც მნიშვნელოვანი რისკების შემცველი ძალაუფლების ფორმაა.

132. ამ კონტექსტში, უნდა დავფიქრდეთ ადამიანის ჩარევაზე მცენარეთა და ცხოველთა სამყაროში, რაც დღესდღეობით გულისხმობს ბიოტექნოლოგიით მანიპულირებულ გენეტიკურ ცვლილებებს, რომლის მიზანიც მატერიალურ სინამდვილეში არსებული პოტენციალის გამოყენებაა. რწმენის პატივისცემა გონების მიმართ მოითხოვს, რომ ყურადღება მიაქციონ იმავე ბიოლოგიურ მეცნიერებას, რომელიც ეკონომიკური ინტერესებისაგან დამოუკიდებლად ვითარდება

110 მიმართვა მეცნიერებათა პონტიფიკალურ აკადემიას (3 ოქტომბერი, 1981წ), 3: Insegnamenti 4/2 (1981), 333.

111 მშვიდობის მსოფლიო დღის უწყება, 1990წ, 7: AAS 82 (1990), 151.

და რომელსაც შეუძლია გაგვაცნოს ბიოლოგიური სტრუქტურები, მათი შესაძლებლობები და ცვლილებები. ნებისმიერ შემთხვევაში, კანონიერია ჩარევა, რომელიც მოქმედებს ბუნებაზე, «რომ დაეხმაროს მის განვითარებას მისი არსის შესაბამისად, რომელიც ქმნილებაა, ღმერთის მიერ ნასურვები».[112]

133. რთული საქმეა, ზოგადად განვსაჯოთ გენმოდიფიცირებული ორგანიზმების განვითარება, მცენარეულია ის თუ ცხოველური, სამედიცინო ან სასოფლო-სამეურნეო მიზნებით, ვინაიდან ისინი შეიძლება ძალზე მრავალფეროვანი იყვნენ და გამორჩეულ ყურადღებას იმსახურებდნენ. მეორე მხრივ, რისკებს ყოველთვის არ წარმოშობს ტექნიკა, არამედ მისი შეუსაბამო ან უსაზღვრო გამოყენება. სინამდვილეში, გენეტიკური ცვლილებები, ბევრ შემთხვევაში, თვითონ ბუნების ნაყოფებია. არც ადამიანის ჩარევით გამოწვეული ცვლილებებია თანამედროვე ფენომენი. მაგალითებად შეგვიძლია მოვიყვანოთ ცხოველთა მოშინაურება, სახეობების შეჯვარება და სხვა ძველი და საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკები. საკმარისია, გავიხსენოთ, რომ გენმოდიფიცირებული ხორბლეულის მეცნიერული განვითარება ბუნებრივ ბაქტერიებზე დაკვირვებით, რომლებიც სპონტანურად ცვლიდნენ მცენარის გენომს. თუმცა, ბუნებაში ეს პროცესია ნელია და

112 იოანე პავლე II, მიმართვა მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის 35-ე გენერალურ ასამბლეას (29 ოქტომბერი, 1983), 6: AAS 76 (1984), 394.

ვერც კი შეედრება იმ სისწრაფეს, რასაც თანამედროვე ტექნოლოგიური წარმატებები იძლევა, მაშინაც კი როდესაც ეს უკანასკნელნი რადენიმე საუკუნოვან სამეცნიერო პროგრესს ემყარებიან.

134. მართალია არ არსებობს საბოლოო დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ გენეტიკურად სახეცვლილი ხორბლეული შესაძლოა საზიანო იყოს ადამიანებისათვის, ხოლო ზოგიერთ რეგიონში მათმა გამოყენებამ ეკონომიკური ზრდაც კი განაპირობა, რომელიც ეხმარება პრობლემების მოგვარებას, კვლავაც უამრავი მნიშვნელოვანი სირთულე არსებობს, რომელთა უგულებელყოფაც არ შეიძლება. მრავალ ადგილას, ამ კულტურების შეტანის შემდეგ, ნაყოფიერი მიწა მცირეოდენი მესაკუთრეების ხელში აღმოჩნდა, რაც გამოიწვია "მცირე მწარმოებლების თანდათანობითმა გაქრობამ, რომლებიც, ექსპლუატირებული მიწების დაკარგვის შედეგად, იძულებულნი არიან, რომ უარი თქვან პირდაპირ წარმოებაზე".[113] ამათგან ყველაზე დაუცველები ხდებიან დროებითი მშრომელები, ხოლო სოფლის მრავალი მშრომელი, საბოლოოდ, ქალაქის ღარიბ რაიონებს მიაშურებს. ამ კულტურების ზრდა იწვევს ეკოსისტემების კომპლექსური ქსელის განადგურებას, წარმოების მრავალფეროვნების შემცირებას და გავლენას ახდენს რეგიონულ ეკონომიკებზე, ახლა და მომავალში. ბევრ ქვეყანაში,

113 არგენტინის სოციალურ-პასტორალური საქმიანობის საეპისკოპოსო კომისია, Una tierra para todos (ივნისი, 2005წ), 19.

იზრდება ოლიგოპოლიები ხორბლეულის და მისი დამუშავებისათვის საჭირო სხვა პროდუქტების წარმოებაში. ამგვარი დამოკიდებულება გაუარესდება, თუკი შეინარჩუნებენ უნაყოფო თესლეულის წარმოებას; შედეგად, ფერმერები იძულებული გახდებიან, რომ შეისყიდონ ისინი მსხვილი მწარმოებლებისაგან.

135. ცხადია, ეს საკითხები მუდმივ ყურადღებას და ინტერესს მოითხოვს მათი ეთიკური შედეგების მიმართ. საჭიროა ფართო, საპასუხისმგებლო სამეცნიერო და საზოგადოებრივი მსჯელობა, რომელიც ყველა ხელმისაწვდომ ინფორმაციას განიხილავს და ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ სრულყოფილი ინფორმაცია არ იდება მაგიდაზე; შერჩევა ხდება ცალკეული ინტერესების საფუძველზე, პოლიტიკურ-ეკონომიკურსა თუ იდეოლოგიურზე. ეს ართულებს სხვადასხვა საკითხების გაწონასწორებულ და გონივრულ განსჯას, რომელიც ყველა შესაბამის ცვლადს მოიცავს. საჭიროა განხილვები, რომლებშიც ყველას, ვინც პირდაპირ ან არაპირდპირ მონაწილეობს (ფერმერებს, მომხმარებლებს, სამოქალაქო ხელისუფლებებს, მეცნიერებს, თესლეულის მწარმოებლებს, დამუშავებულ მინდვრებთან ახლოს მცხოვრებ ადამიანებს, და სხვებს), შეუძლიათ გაეცნონ საკუთარ პრობლემებს და საზრუნავს, და ხელი მიუწვდებოდეთ შესაბამის და სანდო ინფორმაციაზე, რათა მიიღონ გადაწყვეტილებები საერთო სიკეთისათვის, დღესაც და მომავალშიც. ეს არის გარემოს რთული საკითხი; ის მოითხოვს ყო-

ვლისმომცველ მიდგომას, რომელიც საჭიროებს, სულ მცირე, დიდ ძალისხმევას, რომ დაფინანსდეს დამოუკიდებელი, დისციპლინათაშორისი კვლევის მრავალი ასპექტი, რასაც შეუძლია ახალი ნათელი მოჰფინოს ამ პრობლემას.

136. მეორე მხრივ, შემაშფოთებელია, რომ, როდესაც ზოგიერთი ეკოლოგიური მოძრაობა გარემოს მთლიანობას იცავს და სამართლიანად მოითხოვს, რომ გარკვეული შეზღუდვები დაუწესდეს სამეცნიერო კვლევას, ზოგჯერ იმავე პრინციპებს არ იყენებენ ადამიანის სიცოცხლის მიმართ. არსებობს ტენდენცია, რომლის მიხედვითაც გამართლებულია ყველა საზღვრის მოშლა, როდესაც ცდებს ატარებენ ადამიანის ცოცხალ ჩანასახებზე. ჩვენ გვავიწყდება, რომ ადამიანის ხელშეუხებელი ფასეულობა აღემატება მისი განვითარების დონეს. მსგავსადვე, როდესაც ტექნოლოგია არად აგდებს დიდ ეთიკურ პრინციპებს, საბოლოოდ ყოველგვარ პრაქტიკას კანონიერად მიიჩნევს. როგორც ამ თავში დავინახეთ, ტექნოლოგია, ეთიკისაგან მოწყვეტილი, ადვილად ვერ შეძლებს საკუთარი ძალაუფლების შეზღუდვას.

თავი მეოთხე

ინტეგრალური ეკოლოგია

137. ვინაიდან ყველაფერი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, ხოლო დღევანდელი პრობლემები მოითხოვს ხედვას, რომელიც გლობალური კრიზისის ყველა ასპექტს ითვალისწინებს, ჩემი სურვილია, ახლა განვიხილოთ ზოგიერთი ელემენტი ინტეგრალური ეკოლოგიისა, რომელიც აშკარად პატივს სცემს მის ადამიანურ და სოციალურ განზომილებებს.

I. გარემოს, ეკონომიკური და სოციალური ეკოლოგია

138. ეკოლოგია შეისწავლის ურთიერთობას ცოცხალ ორგანიზმებს და გარემოს შორის, რომელშიც ისინი ვითარდებიან. ეს უსათუოდ იწვევს კამათს და მსჯელობას იმ პირობების შესახებ, რომლებიც საჭიროა საზოგადოების ცხოვრებისა და არსებობისათვის, და იმგვარი პატიოსნების შესახებ, რომელიც საჭიროა, რომ ეჭვქვეშ დავაყენოთ განვითარების, წარმოების და მოხმარების გარკვეული მოდელები. ზედმეტი არ არის იმის მტკიცება, რომ ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. დრო და სივრცე არ არის

ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, და არც ატომები ან ქვეატომური ნაწილაკები შეიძლება განვიხილოთ განცალკევებულად. როგორც პლანეტის სხვადასხვა აპექტებია – ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური – ერთმანეთთან დაკავშირებული, ისევე ცოცხალი სახეობებია ნაწილი იმ ქსელისა, რომელსაც სრულად ვერასდროს გამოვიკვლევთ და გავიგებთ. ჩვენი გენეტიკური კოდის კარგ ნაწილს მრავალი ცოცხალი არსება იზიარებს. შედეგად, ცოდნის ფრაგმენტაცია და ინფორმაციის იზოლირება შეიძლება ნამდვილად იქცეს უცოდინრობის ფორმად, ვიდრე მათი შეთვისება არ მოხდება სინამდვილის ფართო ხედვაში.

139. როდესაც ვსაუბრობთ "გარემოზე", სინამდვილეში ვგულისხმობთ ურთიერთობას, რომელიც არსებობს ბუნებას და მასში მცხოვრებ საზოგადოებას შორის. ბუნება არ უნდა იყოს განხილული, როგორც რაღაც, რაც განცალკევებულია ჩვენგან, ან როგორც უბრალო ადგილი, რომელშიც ვცხოვრობთ. ჩვენ ვართ ბუნების ნაწილი, მისი შემადგენელი და, ამიტომაც, გამუდმებულ ურთიერთობაში ვართ მასთან. როდესაც ვაღიარებთ მიზეზებს, თუ რატომ არის მოცემული სივრცე დაბინძურებული, საჭიროა შევისწავლოთ საზოგადოების ნამოქმედარი, მისი ეკონომიკა, მისი ქცევითი მოდელები და სინამდვილის გაგების მისეული საშუალებები. ცვლილების მასშტაბის გათვალისწინებით, უკვე შეუძლებელია განსაკუთრებული, ფრთხილი პასუხი ვიპოვნოთ პრობლემის თითოეულ ნაწილზე. არსებითი მნიშვნელობა აქვს ყოვლისმომცველი გამოსავლების გამოძებ-

ნას, რომლებიც ითვალისწინებს ურთიერთქმედებებს თვითონ ბუნებრივი სისტემების შიგნით და სოციალურ სისტემებთან. ჩვენ წინაშეა არა ორი ცალკეული კრიზისი, გარემოს და სოციალური, არამედ ერთი კომპლექსური კრიზისი, რომელიც სოციალურიცაა და გარემოსიც. მოგვარების სტრატეგიები მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას, რომ ვებრძოლოთ სიღარიბეს, ღირსება აღვუდგინოთ გარიყულებს, და, იმავდროულად, მოითხოვს დროსაც, რომ დავიცვათ ბუნება.

140. ვინაიდან უამრავი ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც გარემოზე კონკრეტული საწარმოო საქმიანობის გავლენას განვსაზღვართ, არსებითი მნიშვნელობა აქვს, რომ შესაფერი როლი ჰქონდეთ მკვლევარებს, გაადვილდეს მათი ურთიერთობა და უზრუნველყოფილი იყოს ფართო აკადემიური თავისუფლება. მიმდინარე კვლევამ უკეთ უნდა გაგვაცნობიეროს, თუ როგორ ურთიერთობენ ერთმანეთთან სხვადასხვა ქმნილებები, როდესაც ქმნიან ფართო ერთეულებს, რომლებსაც დღეს "ეკოსისტემებს" ვუწოდებთ. ამ სისტემებს მხედველობაში ვიღებთ არა მარტო იმიტომ, რომ განვსაზღვროთ, თუ როგორ გამოვიყენოთ ისინი საუკეთესო გზით, არამედ იმიტომაც, რომ მათ საკუთარი სარგებლიანობისაგან დამოუკიდებელი შინაგალი ფასეულობა გააჩნიათ. თითოეული ორგანიზმი, როგორც ღმერთის ქმნილება, კარგი და შესანიშნავია თავისთავად; იგივე ითქმის იმ ორგანიზმების ჰარმონიულ ერთობაზე, რომლებიც განსაზღვრულ სივრცეში არსებობენ და სისტემას წარმოადგე-

ნენ. მართალია ხშირად მას არ ვიცნობთ, ჩვენი არსებობა დამოკიდებულია ამ ფართო სისტემებზე. იმის გახსენებაც კი კმარა, თუ როგორ ურთიერთობენ ეკოსისტემები კარბონის დიოქსიდის დაშლაში, წყლის გაწმენდაში, დაავადებების და ეპიდემიების კონტროლში, ნიადაგის ფორმირებაში, ნარჩენების გახრწნაში, და მრავალი სხვა საშუალებითაც, რომლებსაც ყურადღებას არ ვაქცევთ ან უბრალოდ არ ვიცნობთ. როდესაც ამის შესახებ იგებენ, მრავალი ადამიანი აცნობიერებს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ და ვმოქმედებთ იმ სინამდვილის საფუძველზე, რომელიც წინათ მოგვეცა, რომელიც ჩვენ არსებობას და შესაძლებლობებს უსწრებს. ამიტომაც, როდესაც ვსაუბრობთ "მდგრად გამოყენებაზე", ყურადღება ყოველთვის უნდა მივაქციოთ თითოეული ეკოსისტემის რეგენერაციულ უნარს, თავისი განსხვავებული სფეროებიც და ასპექტებით.

141. ეკონომიკური ზრდა, თავის მხრივ, იძლევა პროგნოზირებად რეაქციებს და გარკვეულ სტანდარტიზაციასაც, რომლის მიზანიც პროცედურების გამარტივება და ხარჯების შემცირებაა. ეს მოითხოვს "ეკონომიკურ ეკოლოგიას", რომელიც სინამდვილის ფართო ხედვას ესადაგება. მართლაც, გარემოს დაცვა არის «განვითარების პროცესის ინტეგრალური ნაწილი და არ შეიძლება განხილული იყოს მისგან განცალკევებით».[114] ჩვენ დაუყოვნებლივ გვჭირდება ჰუმანიზმი, რო-

114 რიოს დეკლარაცია გარემოს და განვითარების შესახებ (14 ივნისი, 1992წ), პრინციპი 4.

მელიც ერთამანეთთან აკავშირებს ცოდნის სხვადასხვა სფეროებს, ეკონომიკის ჩათვლით, უფრო ინტეგრალური და გამაერთიანებელი ხედვის სასიკეთოდ. დღეს, გარემოს პრობლემების ანალიზი ვერ გაემიჯნება ადამიანის, ოჯახის, შრომის და ურბანული კონტექსტების ანალიზს, ვერც იმას, თუ როგორ ურთიერთობენ ინდივიდები ერთმანეთთან, რომელიც, თავის მხრივ, გვაჩვენებს, თუ როგორ ურთიერთობენ ისინი სხვებთან და გარემოსთან. ურთიერთქმედება არსებობს ეკოსისტემებს შორის და საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვადასხვა სფეროებს შორის, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ «მთელი აღემატება ნაწილს».[115]

142. თუკი ყველაფერი ურთიერთქმედებს, მაშინ საზოგადოების დაწესებულებათა სიჯანსაღეს შედეგები აქვს გარემოსა და ადამიანის ცხოვრების დონეზეც. «სოლიდარობის და სამოქალაქო მეგობრობის ყოველგვარი დარღვევა ზიანს აყენებს გარემოს».[116] ამ აზრით, სოციალური ეკოლოგია უსათუოდ ინსტიტუციურია და თანდათანობით ვრცელდება მთელ საზოგადოებაზე, პირველი საზოგადოებრივი ჯგუფიდან, ოჯახიდან, ფართო ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო საზოგადოებებამდე. საზოგადოების თითოეულ ფენაში, და ერთმანეთს შორის, ადამიანურ

115 სამოც. ექსჰ. Evangelii gaudium (24 ნოემბერი, 2013წ), 237: AAS 105 (2013), 1116.

116 ბენედიქტე XVI, ენციკ. Caritas in veritate (29 ივნისი, 2009წ), 51: AAS 101 (2009), 687.

ურთიერთობებს დაწესებულებები აწესრიგებენ. ყოველივეს, რაც ასუსტებს ამ დაწესებულებებს, უარყოფოთი შედეგები აქვს, როგორიცაა უსამართლობა, ძალადობა და თავისუფლების დაკარგვა. არაერთ ქვეყანას ინსტიტუციური ქმედითუნარიანობის შედარებით დაბალი დონე აქვს, რაც დიდ პრობლემებს უქმნის მათ მოსახლეობებს, მათთვის კი სარგებელი მოაქვს, ვისთვისაც ხელსაყრელია ასეთი მდგომარეობა. გინდ სახელმწიფოს მმართველობაში, სამოქალაქო საზოგადოების მრავალ დონეზე, გინდ ინდივიდებს შორის ურთიერთობებში, კანონის მიმართ პატივისცემის სიმწირე სულ უფრო საყოველთაო ხდება. შესაძლოა კანონები კარგად იყოს შედგენილი, თუმცა ცარიელ სიტყვებად რჩებოდეს. შედეგად, განა შეგვიძლია იმედი გვქონდეს, რომ, ასეთ შემთხვევებში, გარემოსთან დაკავშირებული კანონმდებლობა და რეგულაციები ნამდვილად ქმედითი იქნება? ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ ქვეყნები, რომლებსაც ცხადი კანონმდებლობა გააჩნიათ ტყეების დაცვის შესახებ, კვლავაც დუმილს ინარჩუნებენ, ამით კი გამუდმებით არღვევენ კანონს. გარდა ამისა, ის, რაც ერთ განსაზღვრულ რეგიონში ხდება, პირდაპირ ან არაპირდაპირ, გავლენას ახდენს სხვა რეგიონებზეც. მაგალითად, მდიდარ საზოგადოებებში ნარკოტიკების მოხმარება იწვევს მუდმივ და მზარდ მოთხოვნილებას იმ პროდუქტებზე, რომლებიც ღარიბი რეგიონებიდან შემოაქვთ, სადაც შელახულია ქცევის წესები, ნადგურდება არაერთი სიცოცხლე და კვლავაც უარესდება გარემო.

143. ბუნების მემკვიდრეობასთან ერთად, არსებობს ისტორიული, მხატვრული და კულტურული მემკვიდრეობაც, რომელსაც საფრთხე ემუქრება. ეს მემკვიდრეობა ყოველი ადგილის საერთო იდენტობის ნაწილია და იმ საფუძველს წარმოადგენს, რომელზეც საცხოვრებელი ქალაქი უნდა აშენდეს. არ ვამბობთ, რომ გავანადგუროთ და ავაშენოთ ახალი ქალაქები, რომლებიც თეორიულად უფრო ეკოლოგიურ იქნება, სადაც ყოველთვის არ არის ცხოვრება სასურველი. საჭიროა განსაზღვრული ადგილის ისტორიის, კულტურის და არქიტექტურის დაკავშირება, რათა დაცული იყოს თავდაპირველი იდენტობა. ამიტომაც, ეკოლოგია მოითხოვს კაცობრიობის კულტურულ სიმდიდრეებზე ზრუნვასაც, მათი უფრო ფართო მნიშვნელობით. უფრო პირდაპირი გზით, ის მოითხოვს, რომ ყურადღება მიექცეს ადგილობრივ კულტურებს, როდესაც გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებს აანალიზებენ, რათა ხელი შეეწყოს სამეცნიერო-ტექნიკური ენის დიალოგს ხალხის ენასთან. კულტურა მეტია, ვიდრე წარსულის ძეგლები; პირველ რიგში, ის დღევანდელი ცოცხალი, დინამიკური და მონაწილეობითი სინამდვილეა, რომლის უგულებელყოფაც შეუძლებელია, როდესაც ხელახლა ვიაზრებთ ადამიანებს და გარემოს შორის ურთიერთობას.

144. ადამიანის მომხმარებლური ხედვა, რომელსაც ხელს უწყობს დღევანდელი გლობალიზებული ეკონომიკის მექანიზმები, ისწრაფვის,

რომ ერთგვაროვნად აქციოს კულტურები და შეასუსტოს უზარმაზარი კულტურული მრავალფეროვნება, რომელიც კაცობრიობის საგანძურია. ამ მიზეზით, პრეტენზია, რომ ყველა სირთულე მოაგვარონ ერთგვაროვანი რეგულაციებით ან ტექნიკური ჩარევებით, უგულებელყოფს ადგილობრივი პრობლემების კომპლექსურობას, რომლებიც მაცხოვრებელთა აქტიურ მონაწილეობას საჭიროებს. ახალი პროცესები ყოველთვის ვერ შეეთვისება გარედან შემოტანილ მოდელებს; ისინი ადგილობრივი კულტურიდან უნდა მიიღებოდეს. როგორც ცხოვრება და მსოფლიო წარმოადგენს დინამიკურ სინამდვილეებს, ისევე ჩვენი მზრუნველობა სამყაროს მიმართაც უნდა იყოს მოქნილი და დინამიკური. უბრალოდ ტექნიკური გადაწყვეტის საშუალებები საფრთხეს ქმნის, რომ მხედველობაში მიიღებს სიმპტომებს, რომლებიც არ შეესაბამება უფრო ღრმა პრობლემებს. აუცილებელია, პატივი სცენ ხალხების და კულტურების უფლებებს და, ამგვარად, გააცნობიერონ, რომ საზოგადოებრივი ჯგუფის განვითარება გულისხმობს ისტორიულ პროცესს კულტურულ კონტექსტში და მოითხოვს ადგილობრივი საზოგადოებრივი აქტორების მუდმივ მონაწილეობას მათი შესატყვისი კულტურიდან. არც ცხოვრების დონის ცნების თავსმოხვევა შეიძლება, ვინაიდან ის გაგებული უნდა იყოს ადამიანთა თითოეული ჯგუფისათვის შესაფერისი სიმბოლოების და ჩვეულებების სამყაროში.

145. გარემოს ექსპლუატაციის და დეგრადაციის მრავალი ინტენსიური ფორმა არა მარტო ამოწუ-

რავს რესურსებს, რომლებიც ადგილობრივ საზოგადოებებს უზრუნველყოფს მათთვის საჭირო საარსებო საშუალებებით, არამედ სპობს საზოგადოებრივ სტრუქტურებსაც, რომლებიც, დიდი ხნის განმავლობაში, აყალიბებდნენ კულტურულ იდენტობას და არსებობის და ერთად ცხოვრების მნიშვნელობას. კულტურის გაქრობა შეიძლება ისევე სერიოზული იყოს, ან უფრო სერიოზულიც კი, ვიდრე მცენარის ან ცხოველის სახეობების გადაშენება. გაბატონებული ცხოვრების წესის თავსმოხვევა, რომელიც კავშირშია წარმოების ერთ რომელიმე ფორმასთან, შეიძლება ისევე საზიანო იყოს, როგორც ეკოსისტემების ცვლილება.

146. ამ აზრით, აუცილებელია, რომ გამორჩეულად იზრუნონ ადგილობრივ საზოგადოებებსა და მათ კულტურულ ტრადიციებზე. ისინი არ არიან უბრალოდ ერთი უმცირესობა სხვებს შორის, არამედ უნდა იყვნენ მთავარი პარტნიორები დიალოგში, განსაკუთრებით როდესაც საქმე ეხება დიდ პროექტებს, რომლებიც მათ მიწებს ეხება. მათთვის მიწა არ არის საქონელი, არამედ ძღვენი ღმერთისაგან და თავიანთი წინაპრებისაგან, რომლებიც იქ განისვენებენ, წმინდა ადგილი, რომელთან ურთიერთობაც სჭირდებათ, რათა შეინარჩუნონ საკუთარი იდენტობა და ფასეულობები. როდესაც საკუთარ მიწაზე რჩებიან, საუკეთესოდ ზრუნავენ მასზე. თუმცა, მსოფლიოს ბევრ რეგიონში, მათზე ახდენენ ზეწოლას, რათა მიატოვონ საკუთარი მიწები და ისინი დაუთმონ სასოფლო-სამეურნეო ან სამთო პროექტებს, რომლებიც არად აგდებენ ბუნების და კულტურის დეგრადაციას.

147. ჭეშმარიტი განვითარება მოიცავს მცდელობებს, რომ ინტეგრალურად გაუმჯობესდეს ადამიანის ცხოვრების დონე, ეს კი გულისხმობს იმ ადგილის ანალიზს, სადაც ადამიანები ცხოვრობენ. გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ, გავლენას ახდენს ჩვენი აზროვნების, გრძნობის და მოქმედების გზებზე. იმავდროულად, ჩვენ ოთახში, სახლში, სამუშაო ადგილას და სამეზობლოში ვიყენებთ გარემოს, რათა გამოვხატოთ საკუთარი იდენტობა. ვცდილობთ, რომ შევეთვისოთ გარემოს, მაგრამ როდესაც ის უწესრიგო, ქაოტურია და ხმაურით და უხეშობით არის აღსავსე, ასეთი უკიდურესი დაძაბულობა ართულებს ჩვენ ინტეგრაციას და ბედნიერებას.

148. საოცარ შემოქმედებითობას და სულგრძელობას იჩებენ ის პიროვნებები და ჯგუფები, რომლებიც პასუხობენ გარემოს შეზღუდვებს, როდესაც ამსუბუქებენ მათი გარშემომყოფების მტრულ გავლენას და სწავლობენ, თუ როგორ წარმართონ საკუთარი ცხოვრება უწესრიგობასა და გაურკვევლობაში. მაგალითად, ზოგიერთ ადგილას, სადაც ნაგებობების ფასადები ძალიან დაზიანებულია, ადამიანები ზრუნავენ საკუთარი სახლების შიდა მოწყობაზე, ან კმაყოფილი არიან სხვების სიკეთით და მეგობრობით. სასიკეთო საზოგადოებრივ ცხოვრებას შეუძლია სინათლე შეიტანოს არასასურველ გარემოში. ზოგჯერ სანაქებო ადამიანურ ეკოლოგიას იჩენენ

ღარიბები, მიუხედავად მრავალგვარი გაჭირვებისა. შეგვიძლია გავუმკლავდეთ სულის შეხუთვის გრძნობას, რომელსაც ჭარბად დასახლებული საცხოვრებელი ადგილები იწვევს, როდესაც ვითარდება ახლო და თბილი ურთიერთობები, როდესაც იქმნება საზოგადოებები, გარემოს შეზღუდვები ანაზღაურდება ყოველ ადამიანში, რომელიც სოლიდარობის და ურთიერთობის ქსელის ნაწილად გრძნობს თავს. ამგვარად, ნებისმიერი ადგილი დედამიწაზე ჯოჯოხეთის ნაცვლად შეიძლება გადაიქცეს ღირსეული ცხოვრების ადგილად.

149. უკიდურესმა სიღარიბემ, რომელიც იმ ადგილებში არსებობს, რომლებსაც ჰარმონიის, ღია სივრცეების ან ინტეგრაციის პოტენციალის სიმწირე აქვთ, შეიძლება სისასტიკის შემთხვევები და დანაშაულებრივი ორგანიზაციების მხრიდან ექსპლუატაცია გამოიწვიოს. მეგაქალაქების არასტაბილურ რაიონებში, გადატვირთულობის და საზოგადოებრივი ანონიმურობის ყოველდღიურმა გამოცდილებამ შეიძლება შექმნას გაუცხოების გრძნობა, რომელიც ანტისაზოგადოებრივ ქცევას და ძალადობას ბადებს. თუმცა, მსურს მტკიცედ განვაცხადო, რომ სიყვარული ყოველთვის უფრო ძლიერია. ამ პირობებში მყოფ ბევრ ადამიანს შეუძლია შექმნას ურთიერთობის და ერთად ყოფნის კავშირები, რომელიც გადატვირთულობას ერთად ცხოვრების გამოცდილებად აქცევს, რომელშიც ეგოს კედლები ინგრევა და თავკერძობის ბარიერები იმსხვრევა. ერთო-

ბლივი ხსნის ამგვარი გამოცდილება წარმოშობს შემოქმედებით იდეებსაც ნაგებობის ან რაიონის გასაუმჯობესებლად.[117]

150. ცოცხალ სივრცეს და ადამიანის ქცევას შორის ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით, მათ, ვინც აგეგმარებს ნაგებობებს, რაიონებს, საჯარო სივრცეებს და ქალაქებს, ყურადღება უნდა მიაქციონ სხვადასხვა დისციპლინებს, რომლებიც გვეხმარება, რომ გავიგოთ ადამიანთა აზროვნების პროცესები, სიმბოლური ენა და მოქმედების გზები. არ კმარა ოდენ დაგეგმარების სილამაზის ძიება. გაცილებით უფრო ძვირფასია ის სამსახური, რომელსაც სხვა სახის მშვენიერებას ვთავაზობთ: ადამიანთა ცხოვრების დონე, მათი შეგუება გარემოსთან, შეხვედრა და ერთმანეთის დახმარება. აქ კვლავაც, ჩვენ ვხედავთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ ქალაქის დაგეგმარება მუდამ ითვალისწინებდეს მათ ხედვებს, ვინც ამ ადგილებში იცხოვრებს.

151. საჭიროა იმ საჯარო სივრცეების, ხედების და ურბანული ლანდშაფტების დაცვაც, რომლებიც ჩვენი კუთვნილების, სიახლოვის, "შინ ყოფ-

117 ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს ფასეულობებს, რომლებიც ხშირად არსებობს, მაგალითად, ლათინური ამერიკის villas-ში, chabolas-ში ან favelas-ში: შეად. Juan Carlos Scannone, S.J., «La irrupción del pobre y la lógica de la gratitud», en Juan Carlos Scannone y Marcelo Perine (edd.), Irrupción del pobre y quehacer filosófico. Hacia una nueva racionalidad, Buenos Aires 1993, 225-230.

ნის” გრძნობას ზრდიან ქალაქში, რომელსაც შევადგენთ და რომელიც გვაერთიანებს. მნიშვნელოვანია, რომ ქალაქის სხვადასხვა ნაწილები კარგად დაკავშირებული იყოს, ხოლო მის მაცხოვრებლებს ერთობის განცდა ჰქონდეთ, არ იყვნენ ჩაკეტილები ერთ რომელიმე რაიონში და დიდ ქალაქს ხედავდნენ, როგორც სივრცეს, რომელსაც სხვებთან იზიარებენ. ჩარევები, რომლებიც ქალაქის ან სოფლის ლანდშაფტს ეხება, უნდა ითვალისწინებდეს, თუ როგორ არის შეკავშირებული მრავალი ელემენტი, რათა შექმნას ერთობა, რომელიც მისი მაცხოვრებლების დამაკავშირებული და აზრიანი გარემოა მათი ცხოვრებისათვის. შედეგად, სხვები აღარ იქნებიან უცხოები, არამედ “ჩვენ”-ის ნაწილი, რომლის შექმნისთვისაც ყველა ჩვენგანი შრომობს. ამავე მიზეზით, ქალაქადაც და სოფლადაც, სასარგებლოა ზოგიერთი ადგილის გამოყოფა, რომელიც შეიძლება დაცული იყოს ადამიანის ჩარევით გამოწვეული მუდმივი ცვლილებებისაგან.

152. საცხოვრებლის სიმწირე სერიოზული პრობლემაა მსოფლიოს მრავალ რეგიონში, სასოფლო ზონებშიც და დიდ ქალაქებშიც, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტი, ჩვეულებრივ, მოთხოვნილების მხოლოდ მცირე ნაწილს ფარავს. საცხოვრებლის ქონა სირთულეს წარმოადგენს არა მარტო ღარიბებისათვის, არამედ საზოგადოების ბევრი სხვა წევრისთვისაც. საცხოვრებლის ქონას ბევრი საერთო აქვს პიროვნული ღირსების გრძნობასა და ოჯახის ზრდასთან. ეს ძირითადი

საკითხია ადამიანის ეკოლოგიისათვის. ზოგიერთ ადგილას, სადაც ქოხმახების ქალაქები შენდება, ეს ნიშნავს იმ რაიონების განვითარებას და არა მათ მოსპობას. როდესაც ღარიბები ანტისანიტარიულ ჯურღმულებში ან სახიფათო ადგილებში ცხოვრობენ, «საიდანაც საჭიროა მათი გადაყვანა, რათა გამუდმებით არ იტანჯებოდნენ, აუცილებელია წინასწარ სათანადო ინფორმაციის მიწოდება, ვარგისი საცხოვრებლის შეთავაზება, ხოლო ამ პროცესის ნაწილს უნდა წარმოადგენდნენ პირდაპირი გზით მონაწილე ადამიანები».[118] იმავე დროს, უნდა გამოიჩინონ შემოქმედებითობა, როდესაც არაკომფორტულ რაიონებს აკავშირებენ მიმღებ ქალაქთან: «რაოდენ მშვენიერია ქალაქები, რომლებიც სძლევენ მავნებელ უნდობლობას და ერთმანეთთან აკავშირებენ განსხვავებულებს, და რომლებიც ამგვარ ინტეგრაციას განვითარების ახალ ფაქტორად აქცევენ! რაოდენ მშვენიერია ქალაქები, რომლებიც თავიანთი არქიტექტურული შემადგენლობით, აღსავსენი არიან ადგილებით, რომლებიც აკავშირებენ, ქმნიან ურთიერთობას და ხელს უწყობენ სხვათა შეცნობას!».[119]

153. ცხოვრების დონეს ქალაქებში ბევრი საერთო აქვს სატრანსპორტო სისტემებთან, რომ-

---

118 სამართლიანობის და მშვიდობის პონტიფიკალური საბჭო, ეკლესიის სოციალური მოძღვრების კომპენდიუმი, 482.
119 სამოც. ექსჰ. Evangelii gaudium (24 ნოემბერი, 2013წ), 210: AAS 105 (2013), 1107.

ლებიც ხშირად დიდი ტანჯვის წყაროა მათთვის, ვინც მათ იყენებს. მრავალი ავტომობილი, ერთი ან მეტი ადამიანის მიერ გამოყენებული, გადაადგილდება ქალაქებში, იწვევს მოძრაობის გადატვირთვას, ზრდის დაბინძურების დონეს და მოიხმარს არაგანახლებადი ენერგიის უზარმაზარ ოდენობას. ეს მოითხოვს მეტი გზის და ავტოსადგომის აშენებას, რაც აუარესებს ქალაქის ლანდშაფტს. ბევრი სპეციალისტი თანხმდება, რომ საჭიროა უპირატესობა მიენიჭოს საზოგადოებრივ ტრანსპორტს. თუმცა, ზოგიერთი საჭირო ღონისძიება არ იქნება ადვილად მისაღები საზოგადოებისათვის, ვიდრე არსებითად არ გაუმჯობესდება თვითონ სისტემები, რომლებიც ბევრ ქალაქში აიძულებს ადამიანებს, რომ არაღირსეულ პირობებში იმყოფებოდნენ ხალხმრავლობის, დისკომფორტის, არასათანადო მომსახურების და უსაფრთხოების ნაკლებობის გამო.

154. ადამიანის გამორჩეული ღირსების მიმართ პატივისცემა ხშირად წინააღმდეგობაშია იმ ქაოტურ სინამდვილეებთან, რომელთა ატანაც უწევთ ადამიანებს საქალაქო ცხოვრებაში. თუმცა, ამან არ უნდა დაგვავიწყოს ის უარყოფა და უგულებელყოფა, რომელსაც სოფლის მოსახლეობაც განიცდის, რომელსაც ხელი არ მიუწვდება ძირითად მომსახურებებზე და სადაც ზოგიერთი მშრომელი მონობის მდგომარეობაში იმყოფება, უფლებების ან უფრო ღირსეული ცხოვრების იმედის გარეშეც კი.

155. ადამიანის ეკოლოგია კიდევ ერთ ღრმა სინამდვილეს გულისხმობს: ურთიერთობა ადამიანის ცხოვრებას და ზნეობრივ რჯულს შორის, რომელიც ჩაწერილია ჩვენ ბუნებაში და რომელიც საჭიროა უფრო ღირსეული გარემოს შექმნისათვის. პაპი ბენედიქტე XVI საუბრობდა "ადამიანის ეკოლოგიაზე", რომელიც ემყარება ფაქტს, რომ «ადამიანსაც აქვს ბუნება, რომელსაც პატივი უნდა სცეს და რომლის მანიპულირებაც არ შეუძლია საკუთარი ნებისამებრ».[120] საკმარისია იმის აღიარება, რომ თავად ჩვენი სხეული გვაყენებს პირდაპირ ურთიერთობაში გარემოსთან და სხვა ცოცხალ არსებებთან. ჩვენი სხეულის, როგორც ღმერთის ძღვენის, მიღება სასიცოცხლოა იმისათვის, რომ მთელი სამყარო მივიღოთ, როგორც მამის ძღვენი და ჩვენი საერთო სახლი, ხოლო ლოგიკა, რომ ჩვენ გვაქვს სრული ძალაუფლება ჩვენ სხეულზე, ხშირად მსუბუქად, იქცევა ლოგიკად, რომ ჩვენ გვაქვს სრული ძალაუფლება ქმნილებაზე. იმის სწავლა, რომ მივიღოთ ჩვენი სხეული, ვიზრუნოთ მასზე და პატივი ვცეთ მის უსრულეს აზრს, ნებისმიერი ნამდვილი ადამიანური ეკოლოგიის არსებითი ელემენტია. იმავდროულად, საჭიროა დავაფასოთ სხეული მისი ქალურობით ან მამაკაცურობით, რათა შევიცნოთ საკუთარი თავი სხვასთან შეხვედრაში, ვინც განსხვავებულია. ამგვარად, შეგვიძლია სიხარულით მივიღოთ სხვა მამაკაცის ან ქალის გამორჩეული ნიჭები, შემოქმედი ღმერთის საქმე, და ერთმანეთი გავა-

120 მიმართვა გერმანიის ბუნდესტაგს, ბერლინი (22 სექტემბერი, 2011წ): AAS 103 (2011), 668.

მდიდროთ. არ არის ჯანსაღი დამოკიდებულება, რომ «მოიშალოს სექსუალური განსხვავება, ვინაიდან აღარ იცის, თუ როგორ მიუდგეს მას».[121]

IV. საერთო სიკეთის პრინციპი

156. ინტეგრალური ეკოლოგია განუყოფელია საერთო სიკეთის ცნებისაგან, რომელიც სოციალური ეთიკის ცენტრალური და გამაერთიანებელი პრინციპია. საერთო სიკეთე არის «საზოგადო ცხოვრების იმ პირობების ერთობლიობა, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ როგორც ჯგუფებს, ისევე ცალკეულ წევრებს, რომ უფრო სიღრმისეულად და უფრო შესაფერისად განახორციელონ საკუთარი თავის სრულყოფა».[122]

157. საერთო სიკეთე გულისხმობს პატივისცემას პიროვნების მიმართ, თავისი ფუნდამენტური და ხელშეუვალი უფლებებით, რომლებიც მისი ინტეგრალური განვითარებისაკენ არის მიმართული. ის, აგრეთვე, მოითხოვს საზოგადოების საერთო კეთილდღეობას და მრავალი შუამავალი ჯგუფის განვითარებას, სუბსიდიარობის პრინციპის გამოყენებით. ამ ჯგუფებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია ოჯახს, როგორც საზოგადოების ფუნდამენტურ უჯრედს. და ბოლოს, საერთო სიკეთე მოითხოვს საზოგადო მშვიდო-

---

121 კატეხეზა (15 აპრილი, 2015წ): L'Osservatore Romano, 16 aprile 2015, p. 8.

122 ვატიკანის II ეკუმენური კრება, სამოძღ. კონსტ. თანამედროვე სამყაროში ეკლესიის შესახებ, 26.

ბას, სტაბილურობას და უსაფრთხოებას, რომელსაც უზრუნველყოფს განსაზღვრული წყობილება, რომლის მიღწევაც შეუძლებელია განმანაწილებელი სამართლიანობის მიმართ განსაკუთრებული ინტერესის გარეშე; სადაც ის ირღვევა, მუდამ ძალადობა წარმოიშვება. საზოგადოება, როგორც მთლიანი, და, განსაკუთრებით, სახელმწიფო ვალდებული არიან, რომ დაიცვან და ხელი შეუწყონ საერთო სიკეთეს.

158. გლობალური საზოგადოების დღევანდელ მდგომარეობაში, სადაც უსამართლობები ჭარბობს და სულ მეტ ადამიანს არ აქვს ფუნდამენტური უფლებები და უგულებელყოფილია, საერთო სიკეთის პრინციპი უმალვე იქცევა, ლოგიკურად და გარდაუვლად, მოწოდებად ჩვენი უღარიბესი ძმებისა და დების მიმართ სოლიდარობისა და შეღავათიანი არჩევანისაკენ. ეს არჩევანი მოითხოვს, რომ შეიცნონ მსოფლიოს საქონლის საყოველთაო დანიშნულების შედეგები, მაგრამ, როგორც მე აღვნიშნავდი სამოციქულო ექსჰორტაციაში Evangelii Gaudium,[123] ის მოითხოვს, პირველ რიგში, უპოვართა უსაზღვრო ღირსების დაფასებას ჩვენი, როგორც მორწმუნეების, უღრმესი რწმენების შუქზე. საკმარისია ჩვენ გარშემო მიმოვიხედოთ, დავინახავთ, რომ დღეს ეს არჩევანი, მართლაც, ფუნდამენტური ეთიკური მოთხოვნაა საერთო სიკეთის ქმედითად განხორციელებისათვის.

---

123 შეად. nn. 186-201: AAS 105 (2013), 1098-1105.

159. საერთო სიკეთის ცნება მომავალ თაობებზეც ვრცელდება. გლობალური ეკონომიკური კრიზისები მტკივნეულად ცხადყოფს ჩვენი საერთო ბედისწერის უგულებელყოფის მავნე შედეგებს, რაც მომავალ თაობებსაც ეხება. ჩვენ ვეღარ ვისაუბრებთ მდგრად განვითარებაზე თაობებს შორის სოლიდარობის გვერდის ავლით. როდესაც ფიქრს ვიწყებთ იმ სამყაროზე, რომელსაც მომავალ თაობებს ვუტოვებთ, ყველაფერს განსხვავებულად ვუყურებთ; ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ სამყარო არის ძღვენი, რომელიც უანგაროდ მივიღეთ და სხვებთან უნდა გავიზიაროთ. ვინაიდან სამყარო მოგვეცა, ვეღარ განვიხილავთ სინამდვილეს წმინდად უტილიტარული გზით, რომელშიც ეფექტიანობა და პროდუქტიულობა მთლიანად მორგებულია ინდივიდუალურ სარგებელზე. თაობებს შორის სოლიდარობა არ არის შემთხვევითი, არამედ სამართლიანობის ფუნდამენტური საკითხია, ვინაიდან სამყარო, რომელიც მივიღეთ, მათაც ეკუთვნის, ვინც ჩვენ შემდეგ მოვა. სამართლიანობის ამ ვალდებულების შეცნობისაკენ მოგვიწოდებდნენ პორტუგალიის ეპისკოპოსები: «გარემო მიღების ლოგიკის ნაწილია. ის არის სესხი, რომელსაც ყოველი თაობა იღებს და უნდა გადასცეს მომდევნო თაობას».[124] ეს ფართო ხედვა ინტეგრალური ეკოლოგიის თვისებაა.

---

124 პორტუგალიის ეპისკოპოსთა კონფერენცია, სამწყსო წერილი Responsabilidade solidária pelo bem comum (15 სექტემბერი, 2003წ), 20.

160. როგორი სამყარო გვსურს, რომ გადავცეთ მათ, ვინც ჩვენ შემდეგ მოვა, ბავშვებს, რომლებიც იზრდებიან? ეს კითხვა არ ეხება მხოლოდ ბუნებას, განცალკევებულად მყოფს; ვინაიდან შეუძლებელია საკითხის ნაწილობრივად დასმა. როდესაც საკუთარ თავს ვეკითხებით, თუ როგორი სამყარო გვინდა რომ დავტოვოთ, პირველ რიგში ვფიქრობთ მის საერთი მიმართულებაზე, მნიშვნელობასა და ფასეულობებზე. ვიდრე ამ ღრმა საკითხებს არ შევეჯიდებით, ამ მჯერა, რომ ჩვენი ინტერესი ეკოლოგიის მიმართ მნიშვნელოვან შედეგებს გამოიღებს. მაგრამ თუკი ამ საკითხებს გაბედულად შევხვდებით, ულმობლად მოგვიწევს სხვა უფრო პირდაპირი კითხვების დასმაც: რა არის ამ სამყაროში ჩვენი ცხოვრების მიზანი? რატომ ვიმყოფებით აქ? რა არის ჩვენი შრომის და მთელი ჩვენი ძალისხმევის მიზანი? რატომ ვჭირდებით დედამიწას? ამგვარად, არ კმარა უბრალოდ იმის თქმა, რომ უნდა ვზრუნავდეთ მომავალ თაობებზე. უნდა დავინახოთ, რომ საფრთხე ემუქრება ჩვენ ღირსებას. ჩვენი უპირველესი საზრუნავია, საცხოვრებლად ვარგისი პლანეტა გადავცეთ კაცობრიობას, რომელიც ჩვენ შემდეგ იქნება. ეს არის დრამა ჩვენთვის, ვინაიდან ის კავშირშია ჩვენი ამქვეყნად ყოფნის საბოლოო აზრთან.

161. კატასტროფულ პროგნოზებს ვეღარ შევხედავთ ირონიით ან სიძულვილით. შესაძლოა ჩვენ მომავალ თაობებს ნანგრევები, უდაბნოები და სიბინძურე დავუტოვოთ. მოხმარების, მფლანგველობის და გარემოს ცვლილების სისწრა-

ფე იმდენად აღემატება პლანეტის შესაძლებ-ლობას, რომ ჩვენმა თანამედროვე ცხოვრების წესმა, რომელიც ასე არამდგრადია, შეიძლება არაერთი კატასტროფა გამოიწვიოს, როგორც, მაგალითად, ამჟამად ხდება პერიოდულად მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში. დღევანდელი დისბალანსის შედეგების შემცირება მხოლოდ ჩვენი გადამწყვეტი მოქმედებით არის შესაძლებელი, აქ და ახლა. უნდა გავიაზროთ ჩვენი ანგარიშვალდებულება მათ მიმართ, ვისაც საშინელი შედეგების ატანა მოუწევს.

162. ჩვენ სირთულეს, რომ სერიოზულად მოვკიდოთ ხელი ამ გამოწვევას, ბევრი საერთო აქვს ეთიკურ და კულტურულ დაცემასთან, რომელიც თან ახლავს გარემოს დეგრადაციას. ჩვენი პოსტმოდერნული სამყაროს მამაკაცები და ქალები მძვინვარე ინდივიდუალიზმის საფრთხეს ქმნიან, ხოლო საზოგადოების მრავალი პრობლემა კავშირშია წუთიერი დაკმაყოფილების დღევანდელ ეგოისტურ კულტურასთან. ჩვენ მას ვხედავთ ოჯახის და საზოგადოებრივი კავშირების კრიზისსა და სხვისი შეცნობის სირთულეებში. მშობლები შეიძლება მიდრეკილნი იყვნენ იმპულსური და მფლანგველური მოხმარებისაკენ, რაც შემდეგ გავლენას ახდენს მათ შვილებზე, რომლებისთვისაც სულ მეტად რთულია საკუთარი კერის დამკვიდრება და ოჯახის შექმნა. გარდა ამისა, ჩვენი უუნარობა, რომ სერიოზულად ვიფიქროთ მომავალ თაობებზე, კავშირშია ჩვენივე უუნარობასთან, რომ გავაფართოოთ დღევანდელი ინეტერესების სფერო და ყურადღება გავამახ-

ვილოთ მათზე, რომლებიც ჯერაც მოწყვეტილია განვითარებისაგან. დაე, არა მარტო მომავლის უპოვრები გვახსოვდეს, არამედ დღევანდელი უპოვრებიც, რომელთა ცხოვრებაც დედამიწაზე ხანმოკლეა და რომელთაც არ შეუძლიათ ლოდინი. ამიტომაც, «თაობებს შორის სოლიდარობის სამართლიანი გრძნობის გარდა, არსებობს თაობებს შიგნით სოლიდარობის განახლებული გრძნობის საშური ზნეობრივი საჭიროებაც».[125]

125 ბენედიქტე XVI, მშვიდობის მსოფლიო დღის უწყება, 2010წ, 8: AAS 102 (2010), 45.

თავი მეხუთე

მიდგომის და მოქმედების ზოგიერთი მიმართულება

163. მე შევეცადე, თვალი გადამევლო კაცობრიობის დღევანდელი მდგომარეობისათვის, არსებული განხეთქილებებისათვის პლანეტაზე, რომელზეც ვცხოვრობთ, ასევე გარემოს დეგრადაციის ღრმად ადამიანური მიზეზებისათვის. მართალია ამ სინამდვილის განჭვრეტამ უკვე დაგვანახა, რომ საჭიროა ზოგიერთი მიმართულების და მოქმედების ცვლილება, ახლა შევეცდებით, რომ ჩამოვაყალიბოთ დიალოგის ის ძირითადი გზები, რომლებიც დაგვეხმარება, რომ თავიდან ავიცილოთ თვითგანადგურების ქსელი, რომელიც ამჟამად გვშთანთქავს.

I. დიალოგი გარემოს შესახებ საერთაშორისო საზოგადოებაში

164. გასული საუკუნის შუა პერიოდიდან, მრავალი სირთულის დაძლევით, წარმოიშვა მზარდი რწმენა იმისა, რომ ჩვენი პლანეტა არის სამშობლო და რომ კაცობრიობა არის ერთი ხალხი,

რომელიც საერთო სახლში ცხოვრობს. ურთიერთდამოკიდებული მსოფლიო არა მარტო გვაცნობიერებს გარკვეული ცხოვრების წესის და წარმოების მოხმარების მოდელების უარყოფით შედეგებში, რომელიც ყველა ჩვენგანს ეხება; უფრო მნიშვნელოვანია, რომ ის ბიძგს აძლევს გამოსავლების ძიებას გლობალური ხედვით, და უბრალოდ არ იცავს მცირეოდენი სახელმწიფოების ინტერესებს. ურთიერთდამოკიდებულება გვაიძულებს, რომ ვიფიქროთ ერთიან მსფოლიოზე საერთო გეგმით. თუმცა, იგივე გამჭრიახობას, რომელმაც სინამდვილედ აქცია უზარმაზარი ტექნოლოგიური პროგრესი, იმავდროულად არ ძალუძს ქმედითი საშუალებების გამოძებნა, რომ სერიოზულ გარემოსთან დაკავშირებულ და სოციალურ პრობლემებს შეეჭიდოს მსოფლიო მასშტაბით. გლობალურ თანხმობას არსებითი მნიშვნელობა აქვს ღრმა პრობლემებთან გასამკლავებლად, რომელთა მოგვარებაც შეუძლებელია ცალკეული ქვეყნების ცალმხრივი მოქმედებებით. ასეთ თანხმობას, მაგალითად, შეუძლია ხელი შეუწყოს მდგრადი და დივერსიფიცირებული სოფლის მეურნეობის დაგეგმვას, ენერგიის განახლებადი და ნაკლებად დამაბინძურებელი ფორმების განვითარებას, ენერგიის უფრო ქმედითად გამოყენებას, საზღვაო და სატყეო რესურსების უკეთეს მართვას, და სასმელ წყალზე საყოველთაო ხელმისაწვდომობას.

165. ჩვენ ვიცით, რომ ტექნოლოგია, რომელიც იყენებს მეტად დამაბინძურებელ წიაღისეულ საწვავს - განსაკუთრებით ქვანახშირს, მაგრამ ნა-

ვთობსა და, ნაკლებად, გაზსაც - თანდათანობით უნდა შეიცვალოს შეუფერხებლად. ვიდრე დიდი პროგრესი არ იქნება მიღწეული განახლებადი ენერგიის ფართოდ ხელმისაწვდომი რესურსების განვითარებაში, კანონიერად ითვლება ნაკლებად მავნებელი ალტერნატივის არჩევა ან მოკლევადიანი გამოსავლის პოვნა. მაგრამ საერთაშორისო საზოგადოებას ჯერაც არ მიუღწევია შესაფერისი შეთანხმებებისათვის მათ პასუხისმგებლობაზე, ვინც უნდა უზრუნველყოს ენერგო-ტრანზიტის ძირითადი ხარჯები. უკანასკნელ ათწლეულებში გარემოს საკითხებმა ფართო საჯარო განხილვა გამოიწვია, რომელმაც სამოქალაქო საზოგადოებაში გაზარდა გამორჩეული ვალდებულების და სულგრძელი თავდადების შემთხვევები. პოლიტიკა და წარმოება არათანაზომიერად უდგება მსოფლიოს წინაშე არსებული გამოწვევების გადაუდებლობას. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ, შესაძლოა პოსტ-ინდუსტრიული პერიოდის კაცობრიობა დაგვამახსოვრდეს, როგორც ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უპასუხისმგებლო, მისასალმებელია, რომ XXI საუკუნის დასაწყისის კაცობრიობა შეიძლება დავიმახსოვროთ თავისი სულგრძელობით სერიოზული პასუხისმგებლობის აღებაში.

166. მსოფლიო ეკოლოგიურმა მოძრაობამ უკვე გრძელი გზა განვლო, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების არაერთი ორგანიზაციის ძალისხმევით არის გამდიდრებული. შეუძლებელი იქნებოდა აქ ყველა მათგანის დასახელება ან მათ მიერ შეტანილი წვლილის ისტორიისათვის

თვალის გადავლება. მაგრამ ამგვარი ვალდებულების წყალობით, გარემოს საკითხები სულ მეტად აქტუალურია საჯარო დღის წესრიგში და გამუდმებით მოგვიწოდებს, რომ გრძელვადიან მიდგომებზეც ვიფიქროთ. თუმცა, უკანასკნელ მსოფლიო სამიტებს გარემოს შესახებ არ უპასუხია მოლოდინებისათვის, ვინაიდან, პოლიტიკური ნების სიმწირის გამო, მათ ვერ მიაღწიეს ჭეშმარიტად მნიშვნელოვან და ქმედით გლობალურ შეთანხმებებს გარემოს შესახებ.

167. აღნიშვნას იმსახურებას 1992 წლის დედამიწის სამიტი რიო დე ჟანეიროში. იგი აცხადებდა, რომ «ადამიანები მდგრადი განვითარების მიმართ ინტერესების ცენტრში იმყოფებიან».[126] ითვალისწინებდა რა 1972 წლის სტოკჰოლმის დეკლარაციას, ამტკიცებდა საერთაშორისო თანამშრომლობას, რომ იზრუნონ მთელი დედამიწის ეკოსისტემაზე, მათ ვალდებულებას, ვინც აბინძურებს, რომ საკუთარ თავზე აიღონ მისი ხარჯები, და მოვალეობას, შეაფასონ მოცემული პროექტების და სამუშაოების გავლენა გარემოზე. ის აყენებდა მიზანს, რომ შეიზღუდოს სათბური აირის კონცენტრაცია ატმოსფეროში, რათა მიმართულება შეიცვალოს გლობალური დათბობის ტენდენციამ. ის, აგრეთვე, ადგენდა დღის წესრიგს თავისი სამოქმედო გეგმით და კონვენციით ბიომრავალფეროვნებაზე, და აცხადებდა ტყეებთან დაკავშირებულ პრინციპებს. მართალია სა-

126 რიოს დეკლარაცია გარემოს და განვითარების შესახებ (14 ივნისი,1992წ), პრინციპი 1.

მიტი ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯი იყო, და წინასწარმეტყველურიც თავისი დროისათვის, მისი შეთანხმებები არასაკმარისად განხორციელდა, ზედამხედველობის, პერიოდული დაკვირვების და აღუსრულებლობის შემთხვევებში სასჯელების შესაბამისი მექანიზმების სიმწირის გამო. პრინციპები, რომლებსაც ის აცხადებდა, ჯერაც მოელის პრაქტიკული განხორციელების ქმედით და მოქნილ საშუალებებს.

168. ამ თვალსაზრისით არაერთ დადებით გამოცდილებას შორის, შეგვიძლია ვახსენოთ, მაგალითად, ბაზელის კონვენცია საშიშ ნარჩენებზე, თავისი შეფასების, სტანდარტების და კონტროლის სისტემით. აგრეთვე არსებობს სავალდებულო კონვენცია ველური ფაუნის და ფლორის საფრთხეში მყოფი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ადგილზე დათვალიერებას ეფექტური განხორციელებისათვის. ვენის კონვენციის წყალობით, რომელიც უზრუნველყოფს ოზონის შრის დაცვას და მის განხორციელებას მონრეალის პროტოკოლის და შესწორებების საშუალებით, შრის შეთხელების პრობლემა მოგვარების ფაზაში შევიდა.

169. რამდენადაც საქმე ბიომრავალფეროვნების დაცვას და გაუდაბნოებასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება, ამ მხრივ წინსვლა გაცილებით უმნიშვნელოა. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, პროგრესი სამწუხაროდ მცირეა. სათბური აირების შემცირება მოითხოვს პატიოსნებას, გაბედულებას და პასუხისმგებლობას,

პირველ რიგში იმ ქვეყნების მხრიდან, რომლებიც უფრო ძლიერნი არიან და მეტად აბინძურებენ. გაერთიანებული ერების კონფერენციამ მდგრადი განვითარების შესახებ, "რიო+20"-მა (რიო დე ჟანეირო, 2012წ), ფართო, მაგრამ უშედეგო დასკვნითი დოკუმენტი მიიღო. საერთაშორისო მოლაპარაკებები ვერ აღწევს მნიშვნელოვან პროგრესს იმ ქვეყნების პოზიციების გამო, რომლებიც საკუთარ ეროვნულ ინტერესებს გლობალურ საერთო სიკეთეზე მაღლა აყენებენ. მათ, ვისაც დატანჯავს იმის შედეგები, რომლის დამალვასაც ვცდილობთ, არ დაავიწყდებათ სინდისის და პასუხისმგებლობის კრახი. როდესაც ეს ენციკლიკა მზადდებოდა, კამათი განსაკუთრებით ძლიერი იყო. ჩვენ, მორწმუნეები, უარს ვერ ვიტყვეით, რომ ღმერთს შევევედროთ ახლანდელი განხილვების დადებითი შედეგისათვის, რათა მომავალი თაობები არ დაიტანჯონ ჩვენი უგუნური მანკიერებების შედეგებით.

170. დამაბინძურებელი აირის ემისიების შემცირების ზოგიერთი სტრატეგია მოითხოვს გარემოს ხარჯების ინტერნაციონალიზაციას, რომელმაც შესაძლოა მცირე რესურსების მქონე ქვეყნებს თავს მოახვიოს მძიმე ვალდებულებები, რომ შეამცირონ ემისიები ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებთან შედარებით. ასეთი ზომების თავსმოხვევა სასჯელს აკისრებს იმ ქვეყნებს, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ განვითარება. შემდგომი უსამართლობა ჩადენილი იქნება გარემოს დაცვის მოჩვენებითი ნიშნით. აქაც, საბოლოოდ ფასის გადახდა ღარიბებს უწევთ. გარდა ამისა, ვინაიდან

კლიმატის ცვლილების შედეგები მომავალი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იქნება საგრძნობი, მკაცრი ზომებიც რომ მიიღონ ახლა, იშვიათი რესურსების მქონე ზოგიერთ ქვეყანას მაინც დასჭირდება დახმარება უკვე გამოწვეულ შედეგებთან შეგუებაში, რაც მათ ეკონომიკებზე მოახდენს გავლენას. ამ კონტექსტში, საჭიროა ერთობლივი და დიფერენცირებული პასუხისმგებლობები. როგორც ბოლივიის ეპისკოპოსები აცხადებდნენ, «ქვეყნებს, რომლებიც სარგებელს იღებენ ინდუსტრიალიზაციის მაღალი დონიდან, სათბური აირების უზარმაზარი ემისიების ხარჯზე, დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ მათ მიერ გამოწვეული პრობლემების გადაწყვეტის უზრუნველყოფაზე».[127]

171. "ნახშირბადის კრედიტების" ყიდვა-გაყიდვის სტრატეგიამ შეიძლება წარმოშვას სპეკულაციის ახალი ფორმა, რომელიც ხელს შეუწყობს მსოფლიო მასშტაბით დამაბინძურებელი აირების გამოყოფის შემცირებას. ასეთი სისტემა შესაძლოა სწრაფი და მარტივი გამოსავალი იყოს, გარემოს მიმართ გარკვეული ვალდებულების გამოჩენით, რომელიც, თუმცა, სრულებითაც არ გულისხმობს რადიკალურ ცვლილებას, რომელსაც არსებული გარემოებები მოითხოვს. მეტადრე, ის უბრალოდ შეიძლება იქცეს გეგმად, ხელს უწყობს რა ზოგიერთი ქვეყნის და სფეროს უსაზღვრო მოხმარების შენარჩუნებას.

---

127 ბოლივიის ეპისკოპოსთა კონფერენცია, სამწყსო წერილი გარემოსა და ადამიანის განვითარებაზე ბოლივიაში El Universo, don de Dios para la Vida (2012), 86.

172. ღარიბი ქვეყნების პრიორიტეტები უნდა იყოს უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა და საკუთარი ხალხების სოციალური განვითარების ხელშეწყობა. იმავდროულად, ისინი უნდა ითვალისწინებდნენ საკუთარი მოსახლეობის ზოგიერთი პრივილეგირებული ნაწილის მოხმარების აღმაშფოთებელ დონეს და უფრო ქმედითად ებრძოდნენ კორუფციას. მათ, აგრეთვე, ევალებათ ენერგიის გამომუშავების ნაკლებად დამაბინძურებელი ფორმების განვითარება, მაგრამ ამის გაკეთებით ისინი უნდა ეხმარებოდნენ ქვეყნებს, რომლებმაც დიდი ზრდა განიცადეს პლანეტის ამჟამინდელი დაბინძურების ხარჯზე. მზის მდიდარი ენერგიის პირდაპირი გამოყენება მოითხოვს იმ მექანიზმების და სუბსიდიების შექმნას, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს განვითარებად ქვეყნებს, რომ ხელი მიუწვდებოდეთ ტექნოლოგიის გადატანაზე, ტექნიკურ დახმარებასა და ფინანსურ რესურსებზე, მაგრამ იმ ფორმით, რომელიც პატივს სცემს მათ კონკრეტულ ვითარებებს, ვინაიდან «[ინფრასტრუქტურების] თავსებადობა იმ კონტექსტთან, რომლისთვისსაც ისინი შეიქმნა, ყოველთვის არ არის სათანადოდ შეფასებული».[128] ამის ხარჯები ნაკლები იქნება, კლიმატის ცვლილების რისკებთან შედარებით. ყოველ შემთხვევაში, პირველ რიგში არსებობს ეთიკური გადაწყვეტილებები, რომლებიც ემყარება სოლიდარობას ყველა ხალხს შორის.

---

128 სამართლიანობის და მშვიდობის პონტიფიკალური საბჭო, ენერგია, სამართლიანობა და მშვიდობა, IV, 1, Città del Vaticano (2013), 56.

173. სასწრაფოდ საჭიროა განხორციელებადი საერთაშორისო შეთანხმებები, ვინაიდან ადგილობრივ ხელისუფლებებს ყოველთვის არ შეუძლიათ ქმედითი ჩარევა. ურთიერთობები სახელმწიფოებს შორის პატივს უნდა სცემდეს თითოეული მათგანის სუვერენიტეტს, მაგრამ უნდა ადგენდეს ერთობლივად შეთანხმებულ საშუალებებსაც, რომ თავიდან იქნას აცილებული რეგიონული კატასტროფები, რომლებიც საბოლოოდ ყველაზე ახდენს გავლენას. საჭიროა გლობალური მარეგულირებელი ნორმები, რათა დაწესდეს ვალდებულებები და თავიდან იქნას აცილებული მიუღებელი მოქმედებები, მაგალითად, როდესაც ძლიერი კომპანიები ან ქვეყნები დაბინძურებულ ნარჩენებს ან მეტად დამაბინძურებელ მრეწველობებს ტოვებენ სხვა ქვეყნებში.

174. ვახსენოთ ოკეანეების მართვის სისტემაც. არსებობს საერთაშორისო და რეგიონული კონვენციები, მაგრამ დარღვევა და რეგულაციის, კონტროლის და დასჯის მკაცრი მექანიზმების სიმწირე საბოლოოდ ძირს უთხრის ამგვარ მცდელობებს. განსაკუთრებულ გამოწვევებს წარმოადგენს წყლის დაბინძურების მზარდი პრობლემა და ღია ზღვების დაცვა. ამიტომაც, საჭიროა შეთანხმება მთელი ე.წ "გლობალური საერთო საქონლის" მართვის სისტემებზე.

175. იგივე ლოგიკა, რომელიც ართულებს ფუნდამენტური გადაწყვეტილებების მიღებას, რომ თავიდან იქნას აცილებული გლობალური დათბობის ტენდენცია, შესაძლებლობას არ აძლევს

სიღარიბის აღმოფხვრის მიზნის განხორციელებას. საჭიროა უფრო საპასუხისმგებლო გლობალური რეაქცია, რომელიც ორივე პრობლემას გაუმკლავდება: დაბინძურების შემცირებას და ღარიბი ქვეყნების და რეგიონების განვითარებას. XXI საუკუნე, ინარჩუნებს რა წარსული ეპოქების მართვის სისტემებს, ხელს უწყობს ეროვნული სახელმწიფოების ძალაუფლების დაკნინებას, ამის მიზეზი კი, პირველ რიგში, ის არის, რომ ეკონომიკურ-ფინანსური განზომილება, თავისი ტრანსეროვნული მახასიათებლებით, პოლიტიკაზე გაბატონებას ესწრაფვის. ამ კონტექსტში, საჭიროა უფრო მტკიცე და ქმედითად ორგანიზებული საერთაშორისო დაწესებულებების განვითარება, რომლის ხელისუფლებაც მიუკერძოებელი იქნება ეროვნულ მთავრობებს შორის მიღწეული შეთანხმებებით და რომელსაც სანქციის გამოყენების ძალაუფლება ექნება. როგორც ბენედიქტე XVI ამტკიცებდა, ეკლესიის სოციალური მოძღვრების მიერ უკვე განვითარებული მიმართულებით, «გლობალური ეკონომიკის სამართავად; კრიზისით დაზარალებული ეკონომიკების აღსადგენად; დღევანდელი კრიზისის და მომავალი შესაძლო დიდი დისბალანსების თავიდან ასაცილებლად; ინტეგრალური და დროული განიარაღების, უსაფრთხო საკვების და მშვიდობის უზრუნველსაყოფად; გარემოს დასაცავად და მიგრაციის დასარეგულირებლად; ყოველივე ამისთვის, სასწრაფოდ საჭიროა ჭეშმარიტი მსოფლიო პოლიტიკური ხელისუფლება, როგორც წლების წინ აცხადებდა ჩემი წინამო-

რბედი, ნეტარი იოანე XXIII».[129] საერთაშორისო სტრატეგიების განვითარების საქმეში ახალ მნიშვნელობას იძენს დიპლომატიაც, რათა თავიდან აიცილოს სერიოზული პრობლემები, რომლებიც ყველა ჩვენგანს ეხება.

II. დიალოგი ახალი ეროვნული და ადგილობრივი პოლიტიკისათვის

176. გამარჯვებულები და დამარცხებულები არა მარტო ქვეყნებს შორის არსებობენ, არამედ თვითონ ღარიბ ქვეყნებშიც. ამიტომაც, საჭიროა განსხვავებული პასუხისმგებლობების განსაზღვრა. გარემოსა და ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს ვეღარ მივუდგებით მხოლოდ ქვეყნებს შორის განსხვავებების თვალსაზრისით; ისინი ეროვნული და ადგილობრივი პოლიტიკის მიმართ უფრო დიდ ყურადღებასაც მოითხოვს.

177. ადამიანის შესაძლებლობათა არასწორად გამოყენების ნამდვილი პოტენციალის გათვალისწინებით, ცალკეული სახელმწიფოები ვეღარ უგულებელყოფენ საკუთარ პასუხისმგებლობას დაგეგმვაზე, კოორდინაციაზე, ზედამხედველობასა და აღსრულებაზე შესაბამის ფარგლებში. როგორ შეუძლია საზოგადოებას საკუთარი მომავლის დაგეგმვა და დაცვა მუდმივად განვითარებად ტექნოლოგიურ სიახლეებში? ზედამხედველობის და კოორდინაციის ერთ-ერთი

129 ბენედიქტე XVI, ენციკ. Caritas in veritate (29 ივნისი, 2009წ), 67: AAS 101 (2009), 700.

ავტორიტეტული წყარო არის კანონი, რომელიც ადგენს დასაშვები ქცევის წესებს საერთო სიკეთის შუქზე. საზღვრები, რომლებსაც ჯანსაღი, მომწიფებული და სუვერენული საზოგადოება უნდა აწესებდეს, უკავშირდება პროგნოზირებას და უსაფრთხოებას, მარეგულირებელ ნორმებს, დროულ აღსრულებას, კორუფციის აღმოფხვრას, ქმედით პასუხებს წარმოების პროცესების არასასურველ გვერდით მოვლენებზე, და შესაბამის ჩარევას, სადაც პოტენციალი ან გაურკვეველი რისკები არსებობს. არსებობს მზარდი იურისპრუდენცია, რომელიც სამეწარმეო საქმიანობებით გამოწვეული დაბინძურების შემცირებას უკავშირდება. მაგრამ პოლიტიკური და ინსტიტუციური სისტემა არ არსებობს უბრალოდ იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს ცუდი პრაქტიკა, არამედ ხელი შეუწყოს საუკეთესო პრაქტიკასაც, ბიძგი მისცეს შემოქმედებითობას ახალი გამოსავლების ძიებისას და წაახალისოს კერძო ან ჯგუფური ინიციატივები.

178. პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია დაუყოვნებლივ შედეგებზე, და რომელსაც ზურგს უმაგრებს მოსახლეობის მომხმარებლური ჯგუფები, ესწრაფვის მოკლევადიან ზრდას. ამომრჩეველთა ინტერესების საპასუხოდ, მთავრობები ნაკლებად აშფოთებენ საზოგადოებას იმ ღონისძიებებით, რომლებიც მოხმარების დონეზე ახდენს გავლენას ან რისკებს უქმნის საგარეო ინვესტიციებს. ძალის პოლიტიკის ახლომხედველობა ხელს უშლის შორსმხედველური გარემოს დღის წესრიგის ჩართულობას მთავრობების მთლიან

დღის წესრიგში. ამგვარად, გვავიწყდება, რომ «დრო აღემატება სივრცეს»,[130] რომ ყოველთვის უფრო ქმედითნი ვართ, როდესაც ვქმნით პროცესებს, ვიდრე ვებღაუჭებით ძალის პოზიციებს. ჭეშმარიტი სახელმწიფოს მართვა თვალსაჩინოა მაშინ, როდესაც, სირთულის ჟამს, მხარს ვუჭერთ მაღალ პრინციპებს და ვფიქრობთ გრძელვადიან საერთო სიკეთეზე. პოლიტიკური ძალებისთვის არ არის ადვილი ერის მშენებლობის საქმეში ამ მოვალეობის აღება.

179. ზოგიერთ ადგილას, ვითარდება კოოპერატივები, რომლებიც ენერგიის განახლებად რესურსებს იყენებენ, რაც უზრუნველყოფს ადგილობრივად თვითდაკმაყოფილებას და ჭარბი ენერგიის გაყიდვასაც. ეს მარტივი მაგალითი აჩვენებს, რომ, როდესაც არსებული მსოფლიო წესრიგი უძლურია პასუხისმგებლობების საკუთარ თავზე აღებაში, ადგილობრივ ინდივიდებს და ჯგუფებს ნამდვილად შეუძლიათ განსხვავების ჩვენება. აქედან შეიძლება წარმოიშვას პასუხისმგებლობის უფრო დიდი გრძნობა, ერთად ცხოვრების ძლიერი განცდა, სხვების დაცვის მზადყოფნა, შემოქმედებითობის სულისკვეთება და ღრმა სიყვარული მიწის მიმართ, აგრეთვე იმაზე ფიქრი, საბოლოოდ რას დაუტოვებენ საკუთარ შვილებს და შვილიშვილებს. ეს ფასეულობები ღრმად ფესვგადგმულია ადგილობრივ ხალხებში. ვინაიდან კანონების აღსრულება ზოგჯერ

130 სამოც. ექსჰ. Evangelii gaudium (24 ნოემბერი, 2013წ), 222: AAS 105 (2013), 1111.

არასათანადოდ ხდება კორუფციის გამო, საჭირო ხდება საზოგადოებრივი ზეწოლა გადამწყვეტი პოლიტიკური მოქმედების განსახორციელებლად. საზოგადოება, არასამთავრობო ორგანიზაციების და შუამავალი ჯგუფების მეშვეობით, ზეწოლას უნდა ახდენდეს მთავრობებზე, რომ განავითარონ უფრო მკაცრი რეგულაციები, პროცედურები და კონტროლი. ვიდრე მოქალაქეები არ გააკონტროლებენ პოლიტიკურ ძალაუფლებას – ეროვნულს, რეგიონულს და მუნიციპალურს – შეუძლებელი იქნება გარემოს მიმართ მიყენებული ზიანის გაკონტროლება. ადგილობრივი კანონმდებლობაც შეიძლება უფრო ქმედითი იყოს, თუკი იარსებებს შეთანხმებები მეზობელ საზოგადოებებს შორის, რომ ხელი შეუწყოს გარემოს პოლიტიკას.

180. არ არსებობს ერთგვაროვანი რეცეპტები, ვინაიდან თითოეულ ქვეყანას თუ რეგიონს საკუთარი პრობლემები და შეზღუდვები აქვს. სიმართლეა ისიც, რომ პოლიტიკური რეალიზმი შესაძლოა მოითხოვდეს გარდამავალ ზომებს და ტექნოლოგიებს, და მათთან ერთად თანდათანობით ჩამოყალიბდეს და მიღებული იყოს შესასრულებელი ვალდებულებები. იმავდროულად, ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე, ჯერაც ბევრია გასაკეთებელი, როგორიცაა ენერგიის დაზოგვის საშუალებათა ხელშეწყობა. ეს გულისხმობს სამრეწველი წარმოების ფორმების ხელშეწყობას მაქსიმალური ენერგოეფექტიანობით და ნედლეულის შემცირებული გამოყენებით, ბაზრებიდან იმ პროდუქტების ამოღებას, რომლებიც ნაკლე-

ბად ენერგოეფექტური ან მეტად დამაბინძურებელია, სატრანსპორტო სისტემების გაუმჯობესებას, და ნაგებობების მშენებლობის და გარემონტების წახალისებას, რომლის მიზანიც ენერგიის მოხმარების და დაბინძურების დონეების შემცირებაა. ადგილობრივ დონეზე, პოლიტიკური საქმიანობის მიმართულება შეიძლება იყოს მოხმარების სახეცვლილება, ნარჩენების გადაცემის და გადამუშავების ეკონომიკის განვითარება, გარკვეული სახეობების დაცვა და დივერსიფიცირებული სოფლის მეურნეობის და კულტურების ბრუნვის დაგეგმვა. სოფლის მეურნეობა ღარიბ რეგიონებში შეიძლება გაუმჯობესდეს ინვესტიციებით სოფლის ინფრასტრუქტურაში, ადგილობრივი ან ეროვნული ბაზრების, ირიგაციის სისტემების უკეთესი ორგანიზაციით, და მდგრადი სოფლის მეურნეობის ტექნიკის განვითარებით. შესაძლოა წახალისდეს თანამშრომლობის და საზოგადო ორგანიზაციის ახალი ფორმები, რათა დაცული იყოს მცირე მწარმოებელთა ინტერესები და ადგილობრივი ეკოსისტემები განადგურებისაგან. მართლაც, ბევრის გაკეთება შეიძლება!

181. აქ, საჭიროა უწყვეტობა, ვინაიდან კლიმატის ცვლილებასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პოლიტიკა ვერ შეიცვლება ყოველ ჯერზე, როდესაც მთავრობის ცვლილება ხდება. შედეგები დროს და დაუყოვნებლივ ხარჯებს მოითხოვს, რომელმაც შესაძლოა არც მოიტანოს ხელშესახები შედეგები მოცემული მთავრობის მოქმედების ვადაში. ამიტომაც, საზოგადოებისაგან და სამოქალაქო დაწესებულებებისაგან

ზეწოლის არარსებობისას, პოლიტიკური ხელისუფლებები არ მოისურვებენ ჩარევას, მით ნაკლებად მაშინ, როდესაც საშური საჭიროებები უნდა დააკმაყოფილონ. ამ პასუხისმგებლობების და მათ მიერ გამოწვეული ხარჯების აღებით, პოლიტიკოსები გარდაუვლად შეეჯახებიან მოკლევადიანი მოგების აზროვნებას და შედეგებს, რომლებიც დღევანდელ ეკონომიკასა და პოლიტიკაზე ბატონობს. მაგრამ თუკი გაბედულად მოიქცევიან, ისინი დაამოწმებენ საკუთარ ღმრთივბოძებულ ღირსებას და უკან მოიტოვებენ ეგოისტური პასუხისმგებლობის მოწმობას. დაუყოვნებლივ საჭიროა ჯანსაღი პოლიტიკა, რომელსაც ძალუძს დაწესებულებათა რეფორმირება და კოორდინირება, საუკეთესო პრაქტიკების ხელშეწყობა და გაუმართლებელი ზეწოლის და ბიუროკრატიული ინერციის დაძლევა. თუმცა, უნდა დავსძინოთ, რომ საუკეთესო მექანიზმებიც კი შეიძლება მოიშალოს, როდესაც არ არსებობს ღირებული მიზნები და ფასეულობები ან ნამდვილი და ღრმა ჰუმანიზმი, რომელსაც შეუძლია ყოველი საზოგადოება შეამკოს კეთილშობილური და სულგრძელი მნიშვნელობით.

III. დიალოგი და გამჭვირვალეობა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში

182. გარემოზე სამეწარმეო ინიციატივების და პროექტების გავლენის პროგნოზირება მოითხოვს გამჭვირვალე პოლიტიკურ პროცესებს და შეხედულებების თავისუფალ გაცვლას. მეო-

რე მხრივ, კორუფციის ფორმები, რომლებიც მალავს მოცემული პროექტის ნამდვილ გავლენას გარემოზე, გარკვეული სარგებლის სანაცვლოდ, ჩვეულებრივ იწვევს ორაზროვან შეთანხმებებს, რომლებიც უგულებელყოფენ ინფორმირების მოვალეობას და სიღრმისეულ განხილვებს.

183. გარემოზე ზეგავლენის შესწავლა არ უნდა ხდებოდეს სამეწარმეო წინადადების წარმოდგენის ან გარკვეული პოლიტიკის, გეგმის ან პროგრამის შემოთავაზების შემდეგ. ის თავიდანვე უნდა იყოს პროცესის ნაწილი და განხორციელდეს იმ გზით, რომელიც ინტერდისციპლინარული, გამჭვირვალე და ეკონომიკური თუ პოლიტიკური ზეწოლისაგან თავისუფალია. ის კავშირში უნდა იყოს შრომითი პირობების და ადამიანთა ფიზიკურ და გონებრივ ჯანმრთელობაზე, ადგილობრივ ეკონომიკასა და საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე შესაძლო შედეგების შესწავლასთან. ამგვარად, უფრო რეალისტურად შეიძლება ეკონომიკური ბრუნვების პროგნოზირება, რაც ითვალისწინებს პოტენციურ სცენარებს და შემდგომი ინვესტირების საბოლოო საჭიროებას, რათა გამოსწორდეს შესაძლო არასასურველი შედეგები. ყოველთვის მიღწეული უნდა იყოს თანხმობა სხვადასხვა მეწილეებს შორის, რომლებსაც შეუძლიათ შესთავაზონ მრავალგვარი მიდგომა, გამოსავალი და ალტერნატივა. ადგილობრივ მოსახლეობას განსაკუთრებული ადგილი უნდა ეკავოს მაგიდასთან; მათ აფიქრებთ საკუთარი თავის და შვილების მომავალი, და შეუძლიათ მხედველობაში მიიღონ ის მიზნები, რომლებიც

უშუალო ეკონომიკურ ინტერესს აღემატება. ჩვენ უნდა შევწყვიტოთ ფიქრი "ჩარევების" პირობებში, რომ დავიცვათ გარემო, იმ პოლიტიკის სასიკეთოდ, რომელსაც ყველა დაინტერესებული მხარე ავითარებს და განიხილავს. ამ უკანასკნელთა მონაწილეობა, აგრეთვე, ბიძგს აძლევს სრულად ინფორმირებას ასეთი პროექტების და მათი სხვადასხვა რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ; ეს მოიცავს არა მარტო წინასწარ გადაწყვეტილებებს, არამედ მრავალგვარ შემდგომ საქმიანობასა და უწყვეტ დაკვირვებასაც. სამეცნიერო და პოლიტიკურ განხილვებში საჭიროა პატიოსნება და ჭეშმარიტება; ისინი არ უნდა დაიყვანებოდეს იმ საკითხამდე, ნებას რთავს თუ არა კანონი რომელიმე ცალკეულ პროექტს.

184. გარემოს მიმართ შესაძლო რისკების წინაშე, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს საერთო სიკეთეზე ახლა და მომავალში, მიღებული უნდა იყოს გადაწყვეტილებები, რომლებიც «ემყარება ყველა შესაძლო ალტერნატივისათვის რისკების და სარგებლის შედარებას».[131] ეს განსაკუთრებით სიმართლეა, როდესაც პროექტი გულისხმობს ბუნებრივი რესურსების დიდ გამოყენებას, გამოყოფის ან გამონადენის მაღალ დონეებს, ნარჩენების ზრდას, მნიშვნელოვან ცვლილებებს ლანდშაფტში, დაცული სახეობების საცხოვრისებში ან საჯარო სივრცეებში. ზოგიერთმა პროექტმა, თუკი არასაკმარისად არის

131 სამართლიანობის და მშვიდობის პონტიფიკალური საბჭო, ეკლესიის სოციალური მოძღვრების კომპენდიუმი, 469.

შესწავლილი, შეიძლება ღრმა გავლენა იქონიოს გარკვეული სივრცის ცხოვრების დონეზე ძალიან განსხვავებული ფაქტორების გამო, როგორიცაა გაუთვალისწინებელი აკუსტიკური დაბინძურება, ხედების შემცირება, კულტურული ფასეულობების დაკარგვა, ან ბირთვული ენერგიის გამოყენების შედეგები. მომხმარებლობის კულტურას, რომელიც უპირატესობას ანიჭებს მოკლევადიან მოგებას და კერძო ინტერესს, შეუძლია გააადვილოს ძალზე სწრაფი პრაქტიკები ან ინფორმაციის დამალვა.

185. სამეწარმეო ინიციატივის შესახებ ნებისმიერი სახის განხილვებში, საჭიროა პასუხი გაეცეს არაერთ შეკითხვას, რათა გაირკვეს, შეუწყობს თუ არა ის ხელს ნამდვილ ინტეგრალურ განვითარებას: რა მიზნით? რა მიზეზით? სად? როდის? როგორ? ვისთვის? რა რისკები არსებობს? რის ფასად? ვინ დაფარავს ხარჯებს და როგორ გააკეთებს ამას? ამ განხილვაში არსებობს შეკითხვები, რომლებსაც უპირატესობა უნდა მიენიჭოს. მაგალითად, ვიცით, რომ წყალი იშვიათი და აუცილებელი რესურსია, ამასთანავე ის ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც ადამიანის სხვა უფლებების გამოყენებას განსაზღვრავს. ეს უდავო ფაქტია, რომელიც რეგიონზე გარემოს ზეგავლენის ნებისმიერ სხვა ანალიზს აღემატება.

186. 1992 წლის რიოს დეკლარაცია აცხადებს, რომ «სადაც სერიოზული ან შეუქცევადი ზიანის საფრთხეები არსებობს, სრული მეცნიერული

უტყუარობის ნაკლებობა არ უნდა იყოს გამოყენებული ქმედითი ღონისძიებების გატარების გადავადების საბაბად»,[132] რომლებიც თავიდან აიცილებს გარემოს დეგრადაციას. ეს გამაფრთხილებელი პრინციპი შესაძლებელს ხდის მათ დაცვას, ვინც ყველაზე დაუცველია და ვისი შესაძლებლობაც, რომ დაიცვან საკუთარი ინტერესები და მიიღონ უდავო მტკიცებულება, შეზღუდულია. თუკი ობიექტური ინფორმაციაც ვერ იცილებს თავიდან სერიოზულ და შეუქცევად ზიანს, პროექტი უნდა შეწყდეს ან შეიცვალოს, უდავო მტკიცებულების არარსებობის დროსაც კი. ამ მტკიცებულების ტვირთი შებრუნებულია, ასეთ შემთხვევებში კი ობიექტურად და საბოლოოდ უნდა იყოს ნაჩვენები, რომ წარმოდგენილი საქმიანობა არ მიაყენებს სერიოზულ ზიანს გარემოს და მასში მაცხოვრებლებს.

187. ეს არ გულისხმობს შეთავაზებას რომელიმე ტექნოლოგიური სიახლისა, რომელსაც შეუძლია ცხოვრების დონის გაუმჯობესება, არამედ ეს ნიშნავს, რომ სარგებელი არ შეიძლება იყოს ერთადერთი არსებული კრიტერიუმი და რომ, როდესაც ცნობილი ხდება მნიშვნელოვანი ახალი სიახლე, ხელახალი შეფასება უნდა მოხდეს, ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. შედეგი შესაძლოა იყოს გადაწყვეტილება, რომ არ განაგრძონ მოცემული პროექტი, შეცვალონ ის ან შემოიტანონ ალტერნატიული წინადადებები.

---

132 რიოს დეკლარაცია გარემოს და განვითარების შესახებ (14 ივნისი,1992წ), პრინციპი 15.

188. არსებობს გარკვეული საკითხები გარემოს შესახებ, სადაც ადვილი არ არის ფართო თანხმობის მიღწევა. აქ, კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ ეკლესია არ აყენებს მეცნიერულ საკითხებს ან არ ანაცვლებს პოლიტიკას. არამედ მოვუწოდებ პატიოსანი და ღია განხილვისაკენ, რათა ცალკეულმა ინტერესებმა ან იდეოლოგიებმა ზიანი არ მიაყენოს საერთო სიკეთეს.

III. პოლიტიკა და ეკონომიკა დიალოგში ადამიანის სისავსისათვის

189. პოლიტიკა არ უნდა ემორჩილებოდეს ეკონომიკას, არც ეკონომიკა უნდა ემორჩილებოდეს ტექნოკრატიის ეფექტიანობით მართული პარადიგმის კარნახს. დღეს, საერთო სიკეთის ხედვით, სასწრაფოდ საჭიროა, რომ პოლიტიკა და ეკონომიკა იმყოფებოდეს გულწრფელ დიალოგში ცხოვრების, განსაკუთრებით ადამიანის ცხოვრების, სასიკეთოდ. ბანკების გადარჩენა ნებისმიერ ფასად, მოსახლეობისაგან ფასის გადახდევინება, მთლიანი სისტემის გადახედვის ან რეფორმების მტკიცე ვალდებულების გარეშე, მხოლოდ კიდევ ერთხელ ამტკიცებს ფინანსური სისტემის სრულ ძალაუფლებას, რომელსაც არ აქვს მომავალი და რომელიც მხოლოდ ახალ კრიზისებს გამოიწვევს ნელი, ძვირადღირებული და მხოლოდ აშკარა

აღდგენის შემდეგ. 2007-2008 წლების ფინანსური კრიზისი იყო შესაძლებლობა, რომ განევითარებინათ ახალი ეკონომიკა, რომელიც უფრო ყურადღებით მოეკიდებოდა ეთიკურ პრინციპებს, და სპეკულაციური ფინანსური პრაქტიკების და ფაქტობრივი სიმდიდრის რეგულირების ახალი გზები. მაგრამ პასუხი ამ კრიზისზე არ ყოფილა მოძველებული კრიტერიუმების გადახედვა, რომლებიც კვლავაც მართავენ მსოფლიოს. წარმოება არ არის ყოველთვის გონივრული და, ჩვეულებრივ, კავშირშია ეკონომიკურ ცვლადებთან, რომლებიც პროდუქტებს ანიჭებს იმ ფასს, რომელიც აუცილებლად არ შეესაბამება მათ ნამდვილ ღირებულებას. ეს კი ხშირად იწვევს ზოგიერთი სახის საქონლის ჭარბწარმოებას, უსარგებლო გავლენით გარემოზე და უარყოფითი შედეგებით რეგიონულ ეკონომიკებზე.[133] ფინანსური სპეკულაცია იქცევა საწარმოო სპეკულაციად. რეალური ეკონომიკის პრობლემას მტკიცედ არ უდგებიან, თუმცა სწორედაც რეალური ეკონომიკა ხდის შესაძლებელს წარმოების დივერსიფიკაციასა და გაუმჯობესებას, ეხმარება კომპანიებს უკეთესად მუშაობაში, და შესაძლებლობას აძლევს მცირე და საშუალო წარმოებებს, რომ განვითარდნენ და შექმნან სამუშაო ადგილები.

---

133 შეად. მექსიკის ეპისკოპოსთა კონფერენცია. სოციალურ-პასტორალური საქმიანობის საეპისკოპოსო კომისია, Jesucristo, vida y esperanza de los indígenas y campesinos (14 იანვარი, 2008წ).

190. აქაც, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ «გარემოს დაცვა ვერ იქნება უზრუნველყოფილი მხოლოდ ხარჯების და მოგების ფინანსური გათვლების საფუძველზე. გარემო ერთ-ერთია იმ სიკეთეებიდან, რომლებსაც შესაფერისად ვერ დაიცავს ან ხელს ვერ შეუწყობს საბაზრო ძალები».[134] კიდევ ერთხელ, უნდა უარვყოთ ბაზრის მაგიური კონცეფცია, რომლის თანახმადაც პრობლემების მოგვარება შესაძლებელია უბრალოდ კომპანიების ან ინდივიდების სარგებლის ზრდით. განა უფრო რეალისტური არაა, იმედი ვიქონიოთ, რომ ის, ვინც შეპყრობილია მოგების მაქსიმალური ზრდით, ვერ იაზრებს გარემოსადმი მიყენებულ ზიანს, რომელსაც ისინი მომავალ თაობებს დაუტოვებენ? სადაც მხოლოდ მოგებას აქვს მნიშვნელობა, იქ შეუძლებელია ფიქრი ბუნების რითმებზე, მისი დეგრადაციისა და რეგენერაციის ფაზებზე, ან ეკოსისტემების კომპლექსურობაზე, რომლებიც შესაძლოა სერიოზულად დააზიანოს ადამიანის ჩარევამ. გარდა ამისა, როდესაც საუბარი ეხება ბიომრავალფეროვნებას, უმეტესწილად მას მოიაზრებენ ექსპლუატაციისათვის ხელმისაწვდომი ეკონომიკური რესურსების საწინდრად, სერიოზულად არ ფიქრობენ საგანთა ნამდვილ ღირებულებაზე, მათ მნიშვნელობაზე ადამიანებისა და კულტურებისათვის, ან ღარიბთა ინტერესებსა და საჭიროებებზე.

---

134 სამართლიანობისა და მშვიდობის პონტიფიკალური საბჭო, ეკლესიის სოციალური მოძღვრების კომპენდიუმი, 470.

191. როდესაც ასეთი საკითხები წამოიჭრება, ზოგიერთი პასუხი არის სხვებისთვის ბრალის დადება, რომ უგუნურად აბრკოლებენ პროგრესს და ადამიანის განვითარებას. მაგრამ ჩვენ უნდა გავაძლიეროთ რწმენა, რომ წარმოების და მოხმარების ზრდამ ზოგჯერ შეიძლება წარმოშვას პროგრესის და განვითარების სხვა ფორმა. მცდელობები, რომ ხელი შეუწყონ ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას, არ არის ფულის ფლანგვა, არამედ ინვესტიციაა, რომელსაც საშუალო პერიოდში სხვა ეკონომიკური სარგებლის მოტანაც შეუძლია. თუკი ფართო სურათს შევხედავთ, დავინახავთ, რომ წარმოების უფრო დივერსიფიცირებული და ინოვაციური ფორმები, რომლებიც ნაკლებად ზემოქმედებს გარემოზე, ძალზე მომგებიანია. აქ საქმე ეხება გახსნილობას სხვადასხვა შესაძლებლობების მიმართ, რომლებიც არ უგულებელყოფს ადამიანის შემოქმედებითობას და მისი პროგრესის იდეალებს, არამედ ახლებურად წარმართავს ამ ენერგიას.

192. მაგალითად, საწარმოო განვითარების გზას, რომელიც უფრო შემოქმედებითი და უკეთ წარმართულია, შეუძლია გამოასწოროს დღევანდელი უთანასწორობა, რომელიც არსებობს მოხმარებაში უსაზღვრო ტექნოლოგიურ ინვესტირებას და საკაცობრიო ოჯახის წინაშე არსებული პრობლემების საშურ მოგვარებაში არასაკმარის ინვესტირებას შორის. მას შეუძლია შექმნას ხელახლა გამოყენების, აღდგენის და გადამუშავების გონივრული და მომგებიანი გზე-

ბი, და აგრეთვე გააუმჯობესოს ქალაქების ენერგოეფექტიანობა. საწარმოო დივერსიფიკაცია უსავსეს შესაძლებლობებს აძლევს ადამიანის ინტელექტს, რომ შექმნას და განაახლოს, იმავდროულად კი დაიცვას გარემო და შექმნას დასაქმების მეტი რესურსი. ამგვარი შემოქმედებითობა ჩვენი უკეთილშობილესი ადამიანური თვისებების ღირსეული გამოხატულება იქნებოდა, ვინაიდან გონივრულად, გაბედულად და პასუხისმგებლიანად შევუწყობდით ხელს მდგრად და თანასწორ განვითარებას ცხოვრების დონის ფართო ცნების კონტექსტში. მეორე მხრივ, ბუნების ძარცვის სულმუდამ ახალი გზების ძიება, მხოლოდ ახალი სამომხმარებლო საგნების და სწრაფი მოგების გულისათვის, ადამიანურ პირობებში ნაკლებად ღირსეული და შემოქმედებითი, და მეტად ზერელე იქნებოდა.

193. თუკი, ზოგიერთ შემთხვევაში, მდგრადი განვითარება ზრდის ახალ ფორმებს უნდა მოიცავდეს, სხვა შემთხვევებში, მრავალი ათწლეულის განმავლობაში მიღებული გაუმაძღარი და უპასუხისმგებლო ზრდის გათვალისწინებით, უნდა ვიფიქროთ ზრდის შეკავებაზეც გარკვეული გონივრული საზღვრების დაწესებით და თავშეკავებით, ვიდრე გვიან არ იქნება. ჩვენ ვიცით, რაოდენ არამდგრადია მათი ქცევა, ვინც გამუდმებით მოიხმარს და ანადგურებს, ამ დროს კი სხვებს საკუთარი ადამიანური ღირსების შესაფერისადაც კი არ შეუძლიათ ცხოვრება. ამიტომაც, დადგა დრო, რომ მივიღოთ შემცირებული ზრდა

მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონში, რათა უზრუნველვყოთ რესურსები სხვა ადგილებისათვის, რომ მათაც განიცადონ ჯანსაღი ზრდა. ბენედიქტე XVI აცხადებდა, რომ «ტექნოლოგიურიად დაწინაურებული საზოგადოებები მზად უნდა იყვნენ, რომ წაახალისონ უფრო ფხიზელი ცხოვრების წესები, იმავდროულად შეამცირონ ენერგიის მოხმარება და გაზარდონ მისი ეფექტიანობა».[135]

194. იმისათვის, რომ პროგრესის ახალი მოდელები შეიქმნას, საჭიროა შეიცვალოს «გლობალური განვითარების მოდელები»;[136] ეს კი პასუხისმგებლობით მოეკიდება «ეკონომიკის და მისი მიზნების მნიშვნელობას, რომ გამოასწოროს მისი დარღვევები და გადახრები».[137] არ კმარა, საშუალო პერიოდში, ბუნების დაცვის დაბალანსება ფინანსურ მოგებასთან, ან გარემოს დაცვის დაბალანსება პროგრესთან. სანახევრო ღონისძიებები უბრალოდ დააბრკოლებს გარდაუვალ კატასტროფას. მარტივად რომ ითქვას, ის ეხება პროგრესის ჩვენეული ცნების ხელახალ განსაზღვრას. ტექნოლოგიური და ეკონომიკური განვითარება, რომელიც არ ტოვებს უკეთეს სამყაროს და ცხოვრების მთლიანად მაღალ დონეს, ვერ ჩაითვლება პროგრესად. ხშირ შემთხვევაში, მართლაც, ადამიანთა ცხოვრების დონე

135 მშვიდობის მსოფლიო დღის უწყება, 2010წ, 9: AAS 102 (2010), 46.

136 იქვე.

137 იქვე., 5: p. 43.

კლებულობს – გარემოს დეგრადაციით, საკვების დაბალი ხარისხით ან რესურსების ამოწურვით – ეკონომიკური ზრდის კონტექსტში. ამის გათვალისწინებით, საუბარი მდგრადი ზრდის შესახებ ჩვეულებრივ იქცევა ყურადღების გადატანის ან ბოდიშების მოხდის საშუალებად. ის ეკოლოგიის ენას და ფასეულობებს შთანთქავს ფინანსებისა და ტექნოკრატიის კატეგორიებში, ხოლო წარმოებების სოციალური და გარემოს პასუხისმგებლობა ხშირად დაიყვანება მარკეტინგულ და იმიჯის ზრდის ღონისძიებებამდე.

195. მოგების მაქსიმალური ზრდის პრინციპი, რომელიც ხშირად გამიჯნულია სხვა შეხედულებებისაგან, ეკონომიკის ცნების არასწორ გაგებას გულისხმობს. როდესაც წარმოება იზრდება, მცირე ყურადღება ექცევა იმას, ხდება თუ არა ეს მომავალი რესურსების ან გარემოს სიჯანსაღის ხარჯზე; როდესაც ტყის გაჩეხვა ზრდის წარმოებას, არავინ ითვლის მიწის გაუდაბნოებით გამოწვეულ დანაკარგებს, ბიომრავალფეროვნების მიმართ მიყენებულ ზიანს ან გაზრდილ დაბინძურებას. ერთი სიტყვით რომ ითქვას, წარმოებები სარგებელს იღებენ მხოლოდ არსებული ხარჯების ნაწილის დათვლით და გადახდით. თუმცა, მხოლოდ მაშინ, როდესაც «გარემოს საერთო რესურსების გამოყენების ეკონომიკური და სოციალური ხარჯები აღიარებულია გამჭვირვალეობით და სრულად იღებენ საკუთარ თავზე ისინი, ვინც მათ იწვევს, და არა სხვა ხალხები ან მომა-

ვალი თაობები»,[138] შეიძლება ეთიკურად ჩაითვალოს ასეთი მოქმედებები. ინსტრუმენტული გონიერება, რომელიც დღევანდელი საჭიროებების სასიკეთოდ სინამდვილეთა წმინდად სტატიკურ ანალიზს იძლევა, მოქმედებაშია, როდესაც რესურსებს ანაწილებს გინდ ბაზარი და გინდ სახელმწიფოს ცენტრალური დაგეგმარება.

196. რა ადგილი უკავია პოლიტიკას? გავიხსენოთ სუბსიდიარობის პრინციპი, რომელიც თავისუფლებას ანიჭებს ყველა დონეზე არსებული შესაძლებლობების განვითარებას, მაგრამ, იმავდროულად, მოითხოვს მეტ პასუხისმგებლობას საერთო სიკეთის მიმართ მათგან, ვისაც მეტი ძალაუფლება აქვს. სიმართლეა, რომ დღეს ეკონომიკის ზოგიერთ სფეროს სახელმწიფოებზე მეტი ძალაუფლება გააჩნია. მაგრამ არ შეიძლება ეკონომიკის გამართლება პოლიტიკის გარეშე, რაც შეუძლებელს გახდიდა ამჟამინდელი კრიზისის მრავალგვარ ასპექტთან გამკლავების სხვა საშუალებათა გამონახვას. ლოგიკა, რომელიც ადგილს არ უტოვებს გულწრფელ ინტერესს გარემოს მიმართ, არის იგივე ლოგიკა, რომელიც ადგილს არ უთმობს საზოგადოების ყველაზე უძლური წევრების ინტეგრაციას. ვინაიდან «დღევანდელი მოდელი, რომელიც ორიენტირებულია "წარმატებასა" და "თვითდარწმუნებულობაზე", არ მიმართავს ძალისხმევას, რომ დაეხმაროს

138 ბენედიქტე XVI, ენციკ. Caritas in veritate (29 ივნისი, 2009წ), 50: AAS 101 (2009), 686.

ჩაგრულებს, სუსტებს ან გაჭირვებულებს, რომ საკუთარი გზა მონახონ ცხოვრებაში».[139]

197. ჩვენ გვჭირდება პოლიტიკა, რომელსაც ფართო ხედვა აქვს და ახალ ინტეგრალურ მიდგომას გვთავაზობს, თავის დისციპლინათაშორის დიალოგში შეიცავს კრიზისის სხვადასხვა ასპექტებსაც. ბევრ შემთხვევაში, ასეთი პოლიტიკა თავადვეა პასუხისმგებელი საკუთარ ცუდ სახელზე, რომლის მიზეზიც კორუფცია და ჯანსაღი საჯარო პოლიტიკის უკმარისობაა. თუკი სახელმწიფო არ ასრულებს საკუთარ როლს რეგიონში, გარკვეული ეკონომიკური ჯგუფები გამოდიან განმკითხავებად და ფლობენ ნამდვილ ძალაუფლებას, აღარ ემორჩილებიან გარკვეულ ნორმებს და გასაქანს აძლევენ სხვადასხვა სახის ორგანიზებულ დანაშაულს, ადამიანებით ვაჭრობას, ნარკოტიკებით ვაჭრობას და ძალადობას, რომელთა აღმოფხვრაც საძნელო საქმედ იქცევა. თუკი პოლიტიკას არ ძალუძს უზნეო ლოგიკის დამსხვრევა და კვლავაც არათანმიმდევრული განხილვებით არის დაკავებული, კვლავაც ვერ შევეჭიდებით კაცობრიობის დიდ პრობლემებს. ნამდვილი ცვლილების სტრატეგია მოითხოვს მთლიანი პროცესების ხელახლა გააზრებას, ამიტომაც არ კმარა ზერელე ეკოლოგიური შეხედულებების წარმოჩენა, როდესაც განხილვებში არსებული ლოგიკა არ ემორჩილება დღევანდელ

139 სამოც. ეკლს. Evangelii gaudium (24 ნოემბერი, 2013წ), 209: AAS 105 (2013), 1107.

კულტურას. ჯანსაღ პოლიტიკას უნდა შეეძლოს ამ გამოწვევის მიღება.

198. პოლიტიკა და ეკონომიკა ერთმანეთს სდებენ ბრალს, როდესაც საქმე ეხება სიღარიბეს და გარემოს დეგრადაციას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისინი შეძლებენ საკუთარი შეცდომების აღიარებას და საერთო სიკეთისაკენ მიმართული ურთიერთქმედების ფორმების პოვნას. იმ დროს, როდესაც ზოგიერთს მხოლოდ ფინანსური მოგება აღელვებს, სხვები საკუთარი ძალაუფლების გაზრდაზე ზრუნავენ, ჩვენ გვრჩება კონფლიქტები ან ყალბი შეთანხმებები, სადაც უკანასკნელი საკითხი, რაც მხარეებს აინტერესებთ, არის გარემოზე ზრუნვა და მათი დაცვა, ვინც ყველაზე სუსტია. აქაც, ჩვენ ვხედავთ, თუ რაოდენ ჭეშმარიტია, რომ «ერთობა აღემატება კონფლიქტს».[140]

IV. რელიგიები მეცნიერებასთან დიალოგში

199. შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ემპირიული მეცნიერება ცხოვრების, ყველა ქმნილების ურთიერთქმედების და მთელი სინამდვილის სრულყოფილ ახსნას იძლევა. ეს დაარღვევდა იმ საზღვრებს, რომლებსაც მისივე მეთოდოლოგია ადგენს. თუკი მხოლოდ ამ უკანასკნელის ფარგლებში ვაზროვნებთ, მცირე ადგილი რჩება ესთეტიკურ მგრძნობიარეობას, პოეზიას, ან გონების შესაძლებლობასაც კი, რომ შეიმეცნოს საგანთა

140 იქვე., 228: AAS 105 (2013), 1113.

საბოლოო აზრი და დანიშნულება.[141] დავსძენდი, რომ «კლასიკური რელიგიური ტექსტები შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ყველა ეპოქისათვის, ჰქონდეს ის მამოძრავებელი ძალა, რომელიც მუდამ ახალ ჰორიზონტებს ხსნის... ნუთუ გონივრული იქნება მათი დაკნინება იმ მიზეზით, რომ რელიგიური რწმენის კონტექსტში იშვნენ?».[142] სინამდვილეში, გულუბრყვილობა იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ ეთიკური პრინციპები წმინდად განყენებულია, რომ ისინი მოწყვეტილია რაიმე კონტექსტს. არც ის ფაქტი აკნინებს მათ ფასეულობას საჯარო განხილვებში, რომ

141 შეად. ენციკ. Lumen fidei (29 ივნისი, 2013წ), 34: AAS 105 (2013), 577: «რწმენის ნათელი, ვინაიდან კავშირშია სიყვარულის ჭეშმარიტებასთან, არ არის უცხო მატერიალური სამყაროსათვის, ვინაიდან სიყვარული მუდამ სხეულსა და სულში ცოცხლობს; რწმენის ნათელი არის განხორციელებული ნათელი, რომელიც იესოს ბრწყინვალე ცხოვრებიდან მოედინება. ის ასხივოსნებს მატერიასაც, ვლინდება მის წყობაში, შეიცნობს, რომ მასში იხსნება სულ უფრო ფართო ჰარმონიის და გაგების გზა. ამგვარად, მეცნიერების ხედვა იღებს რწმენის დახმარებას: ეს მოუხმობს მეცნიერს, რომ მუდამ გახსნილი იყოს სინამდვილის მიმართ, მთელი მისი ულევი სიმდიდრით. რწმენა აღვივებს კრიტიკულ შემეცნებას, ვინაიდან ხელს უშლის კვლევას, რომ დაკმაყოფილდეს საკუთარი ფორმულებით, და ეხმარება მას იმის გაგებაში, რომ ბუნება სულმუდამ უფრო დიდია. მოუხმობს რა აღტაცებას ქმნილების საიდუმლოს წინაშე, რწმენა აფართოებს გონების ჰორიზონტებს, რათა უკეთ შეიტანოს ნათელი სამყაროში, რომელიც მეცნიერების სწავლებებშია ჩაკეტილი».

142 სამოც. ექსჰ. Evangelii gaudium (24 ნოემბერი, 2013წ), 256: AAS 105 (2013), 1123.

შესაძლოა ისინი რელიგიური ენით გადმოიცემოდეს. ეთიკური პრინციპები, რომელთა გაგებაც შესაძლებელია გონებით, შეიძლება ყოველთვის წარმოჩნდეს სხვადასხვა ფორმით და გამოხატულება ჰპოვოს მრავალგვარ ენაში, მათ შორის რელიგიურშიც.

200. ნებისმიერი ტექნიკური საშუალება, რომელსაც მეცნიერება იძლევა, უძლური იქნება ჩვენი სამყაროს სერიოზული პრობლემების მოსაგვარებლად, თუკი კაცობრიობა დაკარგავს საკუთარ მიმართულებას, თუკი დაგვავიწყდება ის დიდი მოტივაციები, რომლებიც შესაძლებელს ხდის ერთად ცხოვრებას, მსხვერპლის გაღებას, და სხვების მიმართ სიკეთის გამოჩენას. მორწმუნეები გამუდმებით უნდა ელტვოდნენ იმგვარ ცხოვრებას, რომელიც თანხმობაშია მათ რწმენასთან, და არ დაუპირისპირდნენ მას საკუთარი ქმედებებით. საჭიროა, რომ სულმუდამ გახსნილნი იყვნენ ღმერთის მადლის მიმართ და მუდამ მოქმედებდნენ საკუთარი უღრმესი რწმენების შესაბამისად, რომლებიც სიყვარულს, სამართლიანობას და მშვიდობას უკავშირდება. თუკი ჩვენი პრინციპების არასწორად გაგება ზოგჯერ გვიბიძგებს, რომ გავამართლოთ ბუნების მიმართ ცუდად მოპყრობა, რომ ტირანულად მოვექცეთ ქმნილებას, რომ ჩავებათ ომში, უსამართლობასა და ძალადობის აქტებში, ჩვენ, მორწმუნეებმა, უნდა ვაღიაროთ, რომ ასე მოქცევით ვერ ვიქნებით სიბრძნის საუნჯეთა ერთგულნი, რომელთა დაცვა და პატრონობაც გვევავლება. სხვადასხვა ეპოქაში კულტურული შეზღუდვები ხშირად ახ-

დენდა ზეგავლენას ამ ეთიკური და სულიერი საუნჯეების აღქმაზე, თუმცა მათი წყაროების მუდმივი მოშველიებით, რელიგიები უკეთ შეძლებენ, რომ უპასუხონ დღევანდელობის საჭიროებებს.

201. ჩვენ პლანეტაზე მცხოვრები ადამიანების უმრავლესობა აღიარებს, რომ მორწმუნეა. ეს ბიძგს უნდა აძლევდეს რელიგიებს, რომ ერთმანეთთან ისაუბრონ ბუნების საპატრონოდ, ღარიბთა დასაცავად და პატივისცემის და ძმობის კავშირების ასაშენებლად. საჭიროა სხვადასხვა მეცნიერებებს შორის დიალოგიც, იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული შეიძლება ჩაიკეტოს საკუთარი ენის საზღვრებში, ხოლო სპეციალიზაცია იქცეს საკუთარი ცოდნის იზოლირებად და აბსოლუტიზაციად. ეს ხელს უშლის გარემოს პრობლემებთან შესაფერისად გამკლავებას. თანაბრად საჭიროა ღია და პატივისცემით აღსავსე დიალოგი სხვადასხვა ეკოლოგიურ მოძრაობებს შორის, რომელთა შორისაც არცთუ ისე იშვიათია იდეოლოგიური ბრძოლები. ეკოლოგიური კრიზისის სერიოზულობა ყველა ჩვენგანისაგან მოითხოვს ფიქრს საერთო სიკეთეზე და დიალოგის გზის გაგრძელებას, რომელიც მოთმინებას, თვითდისციპლინას და სულგრძელობას მოითხოვს, და მუდამ შეგვახსენებს, რომ «სინამდვილე აღემატება იდეას».[143]

143 იქვე., 231: p. 1114.

თავი მეექვსე

ეკოლოგიური განათლება და სულიერება

202. მრავალმა მოვლენამ უნდა იცვალოს მიმართულება, თუმცა, პირველ რიგში, კაცობრიობას სჭირდება ცვლილება. მას აკლია საერთო წარმოშობის, ერთობლივი კუთვნილების და ყველას საერთო მომავლის შეგნება. ამგვარი ფუნდამენტური შეგნება ბიძგს მისცემდა ახალი რწმენების, ახალი დამოკიდებულებების და ცხოვრების წესების განვითარებას. ამგვარად, თავს იჩენს დიდი კულტურული, სულიერი და საგანმანათლებლო გამოწვევა, რომელიც განახლების გრძელ გზას გულისხმობს.

I. ახალი ცხოვრების წესის მიმართულებით

203. როდესაც ბაზარი ხელს უწყობს უკიდურეს მომხმარებლობას, თავისი პროდუქტების გაყიდვის მცდელობით, ადამიანები შეიძლება ადვილად აღმოჩნდნენ უსარგებლო ყიდვის და ხარჯვის ქარიშხალში. დაუძლეველი მომხმარებლობა ერთი მაგალითია იმისა, თუ რა გავლენას ახდენს ინდივიდებზე ტექნიკურ-ეკონომიკური

პარადიგმა. რომანო გვარდინი უკვე პროგნოზირებდა ამას: «მასის ადამიანი სავსებით უბრალოდ იღებს მოწყობილობებს და ტექნიკას, რომლებიც თავს მოახვია მანქანების წარმოების და აბსტრაქტული დაგეგმვის მოდელებმა; ისინი თვითონ ცხოვრების ფორმებია. მეტ-ნაკლებად მასის ადამიანს სჯერა, რომ ეს ყველაფერი გონივრული და სამართლიანია».[144] ეს პარადიგმა უბიძგებს ადამიანებს, დაიჯერონ, რომ თავისუფალნი არიან, ვინაიდან მოხმარების მოჩვენებითი თავისუფლება აქვთ. მაგრამ, სინამდვილეში, თავისუფალია უმცირესობა, რომელიც ეკონომიკურ და ფინანსურ ძალაუფლებას ფლობს. ამგვარ გაურკვევლობაში, პოსტმოდერნულ კაცობრიობას ჯერაც არ მიუღწევია ახალი თვითშეგნებისათვის, რომელიც ორიენტირების შესაძლებლობას იძლევა, იდენტობის ამგვარი სიმწირე კი მღელვარების წყაროა. ჩვენ უამრავი საშუალება და მხოლოდ მცირედი უმნიშვნელო მიზანი გვაქვს.

204. ამჟამინდელი გლობალური მდგომარეობა არასტაბილურობის და გაურკვევლობის გრძნობას ბადებს, რომელიც, თავის მხრივ, ხდება «კოლექტიური თავკერძობის ფორმა».[145] როდესაც ადამიანები თავკერძა და საკუთარ თავში ჩაკეტილები არიან, მათი სიხარბე იზრდება. რაც უფრო ცარიელია ადამიანის გული, მით მეტად

---

144 Das Ende der Neuzeit, Würzburg 19659, 66-67 (თანამედროვე ეპოქის დასასრული, ბრეშია, 1987წ, 61).

145 იოანე პავლე II, მშვიდობის მსოფლიო დღის უწყება, 1990წ, 1: AAS 82 (1990), 147.

ესაჭიროება ყიდვა, ქონა და მოხმარება. თით-ქმის შეუძლებელი ხდება სინამდვილით დადგე-ნილი შეზღუდვების მიღება. ამგვარ ჰორიზონტზე, საერთო სიკეთის ნამდვილი გრძნობაც კი ქრება. რამდენადაც ამგვარი დამოკიდებულებები სულ უფრო ფართოდ ვრცელდება, საზოგადოებრივ ნორმებს პატივს სცემენ მხოლოდ იმდენად, რომ წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს პიროვნულ საჭიროებებთან. ამიტომაც, ჩვენი ინტერესი არ უკავშირდება მხოლოდ უკიდურესი კლიმატური მოვლენების საფრთხეს, არამედ უნდა მოიცა-ვდეს სოციალური უწესრიგობის კატასტროფულ შედეგებსაც. მომხმარებლური ცხოვრების წესით გატაცებას, განსაკუთრებით როდესაც ცოტა ადა-მიანს შეუძლია მისი შენარჩუნება, მხოლოდ ძა-ლადობის და ერთმანეთის განადგურების გამო-წვევა შეუძლია.

205. თუმცა, ყველაფერი არ არის დაკარგული. ადამიანებს, რომლებსაც ყველაზე უარესის ჩა-დენა შეუძლიათ, აგრეთვე შეუძლიათ საკუთარ თავზე ამაღლება, კვლავაც კეთილის არჩევა და თავიდან დაწყება, მიუხედავად მათი ფსიქო-ლოგიური და საზოგადოებრივი მორჩილებისა. ჩვენ შეგვიძლია პატიოსნად შევხედოთ საკუთარ თავს, ვაღიაროთ ჩვენი ღრმა დაუკმაყოფილებ-ლობა და შევუდგეთ ახალ გზებს ჭეშმარიტი თა-ვისუფლებისაკენ. არავითარ სისტემას არ ძა-ლუძს სრულად ჩაახშოს ჩვენი გახსნილობა იმის მიმართ, რაც კარგი, ჭეშმარიტი და მშვენიერია, ან ჩვენი ღმრთივბოძებული უნარი, რომ ქმედითად ვუპასუხოთ მის მადლს ჩვენი გულების სიღრმე-

ში. მე მოვუწოდებ ყველას, მთელ მსოფლიოში, რომ არ დაივიწყონ ეს ღირსება, რომელიც ჩვენია. არავის აქვს უფლება, რომ ის წაგვართვას.

206. ცხოვრების წესის ცვლილებას შეუძლია ჯანსაღი ზეწოლა მოახდინოს მათზე, ვინც პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ძალაუფლებას ფლობს. სწორედ ესაა, რასაც მომხმარებლური მოძრაობები აღწევენ გარკვეული პროდუქტების შესყიდვაზე უარის თქმით. ისინი წარმატებით ცვლიან წარმოებათა მოქმედების გზას, აიძულებენ მათ, რომ მხედველობაში მიიღონ მათი გავლენა გარემოზე და წარმოების მოდელები. როდესაც საზოგადოებრივი ზეწოლა გავლენას ახდენს მათ შემოსავლებზე, წარმოებებმა აშკარად უნდა გამოძებნონ სხვაგვარად წარმოების გზები. ეს აჩვენებს მომხმარებელთა მხრიდან საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობის დიდ საჭიროებას. «ყიდვა ყოველთვის არ არის ზნეობრივი – და არც უბრალოდ ეკონომიკური – აქტი».[146] ერთი სიტყვით რომ ითქვას, დღეს «გარემოს დეგრადაციის საკითხი მოგვიწოდებს, რომ გადავხედოთ ჩვენი ცხოვრების წესს».[147]

207. დედამიწის ქარტია მოგვიწოდებდა, რომ წარსულისათვის ჩაგვებარებინა თვითგანადგურების პერიოდი და თავიდან დაგვეწყო, მაგრამ ჩვენ ჯერაც ვერ განვავითარეთ საყოველთაო

146 ბენედიქტე XVI, ენციკ. Caritas in veritate (29 ივნისი, 2009წ), 66: AAS 101 (2009), 699.

147 მშვიდობის მსოფლიო დღის უწყება, 2010წ, 11: AAS 102 (2010), 48.

შეგნება, რომელიც საჭიროა ამის მისაღწევად. აქ, კიდევ ერთხელ შევახსენებ ამ გაბედულ გამოწვევას: «როგორც არასდროს ისტორიაში, საერთო ბედისწერა გვავალდებულებს, რომ ახალი დასაწყისი ვეძიოთ... დაე, ჩვენი ეპოქა დასამახსოვრებელი იყოს, როგორც ცხოვრების მიმართ ახალი მოწიწების აღძვრა, მდგრადობის მიღწევის მტკიცე გადაწყვეტილება, სამართლიანობისა და მშვიდობისათვის ბრძოლის გამოცოცხლება, და ცხოვრების სიხარულით აღსავსე ზეიმი».[148]

208. ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია საკუთარი თავის მიღმა გავიხედოთ სხვების მიმართ. ვიდრე ასე არ მოვიქცევით, ვერ შევიცნობთ სხვა ქმნილებების ჭეშმარიტ ღირებულებას; ჩვენ არ გვსურს რაიმეზე ზრუნვა სხვების სასიკეთოდ; შეზღუდვებს არ ვუწესებთ საკუთარ თავს, რათა თავიდან ავიცილოთ სხვების ტანჯვა ან ჩვენ გარშემო არსებული სამყაროს გაუარესება. არსებითი მნიშვნელობა აქვს უანგარო მზრუნველობას სხვების მიმართ, ყველანაირი სახის თავკერძობის და საკუთარ თავში ჩაკეტილობის უარყოფას, თუკი ნამდვილად გვსურს, რომ ჩვენ ძმებსა და დებზე და ბუნებრივ გარემოზე ვიზრუნოთ. ამგვარი დამოკიდებულებები, აგრეთვე, გვაკავშირებს ზნეობრივ ნორმასთან, რომ გავაანალიზოთ ჩვენი ყოველი ქმედების და პიროვნული გადაწყვეტილების გავლენა ჩვენ გარშემო არსებულ სამყაროზე. თუკი შევძლებთ ინდივიდუალიზმის დაძლევას, ნამდვილად მოვახერხებთ განსხვა-

148 დედამიწის ქარტია, ჰააგა (29 ივნისი, 2000წ).

ვებული ცხოვრების წესის განვითარებას და საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებას.

II. განათლება კაცობრიობას და გარემოს შორის თანხმობისათვის

209. დღევანდელი კულტურული და ეკოლოგიური კრიზისის სერიოზულობის შეგნება ახალ ჩვევებად უნდა გარდაიქმნას. მრავალმა ადამიანმა იცის, რომ ჩვენი ამჟამინდელი პროგრესი და საგნების და სიამოვნების საშუალებათა უბრალო დაგროვება არ არის საკმარისი, რომ აზრი და სიხარული მიანიჭოს ადამიანის გულს, თუმცა ისინი თავს ვერ აღწევენ მას, რასაც ბაზარი სთავაზობს. იმ ქვეყნებში, რომლებმაც უდიდესი ცვლილებები უნდა მოახდინონ მომხმარებლურ ჩვევებში, ახალგაზრდებს ახალი ეკოლოგიური მგრძნობიარეობა და სულგრძელი სულისკვეთება გააჩნიათ, ხოლო ზოგიერთი მათგანის ძალისხმევა გარემოს დასაცავად მართლაც შესანიშნავია. იმავდროულად, ისინი გაიზარდნენ უსაზღვრო მომხმარებლობის და სიმდიდრის გარემოში, რაც ართულებს სხვა ჩვევების განვითარებას. ჩვენ ვდგავართ საგანმანათლებლო გამოწვევის წინაშე.

210. განათლებამ გარემოს შესახებ გააფართოვა თავისი მიზნები. თუკი დასაწყისში ის, ძირითადად, ყურადღებას აქცევდა სამეცნიერო ინფორმაციას, ცნობიერების ამაღლებას და გარემოსთან დაკავშირებული რისკების თავიდან აცილებას,

ახლა მოიცავს თანამედროვეობის “მითების” კრიტიკას, რომელიც ემყარება უტილიტარულ აზროვნებას (ინდივიდუალიზმი, შეუზღუდველი პროგრესი, კონკურენცია, მომხმარებლობა, უმართავი ბაზარი). ის, აგრეთვე, ესწრაფვის, რომ აღადგინოს ეკოლოგიური წონასწორობის სხვადასხვა დონეები, დაამკვიდროს ჰარმონია საკუთარ თავში, სხვებთან, ბუნებასთან და სხვა ცოცხალ ქმნილებეთან, და ღმერთთან. განათლებამ გარემოს შესახებ უნდა გააადვილოს სწრაფვა ტრანცენდენტურისაკენ, რომელიც უღრმეს მნიშვნელობას სძენს ეკოლოგიურ ეთიკას. ის მოითხოვს განმანათლებლებს, რომლებსაც შეუძლიათ ეკოლოგიის ეთიკის განვითარება და ადამიანების დახმარება, ქმედითი პედაგოგიით, რომ გაიზარდონ სოლიდარობაში, პასუხისმგებლობასა და თანამგრძნობ მზრუნველობაში.

211. თუმცა, ასეთი განათლება, რომლის მიზანიცაა, შექმნას “ეკოლოგიური მოქალაქეობა”, ზოგჯერ მხოლოდ ინფორმაციას გვაწვდის და არ ამკვიდრებს კარგ ჩვევებს. კანონების და რეგულაციების არსებობა არ არის საკმარისი, რომ გრძელვადიან პერიოდში მოთოკოს ცუდი ქცევა, მაშინაც კი როდესაც აღსრულების ქმედითი საშუალებები არსებობს. იმისათვის, რომ კანონებმა მნიშვნელოვანი, გრძელვადიანი შედეგები მოიტანოს, საზოგადოების წევრთა უმრავლესობა უნდა იყოს შესაფერისად მოტივირებული მათ მისაღებად და პიროვნულად ჩამოყალიბებული პასუხის გასაცემად. მხოლოდ ჯანსაღ სიქველეთა გამოყენებით შეძლებენ ადამიანები უანგარო ეკოლოგიური ვალდე-

ბულების აღებას. ადამიანი, რომელსაც საკუთარი ეკონომიკური პირობები შესაძლებლობას აძლევს, რომ მეტი მოიხმაროს და დახარჯოს, თუმც კი, ჩვეულებრივ, ნაკლებ გათბობას მოიხმარს და თბილ ტანსაცმელს ატარებს, წარმოაჩენს რწმენებს და დამოკიდებულებებს, რომლებიც გარემოს დაცვას უწყობს ხელს. ქმნილების მიმართ ზრუნვის ვალდებულებაში არსებობს კეთილშობილება, რომელიც ვლინდება ყოველდღიური მცირეოდენი ქმედებებით, და მართლაც გასაოცარია, თუ როგორ შეუძლია განათლებას ნამდვილი ცვლილებების განხორციელება ცხოვრების წესში. განათლებას გარემოს მიმართ პასუხისმგებლობაში შეუძლია ხელი შეუყოს მოქმედების გზებს, რომლებიც პირდაპირ და მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ჩვენ გარშემო არსებულ სამყაროზე, როგორიცაა პლასტიკური ნივთიერების და ქაღალდის გამოყენების თავიდან აცილება, წყლის მოხმარების შემცირება, ნარჩენების დახარისხება, მხოლოდ იმის მომზადება, რისი მოხმარებაც გონივრულია, სხვა ცოცხალი არსებების მიმართ მზრუნველობის გამოჩენა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა ან რამდენიმე ადამიანის მიერ ერთი ავტომობილის გამოყენება, ხეების დარგვა, არასაჭირო სინათლის ჩაქრობა, ან ნებისმიერი სახის სხვა პრაქტიკა. ეს ყველაფერი ასახავს სულგრძელ და ღირებულ შემოქმედებითობას, რომელიც ადამიანთა საუკეთესო მხარეს აჩვენებს. რაიმეს ხელმეორედ გამოყენება, ნაცვლად მისი თავიდან მოშორებისა, როდესაც სწორი მიზნებით კეთდება, შეიძლება იყოს სიყვარულის აქტი, რომელიც ჩვენ ღირსებას ავლენს.

212. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამგვარი მცდელობები ვერ შეცვლის სამყაროს. მათ სარგებლობა მოაქვთ საზოგადოებისათვის, რომელიც ხშირად იდუმალია ჩვენთვის, ვინაიდან მოაქვთ სიკეთე, რომელიც, თუმც კი უხილავია, გარდაუვლად ვრცელდება. გარდა ამისა, ასეთ ქმედებებს შეუძლიათ აღადგინონ საკუთარი თავის მიმართ პატივისცემის გრძნობა; ისინი შესაძლებლობას გვაძლევენ, რომ უფრო სრულყოფილად ვიცხოვროთ და შევიგრძნოთ დედამიწაზე ცხოვრება, რომელიც ესოდენ ღირებულია.

213. საგანმანათლებლო გარემო სხვდასხვაგვარია: სკოლა, ოჯახი, კომუნიკაციის საშუალებები, კატეხიზაცია, და სხვ. კარგი განათლება ბავშვობასა და სიყმაწვილეში იძლევა თესლს, რომელსაც ნაყოფი მოაქვს მთელი ცხოვრების განმავლობაში. თუმცა, მსურს, ხაზი გავუსვა ოჯახის ძირითად მნიშვნელობას, ვინაიდან ეს არის «ადგილი, რომელშიც შესაძლებელია, რომ სიცოცხლე - ღმერთის ძღვენი - შესაფერისად მიიღონ და დაიცვან მრავალი საფრთხისაგან, რომელიც მას ემუქრება, და რომელსაც შეუძლია განვითარდეს ადამიანის ჭეშმარიტ ზრდასთან თანხმობაში. ე.წ. სიკვდილის კულტურის წინაშე, ოჯახი სიცოცხლის კულტურის არსია».[149] ოჯახში პირველად ვსწავლობთ, თუ როგორ გამოვხატოთ სიყვარული და როგორ ვცეთ პატივი სიცოცხლეს; ჩვენ გვასწავლიან საგნების სწორად გამოყენებას, წესრიგს და სისუფთავეს,

149 იოანე პავლე II, ენციკ. Centesimus annus (1 მაისი, 1991წ), 39: AAS 83 (1991), 842.

ადგილობრივი ეკოსისტემის მიმართ პატივისცემას და ყველა ქმნილებაზე ზრუნვას. ოჯახში ვიღებთ ინტეგრალურ განათლებას, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს, რომ ჰარმონიულად გავიზარდოთ პიროვნულ სიმწიფეში. ოჯახში ვსწავლობთ, რომ ვითხოვოთ, ნაცვლად მოთხოვნისა; რომ "მადლობა გადავიხადოთ", როგორც გამოხატულება ნამდვილი მადლიერებისა იმის მიმართ, რაც გვაქვს; რომ ვმართოთ ჩვენი აგრესიულობა და სიხარბე, და ვითხოვოთ შენდობა, როდესაც ზიანი მივაყენეთ. გულწრფელი თავაზიანობის ამგვარი ჟესტები გვეხმარება, რომ შევქმნათ ერთად ცხოვრების და ჩვენ გარშემო არსებული სამყაროს მიმართ პატივისცემის კულტურა.

214. პოლიტიკურ დაწესებულებებს და სხვა მრავალგვარ სოციალურ ჯგუფებს აკისრიათ დავალება, რომ დაეხმარონ ადამიანთა ცნობიერების ამაღლებას. იგივე ითქმის ეკლესიაზეც. ყველა ქრისტიანულ საკრებულოს მნიშვნელოვანი როლი აკისრია ეკოლოგიურ განათლებაში. იმედი მაქვს, რომ ჩვენი სემინარიები და ფორმაციის რელიგიური სახლები უზრუნველყოფს განათლებას ცხოვრების საპასუხისმგებლო უბრალოებაში, ღმერთის სამყაროს მადლიერ განჭვრეტაში, და ღარიბთა საჭიროებებისა და გარემოს დაცვის მიმართ ინტერესში. ვინაიდან რისკები ასე მაღალია, ჩვენ გვჭირდება დაწესებულებები, რომლებსაც შეუძლიათ სასჯელის დაკისრება გარემოს მიმართ მიყენებული ზიანის გამო. მაგრამ ჩვენ გვჭირდება საკუთარი თავის კონტროლის და ერთმანეთისაგან სწავლის მზადყოფნის პიროვნული თვისებებიც.

215. ამ თვალსაზრისით, «შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ურთიერთობას კარგ ესთეტიკურ განათლებას და ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებას შორის».[150] როდესაც ვსწავლოთ მშვენიერების დანახვას და დაფასებას, აგრეთვე ვსწავლობთ თავკერძა პრაგმატიზმზე უარის თქმას. თუკი ვინმეს არ უსწავლია, რომ შეყოვნდეს და აღფრთოვანდეს რაიმე მშვენიერით, არც უნდა გაგვიკვირდეს, თუკი იგი ყველაფერს ეპყრობა, როგორც საგანს, რომლის გამოყენებაც მოურიდებლად შეიძლება, ზოგჯერ კი ბოროტადაც. თუ გვსურს, რომ ღრმა ცვლილება მოვახდინოთ, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ ქცევაზე ნამდვილად ახდენს გავლენას აზროვნების გარკვეული მოდელები. განათლება უშედეგო იქნება, მისი მცდელობები კი უნაყოფო აღმოჩნდება, ვიდრე ხელს არ შევუწყობთ ახლებურ აზროვნებას ადამიანების, ცხოვრების, საზოგადოების და ბუნებასთან ჩვენი ურთიერთობის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლავაც იბატონებს მომხმარებლური მოდელი, რასაც ხელს უწყობს კომუნიკაციის საშუალებები და ბაზრის ქმედითი მექანიზმები.

III. ეკოლოგიური მოქცევა

216. ქრისტიანული სულიერების მდიდარ მემკვიდრეობას, რომელიც პიროვნული და ერთო-

150 მშვიდობის მსოფლიო დღის უწყება, 1990წ, 14: AAS 82 (1990), 155.

ბლივი გამოცდილების ოცსაუკუნოვანი ნაყოფია, ძვირფასი წვლილი შეაქვს კაცობრიობის განახლებაში. აქ, მსურს ქრისტიანებს გავაცნო მცირეოდენი მოსაზრებები ეკოლოგიურ სულიერებაზე, რომელიც ჩვენი რწმენის შეხედულებებს ემყარება, ვინაიდან სახარების სწავლებებს პირდაპირი შედეგები აქვს ჩვენი აზროვნების, გრძნობის და ცხოვრების გზაზე. იდეებზე ან ცნებებზე მეტად, მე მაინტერესებს, თუ როგორ შეუძლია ასეთ სულიერებას, რომ გვიბიძგოს ჩვენი სამყაროს დაცვის მიმართ უფრო მგზნებარე ინტერესისაკენ. ამ მაღალ ვალდებულებას ვერ განამტკიცებს მხოლოდ მოძღვრება, იმ სულიერების გარეშე, რომელსაც ჩვენი შთაგონება შეუძლია, იმ შინაგანი იმპულსის გარეშე, «რომელიც იძლევა ბიძგს, მოტივაციას, შეგულიანებას და აზრს აძლევს პიროვნულ და კომუნიტარულ ქმედებას».[151] უნდა ვაღიაროთ, რომ ქრისტიანები ყოველთვის ვერ ითავისებდნენ და ვერ ავითარებდნენ სულიერ საუნჯეებს, რომლებიც ღმერთმა უბოძა ეკლესიას, სადაც სულის არსებობა არ არის განყოფილი სხეულისაგან ან ბუნებისაგან ან მიწიერი სინამდვილეებისაგან, არამედ ცოცხლობს მათში და მათთან ერთად, იმ ყოველივესთან თანაზიარებაში, რაც კი ჩვენ გარშემოა.

217. «სამყაროში მატულობს გარეგანი უდაბნოები, ვინაიდან ასე ფართო გახდა შინაგანი

151 სამოც. ექსჰ. Evangelii gaudium (24 ნოემბერი, 2013წ), 261: AAS 105 (2013), 1124.

უდაბნოები».[152] ამ მიზეზით, ეკოლოგიური კრიზისი არის მოწოდება ღრმა შინაგანი მოქცევისაკენაც. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ერთგული და ლოცვისადმი თავდადებული ქრისტიანი, რეალიზმის და პრაგმატიზმის საბაბით, დასცინის გარემოს მიმართ ინტერესის გამოვლინებებს. სხვები პასიურები არიან; ისინი არჩევენ, რომ არ შეცვალონ საკუთარი ჩვევები და, ამგვარად, მოწინააღმდეგეები ხდებიან. ამიტომაც, მათ არ აკლიათ ეკოლოგიური მოქცევა, საიდანაც თვალსაჩინო ხდება იესო ქრისტესთან მათი შეხვედრის შედეგები მათ ურთიერთობაში სამყაროსთან. სათნო ცხოვრებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, რომ ხორცი შევასხათ ჩვენ, როგორც ღმერთის ნამოქმედარის დამცველთა, მოწოდებას; ის არ არის ჩვენი ქრისტიანული გამოცდილების შემთხვევითი ან მეორეხარისხოვანი ასპექტი.

218. როდესაც წმ. ფრანცისკე ასიზელის პიროვნებას ვიხსენებთ, ვაცნობიერებთ, რომ ჯანსაღი ურთიერთობა ქმნილებასთან მთლიანი პიროვნული მოქცევის ერთი განზომილებაა, რომელიც ავლენს ჩვენ შეცდომებს, ცოდვებს, ბრალეულობებს და წარუმატებლობებს, და იწვევს გულწრფელ სინანულს და ცვლილების სურვილს. ავსტრალიელი ეპისკოპოსები საუბრობდნენ ასეთი მოქცევის მნიშვნელობაზე ქმნილებასთან შერიგების მისაღწევად: «ასეთი შერიგების მისაღწევად, ჩვენ უნდა გადავხედოთ საკუთარ

152 ბენედიქტე XVI, ქადაგება პეტრესეული მსახურების საზეიმო დაწყებაზე (24 აპრილი, 2005წ): AAS 97 (2005), 710.

ცხოვრებას და გავაცნობიეროთ, თუ რა ზიანი მივაყენეთ ღმერთის ქმნილებას ჩვენი ქმედებებით ან უმოქმედობით. ჩვენ უნდა განვიცადოთ გულის მოქცევა, ან ცვლილება».[153]

219. თუმცა, არ კმარა თითოეულის უკეთესობა ასეთი რთულ ვითარებასთან გასამკლავებლად, რომელიც დღევანდელი მსოფლიოს წინაშე არსებობს. ცალკე მდგომმა ინდივიდებმა შეიძლება დაკარგონ საკუთარი უნარი და თავისუფლება, რომ თავი დააღწიონ უტილიტარულ ლოგიკას და, საბოლოოდ, არაეთიკური მომხმარებლობის მსხვერპლად იქცნენ, რომელიც განძარცვულია სოციალური ან ეკოლოგიური შეგნებისაგან. სოციალურ პრობლემებს უნდა გაუმკლავდნენ საზოგადო კავშირებით, და არა უბრალოდ ცალკეული კეთილი ქმედებებით. ეს ამოცანა «იმდენად უზარმაზარ მოთხოვნებს უყენებს ადამიანს, რომ იგი ვერასდროს შეძლებს მის მიღწევას კერძო ინიციატივით ან თუნდაც ადამიანთა ერთობლივი ძალისხმევით, რომელიც ინდივიდუალისტური მოდელითაა ნასაზრდოები. მსოფლიო ბატონობის საქმე უნარების და მიღწევის ერთობლიობას მოითხოვს, რაც მხოლოდ განსხვავებული დამოკიდებულებიდან შეიძლება განვითარდეს».[154] ეკოლოგიური მოქცევა, რომელიც საჭიროა გრძელვადიანი ცვლილების განსახორციელებლად, საზოგადო მოქცევაცაა.

153 ავსტრალიის კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენცია, ახალი დედამიწა. გარემოს გამოწვევა (2002წ).

154 რომანო გვარდინი, Das Ende der Neuzeit, 72 (თანამედროვე ეპოქის დასასრული, 66).

220. ამგვარი მოქცევა მრავალგვარ დამოკიდებულებას მოითხოვს, რომლებიც ერთობლივად ხელს უწყობს სულგრძელი მზრუნველობის სულისკვეთებას, სინაზით აღსავსეს. პირველი, ის შობს მადლიერებას და უანგარობას, - შეგნებას, რომ სამყარო არის ღმერთის გულმოწყალე ძღვენი და რომ ჩვენ მოწოდებულნი ვართ, რომ მივბაძოთ მის სულგრძელობას საკუთარი თავის მსხვერპლად გაღებასა და კეთილ საქმეებში: «დაე, ნუ ეცოდინება შენს მარცხენა ხელს, რას აკეთებს მარჯვენა... და მამამ შენმა, რომელიც ხედავს დაფარულს, მოგაგოს შენ ცხადად» (მათ 6,3-4). ის, აგრეთვე, შობს სიყვარულისმიერ შეგნებას, რომ ჩვენ არ ვართ განყოფილნი დანარჩენი ქმნილებებისაგან, არამედ გაერთიანებულნი ვართ ბრწყინვალე საყოველთაო თანაზიარებაში. როგორც მორწმუნეები, ჩვენ არ ვუცქერთ სამყაროს გარედან, არამედ შიგნიდან, შევიცნობთ იმ კავშირებს, რომლებითაც მამამ შეგვაკავშირა ყველა არსებასთან. ჩვენი ინდივიდუალური, ღმრთივბოძებული უნარების განვითარებით, ეკოლოგიურ მოქცევას შეუძლია შთაგონება მოგვცეს უფრო დიდი შემოქმედებითობისა და ენთუზიაზმისაკენ, რომ მოვაგვაროთ მსოფლიოს პრობლემები და ღმერთს მივუძღვნათ საკუთარი თავი «ცოცხალ, წმიდა და კეთილსასურველ მსხვერპლად» (რომ 12,1). ჩვენ არ გვესმის საკუთარი უზენაესობა, როგორც პიროვნული დიდების ან უპასუხისმგებლო ბატონობის მიზეზი, არამედ როგორც განსხვავებული უნარი, რომელიც, თავის მხრივ, ჩვენი რწმენიდან მომდინარე

სერიოზულ პასუხისმგებლობას წარმოშობს.

221. ჩვენი რწმენის მრავალგვარ შეხედულებას, რომელიც ამ ენციკლიკის დასაწყისში იქნა განვითარებული, შეუძლია დაგვეხმაროს ამგვარი მოქცევის მნიშვნელობის გამდიდრებაში. ისინი გულისხმობს შეგნებას, რომ თითოეული ქმნილება ასახავს რაღაცას, ღმერთისაგან ბოძებულს, და გადმოგვცემს გზავნილს, და სიცხადეს, რომ ქრისტემ საკუთარ თავზე იტვირთა ეს მატერიალური სამყარო და ახლა, აღმდგარი, ახლოს იმყოფება თითოეულ არსებასთან, თავისი სიყვარულით ევლება მას და თავისი ნათელი შეაქვს მასში. ასევე არსებობს შეგნება, რომ ღმერთმა შექმნა სამყარო, მასში დაადგინა წესრიგი და დინამიზმი, რომლის უგულებელყოფის უფლებაც არ აქვთ ადამიანებს. სახარებაში ვკითხულობთ, რომ იესო საუბრობს ფრინველებზე და ამბობს, რომ «ერთი მათგანიც არ არის დავიწყებული ღმერთის წინაშე» (ლუკ 12,6). როგორღა შეგვიძლია ცუდად მოვეპყროთ ან ზიანი მივაყენოთ მათ? მე ვთხოვ ყველა ქრისტიანს, რომ შეიცნონ და სრულად შეითვისონ მოქცევის ეს განზომილება. დაე, იმ მადლის ძალა და ნათელი, რომელიც მივიღეთ, ცხადი იყოს ჩვენ ურთიერთობაშიც სხვა ქმნილებებთან და ჩვენ გარშემო არსებულ სამყაროსთან. ამგვარად, ჩვენ შევძლებთ მთელ ქმნილებასთან იმ უმაღლესი ძმობის გაზრდას, რომელსაც ესოდენ ბრწყინვალედ ახორციელებდა წმ. ფრანცისკე ასიზელი.

222. ქრისტიანულ სულიერებას განსხვავებულად ესმის ცხოვრების დონე და ხელს უწყობს წინასწარმეტყველურ და მჭვრეტელობით ცხოვრების წესს, რომელშიც შესაძლებელია ღრმა სიტკბოება მოხმარებისადმი მორჩილების გარეშე. ჩვენ უნდა მოვიშველიოთ უძველესი გაკვეთილი, რომელიც სხვადასხვა რელიგიურ ტრადიციებსა და ბიბლიაშიც მოიპოვება. ეს არის რწმენა, რომ "მცირე არის მეტი". ახალი სამომხმარებლო საქონლის გამუდმებულ შემოდინებას შეუძლია გულგატეხილობა გამოიწვიოს და ხელი შეგვიშალოს ყოველი საგნის და წუთის სათუთად მოპყრობაში. პირიქით, როდესაც ცხადად წარდგება ყოველგვარი სინამდვილის წინაშე, რაოდენ მცირეც არ უნდა იყოს, გაცილებით მეტი შესაძლებლობა იქმნება პიროვნული შეცნობისა და რეალიზაციისათვის. ქრისტიანული სულიერება ზრდის სიმშვიდეს და შესაძლებლობას, რომ მცირედითაც კი ისარგებლონ. ის უბრუნდება უბრალოებას, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს, რომ შევყოვნდეთ, რათა დავაფასოთ მცირე საგნებიც კი; მადლიერება გამოვთქვათ იმ შესაძლებლობებისათვის, რომლებსაც ცხოვრება გვთავაზობს; სულიერად გავემიჯნოთ მას, რაც გვაქვს; და არ დავმორჩილდეთ მწუხარებას იმის გამო, რაც არ გვაქვს. ეს გულისხმობს ბატონობის დინამიკასა და სიამოვნებათა უბრალო წყებაზე უარის თქმას.

223. ამგვარი სიმშვიდე, როდესაც თავისუფლად და შეგნებულად ხორციელდება, განმათა-

ვისუფლებელია. ეს არ გულისხმობს ნაკლებ ცხოვრებას ან ნაკლები ინტენსივობით ცხოვრებას. პირიქით, ეს არის სისავსისაკენ მიმავალი ცხოვრების გზა. სინამდვილეში, ის, ვინც მეტ სიამოვნებას ეძებს და უკეთ შეიგრძნობს თითოეულ წუთს, არ სჯერდება არსებულს და მუდამ იმის ძიებაშია, რაც არ აქვს. ისინი შეიგრძნობენ, თუ რას ნიშნავს, აფასებდე თითოეულ ადამიანს და თითოეულ საგანს, სწავლობდე სიახლოვეს უმარტივეს საგნებთანაც კი და ტკბებოდე მათით. ამგვარად, მათ შეუძლიათ გვერდით გადასდონ დაუკმაყოფილებელი საჭიროებები, შეამცირონ საკუთარი მღელვარება და დაღლილობა. შეიძლება მცირედი ჰქონდეთ და კარგად ცხოვრობდნენ, პირველ რიგში როდესაც გასაქანს აძლევენ სხვა სახის სიამოვნებას და კმაყოფილებას ჰპოვებენ ძმურ შეხვედრებში, მსახურებაში, საკუთარი ნიჭების განვითარებაში, მუსიკასა და ხელოვნებაში, ბუნებასთან ურთიერთობაში, ლოცვაში. ბედნიერება ნიშნავს იმის ცოდნას, თუ როგორ შეზღუდო ზოგიერთი საჭიროება, რომელიც მხოლოდ გვაკნინებს, და გახსნილი იყო მრავალი სხვა შესაძლებლობის მიმართ, რომელსაც ცხოვრება გვთავაზობს.

224. სიმშვიდეს და თავმდაბლობას კეთილგანწყობით არ უცქერდნენ გასულ საუკუნეში. და მაინც, როდესაც საყოველთაოდ სუსტდება გარკვეული სიქველის გამოყენება პიროვნულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საბოლოოდ ის მრავალ დისბალანსს იწვევს, გარემოს დარღვევის ჩათვლით. ამიტომაც, აღარ არის საკმარისი მხოლოდ ეკოსისტემების მთლიანობაზე საუბა-

რი. ჩვენ უნდა გავბედოთ საუბარი ადამიანის სიცოცხლის მთლიანობაზე, დიადი ფასეულობების ხელშეწყობისა და გაერთიანების საჭიროებაზე. როდესაც თავმდაბლობას ვკარგავთ და ყველაფერზე შეუზღუდველი ბატონობის შესაძლებლობას ვემონებით, გარდაუვლად ზიანს ვაყენებთ საზოგადოებას და გარემოს. ადვილი არ არის, ხელი შევუწყოთ ამ სახის ჯანსაღ თავმდაბლობას ან ბედნიერ სიმშვიდეს, როდესაც საკუთარ თავს ავტონომიურად მივიჩნევთ, როდესაც ღმერთს ვაძევებთ საკუთარი ცხოვრებიდან ან მას ვანაცვლებთ საკუთარი ეგოთი, და ვფიქრობთ, რომ ჩვენ სუბიექტურ გრძნობებს შეუძლია განსაზღვროს, თუ რა არის სწორი და რა – არასწორი.

225. მეორე მხრივ, ვერავინ შეძლებს ბედნიერ სიმშვიდეში მომწიფებას, თუკი მშვიდობა არ ექნება საკუთარ თავთან. სულიერების შესაფერისი გაგება გულისხმობს მშვიდობის ჩვენეული გაგების გაღრმავებას, რომელიც გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ ომის არარსებობა. ადამიანთა შინაგანი მშვიდობა მჭიდრო კავშირშია ეკოლოგიაზე ზრუნვასა და საერთო სიკეთესთან, ვინაიდან, შესაფერისი განხორციელებით, აისახება გაწონასწორებული ცხოვრების წესში, აღტაცების შესაძლებლობით, რომელიც ცხოვრების სიღრმისეული გაგებისაკენ წარგვმართავს. ბუნება აღსავსეა სიყვარულის სიტყვებით, მაგრამ როგორ შეგვიძლია მოვუსმინოთ მათ გამუდმებულ ხმაურში, უსასრულო და შემაწუხებელ დაბნეულობაში, ან გარეგნული მხარეების კულტში? დღეს, მრავალი ადამიანი გრძნობს ღრმა დისბალანსს,

რაც მათ უბიძგებს სწრაფი მოქმედებებისაკენ და თავისუფალ დროს აღარ უტოვებს, გამუდმებული სისწრაფით, რაც, თავის მხრივ, მათ ანადგურებინებს ყველაფერს, რაც გარშემო არსებობს. ეს ეხება იმასაც, თუ როგორ ეპყრობიან გარემოს. ინტეგრალური ეკოლოგია მოითხოვს დროს, რათა აღდგეს მშვიდი ჰარმონია ქმნილებასთან, გავიაზროთ ჩვენი ცხოვრების წესი და იდეალები, განვჭვრიტოთ შემოქმედი, რომელიც ჩვენ შორის და ჩვენ გარშემო არსებულ სამყაროში იმყოფება, და რომლის ყოფნაც «ვერ შეიქმნება, ის უნდა აღმოაჩინონ, აღძრან».[155]

226. ჩვენ ვსაუბრობთ გულის დამოკიდებულებაზე, რომელიც ცხოვრებას აახლოებს მშვიდ მზრუნველობასთან, რომელიც შეიძლება სრულყოფილად არსებობდეს ვინმეს წინაშე, ისე რომ არ იფიქრონ მომავალზე, რომლისთვისაც ყოველი წუთი ღმერთის ძღვენია, რომელიც სისავსით უნდა გამოიყენონ. იესო გვასწავლიდა ამგვარ დამოკიდებულებას, როდესაც მოგვიწოდებდა მინდვრის შროშნების და ცის ფრინველების განჭვრეტისაკენ, ან როდესაც მდიდარ ჭაბუკი დაინახა და მისი უგუნურება შეიცნო, «იესომ შეხედა, მოეწონა» (მარკ 10,21). ის სრულყოფილად იმყოფებოდა ყველას და ყველაფრის წინაშე და, აგვარად, გვაჩვენებდა გზას, თუ როგორ დავძლიოთ ის არაჯანსაღი მწუხარება, რომელიც ზერელე, აგრესიულ და აკვიატებულ მომხმარებლებად გვაქცევს.

---

155 სამოც. ექსჰ. Evangelii gaudium (24 ნოემბერი, 2013), 71: AAS 105 (2013), 1050.

227. ამგვარი დამოკიდებულების ერთ-ერთ გამოვლინებას ვხვდებით, როდესაც შევყოვნდებით და მადლობას გადავუხდით ღმერთს დაპურებამდე და დაპურების შემდეგ. მე ვთხოვ ყველა მორწმუნეს, რომ დაუბრუნდნენ ამ მშვენიერ და მნიშვნელოვან ჩვეულებას. კურთხევის ეს მომენტი, თუმც კი ხანმოკლე, შეგვახსენებს ჩვენ დამოკიდებულებას ღმერთზე სიცოცხლისათვის; ის აძლიერებს ჩვენი მადლიერების გრძნობას ქმნილების ძღვენის მიმართ; იგი შეიცნობს მათ, ვინც, საკუთარი შრომით, ამ სიკეთეებს გვაძლევს; და კვლავაც ამტკიცებს ჩვენ სოლიდარობას უდიდეს გაჭირვებაში მყოფთა მიმართ.

V. სამოქალაქო და პოლიტიკური სიყვარული

228. ბუნების მიმართ მზრუნველობა არის ნაწილი ცხოვრების წესისა, რომელიც გულისხმობს ერთად ცხოვრების და თანაზიარების უნარს. იესო შეგვახსენებდა, რომ ღმერთი არის ჩვენი საერთო მამა და რომ, ამ მიზეზით, ჩვენ ძმები და დები ვართ. ძმური სიყვარული მხოლოდ უანგარო შეიძლებს იყოს; ის ვერასდროს იქნება საშუალება, რომ სხვებს გადავუხადოთ იმისათვის, რაც ჩვენთვის გააკეთეს ან გააკეთებენ. ამიტომაც, შესაძლებელია, რომ საკუთარი მტრებიც კი გვიყვარდეს. იგივე უანგარობა შთაგვაგონებს, რომ გვიყვარდეს და მივიღოთ ქარი, მზე და ღრუბლები, მიუხედავად იმისა, რომ მათი მართვა არ შეგვიძლია. ამ თვალსაზრისით, შეგვიძლია ვისაუბროთ საყოველთაო ძმობაზე.

229. კვლავაც უნდა ვირწმუნოთ, რომ ერთმანეთი გვჭირდება, რომ ერთობლივი პასუხისმგებლობა გვაკისრია სხვების და სამყაროს მიმართ, და რომ სიკეთე და პატიოსნება ფასობს. დიდი ხანია ზნეობრივ დაცემაში ვიმყოფებით, ეთიკას, სიკეთეს, რწმენას, პატიოსნებას დავცინით, ახლი კი დადგა დრო, ვაღიაროთ, რომ ასეთი ლაღი ზედაპირულობა სიკეთეს არ მოგვიტანს. საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლების განადგურებას შედეგად მოსდევს ერთმანეთთან ბრძოლა საკუთარი ინტერესების გამო, ძალადობის და სისასტიკის ახალი ფორმები, და გარემოზე ზრუნვის ნამდვილი კულტურის ზრდის დაბრკოლებები.

230. წმ. ტერეზა ლიზოელის მაგალითი მოგვიწოდებს სიყვარულის მცირე გზის პრაქტიკისაკენ, რომ ხელიდან არ გავუშვათ კეთილი სიტყვის, ღიმილის ან თუნდაც მცირე ჟესტის შესაძლებლობა, რომელიც მშვიდობას და მეგობრობას თესავს. ინტეგრალური ეკოლოგია მოიცავს უბრალო ყოველდღიურ ჟესტებსაც, რომელიც ამსხვრევს ძალადობის, ექსპლუატაციის და თავკერძობის ლოგიკას. და ბოლოს, გამძაფრებული მომხმარებლობის სამყარო, იმავდროულად, არის სამყარო, რომელიც ცუდად ეპყრობა სიცოცხლეს თავისი ყველა ფორმით.

231. სიყვარული, ერთმანეთზე მზრუნველობის მცირე ჟესტებით გადმოღვრილი, აგრეთვე არის სამოქალაქო და პოლიტიკური, და შეიგრძნობა ყოველგვარ მოქმედებაში, რომელიც უკეთესი სამყაროს აშენებას ესწრაფვის. სიყვარული სა-

ზოგადოების მიმართ და ვალდებულება საერთო სიკეთის მიმართ განსაკუთრებული გამოვლინებებია გულმოწყალეობისა, რომელიც გავლენას ახდენს არა მარტო ურთიერთობებზე ინდივიდებს შორის, არამედ «მაკრო-ურთიერთობებზეც, საზოგადოებრივზე, ეკონომიკურსა და პოლიტიკურზე».[156] ამიტომაც, ეკლესია სამყაროს სთავაზობს «სიყვარულის ცივილიზაციის»[157] იდეალს. საზოგადოებრივი სიყვარული ჭეშმარიტი განვითარების გასაღებია: «იმისათვის, რომ საზოგადოება უფრო ადამიანური, ადამიანისათვის უფრო ღირსეული გახდეს, განახლებული ფასეულობა უნდა შეიძინოს სიყვარულმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში - პოლიტიკურში, ეკონომიკურსა და კულტურულში, ის უნდა იქცეს მთელი საქმიანობის მუდმივ და უმაღლეს ნორმად».[158] ამ კონტექსტში, ყოველდღიური მცირე ჟესტების მნიშვნელობასთან ერთად, საზოგადოებრივი სიყვარული გვიბიძგებს, რომ შევქმნათ უფრო ფართო სტრატეგიები, რათა შევაკაოთ გარემოს დეგრადაცია და ხელი შევუწყოთ ზრუნვის კულტურას, რომელიც მთელ საზოგადოებას მოიცავს. როდესაც ვგრძნობთ, რომ ღმერთი მოგვიწოდებს, სხვებთან ერთად ჩავერიოთ ამ საზოგადოებრივ დინამიკაში, უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ

156 ბენედიქტე XVI, ენციკ. Caritas in veritate (29 ივნისი, 2009წ), 2: AAS 101 (2009), 642.

157 პავლე VI, მშვიდობის მსოფლიო დღის უწყება, 1977წ: AAS 68 (1976), 709.

158 სამართლიანობის და მშვიდობის პონტიფიკალური საბჭო, ეკლესიის სოციალური მოძღვრების კომპენდიუმი, 582.

ესეც ჩვენი სულიერების ნაწილია, რომელიც გულისხმობს გულმოწყალეობის გამოჩენას და რომელიც, როგორც ასეთი, მომწიფდება და განიწმინდება.

232. ყველას მოწოდება როდია, რომ პირდაპირი საშუალებით მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკაში. საზოგადოებას, აგრეთვე, ამდიდრებს ურიცხვი რიგი ორგანიზაციებისა, რომლებიც ხელს უწყობენ საერთო სიკეთეს და იცავენ გარემოს, გინდ ბუნებრივს და გინდ ურბანულს. მაგალითად, ზოგიერთი ინტერესს იჩენს საჯარო ადგილის მიმართ (ნაგებობა, შადრევანი, მიტოვებული ძეგლი, ლანდშაფტი, მოედანი) და იცავს, აღადგენს, უკეთესს ხდის და ალამაზებს მას, როგორც ყველას კუთვნილებას. ამ ყველაფრის გარშემო ვითარდება ან ხელახლა იქმნება ურთიერთობები და წარმოიშვება ახალი საზოგადოებრივი სტრუქტურა. ამგვარად, საზოგადოებას შეუძლია გათავისუფლდეს მომხმარებლური გულგრილობისაგან. ასეთი ქმედებები ხორცს ასხამს საერთო იდენტობას, – ისტორიას, რომელსაც დაიმახსოვრებენ და გადასცემენ. ამგვარად ზრუნავენ სამყაროზე და უღარიბესთა ცხოვრების დონეზე, სოლიდარობის გრძნობით, რომელიც, იმავდროულად, გულისხმობს შეგნებას იმ საერთო სახლში ცხოვრებისა, რომელიც ღმერთმა მოგვანდო. ეს საზოგადო მოქმედებები, როდესაც უანგარო სიყვარულს გამოხატავენ, შეიძლება ძლიერ სულიერ გამოცდილებებადაც იქცეს.

VI. საიდუმლოებრივი ნიშნები და დასვენების დღესასწაული

233. სამყარო ვლინდება ღმერთში, რომელიც სრულად აღავსებს მას. ამიტომაც, საიდუმლოებრივი აზრია ჩადებული ფოთოლში, მთის ბილიკში, გლახაკის სახეში.[159] იდეალი არ არის მხოლოდ გარეგანიდან გადასვლა შინაგანში, რათა აღმოვაჩინოთ ღმერთის მოქმედება სულში, არამედ აღმოვაჩინოთ ღმერთი ყველაფერში. წმ. ბონავენტურა გვასწავლის, რომ «განჭვრეტა მით უფრო ღრმავდება, რაც მეტად შევიგრძნობთ ღმერთის მადლის მოქმედებას ჩვენ გულებში, და რაც უკეთ ვსწავლობთ ღმერთთან შეხვედრას ჩვენ მიღმა არსებულ ქმნილებებში».[160]

234. წმ. იოანე ჯვრისა ასწავლიდა, რომ მთელი სიკეთე, რომელიც ამ სამყაროს სინამდვილეებ-

159 სასულიერო მოძღვარი, ალი ალ-ხავასი, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ხაზს უსვამდა საჭიროებას, სამყაროს ქმნილებები ძლიერ არ გამიჯვნოდა შინაგანად ღმერთის გამოცდილებას. იგი ამბობდა: «ამიტომაც, ცრურწმენაში ბრალი არ უნდა დავდოთ იმ ადამიანებს, რომლებიც მუსიკასა და პოზიაში აღტაცებას ეძებენ. ამ სამყაროს ყოველ მოძრაობასა და ბგერაშო ფაქიზი "საიდუმლო" არსებობს. ინიზიატორები იწყებენ იმ ყოველივე თქმულის შეგროვებას, თუ როგორ უბერავს ქარი, ირხევიან ხეები, მიედინება წყალი, ბზუიან ბუზები, ჭრიალებს კარები, ჟღურტულებენ ჩიტები, ან როგორ ხმას გამოსცემს სიმები ან ფლეიტა, ოხრავენ ავადმყოფები, კვნესიან გულნატკენები...»(ევა დე ვიტრაი-მეიეროვიჩი [რედ.], Anthologie du soufisme, Paris 1978, 200; ისლამის მისტიკოსები, პარმა, 1991წ, 199).

160 In II Sent., 23, 2, 3.

სა და გამოცდილებებში არსებობს, «ღმერთშია უსაზღვროდ და უსასრულოდ, ან უკეთ რომ ითქვას, ყოველ ამგვარ უმაღლეს სინამდვილეშია ღმერთი».[161] ეს არ ხდება იმიტომ, რომ ამ სამყაროს სასრული საგნები ნამდვილად ღმრთიურია, არამედ იმიტომ, რომ მისტიკა განიცდის იმ ახლო კავშირს, რომელიც ღმერთსა და ყველა არსებას შორის არსებობს, და, ამგვარად, შეიგრძნობს, რომ "ღმერთია ყველაფერი".[162] მთის წინაშე მოკრძალებით მდგომი, იგი ვერ გამიჯნავს ამ გამოცდილებას ღმერთისაგან, და შეიცნობს, რომ ასეთი შინაგანი მოკრძალება, რომელიც მას აქვს, უფალს უნდა მიანდოს: «მთებს სიმაღლეები აქვთ, და ისინი უთვალავია, უზარმაზარი, მშვენიერი, მოხდენილი, ბრწყინვალე და სურნელოვანი. ეს მთები იგივეა, რაც ჩემი საყვარელი ჩემთვის. მარტოსული ხეობები მშვიდია, სასიამოვნო, გრილი, ჩრდილიანი და სუფთა წყალი მოედინება; ჭალების სიმრავლით და ჩიტების ტკბილი გალობით, მათ აღტაცებაში მოჰყავთ გრძნობები, ხოლო სიმარტოვით და სიჩუმით ახალი სიცოცხლის და დასვენების გარემოს ქმნიან: ეს ხეობები იგივეა, რაც ჩემი საყვარელი ჩემთვის».[163]

235. საიდუმლოები არის უპირატესი გზა, რომლითაც ღმერთი ბუნებას აქცევს ზებუნებრივ სიცოცხლესთან შუამავლობის საშუალებად. ღმერთის თაყვანისცემით, ჩვენ ვართ მოხმობილნი,

161 Cántico Espiritual, XIV, 5.

162 იქვე.

163 იქვე., XIV, 6-7.

რომ განსხვავებულად მივიღოთ სამყარო. წყალი, ზეთი, ცეცხლი და ფერები აღებულია მთელი მათი სიმბოლური ძალით და გაერთიანებულია განდიდების აქტში. ხელი, რომელიც აკურთხებს, არის ღმრთის სიყვარულის იარაღი და იესო ქრისტეს სიახლოვის გამოვლინება, რომელიც მოვიდა, რათა ჩვენ გვერდით ყოფილიყო ცხოვრების მოგზაურობაში. წყალი, რომელიც ნათლობისას ჩვილის სხეულზე გადმოიღვრება, ახალი სიცოცხლის ნიშანია. ღმერთთან შეხვედრა არ ნიშნავს ამ სამყაროსაგან გაქცევას და ბუნებისათვის ზურგის შექცევას. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ქრისტიანული აღმოსავლეთის სულიერებაში. «მშვენიერება, რომელიც აღმოსავლეთში ერთ-ერთია საუკეთესო საყვარელი სახელებიდან, გამოხატავს რა ღმრთიურ ჰარმონიას და ფერცვლილი კაცობრიობის მოდელს, ჩანს ყველგან: ეკლესიის ფორმაში, მელოდიებში, ფერებში, სინათლეში, სურნელში».[164] ქრისტიანებისათვის, მატერიალური სამყაროს ყველა ქმნილება თავის ჭეშმარიტ აზრს განხორციელებულ სიტყვაში ჰპოვებს, ვინაიდან ღმერთის ძემ საკუთარ პიროვნებაში გააერთიანა მატერიალური სამყაროს ნაწილი, ჩათესა რა მასში საბოლოო გარდაქმნის მარცვალი. «ქრისტიანობა არ უარყოფს მატერიას, ფიზიკურობას; პირიქით, სრულად აფასებს მას ლიტურგიულ აქტში, რომელშიც ადამიანის სხეული ავლენს საკუთარ შინაგან ბუნებას, როგორც სულიწმიდის ტაძარს, და

164 იოანე პავლე II, ენციკ. Orientale lumen (2 მაისი, 1995წ), 11: AAS 87 (1995), 757.

ერთიანდება უფალ იესოსთან, რომელმაც თავად მიიღო სხეული წუთისოფლის დასახსნელად».[165]

236. ევქარისტიაში თავის უმაღლეს განდიდებას ჰპოვებს ქმნილება. მადლი, რომელიც ხელშესახებად ვლინდება, გასაოცარ გამოხატულებად იქცევა, როდესაც თვითონ ღმერთი, განკაცებული, მოდის, რათა საკუთარი ქმნილების საკვები მიიღოს. უფალი, განხორციელების საიდუმლოს მწვერვალზე, არჩევს, რომ ჩასწვდეს ჩვენ შინაგან სიღრმეებს მატერიის ფრაგმენტით. არა მაღლიდან, არამედ შიგნიდან, რათა ჩვენივე სამყაროში შევძლოთ მასთან შეხვედრა. ევქარისტიაში უკვე განხორციელებულია სისავსე, ის სამყაროს ცოცხალი ცენტრი და სიყვარულის და ულევი სიცოცხლის გადმოღვრაა. შეერთებული განხორციელებულ ძესთან, რომელიც ევქარისტიაში არსებობს, მთელი კოსმოსი მადლობას სწირავს ღმერთს. მართლაც, ევქარისტია კოსმიური სიყვარულის აქტია: «დიახ, კოსმიური! ვინაიდან მაშინაც კი, როდესაც მისი დღესასწაული სოფლის ეკლესიის მცირე საკურთხეველზეა, ევქარისტია მუდამ არის დღესასწაული, გარკვეულწილად, სამყაროს საკურთხეველზე».[166] ევქარისტია აერთიანებს ზეცას და მიწას; ის მოიცავს და მსჭვალავს მთელ ქმნილებას. სამყარო, რომელიც ღმერთის ხელებიდან გამოვიდა, მასვე უბრუნდება კურთხეულ და განუყოფელ თაყვანისცემაში: ევქარისტიის პურში, «ქმნილება

165 იქვე.

166 ენციკ. Ecclesia de Eucharistia (17 აპრილი, 2003წ), 8: AAS 95 (2003), 438.

მიმართულია გაღმერთებისაკენ, წმიდა ქორწინებისაკენ, შემოქმედთან გაერთიანებისაკენ».[167] ამგვარად, ევქარისტია, აგრეთვე, არის სინათლის წყარო და სტიმული ჩვენი ინტერესისა გარემოს მიმართ, და გვიბიძგებს, რომ მთელ ქმნილებაზე ვიზრუნოთ.

237. კვირადღეს, ევქარისტიაში მონაწილეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. კვირა, ებრაული შაბათის მსგავსად, არის დასვენების დღე, რომელიც ღმერთთან, საკუთარ თავთან, სხვებთან და სამყაროსთან ჩვენი ურთიერთობების მალამოა. კვირა არის აღდგომის დღე, ახალი შექმნის "პირველი დღე", რომლის პირველი ნაყოფებიც უფლის აღმდგარი კაცობრიობა, მთელი შექმნილი სინამდვილის საბოლოო ფერისცვალების აღთქმაა. ის, აგრეთვე, აცხადებს «ადამიანის მარადიულ დასვენებას ღმერთში».[168] ამგვარად, ქრისტიანული სულიერება აერთიანებს დასვენების და დღესასწაულის ფასეულობას. ჩვენ ვაკნინებთ მჭვრეტელობით დასვენებას, როგორც რაღაც უნაყოფოს და უსარგებლოს, მაგრამ გვავიწყდება, რომ ამით ჩამოშორდება ის მხარე, რომელიც უმნიშვნელოვანესია მის საქმეში: მისი მნიშვნელობა. ჩვენ მოწოდებულნი ვართ, რომ საკუთარ საქმეში გვქონდეს მიღების და უანგარობის ელემენტი, რომელიც სავსებით განსხვავდება უბრალო უმოქმედობისაგან. მეტადრე, ეს

167 ბენედიქტე XVI, წირვის ქადაგება Corpus Domini (15 ივნისი, 2006წ): AAS 98 (2006), 513.

168 კათოლიკე ეკლესიის კატეხიზმო, 2175.

არის გზა მოქმედებისა, რომელიც ჩვენი არსის ნაწილს აყალიბებს. ის იცავს ადამიანის მოქმედებას, რომ არ იქცეს ცარიელ აქტივიზმად; ის ხელს უშლის დაუოკებელ სიხარბეს და გარიყულობის გრძნობასაც, რომლებიც გვიბიძგებს, რომ პიროვნული სარგებელი ვეძიოთ სხვა ყველას საზიანოდ. ყოველკვირეული დასვენების კანონი კრძალავდა მუშაობას მეშვიდე დღეს, «რათა შეისვენოს შენმა ხარმა და სახედარმა, სული მოითქვან შენი მხევლის შვილმა და მდგმურმა» (გამოს 23,12). დასვენება უფრო ფართოდ გვიხელს თვალებს და განახლებული მგრძნობიარეობით აღგვავსებს სხვათა უფლებების მიმართ. და ამგვარად, დასვენების დღე, რომლის არსიც ევქარისტიაა, ნათელს ჰფენს მთელ კვირას და გვიბიძგებს, რომ ვიზრუნოთ ბუნებასა და უპოვრებზე.

VII. სამება და ურთიერთობა ქმნილებებს შორის

238. მამა ყველაფრის საბოლოო წყარო, ყოველივე არსებულის გულმოწყალე და უანგარო საფუძველია. ძემ, რომელიც მისი გამოვლინებაა, რომლითაც ყოველივე შეიქმნა, საკუთარი თავი გააერთიანა ამ მიწასთან, როდესაც მარიამის მუცლად ჩაისახა. სული, სიყვარულის უსაზღვრო კავშირი, ახლოს იმყოფება სამყაროს არსთან, შთააგონებს და ქმნის ახალ გზებს. სამყარო შეიქმნა სამი პირის მიერ, რომლებიც მოქმედებენ ერთი ღმრთიური პრინციპით, მაგრამ თითოეული მათგანი ამ საერთო საქმეს ასრულებს საკუთარი პიროვნული ვინაობის შესაფერისად. შე-

საბამისად, «როდესაც აღტაცებით განვჭვრეტთ სამყაროს მთელი მისი სიდიადით და მშვენიერებით, მთელ სამებას უნდა ვადიდებდეთ».[169]

239. ქრისტიანებისათვის, რწმენა ერთ ღმერთში, რომელიც სამებისეული თანაზიარებაა, გვაჩვენებს, რომ სამებას თავისი ანაბეჭდი აქვს მთელ ქმნილებაზე. წმ. ბონავენტურა მივიდა მტკიცებამდე, რომ ადამიანებს, ცოდვამდე, შეეძლოთ დაენახათ, თუ თითოეული ქმნილება როგორ «მოწმობს, რომ ღმერთი სამია». სამების შეცნობა შესაძლებელია ბუნებაში, «როდესაც წიგნი გადაიშალა ადამიანის წინაშე, ხოლო ჩვენ თვალებს ჯერაც არ მიჰკარებოდა ბნელი».[170] ფრანცისკელი წმიდანი გვასწავლის, რომ თითოეული ქმნილება თავის თავში ატარებს გამორჩეულად სამებისეულ სტრუქტურას, იმდენად ნამდვილს, რომ მისი განჭვრეტა ადვილად შესაძლებელი იქნებოდა, რომ არა ადამიანის ესოდენ ნაწილობრივი, ბნელი და სუსტი მზერა. ამგვარად, იგი მოგვიხმობს, რომ შევეცადოთ სინამდვილის წაკითხვას სამებისეული გასაღებით.

240. ღმრთიური პირები არსობრივი ურთიერთობებია, ხოლო სამყარო, ღმრთიური მოდელით შექმნილი, ურთიერთობათა ქსელია. ქმნილებები ღმერთისაკენ ისწრაფვიან, და, თავის მხრივ, მართებულია, რომ ყოველი ცოცხალი არსება სხვა ქმნილებებისაკენ ისწრაფვოდეს,

169 იოანე პავლე II, კატეხეზა (2 აგვისტო, 2000წ), 4: Insegnamenti 23/2 (2000), 112.

170 Quaest. disp. de Myst. Trinitatis, 1, 2, concl.

რათა მთელ სამყაროში შეგვეძლოს მუდმივი და საიდუმლოებრივად ჩაქსოვილი ურთიერთობების აღმოჩენა.[171] ის გვიბიძგებს, რომ არა მარტო აღვფრთოვანდეთ ქმნილებებს შორის არსებული მრავალგვარი კავშირებით, არამედ აღმოვაჩინოთ ჩვენი სისავსის გასაღებიც. ადამიანი იზრდება მეტად, სიმწიფეს აღწევს მეტად და განიწმიდება მეტად, რამდენადაც შედის ურთიერთობებში, იხედება საკუთარი თავის მიღმა, რათა იცხოვროს ღმერთთან, სხვებთან და ქმნილებებთან თანაზიარებაში. ამგვარად, ისინი ითავისებენ იმ სამებისეულ დინამიზმს, რომელიც ღმერთმა აღბეჭდა მათში, როდესაც შეიქმნენ. ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული, ეს კი მოგვიწოდებს, რომ განვავითაროთ იმ გლობალური სოლიდარობის სულიერება, რომელიც სამების საიდუმლოდან მომდინარეობს.

VIII. მთელი ქმნილების დედოფალი

241. მარიამი, დედა, რომელიც იესოზე ზრუნავდა, ახლა დედობრივი სიყვარულით და ტკივილით ზრუნავს ამ ვნებულ სამყაროზე. როგორც მისი განგმირული გული ჩიოდა იესოს სიკვდილს, ისევე ახლა სწუხს ჯვარცმულ უპოვართა ტანჯვასა და იმ სამყაროს ქმნილებებზე, რომელიც გაჩანაგებულია ადამიანის ძალაუფლებით. სრულად ფერცვლილი, იგი ახლა იესოს გვერდითაა, ხოლო ყველა ქმნილება მის სამართლიანობას

171 შეად. თომა აკვინელი, Summa Theologiae I, q. 11, art. 3; q. 21, art. 1, ad 3; q. 47, art. 3.

უგალობს. იგი არის ქალი, «რომელსაც ემოსა მზე, მთვარე ესვენა ფერხთით და თორმეტი ვარსკვლავის გვირგვინი ედგა თავზე» (გამოცხ 12,1). ზეცად აღყვანილი, იგი მთელი ქმნილების დედა და დედოფალია. მის განდიდებულ სხეულში, აღმდგარ ქრისტესთან ერთად, ქმნილების ნაწილი თავისი მშვენიერების სისავსეს აღწევს. იგი გულში იმარხავს იესოს მთელ სიცოცხლეს (შეად. ლუკ 2,19, 51), და ახლა ყველაფრის აზრი ესმის. ამიტომაც, შეგვიძლია შევთხოვოთ მას, შეგვაძლებინოს, რომ სიბრძნის თვალით ვუცქერდეთ ამ სამყაროს.

242. ნაზარეთის წმიდა ოჯახში მის გვერდით დგას წმ. იოსების პიროვნება. თავისი შრომით და სულგრძელი ყოფნით, იგი ზრუნავდა და იცავდა მარიამს და იესოს, განარიდებდა მათ უსამართლოთა ძალადობისაგან, ეგვიპტეში გახიზვნით. სახარება წარმოგვიდგენს იოსებს სამართლიან, მშრომელ და ძლიერ კაცად. მაგრამ იგი დიდ სინაზესაც იჩენს, რომელიც არ არის სუსტების ნიშანი, არამედ მათი თვისებაა, ვინც ნამდვილად ძლიერია, ვინც სრულად აცნობიერებს სინამდვილეს და მზად არის, რომ უყვარდეს და ემსახუროს თავმდაბლობით. ამიტომაც, იგი გამოცხადებულია საყოველთაო ეკლესიის მზრუნველად. მასაც შეუძლია გვასწავლოს, თუ როგორ გამოვიჩინოთ მზრუნველობა; მას შეუძლია შთაგვაგონოს, რომ სულგრძელობით და სინაზით ვიშრომოთ ამ სამყაროს დასაცავად, რომელიც ღმერთმა მოგვანდო.

243. და ბოლოს, ჩვენ აღმოვჩნდებით ღმერთის უსაზღვრო მშვენიერების პირისპირ (შეად. 1 კორ 13,12), და აღტაცებით და ბედნიერებით შევძლებთ სამყაროს საიდუმლოს წაკითხვას, რომელიც ჩვენთან ერთად გაიზიარებს უსასრულო სისავსეს. ახლაც ვმოგზაურობთ მარადიულობის შაბათისაკენ, ახალი იერუსალიმისაკენ, ჩვენი საერთო სახლისაკენ ზეცაში. იესო ამბობს: «ყველაფერს შევქმნი ახალს» (გამოცხ 21,5). საუკუნო სიცოცხლე იქნება აღტაცების ერთობლივი განცდა, რომელშიც თითოეული ქმნილება, ბრწყინვალედ ფერცვლილი, დაიკავებს თავის სამართლიან ადგილს და რაიმეს გაიღებს იმ უპოვარი მამაკაცებისა და ქალებისათვის, რომლებიც ერთხელ და სამუდამოდ გათავისუფლდებიან.

244. იმავდროულად, ჩვენ ვერთიანდებით, რათა ვალდებულება ავიღოთ ამ სახლის მიმართ, რომელიც ჩვენზე იქნა მონდობილი, იმის შეგნებით, რომ მთელი სიკეთე, რომელიც აქ არსებობს, მიღებული იქნება ზეციურ დღესასწაულში. ყველა ქმნილებასთან კავშირში, ჩვენ ვმოგზაურობთ ამ მიწაზე ღმერთის ძიებით, ვინაიდან «თუკი სამყაროს აქვს საწყისი და თუკი ის შეიქმნა, უნდა ვიკითხოთ, თუ ვინ მისცა მას ეს საწყისი, და ვინ იყო მისი შემოქმედი».[172] დაე, ვგალობდეთ გზად მიმავალნი! დაე, ჩვენი ბრძოლა და ინტერესი ამ

172 ბასილი დიდი, Hom. in Hexaemeron, 1, 2, 6: PG 29, 8.

პლანეტის მიმართ ნურასდროს დაკარგავს იმედის სიხარულს.

245. ღმერთი, რომელიც მოგვიხმობს სულგრძელი ვალდებულებისაკენ და ყველაფრის გაცემისაკენ, გვაძლევს საჭირო ნათელს და ძალას, რათა ჩვენი გზა განვაგრძოთ. ამ სამყაროს არსში მუდამ იმყოფება სიცოცხლის უფალი, რომელსაც ესოდენ ძლიერ ვუყვარვართ. იგი არ გვტოვებს, თავს არ გვანებებს, ვინაიდან მან თავისი თავი საბოლოოდ გააერთიანა ჩვენ მიწასთან, ხოლო მისი სიყვარული გამუდმებით გვიბიძგებს, რომ ახალი გზები გამოვძებნოთ. დიდება მას!

* * * * *

246. ამ გრძელი მიმოხილვის დასასრულს, რომელიც სიხარულით აღსავსეც იყო და დრამატულიც, გთავაზობთ ორ ლოცვას. პირველი შეგვიძლია გავიზიაროთ მათთან ერთად, ვისაც სწამს ყოვლისშემძლე და შემოქმედი ღმერთი, მეორე კი, რათა ჩვენ, ქრისტიანებს შეგვეძლოს ვიკისროთ ის ვალდებულებები ქმნილების წინაშე, რასაც იესოს სახარება გვთავაზობს.

ლოცვა ჩვენი დედამიწისათვის

ღმერთო ყოვლისამპყრობელო,
შენ იმყოფები მთელ სამყაროსა და
შენს უმცირეს ქმნილებებშიც კი,
შენი სინაზით მოიცავ
ყოველივე არსებულს,
შთაღვარე ჩვენში შენი სიყვარულის ძალა,
რათა ვიზრუნოთ
სიცოცხლესა და მშვენიერებაზე.
აღგვავსე მშვიდობით,
რათა ვიცხოვროთ როგორც ძმებმა და დებმა
და არავის მივაყენოთ ზიანი.
უპოვართა ღმერთო,
შეგვეწიე, გამოვისყიდოთ ამა ქვეყნის
მიტოვებულნი და მივიწყებულნი,
რომლებიც ასე ძვირფასნი არიან შენ თვალში.
განკურნე ჩვენი სიცოცხლე,
რათა დავიცვათ სამყარო
და არ განვძარცვოთ ის,
რათა დავთესოთ მშვენიერება
და არა დაბინძურება და განადგურება.
შეეხე მათ გულებს,
ვინც ოდენ სარგებელს ეძებს
უპოვრების და დედამიწის ხარჯზე.
გვასწავლე ყოველივეს ფასის აღმოჩენა,
განვჭვრიტოთ აღტაცებით,
შევიცნოთ, რომ ღრმად ერთიანი ვართ

ყველა ქმნილებასთან
შენი უსაზღვრო ნათლისაკენ სავალ გზაზე.
მადლობას გწირავთ,
რომ ჩვენთან ხარ მუდამდღე.
გაგვაძლიერე, გევედრებით,
ჩვენ ბრძოლაში სამართლიანობისათვის,
სიყვარულისა და მშვიდობისათვის.

ქრისტიანული ლოცვა ქმნილებასთან ერთად

გადიდებთ, მამაო,
ყველა შენს ქმნილებასთან ერთად,
რომლებიც შენი ძლიერი ხელიდან გამოსულან.
შენნი არიან, და აღვსილნი არიან შენით
და შენი სინაზით.
დიდება შენდა!

ძეო ღმრთისაო, იესო,
შენგან შეიქმნა ყოველივე.
შენ ჩაისახე მარიამის დედობრივ წიაღში,
შენ ამ მიწის ნაწილად იქეცი,
და ადამიანის თვალებით უცქირე ამ სამყაროს.
დღეს, შენ ცოცხლობ ყოველ ქმნილებაში
აღმდგარის დიდებით.
დიდება შენდა!

სულო წმიდაო, რომელიც შენი ნათელით
მიმართავ ამ სამყაროს მამის სიყვარულისაკენ
და მეგზურობ ქმნილების კვნესას,

შენც იცოცხლე ჩვენს გულებში
რათა გვიბიძგო სიკეთისაკენ.
დიდება შენდა!

უფალო ღმერთო, ერთო და სამებაო,
უსაზღვრო სიყვარულის საკვირველო ერთობავ,
გვასწავლე, გხედავდეთ შენ
სამყაროს მშვენიერებაში,
სადაც ყოველივე შენზე მეტყველებს.
გამოაღვიძვე ჩვენი ქება და მადლიერება
ყოველი არსებისათვის, რომელიც შენ შეგიქმნია.
მოგვმადლე, ღრმა სიახლოვე შევიგრძნოთ
ყოველივე არსებულთან.
სიყვარულის ღმერთო,
გვიჩვენე ჩვენი ადგილი ამ სამყაროში
როგორც შენი სიყვარულის იარაღებს
დედამიწის ყველა არსებისათვის,
რაკი არც ერთი მათგანი არაა დავიწყებული
შენგან.
ნათელი მიეცი ძალაუფლების და ფულს
მფლობელებს,
რათა არ ჩაცვივდნენ გულგრილობის ცოდვაში,
უყვარდეთ საერთო სიკეთე, ეხმარებოდნენ
უძლურებს,
და ზრუნავდნენ ამ სამყაროზე, რომელშიც
ცხოვრობენ.
უპოვრები და დედამიწა ღაღადებენ:
უფალო, დაგვავლე ხელი შენი ძალითა და
ნათელით,
რათა დაიცვა ყოველი სიცოცხლე,

უკეთესი მომავლის მოსამზადებლად,
რათა მოვიდეს შენი სასუფეველი
სამართლიანობისა, მშვიდობისა, სიყვარულისა
და მშვენიერებისა.

დიდება შენდა!
ამენ.

იქმნა რომში, წმ. პეტრესთან, 24 მაისს, სულთ-მოფენობის დიდდღესასწაულზე, 2015 წელს, ჩემი პონტიფიკატის მესამე წელიწადს.

Franciscus

სარჩევი

ამ სამყაროში არაფერია ჩვენთვის სულ ერთი *4*
საერთო საზრუნავით გაერთიანებულნი *8*
წმ. ფრანცისკე ასიზელი *11*
ჩემი მოწოდება *14*

თავი პირველი
რა მდგომარეობაშია ჩვენი საერთო სახლი

I. დაბინძურება და კლიმატის ცვლილება 21
დაბინძურება, ნარჩენები და თავიდან მოშორების კულტურა *21*
კლიმატი, როგორც საერთო სიკეთე *23*
II. წყლის საკითხი 28
III. ბიომრავალფეროვნების გაქრობა 31
IV. ადამიანის ცხოვრების დონის გაუარესება და სოციალური დეგრადაცია 39
V. გლობალური უთანასწორობა 42
VI. სუსტი პასუხები 49
VII. შეხედულებათა მრავალფეროვნება 54

თავი მეორე
ქმნილების სახარება

I. ნათელი, რომელსაც რწმენა იძლევა 57
II. ბიბლიური გადმოცემების სიბრძნე 59
III. სამყაროს საიდუმლო 70
IV. გზავნილი ყოველი არსებისა ქმნილების ჰარმონიაში 77
V. საყოველთაო თანაზიარება 81
VI. საქონლის საყოველთაო დანიშნულება 85
VII. იესოს მზერა 88

თავი მესამე
ეკოლოგიური კრიზისის ადამიანური საფუძვლები

I. ტექნოლოგია: შემოქმედებითობა და ძალაუფლება 93
II. ტექნოკრატიული პარადიგმის გლობალიზაცია 97
III. თანამედროვე ანთროპოცენტრიზმის კრიზისი და შედეგები 106
პრაქტიკული რელატივიზმი *111*
შრომის დაცვის საჭიროება *113*
ახალი ბიოლოგიური ტექნოლოგიები *119*

თავი მეოთხე
ინტეგრალური ეკოლოგია

I. გარემოს, ეკონომიკური და სოციალური ეკოლოგია 127

II. კულტურული ეკოლოგია 133

III. ყოველდღიური ცხოვრების ეკოლოგია 136

IV. საერთო სიკეთის პრინციპი 143

V. სამართლიანობა თაობებს შორის 1 45

თავი მეხუთე
მიდგომის და მოქმედების ზოგიერთი მიმართულება

I. დიალოგი გარემოს შესახებ საერთაშორისო საზოგადოებაში 149

II. დიალოგი ახალი ეროვნული და ადგილობრივი პოლიტიკისათვის 159

III. დიალოგი და გამჭვირვალეობა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში 164

III. პოლიტიკა და ეკონომიკა დიალოგში ადამიანის სისავსისათვის 169

IV. რელიგიები მეცნიერებასთან დიალოგში 178

თავი მეექვსე
ეკოლოგიური განათლება და სულიერება

I. ახალი ცხოვრების წესის მიმართულებით 183

II. განათლება კაცობრიობას და გარემოს შორის თანხმობისათვის 188

III. ეკოლოგიური მოქცევა 193

IV. სიხარული და მშვიდობა 199

V. სამოქალაქო და პოლიტიკური სიყვარული 203

VI. საიდუმლოებრივი ნიშნები და დასვენების დღესასწაული 207

VII. სამება და ურთიერთობა ქმნილებებს შორის 212

VIII. მთელი ქმნილების დედოფალი 214

IX. მზის მიღმა 216

ლოცვა ჩვენი დედამიწისათვის *218*

ქრისტიანული ლოცვა ქმნილებასთან ერთად *219*